

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სამოქალაქო-სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე

2011, №7

ა პ ე ლ ა ც ი ა

კ ა ს ა ც ი ა

სამიუბელი

1. სააპელაციო საჩივრის შეტანაზე უფლებამოსილი პირი
2. სააპელაციო საჩივრის ღირებულება
3. ხარვეზის შეუვსებლობა
4. სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა
5. სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმება
6. საკასაციო საჩივრის დასაშვებობა

# 1. სააპელაციო საჩივრის შეტანაზე უფლებამოსილი პირი

## განჩინება

1ას-392-365-2010

21 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
ვ. როინიშვილი

სარჩელის დავის საგანი: სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა

კერძო საჩივრის დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

### აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 26 მარტს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ვ. მ-ევამ მოპასუხე ნოტარიუს მ. ე-ძის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ნოტარიუსის მიერ 2008 წლის 25 მარტს ნ. მ-ევის სახელზე გაცემული ანდერძისმიერი სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა, რომლითაც ეს უკანასკნელი ცნობილ იქნა დედის, მამკვიდრებელ ნა. მ-ევას დანაშთი სამკვიდრო ქონების – ოზურგეთის რაიონის სოფელ ... მდებარე მიწის ნაკვეთების 1/3-ის პირველი რიგის მემკვიდრედ.

2009 წლის 8 ოქტომბერს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში განცხადება წარადგინეს ნ. მ-ევის წარმომადგენლებმა მ. ჯ-ძემ და ს. ა-ძემ, რომლებმაც მოითხოვეს მოცემულ საქმეში ნ. მ-ევის მოპასუხედ ან დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის უფლების მქონე მესამე პირად ჩაბმა იმ მოტივით, რომ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება პირდაპირ შეეხებოდა ამ უკანასკნელის ინტერესებს.

ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს 2009 წლის 26 ოქტომბრის საოქმო განჩინებით ნ. მ-ევი საქმეში ჩაება მესამე პირად მოპასუხის მხარეზე დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე. სასამართლომ განმარტა, რომ მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მხარე შეიძლება ჩაბმულ იქნეს სარჩელის აღძვრის შედეგად, თუ იგი აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე ან მის ნაწილზე. რამდენადაც ნ. მ-ევს არ წარუდგენია სარჩელი, იგი ჩაბმული უნდა ყოფილიყო საქმეში მესამე პირად მოპასუხის მხარეზე დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, ვინაიდან სასამართლო გადაწყვეტილებას ამ საქმეზე შეეძლო შემდგომში გავლენა მოეხდინა ნ. მ-ევის უფლებებსა და მოვალეობებზე.

ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს 2009 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით ვ. მ-ევას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1996 წლის 14 მაისს ნა. მ-ევამ შეადგინა ანდერძი, რომლითაც მთელი თავისი ქონება უანდერძა სამ შვილს: ნ. მ-ევს, რომან მ-ევს და ი. მ-ევს;

ნა. მ-ევა გარდაიცვალა 2007 წლის 19 სექტემბერს;

2008 წლის 25 მარტს ოზურგეთის ნოტარიუსმა მ. ე-ძემ გასცა სამკვიდრო მოწმობა, რომლის მიხედვით, ნ. მ-ევმა, როგორც დედის, მამკვიდრებელ ნა. მ-ევას პირველი რიგის ანდერძისმიერმა მემკვიდრემ, საკუთრებაში მიიღო სამკვიდრო ქონება – ოზურგეთის რაიონის სოფელ ... მდებარე მიწის ნაკვეთების 1/3.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოს ოზურგეთის არქივის ცნობაზე, რომლის თანახმად, ოზურგეთის რაიონის ნატანების საკრებულოს 1997-2006 წლების საკომლო წიგნებში, კერძოდ, ნ. ნ-ის ასული მ-ევას კომლში ირიცხებიან შემდეგი პირები: მ-ევა ნა. ნ-ის ასული (უფროსი) და მ-ევა ვ. რ-ს ასული (შვილიშვილი).

რაიონული სასამართლოს განმარტებით, ოზურგეთის რაიონის სოფელ ნატანებში მდებარე სადავო ქონება წარმოადგენდა ნა. მ-ევასა და ვ. მ-ევას საერთო საკუთრებას – საკომლო მემკვიდრეობას და აღნიშნული პირები იყვნენ სადავო ქონების თანამესაკუთრეები. მათ გააჩნდათ საზიარო უფლება და, სავარაუდოდ, თითოეულის წილი თანასაკუთრებაში იყო თანაბარი. ამდენად, ნა. მ-ევას საკუთრების წილზე, რომელიც შედიოდა კომლის საერთო ქონებაში, შესაძლებელი იყო სამკვიდროს გახსნა. რაც შეეხებოდა ნა. მ-ევას წილის გარეთ დარჩენილ ქონებას, მასზე ვრცელდებოდა სამოქალაქო კოდექსის 1323-ე მუხლით გათვალისწინებული, კომლში სამკვიდროს გახსნის წესი, რომლის მიხედვით, კომლის საერთო ქონებაზე სამკვიდრო გაიხსნება კომლის ბოლო წევრის გარდაცვალების დღიდან.

რაიონულმა სასამართლომ ასევე მიუთითა «სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ» კანონის მე-4 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის შესაბამისად, უცხოელსა და საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირს საკუთრების უფლება აქვთ მხოლოდ იმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რომელიც მათ მემკვიდრეობით მიიღეს.

რაიონული სასამართლოს მოსაზრებით, სანოტარო მოქმედების შესრულებისას, კერძოდ, მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემისას ნოტარიუსმა მ. ე-ძემ დაიცვა «ნოტარიატის შესახებ» კანონის 48-ე მუხ-

ლის მოთხოვნები: სანოტარო მოქმედების შესრულების დროს ნოტარიუსმა შეამოწმა იმ პირისა და მისი წარმომადგენლის ვინაობა, რომლებმაც მოითხოვეს სანოტარო მოქმედების შესრულება, შეამოწმა წარმომადგენლის უფლებამოსილება, გამოითხოვა სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის აუცილებელი დოკუმენტები.

2008 წლის 25 მარტის სამკვიდრო მოწმობის თანახმად, სამკვიდრო გაიხსნა მთლიან ქონებაზე და არა კონკრეტულად ნა. მ-ევას წილზე. მიუხედავად ამისა, რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული წარმომადგენდა სამკვიდრო მოწმობაში ცვლილების შეტანის და არა მისი ბათილად ცნობის საფუძველს, რასაც მოსარჩელე მოითხოვდა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლზე მითითებით რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მოკლებული იყო შესაძლებლობას, მხარის მოთხოვნის გარეშე, თავისი ინიციატივით ცვლილება შეეტანა სამკვიდრო მოწმობაში.

პირველი ინსტანციის სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება, კერძოდ, მხოლოდ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. მ-ევმა და მოითხოვა მასში ცვლილებების შეტანა. აპელანტი არ დაეთანხმა გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის მეჯელობას იმ ნაწილში, სადაც რაიონულმა სასამართლომ დადგინდა ცნო გარემოება იმის შესახებ, რომ ნ. მ-ევას ოჯახი განეკუთვნებოდა საკოლმეურნეო კომლს, რომელშიც მამკვიდრებელთან ერთად ქონების თანამესაკუთრეს წარმომადგენდა კომლის მეორე წევრი – ვ. მ-ევა. აპელანტი ასევე არ დაეთანხმა სასამართლოს სამართლებრივ შეფასებებს კომლთან დაკავშირებით.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ასევე გაასაჩივრა ვ. მ-ევამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობის შესახებ მისი სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 მარტის განჩინებით ნ. (ნ.) მ-ევის სააპელაციო საჩივარი ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე დატოვებულ იქნა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოში.

საქმის მასალების თანახმად, ნ. მ-ევი დავაში ჩაება მესამე პირად მოპასუხის მხარეზე დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მართალია, მესამე პირები დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე სარგებლობენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლში მითითებული მხარეთა საპროცესო უფლებებით, მაგრამ, ამავე კოდექსის 91-ე მუხლი შეიცავს მხარის იმ უფლებამოსილებათა ჩამონათვალსაც, რომლებითაც ასეთი მესამე პირები ვერ ისარგებლებენ. მათ არ შეუძლიათ გაასაჩივრონ სასამართლოს გადაწყვეტილებები სააპელაციო ან საკასაციო წესით, აგრეთვე, შეიტანონ კერძო საჩივარი.

სააპელაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ოზურგეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით ნ. მ-ევის უფლებები არ შელახულა. გადაწყვეტილება გამოვიდა მის სასარგებლოდ და მოსარჩელის საწინააღმდეგოდ. ამდენად, ნ. მ-ევი არ წარმომადგენდა სააპელაციო საჩივრის შეტანაზე უფლებამოსილ პირს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლომ ნ. მ-ევის სააპელაციო საჩივარი დაუშვებლად მიიჩნია კიდევ ერთი საფუძველით, რაც შემდეგნაირად დასაბუთა:

აპელანტი ნ. მ-ევი ასაჩივრებდა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილს. ესე იგი ეს უკანასკნელი ეთანხმებოდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოსარჩელე ვ. მ-ევას მოთხოვნა, მაგრამ არ ეთანხმებოდა გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილს ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება (თუ რა გადაწყვეტა სასამართლომ) აისახება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში. შესაბამისად, მხარეებს და მესამე პირებს ფაქტობრივი თუ სამართლებრივი თვალსაზრისით შეუძლიათ სადავო გახადონ პირველი ინსტანციის სასამართლოს ის გადაწყვეტილება, რომლის სარეზოლუციო ნაწილით არ დაკმაყოფილდა ან ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მათი მოთხოვნა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სწორედ ასეთ შემთხვევაში ამოწმებს სააპელაციო სასამართლო პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით.

სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 22 მარტის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ნ. მ-ევმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და მისი სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება.

კერძო საჩივრის საფუძველები შემდეგში მდგომარეობს:

კერძო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება ნ. მ-ევის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, აგრეთვე, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს განჩინება, რომლითაც ნ. მ-ევი საქმეში ჩაება მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, კანონსაწინააღმდეგოა. ისინი არღვევენ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6

მუხლითა და საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით გარანტირებულ უფლებებს, ზღუდავდნენ პირის უფლებას, ისარგებლოს სამართლიანი სასამართლოთი.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მისი ინტერესია გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში ასახული დასკვნის გაქარწყლება, რომელიც შეეხება სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილ ფაქტობრივ გარემოებას იმის შესახებ, რომ ნ. მ-ევას ოჯახი განეკუთვნებოდა საკოლმეურნეო კომლს, რომელშიც მამკვიდრებელთან ერთად ქონების თანამესაკუთრეს წარმოადგენს კომლის მეორე წევრი – ვ. მ-ევას. სინამდვილეში ნ. მ-ევას ოჯახი არასდროს ყოფილა საკოლმეურნეო კომლი, კოლმეურნეობასთან მას კავშირი არ ჰქონია. ასეთ ოჯახში, ჩვეულებრივ, ქონება მემკვიდრეობით გადადის პირის გარდაცვალების შემდეგ.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, ამჟამად სასამართლოს წარმოებაშია საქმე, სადაც სადავოდაა გამხდარი საკითხი იმის თაობაზე, ნ. მ-ევას ოჯახი განეკუთვნება თუ არა საკოლმეურნეო კომლს.

კერძო საჩივრის ავტორი არ ეთანხმება საქმეზე ნ. მ-ევას დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირად მონაწილეობას, რადგან განსახილველი დავის საგანი – ნ. მ-ევას სახელზე გაცემული საკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა, პირდაპირ და უშუალოდ შეეხება ამ უკანასკნელის ინტერესებს.

მართალია, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით დამდგარი საპროცესო შედეგი კერძო საჩივრის ავტორისათვის მისაღებია, მაგრამ, მისი მოსაზრებით, ამავე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში ასახული დასკვნა ეწინააღმდეგება კანონს. აღნიშნული დასკვნის უცვლელად დატოვება, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, მას შესძენს პრეიუდიციულ მნიშვნელობას და გავლენას მოახდენს სხვა სამოქალაქო დავაზე ადრულ სარჩელზე, რაც არასწორია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 მარტის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრებაზე ნ. მ-ევას არაუფლებამოსილ პირად მიჩნევის შესახებ იმის გამო, რომ იგი საქმეში ჩაბმულია მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე. მოცემულ შემთხვევაში სარჩელის დავის საგანს წარმოადგენს ნ. მ-ევას სახელზე გაცემული ანდერძისმიერი სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობა, ამდენად, სარჩელის მოთხოვნა მიმართულია უშუალოდ ნ. მ-ევას წინააღმდეგ. შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილებით, რომელიც გამოიტანება ამ სარჩელის განხილვის შედეგად, უშუალო შედეგი დგება ნ. მ-ევასთვის, რამდენადაც გადაწყვეტილებით განისაზღვრება მისი სამემკვიდრეო უფლება-მოვალეობები. სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე სუბიექტი კი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომლის უფლება-მოვალეობებიც გასაჩივრებული გადაწყვეტილებით განისაზღვრა, მიუხედავად პროცესუალური სტატუსისა, უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, საერთოდ მონაწილეობს თუ არა საქმის განხილვაში.

მიუხედავად ამისა, საკასაციო სასამართლო ეთანხმება გასაჩივრებული განჩინებით დამდგარ საპროცესო შედეგს – ნ. მ-ევას სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებას.

მოცემულ შემთხვევაში ნ. მ-ევი ასაჩივრებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მხოლოდ სამოტივაციო ნაწილს, სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ ნ. მ-ევას ოჯახი განეკუთვნება საკოლმეურნეო კომლს და სასამართლოს სამართლებრივ შეფასებებს ამასთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დაუშვებელია გადაწყვეტილების მხოლოდ აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების გასაჩივრება სარეზოლუციო ნაწილისაგან მოწყვეტით და მისგან დამოუკიდებლად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილება აუცილებლად უნდა შეიცავდეს კანონით გათვალისწინებულ ყველა ნაწილს. გადაწყვეტილების აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილები წარმოადგენს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის საფუძველს, მასში უნდა აისახოს გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება, სასამართლოს დასკვნები გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის საფუძველად დადებული ფაქტების არსებობა-არარსებობისა და მათი სამართლებრივი შეფასების შესახებ. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს დასკვნას სარჩელის დაკმაყოფილების ან სარჩელზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის თაობაზე. მხარის მოთხოვნის იურიდიულ ბედს განსაზღვრავს მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსასრულებლადაც სწორედ იგი წარმართება. სამოტივაციო ნაწილი ვერ მიექცევა აღსასრულებლად, თუნდაც ეს უკანასკნელი ადგენდეს რაიმე უფლების ან ვალდებულების არსებობას («სააღსრულებო წარმოებათა შესახებ» საქართველოს კანონის 21-ე მუხლი).

სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის, როგორც ამ გადაწყვეტილების საფუძვლის გაუქმებით, საფუძველი გამოეცლება სარეზოლუციო ნაწილსაც.

ამდენად, სასამართლო გადაწყვეტილების იმ ნაწილის სისწორე თუ უსწორობა, რომელშიც ასახულია გადაწყვეტილების მოტივები, ვერ გასაჩივრდება სარეზოლუციო ნაწილისგან განყენებულად.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრებულია მოწინააღმდეგე მხარის – ვ. მ-ევას მიერაც. ვ. მ-ევას სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შემთხვევაში, მხარეებს შეუძლიათ მისცენ ახსნა-განმარტებები და დააფიქსირონ თავიანთი პოზიცია, რისი გათვალისწინებითაც საქმეზე გამოვა საბოლოო გადაწყვეტილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს ნ. მ-ევას კერძო საჩივარს და უცვლელად ტოვებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 419-ე-420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ნ. მ-ევას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 მარტის განჩინება;  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **სააპელაციო საჩივრის შეტანაზე უფლებამოსილი პირი**

#### **განჩინება**

1ას-634-595-2010 5 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებით რ. ფ-ძის განცხადება დაკმაყოფილდა – ქ. თბილისში, ... 17-ში მცხოვრები, 1907 წელს დაბადებული ს. ჟ-ინა გამოცხადდა გარდაცვლილად; გარდაცვალების თარიღად მიჩნეულ იქნა სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღე.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა დაინტერესებულმა პირმა ნ. ს-იამ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 3 ივნისის განჩინებით ნ. ს-იას სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას გავლენა არ მოუხდენია ნ. ს-იას უფლებებზე და, შესაბამისად, მას არ ჰქონდა მოცემული გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლებამოსილება.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ნ. ს-იამ და მოითხოვა მისი გაუქმება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ ნ. ს-იას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებით რ. ფ-ძის განცხადება დაკმაყოფილდა და ქ.თბილისში, ... ქუჩის 17-ში მცხოვრები, 1907 წელს დაბადებული ს. ჟ-ინა გამოცხადდა გარდაცვლილად, გარდაცვალების თარიღად მიჩნეულ იქნა სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღე.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ს-იამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით რ. ფ-მის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ნ. ს-იას სააპელაციო საჩივარი დაუშვებლად მიიჩნია იმ საფუძველზე, რომ იგი არ წარმოადგენს იმ პირს, რომელსაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლის შესაბამისად, გააჩნია გასაჩივრებული გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლებამოსილება, რადგან თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით არ დარღვეულა მისი უფლება, ხოლო ს. ჟ-ინას გარდაცვლილად გამოცხადება ვერ მოახდენს რაიმე გავლენას ნ. ს-იას თანასაკუთრების უფლებაზე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ მოსაზრებას და დამატებით განმარტავს შემდეგს:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს პირველი ინსტანციით გამოტანილი გადაწყვეტილება მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოში.

აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს სააპელაციო საჩივრის უფლების სუბიექტებს. კერძოდ, გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლება აქვთ მხარეებს (მოსარჩელეს, მოპასუხეს), მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, მათ უფლებამონაცვლეებს, თანამონაწილეებს (თანამოსარჩელეებს, თანამოპასუხეებს) მათი თანამონაწილეობის საფუძველზე განსაზღვრულ ფარგლებში, პირებს, რომლებიც, მართალია, არ ფიგურირებენ საქმეში როგორც მხარეები, მაგრამ სასამართლო გადაწყვეტილებით განსაზღვრა მათი უფლებები და მოვალეობები ერთ-ერთი მხარის მიმართ.

მოცემულ შემთხვევაში ნ. ს-იას მიერ სააპელაციო წესით გასაჩივრებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება, რომლითაც რ. ფ-მის განცხადების საფუძველზე გარდაცვლილად გამოცხადდა ს. ჟ-ინა, რომელიც კერძო საჩივრის ავტორთან ნ. ს-იასთან ერთად წარმოადგენს ქ.თბილისში, ... ქუჩის 17-ში მდებარე უძრავი ქონების თანამესაკუთრეს. აღნიშნული გადაწყვეტილების მიმართ რ. ფ-მის იურიდიულ ინტერესს წარმოადგენს ის, რომ მას მიეცეს შესაძლებლობა, მოითხოვოს გარდაცვლილად გამოცხადებული პირის დანაშთ სამკვიდრო ქონებაზე – მდებარე ქ.თბილისში, ... ქუჩის 17-ში, სამკვიდროს გახსნა, ხოლო შემდეგ – «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონის თანახმად – მას და გარდაცვლილად გამოცხადებული პირის მემკვიდრეებს შორის ურთიერთობის დარეგულირება, საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემის ან მის სანაცვლოდ ფულადი კომპენსაციის მიღების გზით.

კერძო საჩივრის ავტორი ვერ უთითებს, თუ რა იურიდიული ინტერესი გააჩნია ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმების მიმართ. ის ასევე ვერ უთითებს, თუ მატერიალური კანონმდებლობით დაცული მისი რომელი უფლება ან კანონიერი ინტერესი დაირღვა სადავო გადაწყვეტილებით. მართალია, ნ. ს-ია, ს. ჟ-ინასთან ერთად, წარმოადგენს ქ.თბილისში, ... ქუჩის 17-ში მდებარე უძრავი ნივთის თანამესაკუთრეს, მაგრამ ამ ნივთის ერთ-ერთი თანამესაკუთრის გარდაცვლილად გამოცხადება თავისთავად არ ნიშნავს კერძო საჩივრის ავტორის თანასაკუთრების უფლების დარღვევას. საყურადღებოა, რომ ს. ჟ-ინას ჩვეულებრივ ვითარებაში (ბუნებრივი სიკვდილით) გარდაცვალების შემთხვევაშიც მის კუთვნილ თანასაკუთრების წილზე გაიხსნებოდა სამკვიდრო და მოწვეულ იქნებოდნენ გარდაცვლილის მემკვიდრეები, ხოლო მათი არარსებობისას, უმკვიდრო ქონება გადავიდოდა სახელმწიფოზე (სკ-ის 1319-ე და 1343-ე მუხლები). ასეთ შემთხვევაში ნ. ს-ია, ცხადია, ვერ მიუთითებდა თავისი უფლების დარღვევაზე, ვინაიდან იგი არ წარმოადგენს ს. ჟ-ინას არც კანონისმიერ და არც ანდერძისმიერ მემკვიდრეს. იგივე უნდა ითქვას სადავო გადაწყვეტილების მიმართაც, ვინაიდან ამ გადაწყვეტილების საფუძველზე, სამკვიდრო გაიხსნება გარდაცვლილად გამოცხადებული პირის – ს. ჟ-ინას თანასაკუთრების წილზე, რომელზეც რაიმე პრეტენზიას ნ. ს-ია ვერ აცხადებს.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ რ. ფ-მემ, თავისი იურიდიული ინტერესიდან გამომდინარე, სადავო გახადა ქ.თბილისში, ... ქუჩის 17-ში მდებარე უძრავ ნივთზე თანასაკუთრების თაობაზე არსებული საჯარო რეესტრის ჩანაწერი.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ რ. ფ-მის მოთხოვნა - ქ.თბილისში, ... ქუჩის 17-ში მდებარე უძრავი ნივთის ერთ-ერთი თანამესაკუთრის - ს. ჟ-ინას გარდაცვლილად გამოცხადება, არანაირად ნიშნავს მითითებულ უძრავ ნივთზე არსებული საჯარო რეესტრის ჩანაწერის თაობაზე განმცხადებლის მიერ დავის დაწყებას. ამასთან, რ. ფ-მე მომავალში რომც აპირებდეს ასეთი დავის დაწყებას, ს. ჟ-ინას გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილება გავლენას ვერ მოახდენს ქ.თბილისში, ... ქუჩის 17-ში მდებარე უძრავი ნივთის მეორე თანამესაკუთრის – ნ. ს-იას მიერ თავისი უფლებების დაცვაზე. იგივე უნდა ითქვას «საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ» საქართველოს კანონიდან გამომდინარე სასარჩელო წარმოების დროს ნ. ს-იას მიერ თავისი უფლების დაცვაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ნ. ს-ია არ წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უფლებამოსილ პირს, ანუ სააპელაციო საჩივრის უფლების სუბიექტს. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ ნ. ს-იას სააპელაციო საჩივარი მართებულად აღიარა.

ლად ცნო დაუშვებლად, ამიტომ არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

ნ. ს-იას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.  
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 3 ივნისის განჩინება.  
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**სააპელაციო საჩივრის შეტანაზე უფლებამოსილი პირი**

**განჩინება**

1ას-1023-959-2010

20 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ა. ს-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «ა. პ-ს» მიმართედებულულების შესრულებლობის გამო თანხის დაბრუნებისა და ზიანის – სულ 64 714,60 აშშ დოლარის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2006 წლის 5 აპრილს ა. ს-მეს, ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «ა. პ-სა» და შპს «პ-ს» შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლითაც ა. ს-მეს 52231 აშშ დოლარად ინდივიდუალური მენაშენეთა ამხანაგობა «ა. პ-საგან» საკუთრებაში უნდა მიეღო ქ.თბილისში, ... ქუჩა 132-ში მდებარე 134 ბინა.

ა. ს-მე ვალდებული იყო, გადაეხადა ბინის ღირებულების 9,94%, რაც შეადგენდა 5200 აშშ დოლარს, რის შემდეგაც 3 სამუშაო დღეში შპს «ა.პ.» უზრუნველყოფდა ა. ს-მისთვის ბინის ღირებულების დანარჩენი ნაწილის – 47 121 აშშ დოლარის სესხის გამოყოფას.

მოსარჩელემ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულება სრულად შეასრულა, ინდივიდუალურმა ბინათმშენებლობის ამხანაგობა «ა. პ-მ» კი შეთანხმება დაარღვია.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიიჩნია, რომ ამხანაგობა «ა. პ-ს» წევრებს ა. ს-მის მიმართ არანაირი ვალდებულება არ დაურღვევიათ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით აღ.ს-მის სარჩელი დაკმაყოფილდა და ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «ა. პ-ს» ა. ს-მის სასარგებლოდ დაეკისრა 64 714,60 აშშ დოლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «ა. პ-ს» წევრებმა – მ. ბ-მემ, თ. ბ-მემ, ა. გ-მემ, რ. კ-ავამ, თ. კ-იამ და ნ. კ-მემ გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლის თანახმად, პალატამ მიიჩნია, რომ სასამართლო გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლება აქვთ მხოლოდ მხარეებს, მათ უფლებამონაცვლეებს, მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, მათ უფლებამონაცვლეებს, თანამონაწილეებს, ასევე, პირებს, რომლებიც, მართალია, სახელდებით არ ფიგურირებენ საქმეში როგორც მხარეები, მაგრამ სასამართლომ გადაწყვეტილებით განსაზღვრა მათი უფლება-მოვალეობები ერთ-ერთი მხარის მიმართ.

სასამართლომ განმარტა, რომ მოპასუხე არის პირი, რომელმაც, მოსარჩელის მოსაზრებით, დაარღვია ან სადავო გახადა მისი უფლება; მოპასუხის დასახელების უფლებაცა და მოვალეობაც მოსარჩელეს აქვს.

კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელემ მოპასუხედ დაასახელა ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «ა. პ.», რომელსაც სასამართლო გადაწყვეტილებით სადავო თანხა დაეკისრა, ხოლო აღნიშნული გადაწყვეტილება, დაკისრებული თანხის გადახდის თავიდან აცილების მიზნით, გასაჩივრეს ფიზიკურმა პირებმა.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის ავტორები არ წარმოადგენენ არც მოპასუხეებს, რომლებმაც პასუხი უნდა აგონ სარჩელზე და არც დაინტერესებულ პირებს, რომელთაც შეიძლება გასაჩივრებული გადაწყვეტილება შეეხოს.

სასამართლომ დაადგინა, რომ 2006 წლის 5 აპრილს მოსარჩელე ა. ს-მეს ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «ა. პ-ს» და შპს «ა. ს-ს» შორის გაფორმდა № 1-098 ხელშეკრულება საცხოვრებელი სახლის მშენებლობაში წილობრივი მონაწილეობის (ამხანაგობაში წევრად მიღების) შესახებ, რომლის 2.2. პუნქტის თანახმად, ა.ს-მის წილი შეადგენდა ოროთახიან ბინას, ხოლო საწევროს ღირებულება – 52321 აშშ დოლარს.

ხელშეკრულების 4.2.1.-4.2.1.4 პუნქტების საფუძველზე პალატამ მიიჩნია, რომ ა. ს-მის ვალდებულება განისაზღვრა მის მიერ მისაღებ ბინასთან და არა მთლიანად მშენებარე კომპლექსთან მიმართებით.

ხელშეკრულების შინაარსის ანალიზიდან გამომდინარე, პალატამ დაასკვნა, რომ ა.ს-მე წარმოდგენილი ხელშეკრულებით გახდა არა ერთობლივი საქმიანობის მონაწილე, რომლის მიზანიც, სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლის შესაბამისად, საერთო მეურნეობის შექმნა იყო, არამედ – ნარდობის ხელშეკრულების მხარე – შემკვეთი, რომლის შესაბამისადაც ა.ს-მემ ამხანაგობას, როგორც მისი დამფუძნებელი წევრების ერთიანობას (შექმნილს მრავალფუნქციური კორპუსის ასაშენებლად), დაუკვეთა ოროთახიანი ბინის მშენებლობა. აღნიშნულს ადასტურებს ხელშეკრულების ზემოხსენებული 4.3.2. და 4.3.1. პუნქტები, რაც ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსის 934-ე მუხლის დანაწესს საქმეების ერთად გაძღოლის ვალდებულების შესახებ.

პალატამ აღნიშნა, რომ ა.ს-მის, ისევე, როგორც ამხანაგობის უფლება-მოვალეობები განისაზღვრა მხოლოდ მოსარჩელის მიერ შეკვეთილი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოროთახიანი ბინის აშენებასთან დაკავშირებით.

სასამართლოს მოსაზრებით, იდენტური შინაარსის სამართალურთიერთობით არიან დაკავშირებული ამხანაგობასთან აპელანტებიც. შესაბამისად, ისინი, ამ სამართალურთიერთობიდან გამომდინარე, არ ინაწილებენ მესამე პირების წინაშე ამხანაგობის მიერ აღებულ ვალდებულებას და არა არიან პასუხისმგებელნი მესამე პირების, კონკრეტულ შემთხვევაში, ა. ს-მის წინაშე ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეულ შედეგებზე.

სააპელაციო საჩივრის წარდგენის გზით პირი იცავს თავის უფლებასა თუ ინტერესს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით განსაზღვრული პასუხისმგებლობისაგან. განსახილველ შემთხვევაში კი აპელანტები, ანუ პირები, რომლებიც არ არიან «ა. პ-ს», როგორც ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების მონაწილენი, არამედ, მსგავსად მოსარჩელე ალ.ს-მისა, მონაწილეობენ მესამე პირებად (ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე), არ წარმოადგენენ დაინტერესებულ მხარეებს, ვის მიმართაც შესაძლოა აღსრულდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება. შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «ა. პ-სათვის» დაკისრებული თანხის ამოღება ვერ მოხდება მ. ბ-მის, თ. ბ-მის, ა. გ-მის, რ. კ-ავას, თ. კ-იას და ნ. კ-მის ქონებიდან.

ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტები არ არიან სარჩელით დაკმაყოფილებულ უფლებაზე იურიდიული შეპასუხების, სააპელაციო წესით გასაჩივრებაზე უფლებამოსლების მქონე პირები.

სააპელაციო პალატის აღნიშნულ განჩინებაზე მ. ბ-მემ, თ. ბ-მემ, ა. გ-მემ, რ. კ-ავამ, თ. კ-იამ და ნ. კ-მემ შეიტანეს კერძო საჩივარი, მოითხოვეს მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით: სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ ამხანაგობა არ არის იურიდიული პირი და მისი თავმჯდომარე მოქმედებს დავალების ხელშეკრულებით მესამე პირებთან ურთიერთობაში, ამხანაგობის წევრებს თავმჯდომარისათვის არ მიუნიჭებიათ უფლებამოსილება, ამხანაგობის წევრები წარმოედგინა სასამართლოში მათივე წევრის ა.ს-მის სარჩელის განხილვასთან დაკავშირებით, რომელიც მიმართული იყო ამხანაგობის დანარჩენი წევრების წინააღმდეგ.

სამოქალაქო კოდექსის 932-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ამხანაგობის წევრების შენატანი წარმოადგენს მონაწილეთა საერთო საკუთრებას და სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხა უნდა დაიფაროს ამხანაგობის წევრების შენატანებიდან, რის გამოც აღნიშნული გადაწყვეტილება შეეხო აპელანტთა უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს. სასამართლომ ისე განიხილა მოცემული დავა, რომ ისინი საქმის განეხილვაზე არ მიუწვევია.

სააპელაციო პალატამ არასწორად მიიჩნია ა.ს-მესა და აპელანტთა მიერ დადებული ხელშეკრულებები ნარდობად, ფაქტობრივად კი ისინი გახდნენ ერთობლივი საქმიანობის წევრები. მითითებული ხელშეკრულებით ა.ს-მის ვალდებულება განისაზღვრება არა მხოლოდ მის მიერ მისაღებ ბინასთან, არამედ ასევე დაფინანსება-დაპროექტების, მშენებლობის, საიჟინრო სამუშაოების ჩატარების, შენობის მოპირკეთების, მიწის გადასახადების, მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობის წილობრივად თანხების გადახდასთან და სახლის პირველი სადარბაზოს მშენებლობასთან მიმართებითაც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ აპელაციის განხილვისას იურიდიულად არამც თუ საკმარისად არ დაუსაბუთებია თავისი განჩინება, არამედ უკანონოდ გამოიყენა კანონი, რო-



მელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი, რის გამოც მიიღო უკანონო გადაწყვეტილება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ბ-ძის, თ. ბ-ძის, ა. გ-ძის, რ. კ-ავას, თ. კ-იასა და ნ. კ-ძის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს პირველი ინსტანციით გამოტანილი გადაწყვეტილება მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოში.

მითითებული ნორმის სამართლებრივი ანალიზიდან გამომდინარე, კანონმდებელი განსაზღვრავს სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლებამოსილების მქონე პირთა წრეს და აღნიშნულ შესაძლებლობას აძლევს იმ პირებს, რომელთა კანონიერ ინტერესებსაც უშუალოდ ეხება გასაჩივრებული გადაწყვეტილება. ამასთან, თუკი სასამართლოს გადაწყვეტილება შეეხო ისეთი პირის უფლებებს, რომელიც საქმეში არ იყო ჩაბმული მოსარჩელედ, მოპასუხედ ან თანამონაწილედ, მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით და უფლებამონაცვლედ, ასეთ პირებსაც უფლება აქვს გაასაჩივროს გადაწყვეტილება.

მოცემულ შემთხვევაში თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით ა.ს-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა და ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «ა. პ-ს» ა. ს-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 64 714,60 აშშ დოლარის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს პირებმა, რომლებიც პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას დავაში მხარეებად ჩაბმულნი არ ყოფილან, კერძოდ, მ.ბ-ძემ, თ.ბ-ძემ, ა.გ-ძემ, რ.კ-ავამ, თ.კ-იამ და ნ.კ-ძემ, რომელთა მითითებით, ისინი წარმოადგენენ ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «ა. პ-ს» წევრებს და გადაწყვეტილება უშუალოდ ეხება მათ კანონიერ ინტერესებს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო პალატას სრულად და ყოველმხრივ არ გამოუკვლევია, არიან თუ არა აპელანტები მოცემული ამხანაგობის წევრები, რაც პირდაპირ უკავშირდება აღნიშნულ პირთა უფლებამოსილებას, სააპელაციო საჩივარი შეიტანონ ზემოხსენებულ სასამართლო გადაწყვეტილებაზე.

აღნიშნულ სადავო საკითხზე მსჯელობისას სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო, ერთი მხრივ, ა.ს-ძეს, მ.ბ-ძეს, თ.ბ-ძეს, ა.გ-ძეს, რ.კ-ავას, თ.კ-იასა და ნ.კ-ძეს, ხოლო, მეორე მხრივ, ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «ა. პ-ს» შორის დადებულ ხელშეკრულებებს საცხოვრებელი სახლის მშენებლობაში წილობრივი მონაწილეობის შესახებ.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მითითებული ხელშეკრულებებით აპელანტთა ამხანაგობაში გაწევრიანების საკითხი სარწმუნოდ ვერ დგინდება, კერძოდ, ამხანაგობასა და რ.კ-ავას შორის დადებული ხელშეკრულების შინაარსი ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია. თავად გარიგების სახელწოდება პირდაპირ უთითებს, რომ იგი დადებულია ამხანაგობის წევრად მიღების შესახებ, თუმცა 1.1 პუნქტის თანახმად, მხარეები (შესავალ ნაწილში დასახელებულია ინდივიდუალური მენაშენეთა ამხანაგობა «ა. პ.» და რ. კ-ავა) ერთიანდებიან ამხანაგობაში და ერთიანად მოქმედებენ «ა. პ-ში» მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის აშენებისა და შემდეგ მხარეთა შორის წილების განაწილების მიზნით. შესაბამისად, ბუნდოვანია, რომელ ამხანაგობაში გაწევრიანდა რ.კ-ავა.

ხელშეკრულების მე-4 თავით რეგლამენტირებულია «მხარეთა უფლება-მოვალეობები», მაგრამ 4.1 პუნქტში საუბარია «წევრის» უფლებებზე. ამდენად, აღნიშნული ხელშეკრულების შინაარსიდან ცალსახად არ გამომდინარეობს, მიღებულ იქნა თუ არა რ.კ-ავა ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «ა. პ-ს» წევრად და მხარეთა შორის სხვა სახის სამართლებრივი ურთიერთობა ხომ არ არსებობს.

დანარჩენ აპელანტთა და ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «ა. პ-ს» შორის დადებული ხელშეკრულებების 1.1, 1.2 პუნქტებში კი მითითებულია, რომ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე წევრი (კონკრეტული პირი) ერთიანდება ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «ა. პ-ში», ამხანაგობა შექმნილია მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის აშენებისა და ამხანაგობის წევრებს შორის წილების განაწილების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას პალატამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 203-ე მუხლის საფუძველზე შესთავაზა აპელანტთა წარმომადგენელს, წარმოედგინა საჯარო რეესტრის ინფორმაცია ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «ა. პ-ს» წევრთა შესახებ. მითითებულის საპასუხოდ მხარემ წარადგინა ამხანაგობის ცნობა, რომ იმა «ა. პ-ში» გაწევრიანებულია 484 ფიზიკური და 7 იურიდიული პირი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ამხანაგობის წევრთა ვინაობის უტყუარად დადგენა შესაძლებელია ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «ა. პ-ს» მიერ ამხანაგობის წევრთა შესაბამისი სიის წარდგენის გზით.

ამდენად, მოცემული საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო პალატამ უნდა იმსჯელოს, არიან თუ არა მ. ბ-მე, თ. ბ-მე, ა. გ-მე, რ. კ-ავა, თ. კ-ია და ნ. კ-მე ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა «ა. პ-ს» წევრები და რამდენად იმოქმედებს მათ კანონიერ უფლებებზე თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება. მხოლოდ აღნიშნული საკითხის გამორკვევის შემდეგ უნდა დადგინდეს, გააჩნდათ თუ არა მითითებულ პირებს სადავო სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

მ. ბ-მის, თ. ბ-მის, ა. გ-მის, რ. კ-ავას, თ. კ-იასა და ნ. კ-მის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 დეკემბრის განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **დამოუკიდებელი სასამართლო მოთხოვნის მქონე პირები**

#### **განჩინება**

1ას-1070-1002-2010 24 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
მ. სულხანიშვილი

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

დ. ე-მემ სარჩელით მიმართა ლანჩხუთის მაგისტრატ სასამართლოს მოპასუხე ც. ე-მის მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის ქურქის ღირებულების – 2000 ლარის დაკისრება იმ საფუძველით, რომ 15 წლის წინ ქ. ნოვოსიბირსკიდან ჩამოტანილი ქურქი მიჰყიდა ც. ე-მეს, თუმცა მას მოსარჩელისათვის თანხა არ გადაუხდია.

მოპასუხე ც. ე-მემ სარჩელი არ ცნო იმ მოტივით, რომ მოსარჩელემ მას ქურქი კი არ მიჰყიდა, არამედ აჩუქა, რის გამოც მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ლანჩხუთის მაგისტრატი სასამართლოს 2010 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილებით დ. ე-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობისა და ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ხ. ე-მემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით ხ. ე-მის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივრის ავტორი – ხ. ე-მე სამოქალაქო საქმეში დ. ე-მის სარჩელის გამო ც. ე-მის მიმართ ქურქის ღირებულების დაბრუნების თაობაზე, არც მხარეს და არც დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირს არ წარმოადგენდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება მის მიმართ არ ყოფილა გამოტანილი და არც მის კანონიერ ინტერესს შეხებია, რის გამოც მიიჩნია, რომ ხ. ე-მე, რომელიც სასამართლო ხდომალაზე განმარტავდა, რომ საკუთრივ თავის სახელით ჰქონდა სააპელაციო საჩივარი შემოტანილი, თავისი უფლების დასაცავად, არ იყო უფლებამოსილი, გაესაჩივრებინა ლანჩხუთის მაგისტრატი სასამართლოს 2010 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მითითებული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ხ. ე-მემ, მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძველით, რომ მას, როგორც დ. ე-მის კანონიერ შვილს, მოთხოვნის უფლება გააჩნდა, ვინაიდან მოთხოვნილი თანხა ოჯახის კუთვნილი თანხაა და მოთხოვნის საგანი და საფუძველები საერთოა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ ხ. ე-ძის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კი უნდა დარჩეს უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს პირველი ინსტანციით გამოტანილი გადაწყვეტილება მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოში. მითითებული ნორმა ადგენს რა სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლებამოსილების მქონე პირთა წრეს, სხვა პირთა მიერ სააპელაციო საჩივრის შეტანას არ ითვალისწინებს. კერძოდ, გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების უფლება აქვთ მხარეებს (მოსარჩელეს, მოპასუხეს), მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, მათ უფლებამონაცვლეებს, თანამონაწილეებს (თანამოსარჩელეებს, თანამოპასუხეებს) მათი თანამონაწილეობის საფუძვლებით განსაზღვრულ ფარგლებში, პირებს, რომლებიც, მართალია, არ ფიგურირებენ საქმეში როგორც მხარეები, მაგრამ სასამართლო გადაწყვეტილებით განისაზღვრა მათი უფლებები და მოვალეობები ერთ-ერთი მხარის მიმართ.

მოცემულ შემთხვევაში, ხ. ე-ძე, განსახილველ სამოქალაქო საქმეში, დ. ე-ძის სარჩელის გამო ც. ე-ძის მიმართ ქურქის ღირებულების დაკისრების თაობაზე, არც მხარეს და არც დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირს არ წარმოადგენს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მხარის მიერ გასაჩივრებული მაგისტრატის სასამართლოს გადაწყვეტილება ხ. ე-ძის მიმართ გამოტანილი არ არის და მის კანონიერ ინტერესებს არ ხელყოფს, შესაბამისად, კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრება, რომ იგი მოსარჩელე დ. ე-ძის კანონიერი შვილია და, ოჯახის საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, მოთხოვნის უფლება გააჩნდა, ვერ იქნება გაზიარებული და ვერ გახდება გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი.

ამდენად, სავსებით დასაბუთებულია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ ხ. ე-ძეს სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლება არ გააჩნია და მისი სააპელაციო საჩივარი მართებულად დარჩა განუხილველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

ხ. ე-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ოქტომბრის განჩინება.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **2. სააპელაციო საჩივრის ღირებულება**

### **განჩინება**

1ას-1270-1528-09

18 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი

**დავის საგანი:** საშვებულებო თანხის ანაზღაურება

**კერძო საჩივრის დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

### **აღწერილობითი ნაწილი:**

2009 წლის 2 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა ლ. ც-აიამ მოპასუხეების – შპს «ყ-სა» და სს «თ-ის» მიმართ კუთვნილი გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურების მოთხოვნით.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ მოსარჩელე 2004 წლის თებერვლიდან მუშაობდა სს «თ-ის» ... რაიონულ სადისტრიბუციო ცენტრში წამკითხველ-კონტროლიორად. 2006 წლიდან სს «თ-ის» მესაკუთრე გახდა შპს «ყ-სი», სადაც განაგრძო მუშაობა მოსარჩელემ. 2008 წლის 2 მარტიდან მოსარჩელესთან შეწყდა შრომითი ხელშეკრულება შრომის კოდექსის 37-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე ხელშეკრულების

ვადის გასვლის გამო. მოსარჩელის მითითებით, სს «თ-სა» და შპს «ყ-ში» მუშაობის განმავლობაში მას არ უსარგებლია შვებულებით იმის გამო, რომ დამსაქმებელთა მხრიდან იკრძალებოდა ამის მოთხოვნა, თუმცა შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო კუთვნილი შვებულებით სარგებლობის უფლება. მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ სს «თ-ს» უნდა დაკისრებოდა 2004 და 2005 წლების გამოუყენებელი საშვებულებო თანხა 756 ლარის, ხოლო შპს «ყ-ს» – 2006 და 2007 წლების გამოუყენებელი საშვებულებო თანხა – 944 ლარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ 2009 წლის 30 ოქტომბერს გამოიტანა გადაწყვეტილება-დაუსწრებელი გადაწყვეტილება. დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მოსარჩელის მოთხოვნა სს «თ-ს» მიმართ საშვებულებო თანხის – 756 ლარის ანაზღაურების შესახებ დაკმაყოფილდა, ხოლო არსებითი გადაწყვეტილებით მოთხოვნა შპს «ყ-ს» მიმართ 944 ლარის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგინდა მიიჩნია, რომ მოსარჩელე 2004 წლის თებერვლიდან 2006 წლის პირველ ივნისამდე პერიოდში მუშაობდა სს «თ-ში», ხოლო 2006 წლიდან 2007 წლის 2 მარტამდე – შპს «ყ-ში» და ამ ხნის განმავლობაში მას კუთვნილი შვებულებით არ უსარგებლია. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მიერ ვერ იქნა მითითებული და წარმოდგენილი იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რაც საშუალებას მისცემდა სასამართლოს, ემსჯელა მოსარჩელის მოთხოვნის საფუძვლიანობაზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს შრომის კოდექსი და მხარესთან გაფორმებული ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა საშვებულებო თანხის ანაზღაურებას იმ შემთხვევისათვის, თუ პირი არ სარგებლობდა კუთვნილი ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებით.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ც-აიამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და კუთვნილი გამოუყენებელი შვებულების სრულად ანაზღაურება 1700 ლარის ოდენობით. აპელანტი მიუთითებდა, რომ სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 დეკემბრის განჩინებით ლ. ც-აიას სააპელაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს.

საქმეზე დგინდებოდა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება-დაუსწრებელი გადაწყვეტილებით აპელანტის მოთხოვნა სს «თ-ს» მიმართ 756 ლარის დაკისრების შესახებ დაკმაყოფილდა, ხოლო მოთხოვნა გამოუყენებელი საშვებულებო თანხის – 944 ლარის შპს «ყ-სათვის» დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო საჩივრის დავის საგნის ღირებულება განისაზღვრებოდა დაუკმაყოფილებელი სასარჩელო მოთხოვნის ღირებულებით, კერძოდ, 944 ლარით. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში დავის საგნის ფასი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის «გ» პუნქტის თანახმად, არ აღემატებოდა 1000 ლარს, რაც, ამავე კოდექსის 365-ე მუხლის მიხედვით, სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ლ. ც-აიამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის არსებითად განხილვა.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, გასაჩივრებული განჩინების კანონსაწინააღმდეგობას ასაბუთებს ის გარემოება, რომ მისი სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას წარმოადგენდა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების სრულად გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება და არა მხოლოდ შპს «ყ-ის» მიმართ გამოუყენებელი საშვებულებო თანხის – 944 ლარის ანაზღაურებაზე უარის თქმა. იგი ასაჩივრებდა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას მთლიანად, რომელშიც დავის საგნის ღირებულება შეადგენდა 1.700 ლარს. შესაბამისად, სააპელაციო საჩივარი წარმოებაში უნდა ყოფილიყო მიღებული.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. ც-აიას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 დეკემბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგინდა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება-დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ლ. ც-აიას სასარჩელო მოთხოვნა სს «თ-ს» მიმართ 756 ლარის საშვებულებო თანხის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდა, ხოლო მოთხოვნას შპს «ყ-ის» მიმართ 944 ლარის ანაზღაურების შესახებ უარი ეთქვა. დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ც-აიამ. აპელანტმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საშვებულებო თანხის სრულად ანაზღაურება 1700 ლარის ოდენობით. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სს

«თ-სათვის» 756 ლარის დაკისრების შესახებ, როგორც მოსარჩელის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილება, ვერ დაექვემდებარებოდა გასაჩივრებას. მოსარჩელის იურიდიულ ინტერესს წარმოადგენდა სწორედ დაუკმაყოფილებელ ნაწილში გადაწყვეტილების გასაჩივრება, მისი სააპელაციო საჩივარიც სწორედ ამ ნაწილზე შეიცავს გასაჩივრების კონკრეტულ მოტივებს. მხოლოდ სააპელაციო საჩივარში მოთხოვნის ფორმულირება იმგვარად, რომ აპელანტმა ითხოვა სარჩელის სრულად დაკმაყოფილება საშვებულებო თანხის – 1700 ლარის ანაზღაურების შესახებ, არ გულისხმობს აპელანტის მიერ თავის სასარგებლოდ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრებას. აპელანტი ამით მხოლოდ იმაზე მიუთითებდა, რომ სურდა სარჩელის დაკმაყოფილება 944 ლარის მოთხოვნის ნაწილშიც. აქედან გამომდინარე, სააპელაციო საჩივრის დავის საგნის ღირებულება შეადგენდა 944 ლარს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება 1000 ლარს აღემატება. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. მოცემულ შემთხვევაში მართებულია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა სააპელაციო საჩივრის დაუშვებლობის თაობაზე, რამდენადაც აპელანტის მოთხოვნა არ აკმაყოფილებს კანონის ზემოაღნიშნული ნორმით განსაზღვრულ დასაშვებობის პირობას, კერძოდ, დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 1000 ლარს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საპროცესო საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

ლ. ც-იას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 დეკემბრის განჩინება;  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **სააპელაციო საჩივრის ღირებულება**

### **განჩინება**

1ას-1226-1486-09 9თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** ალიმენტის დაკისრება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ნ. კ-იას სარჩელი ქორწინების შეწყვეტის და ალიმენტის დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილდა; შეწყდა ქორწინება ნ. კ-იასა და პ. გ-ძეს შორის რეგისტრირებული ქ.თბილისში 1994 წლის 18 ივნისს, სააქტო ჩანაწერი 1204 და მოპასუხე პ. გ-ძეს დაეკისრა არასრულწლოვანი შვილების: 1995 წელს დაბადებული თ. გ-ძის და 1999 წელს დაბადებული ლ. გ-ძის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდა ყოველთვიურად 50-50 ლარის, სულ 100 ლარი სარჩელის აღძვრის მომენტიდან – 2009 წლის 10 სექტემბრიდან მათ სრულწლოვანებაამდე.

აღნიშნული გადაწყვეტილება, ალიმენტის დაკისრების ნაწილში, პ. გ-ძემ გაასაჩივრა სააპელაციო საჩივრით და მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება გასაჩივრებულ ნაწილში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 24 ნოემბრის განჩინებით, აპელანტს, პ. გ-ძეს განესაზღვრა საპროცესო ვადა ხარვეზის შესავსებად და დაევალა ამ განჩინებით დადგენილ საპროცესო ვადაში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნის შესაბამისად, თავისი მოთხოვნის დაზუსტება და იმის მითითება, თუ კონკრეტულად გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მისთვის დაკისრებულ ალიმენტს რა ოდენობით ხდიდა სადავოდ.

პ. გ-მემ განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მიუთითა, რომ იგი ითხოვს ალიმენტის სახით თითოეულ ბავშვზე 10-10 ლარის დაკისრებას. შესაბამისად, აპელანტის მიერ სადავოდ ხდება გასაჩივრებულ გადაწყვეტილებით მისთვის დაკისრებული ალიმენტიდან – 50-50 ლარიდან (სულ 100 ლარიდან), 40-40 ლარი (სულ 80 ლარი).

პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარში დავის საგნის ღირებულება შეადგენს 960 ლარს (80X12=960), რაც თავის მხრივ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლით განსაზღვრულ სააპელაციო საჩივრის ღირებულების ოდენობაზე ნაკლებია. აღნიშნული გარემოება კი გამოიციხავს სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 2 დეკემბრის განჩინებით პ. გ-მის სააპელაციო საჩივარი დაუშვებლობის გამო დარჩა განუხილველი

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა პ. გ-მემ.

კერძო საჩივრის ავტორის განცხადებით, ჯერჯერობით ვერ იპოვა მისთვის შესაბამისი სამსახური, ვინაიდან არის ავადმყოფი, კიდურზე აქვს ხომპოზი და ტროპიკული წყლული, რის გამოც ფიზიკურად მუშაობა უჭირს.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, იგი შვილებს შეძლებისამებრ ყოველთვის ეხმარებოდა და მათ რჩენაზე უარს არ ამბობს, მხოლოდ დღეის მდგომარეობით უჭირს ამის გაკეთება.

კერძო საჩივრის ავტორი, სამსხურის მოძებნის ან სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებამდე ითხოვს, დაეკისროს ალიმენტის სახით შვილების სასარგებოდ 10-10 ლარის გადახდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა კერძო საჩივრის განხილვის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 2 დეკემბრის განჩინებით პ. გ-მის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო.

დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებით პ. გ-მეს დაეკისრა ალიმენტის გადახდა თითოეულ ბავშვზე ყოველთვიურად 50-50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. სააპელაციო საჩივრით აპელანტმა მოითხოვა საალიმენტო თანხის შემცირება 10-10 ლარის ოდენობით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დავის საგნის ფასი ალიმენტის გადახდევინების შესახებ სარჩელზე განისაზღვრება ერთი წლის განმავლობაში გადასახდელი თანხის ერთობლიობით. მოცემულ საქმეზე სააპელაციო საჩივარში დავის საგნის ღირებულება შეადგენს 960 ლარს, აღნიშნული არ აღემატება სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულების 1000 ლარს, შესაბამისად საკასაციო პალატა თვლის, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა სააპელაციო საჩივარი განუხილველად.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნია, რომ არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

პ. გ-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 2 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სააპელაციო საჩივრის ღირებულება

### განჩინება

1-ას-127-121-10

2 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** ელექტროენერჯის აღრიცხვიანობის შემოწმების აქტის ბათილად ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილებით ნ. ც-იას სარჩელი სს «თელასის» მიმართ, ელექტროენერჯის აღრიცხვიანობის შემოწმების აქტის ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ნ. ც-იამ. აპელანტმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 12 ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დაუშვებლობის გამო დარჩა განუხილველი.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 16 დეკემბრის საოქმო განჩინებით შეწყდა საქმის წარმოება ნ. ც-იას სარჩელზე 2003 წლის 14 აპრილს და 7 ოქტომბრის აღრიცხვიანობის აქტების ბათილად ცნობის ნაწილში, სარჩელზე უარის თქმის გამო.

ასევე დადგენილია, რომ სს «თელასის» 2006 წლის 8 დეკემბრის აქტით ნ. ც-იას დავალიანების სახით დაერიცხა 939,56 ლარის გადახდა.

პალატამ მიიჩნია, რომ ვინაიდან აპელანტის მოთხოვნა არ აღემატებოდა 1000 ლარს, შესაბამისად, ნ. ც-იას სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია და განუხილველად დატოვებას ექვემდებარება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 12 ივნისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ნ. ც-იამ.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 23 იანვრის 2009 წლის გადაწყვეტილებით (სასამართლოს მთავარი სხდომის ოქმით) დადგენილია, რომ მისი მოთხოვნა იყო 2006 წ. 8 დეკემბრის ელექტროენერჯის აღრიცხვიანობის აქტი 118004-ის ბათილად ცნობა. თანხა 939,56 დაერიცხა არა აღნიშნული აქტის საფუძველზე, არამედ ენერჯის აღრიცხვიანობის ოქმის საფუძველზე, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლოში სადაოდ არ გაუხდია. შესაბამისად, დავის საგანს წარმოადგენდა 118004, 2006წ. 8 დეკემბრის აქტის ბათილად ცნობა, რაც წარმოადგენს უფლებრივ დავას და არა ქონებრივ-სამართლებრივს.

კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ნ. ც-იამ სასარჩელო განცხადებით მოითხოვა ს/ს «თელასის» 2006 წ. 8 დეკემბრის ელექტროენერჯის აღრიცხვიანობის აქტი 118004-ის ბათილად ცნობა, უკანონოდ დარიცხული თანხის ჩამოწერა. მოსარჩელემ დავის საგნის ფასი თავად განსაზღვრა და მიუთითა 939 ლარზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 12 ივნისის განჩინებით ნ. ც-იას სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 23 იანვრის წლის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება 1000 ლარს აღემატება. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. მოცემულ შემთხვევაში მართებულია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა სააპელაციო საჩივრის დაუშვებლობის თაობაზე, რამდენადაც აპელანტის მოთხოვნა არ აკმაყოფილებს კანონის ზემოაღნიშნული ნორმით განსაზღვრულ დასაშვებობის პირობას, კერძოდ, დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 1000 ლარს.

კერძო საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ მისი მოთხოვნა იყო 2006 წ. 8 დეკემბრის ელექტროენერჯის აღრიცხვიანობის 118004-ის აქტის ბათილად ცნობა, რის გამოც ნ. ც-ი მიიჩნევს, რომ სააპელაციო საჩივარი

წარმოებაში მიღებას დავის საგნის ღირებულების გაუთვალისწინებლად ექვემდებარებოდა, ვინაიდან დავა უფლებრივი ხასიათის მატერებელია.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ მითითებული აქტის ბათილად ცნობა დაკავშირებულია კონკრეტულ ქონებრივ შედეგთან კერძო საჩივრის ავტორის იურიდიული ინტერესი დავის საგნის მიმართ, სწორედ ამ აქტის საფუძველზე დარიცხული თანხის გადახდისაგან გათავისუფლებაში მდგომარეობს, რაც თავისი ბუნებით წარმოადგენს ქონებრივ-სამართლებრივ მოთხოვნას.

თვით აპელანტმა ნ. ც-იამ სააპელაციო საჩივრის ღირებულება 939 ლარად განსაზღვრა. ამდენად, კერძო საჩივარში მითითებული ეს არგუმენტი მოხმობილია მხოლოდ სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობისათვის და იგი საფუძველს მოკლებულია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატას მიაჩნია რომ გასაჩივრებული განჩინება კანონიერია და მისი გაუქმების იურიდიული საფუძველი არ არსებობს, ხოლო ნ. ც-იას კერძო საჩივარი დაუსაბუთებელია და უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ნ. ც-იას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 12 ივნისის განჩინება დარჩეს უცვლელად;  
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **სააპელაციო საჩივრის ღირებულება**

#### **განჩინება**

1ას-123-117-10

30 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2009 წლის 12 მარტს ფ. დ-მემ სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს თ. ა-ძის მიმართ და მოითხოვა მოპასუხის ბინიდან წყლის ჩამოსვლით მიყენებული ზიანის – 1301 ლარის, სასამართლო ხარჯების – 150 ლარის და სახელმწიფო ბაჟის – 100 ლარის დაკისრება.

საქმის არსებითი განხილვის დროს ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, მოსარჩელემ შეამცირა სასარჩელო მოთხოვნა და ზიანის სახით 1000 ლარის ანაზღაურება მოითხოვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილებით ფ. დ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე თ. ა-ძეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა მიყენებული ზიანის – 1000 ლარის ანაზღაურება.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ა-ძემ და მოითხოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 იანვრის განჩინებით თ. ა-ძის სააპელაციო საჩივარი, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელემ საქმის განხილვის დროს შეამცირა სასარჩელო მოთხოვნა და ზიანის სახით 1000 ლარის ანაზღაურება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 იანვრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა თ. ა-ძემ.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. ასევე, მისი განმარტებით, მითითებული მუხლის მოთხოვნა იმპერატიულია. ანაზღაურე-



ბას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოდგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ფ. დ-ემ სასარჩელო განცხადებით მოითხოვა მოპასუხის ბინიდან წყლის ჩამოსვლით მიყენებული ზიანის 1301 ლარის, სასამართლო ხარჯების – 150 ლარისა და სახელმწიფო ბაჟის 100 ლარის დაკისრება, ასევე დადგენილია, რომ საქმის არსებითი განხილვის დროს ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, მოსარჩელემ შეამცირა სასარჩელო მოთხოვნა და ზიანის სახით 1000 ლარის ანაზღაურება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 იანვრის განჩინებით თ. ა-მის სააპელაციო საჩივარი, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველად.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლი, რომლის პირველი წინადადების თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ საქმის განხილვის დროს ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, მოსარჩელემ შეამცირა სასარჩელო მოთხოვნა და ზიანის სახით 1000 ლარის ანაზღაურება მოითხოვა. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა სააპელაციო საჩივარი განუხილველად, რადგან განსახილველ ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დავის საგნის ღირებულება არ აღემატებოდა 1000 ლარს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია რომ გასაჩივრებული განჩინება კანონიერია და მისი გაუქმების იურიდიული საფუძველი არ არსებობს, ხოლო თ. ა-მის კერძო საჩივარი დაუსაბუთებელია და უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

თ. ა-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს; ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 იანვრის განჩინება დარჩეს უცვლელად; განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **სააპელაციო საჩივრის ღირებულება**

#### **განჩინება**

1ას-145-138-10

6 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ვ. ყ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ლ. (ნ.) ბ-შვილის წინააღმდეგ და მოითხოვა მოპასუხისათვის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის გამო, 1100 ევროს და ამ თანხის 10 %-ის, სულ 2420 ევროს დაკისრება.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2008 წლის 31 მაისს ვ. ყ-შვილსა და ლ. (ნ.) ბ-შვილს შორის დაიდო სესხის ხელშეკრულება ზეპირი ფორმით, რომელიც დადასტურდა 2008 წლის 31 მაისის ხელწერილით, რომლის თანახმად, მოპასუხემ მოსარჩელისაგან ისესხა 800 ევრო და ამავე ხელშეკრულებით მოპასუხემ აიღო ვალდებულება, იმავე წლის 30 აგვისტოსთვის დაებრუნებინა ძირითად თანხაზე დამატებული 300 ევრო (სარგებელი), რაც ჯამში შეადგენდა 1100 ევროს. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხე ლ. (ნ.) ბ-შვილს აღნიშნული თანხა დღემდე არ დაუბრუნებია.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილებით ვ. ყ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – ლ. (ნ.) ბ-შვილს ვ. ყ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა 2140 ევროს გადახდა, რაც ეროვნული ვალუტით შეადგენს 5388.52 ლარს.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ვ. ყ-შვილმა და მოითხოვა გადაწყვეტილების იმ ნაწილის შეცვლა, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მისი სასარჩელო მოთხოვნა, კერძოდ, გადაწყვეტილება გაასაჩივრა 280 ევროს ფარგლებში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 28 იანვრის განჩინებით ვ. ყ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ვ. ყ-შვილის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა მის სასარგებლოდ ლ. (ნ.) ბ-შვილისათვის 2420 ევროს დაკისრება. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – მოპასუხეს ვ. ყ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა 2140 ევროს გადახდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას დაუკმაყოფილებელ ნაწილში, კერძოდ, მის სასარგებლოდ ლ. (ნ.) ბ-შვილისათვის 280 (2420-2140) ევროს დაკისრების ნაწილში. ვინაიდან, აპელანტი სადავოდ ხდის თანხის ნაწილს – 280 ევროს. შესაბამისად, ვ. ყ-შვილის სააპელაციო საჩივრის ღირებულება შეადგენს 280 ევროს, რაც 1000 ლარზე ნაკლებია.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ვ. ყ-შვილმა. მან აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიუთითა, თითქოს იგი 280 ევროზე დავობს და ამიტომაც დაუშვებელია მისი სააპელაციო საჩივარი დავის საგნის ღირებულების გამო. კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, მას 2140 ევროდან არ მიუღია თანხა და დავობს სწორედ აღნიშნულ თანხაზე. სააპელაციო სასამართლომ კი იმ საფუძველით, რომ სააპელაციო საჩივრის ღირებულება 1000 ლარზე ნაკლებია, დატოვა მისი სააპელაციო საჩივარი განუხილველად, რაც არასწორია. კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ ვ. ყ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივარი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ღირებულება აღემატება 1000 ლარს. აპელაციის ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს (მესამე პირს).

დადგენილია, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილებით ვ. ყ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – ლ. (ნ.) ბ-შვილს ვ. ყ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა 2140 ევროს გადახდა, რაც ეროვნული ვალუტით შეადგენს 5388.52 ლარს. აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა ვ. ყ-შვილმა, ე.ი. დავის საგნის ღირებულება შეადგენს გასაჩივრებულ 280 (2420-2140) ევროს. სააპელაციო სასამართლო სააპელაციო საჩივრის ღირებულებას განსაზღვრავს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან გასაჩივრებულია გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რა ნაწილშიც არ დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნა, დავის საგნის ღირებულება გასაჩივრებული ნაწილიდან გამოითვლება, რაც შეადგენს 280 ევროს და 1000 ლარზე ნაკლებია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიაჩნია, რომ ვ. ყ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია, ვინაიდან დავის საგნის ღირებულება 1000 ლარზე ნაკლებია. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა მისი სააპელაციო საჩივარი განუხილველად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ, არ არსებობს 2010 წლის 28 იანვრის განჩინების გაუქმების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ვ. ყ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 28 იანვრის განჩინება;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოო და არ გასაჩივრდება.

## სააპელაციო საჩივრის ღირებულება

### განჩინება

1ას-1205-1466-09

6 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ალიმენტის დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

ნ. გ-შვილმა სარჩელი შეიტანა სასამართლოში ტ. გ-შვილის წინააღმდეგ ალიმენტის დაკისრების შესახებ. მოსარჩელემ მიუთითა, რომ 1986 წლის 12 დეკემბერს დაქორწინდნენ ის და ტ. გ-შვილი. 1994 წელს შეეძინათ შვილი – ტ. გ-შვილი. 2007 წლის 12 აპრილს მოპასუხესთან უთანხმოების გამო, დაშორდნენ ერთმანეთს. მათი არასრულწლოვანი შვილი ცხოვრობს მასთან. მოპასუხე თავს ვალდებული არ თვლის, არჩინოს თავისი შვილი, არ ასრულებს მშობლის მოვალეობას, რის გამოც მან მოითხოვა მოპასუხისათვის ალიმენტის დაკისრება.

ტ. გ-შვილმა შეგებებული სარჩელი შეიტანა სასამართლოში და მიუთითა, რომ 1993 წელს გაემგზავრა მოსკოვში სამუშაოდ, მან ნ. გ-შვილს დაუტოვა ავტომანქანა «ვოლვო». აღნიშნულ ავტომანქანას ითხოვს დღემდე, მაგრამ არ უბრუნებს.

ფოტის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილებით ნ. გ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – ტ. გ-შვილს დაეკისრა ალიმენტის გადახდა არასრულწლოვანი შვილის – ტ. გ-შვილის სასარგებლოდ ყოველთვიურად 60 ლარის ოდენობით, 2009 წლის 7 მაისიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე. ტ. გ-შვილის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ტ. გ-შვილმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 20 ნოემბრის განჩინებით ტ. გ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ დავის საგნის ღირებულება შეადგენს 720 ლარს. ვინაიდან დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 1000 ლარს, სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ტ. გ-შვილმა. მან მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «გ» ქვეპუნქტი დავის საგნის ფასის განსაზღვრის შესახებ, ვინაიდან იგი დავობს არა დაკისრებულ ალიმენტზე, არამედ, არასწორად დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლის კანონიერად დადგენის შემთხვევაში ალიმენტი საერთოდ არ უნდა დაეკისროს.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ ტ. გ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივარი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ღირებულება აღემატება 1000 ლარს. აპელაციის ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს (მესამე პირს).

ამავე კოდექსის 41-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, დავის საგნის ფასი განისაზღვრება ალიმენტის გადახდევინების შესახებ სარჩელისა – ერთი წლის განმავლობაში გადასახდელი თანხების ერთობლიობით.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ის საჩივრებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებს და არა ალიმენტის ოდენობას, თან იქვე მიუთითებს, რომ საერთოდ არ უნდა დაეკისროს ალიმენტი.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ტ. გ-შვილმა გაასაჩივრა ფოტის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც მას დაეკისრა არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ ყოველთვიურად 60 ლარის გადახდა, რაც ერთი წლის განმავლობაში შეადგენს 720 ლარს. აქედან გამომდინარე, დავის საგნის ღირებულება შეადგენს გასაჩივრებულ 720 ლარს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ტ. გ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია, ვინაიდან დავის საგნის ღირებულება 1000 ლარზე ნაკლებია. აქედან გამომდინარე, თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა მისი სააპელაციო საჩივარი განუხილველად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ტ. გ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 20 ნოემბრის განჩინება;  
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **სააპელაციო საჩივრის ღირებულება**

#### **განჩინება**

<sup>1</sup>ას-242-228-10

13 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** ალიმენტის ოდენობის შემცირება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

თ. ბ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში რ. ე-ავის მიმართ ალიმენტის ოდენობის შემცირების შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებით თ. ბ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; შეწყდა ქორწინება თ. ბ-მესა და რ. ე-ავს შორის, რეგისტრირებული 2002 წლის 11 მაისს თბილისის სარ 12 განყოფილებაში, სააქტო ჩანაწერით 184; მოპასუხე რ. ე-ავს თ. ბ-მის სასარგებლოდ დაეკისრა არასრულწლოვანი შვილის – 2004 წლის 1 თებერვალს დაბადებული მ. ე-ავის რჩენა-აღზრდისათვის ყოველთვიურად ალიმენტის გადახდა 70 ლარის ოდენობით 2009 წლის 12 ოქტომბრიდან მის სრულწლოვანებამდე.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა რ. ე-ავმა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება, კერძოდ, ალიმენტის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით მ. ე-ავის რჩენა-აღზრდისათვის მისთვის 70 ლარის ნაცვლად 50 ლარის გადახდის დაკისრება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 28 იანვრის განჩინებით რ. ე-ავის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ რ. ე-ავი ასაჩივრებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებას ნაწილობრივ, კერძოდ, თ. ბ-მის სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილის 2004 წლის 1 თებერვალს დაბადებული მ. ე-ავის რჩენა-აღზრდისათვის, 2009 წლის 12 ოქტომბრიდან მის სრულწლოვანებამდე ყოველთვიურად ალიმენტის 70 ლარის დაკისრების ნაწილში და ითხოვს ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით მ. ე-ავის რჩენა-აღზრდისათვის მისთვის მხოლოდ 50 ლარის გადახდის დაკისრებას.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან აპელანტი სადავოდ ხდის ალიმენტის ოდენობის ნაწილს – 20 ლარს (იგი ითხოვს ალიმენტის 70 ლარის ოდენობით გადახდის ნაცვლად 50 ლარის ოდენობით გადახდის მასზე დაკისრებას), შესაბამისად, რ. ე-ავის სააპელაციო საჩივრის ღირებულება შეადგენს 240 (20X12=240) ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დავის საგნის ღირებულების გამო დატოვა სააპელაციო საჩივარი განუხილველად.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა რ. ე-ავმა. მან მიუთითა, რომ მართალია, სააპელაციო საჩივრის ღირებულება შეადგენს 240 ლარს, მაგრამ მას არა აქვს სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხის გადახდის შესაძლებლობა, კერძოდ, სასამართლომ მას დააკისრა ალიმენტის – ყოველთვიურად 70 ლარის გადახდა, კერძო საჩივრის ავტორს კი არა აქვს იმის შესაძლებლობა, რომ გადაიხადოს აღნიშნული თანხა. ის თანახმაა, გადაიხადოს 50 ლარი, სააპელაციო სასამართლომ კი არ გაითვალისწინა აღნიშნული გარემოება, რის გამოც გასაჩივრებული განჩინება არის უკანონო.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ რ. ე-ავის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ალიმენტის გადახდევინების თაობაზე სარჩელის დავის საგნის ფასი განისაზღვრება ერთი წლის განმავლობაში გასაცემი ან გადასახდელი თანხების ერთობლიობით.

მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ რ. ე-ავი ასაჩივრებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებას ნაწილობრივ, კერძოდ, თ. ბ-ძის სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილის 2004 წლის 1 თებერვალს დაბადებული მ. ე-ავის რჩენა-აღზრდისათვის, 2009 წლის 12 ოქტომბრიდან მის სრულწლოვანებამდე ყოველთვიურად ალიმენტის 70 ლარის დაკისრების ნაწილში და ითხოვს ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით მ. ე-ავის რჩენა-აღზრდისათვის მისთვის მხოლოდ 50 ლარის გადახდის დაკისრებას.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებულია ყოველთვიურად გადასახდელი ალიმენტის ოდენობის ნაწილი – 20 ლარი, რაც შეადგენს წელიწადში 240 (20X12=240) ლარს. აქედან გამომდინარე, დავის საგნის ღირებულება შეადგენს 240 ლარს.

საკასაციო პალატას მიაჩნია, ვინაიდან სააპელაციო საჩივრის ღირებულება უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს, ხოლო მოცემული დავის საგნის ღირებულება შეადგენს 240 ლარს, სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა მისი სააპელაციო საჩივარი განუხილველად.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

რ. ე-ავის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 28 იანვრის განჩინება;  
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**სააპელაციო საჩივრის ღირებულება**

**განჩინება**

1ას-240-226-10

24 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება, სარგებლობის უფლება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2009 წლის 2 ოქტომბერს ბაღდათის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ფ. გ-ავამ მოპასუხე ნ. ვ-ძის მიმართ და მოითხოვა სარგებლობის უფლების მოპოვება და მოპასუხისათვის ზარალის სახით 944 ლარის დაკისრება.

ბაღდათის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებით ფ. გ-ავას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ფ. გ-ავამ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 18 თებერვლის განჩინებით ფ. გ-ავას სააპელაციო საჩივარი, ბაღდათის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველი.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2009 წლის 2 ოქტომბერს ბაღდათის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა ფ. გ-ავამ და მოითხოვა ზიანის – 944 ლარის ანაზღაურება, ასევე, დადგენილია, რომ ბაღდათის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებით ფ. გ-ავას სარჩელი არ დაკმაყოფილდა. იმის გათვალისწინებით, რომ აპელანტმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოთხოვნა – მოპასუხის მიერ მისთვის მიყენებული ზიანის 900 ლარის გადახდა. პალატამ განმარტა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში დავის საგნის ღირებულებად მოსარჩელემ მიუთითა 900 ლარი. პალატამ ასევე განმარტა, რომ მხარე ითხოვდა სარგებლობის უფლებასა და ზიანის ანაზღაურებას და ამ ორივე მოთხოვნის ღირებულებად მოსარჩელეს მითითებული ჰქონდა 944 ლარი. რაც შეეხება სააპელაციო საჩივარს, მისი ღირებულება აპელანტმა გაზარდა და მიუთითა, რომ არის 1200 ლარი, რომელსაც დაემატა საპროცესო ხარჯები.

სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოპასუხემ იშუამდგომლა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე, ვინაიდან მოთხოვნა არ აღემატება 1000 ლარს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 18 თებერვლის განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრა ფ. გ-ავამ.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინება უკანონო და იურიდიულად დაუსაბუთებელია, მიღებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლის „ე« პუნქტის მოთხოვნათა დარღვევით.

კერძო საჩივრის ავტორის აზრით, სასამართლო არ იცნობდა მის სააპელაციო საჩივარს და მთლიანად საქმეს, საქმის შეუსწავლობის მიზეზად კი დაასახელა მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის დაკმაყოფილება, რადგან დავის საგანი იყო ნ. ვ-მის საკუთრებაში არსებულ 22 კვ.მ-ზე განთავსებული კიბით სარგებლობის უფლების განსაზღვრა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფ. გ-ავამ მოითხოვა ზემოაღნიშნული განჩინების გაუქმება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა კერძო საჩივრის განხილვის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და ძალაში დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 18 თებერვლის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 381-ე მუხლის თანახმად, დავის საგნის შეცვლა ან გადიდება სააპელაციო სასამართლოში დაუშვებელია.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ფ. გ-ავას სასარჩელო მოთხოვნა იყო სარგებლობის უფლება და ზიანის ანაზღაურება და ამ ორივე მოთხოვნის ღირებულებად მითითებული ჰქონდა 944 ლარი, ხოლო, რაც შეეხება სააპელაციო საჩივარს, მისი ღირებულება აპელანტმა გაზარდა და მიუთითა, რომ არის 1200 ლარი, რომელსაც დაემატა საპროცესო ხარჯები, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო ვერ იმსჯელებდა საპროცესო ხარჯების ანაზღაურების თაობაზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავებში დასაშვებია, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ფ. გ-ავამ დავის საგნის ფასი თავად განსაზღვრა და მიუთითა 944 ლარი. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა სააპელაციო საჩივარი განუხილველად, რადგან განსახილველ ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დავის საგნის ღირებულება არ აღემატებოდა 1000 ლარს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ფ. გ-ავას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 18 თებერვლის განჩინება დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სააპელაციო საჩივრის ღირებულება

### განჩინება

1ას-477-447-10

15 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

ლ. გ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში თ. კ-ძის მიმართ თანხის დაკისრების შესახებ.

ლანჩხუთის მაგისტრატი სასამართლოს 2010 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებით ლ. გ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა – მოპასუხე თ. კ-ძეს მოსარჩელე ლ. გ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 700 ლარის გადახდა, თ. კ-ძეს ასევე დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა 50 ლარის ოდენობით.

დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. კ-მემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 23 აპრილის განჩინებით თ. კ-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ლანჩხუთის მაგისტრატი სასამართლოს 2010 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებით, თ. კ-ძეს დაეკისრა ლ. გ-ძის სასარგებლოდ თანხის გადახდა 700 ლარის ოდენობით. იმის გათვალისწინებით, რომ დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 1000 ლარს, პალატა თვლის, რომ სააპელაციო საჩივარი არ პასუხობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და დაუშვებელია.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა თ. კ-მემ. მან მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ მისი სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვა იმის გამო, რომ დავის საგნის ღირებულება 700 ლარი და არ აღემატება 1000 ლარს. იგი სადავოდ ხდის არა მარტო დაკისრებულ 700 ლარს, არამედ, მთლიანად სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, რაც არ გაითვალისწინა სააპელაციო სასამართლომ. აქედან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორი მოითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და საქმის წარმოებაში მიღებას.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ თ. კ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ ლანჩხუთის მაგისტრატი სასამართლოს 2010 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებით ლ. გ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა – მოპასუხე თ. კ-ძეს მოსარჩელე ლ. გ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 700 ლარის გადახდა. აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა თ. კ-მემ.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, დავის საგნის ფასი არის 700 ლარი, სააპელაციო საჩივარი კი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო საჩივრის ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ვინაიდან სააპელაციო საჩივრის ოდენობა არ აღემატება 1000 ლარს, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა თ. კ-ძის სააპელაციო საჩივარი განუხილველად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს თ. კ-ძის კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული განჩინება.

#### სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

### და ა დ გ ი ნ ა:

თ. კ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 23 აპრილის განჩინება;  
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სააპელაციო საჩივრის ღირებულება

### განჩინება

1ას-563-531-2010

19 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი,  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

#### აღწერილობითი ნაწილი:

ლ. ყ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ც. ლ-ძის მიმართ მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან ლ.ყ-შვილის კუთვნილი ოქროს ნივთების გამოთხოვის შესახებ იმ საფუძველით, რომ 2008 წლის მარტში მოპასუხეს ათხოვა სამი ცალი ოქროს ბეჭედი, რომელიც ც.ლ-ძეს არ დაუბრუნებია.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ ნათხოვარი ოქროს ნივთები მოსარჩელეს დაუბრუნა, რის შემდეგ ლ.ყ-შვილის ორი წლის განმავლობაში მის მიმართ რაიმე სახის პრეტენზია არ განუცხადებია.

საჩხერის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით მოსარჩელე ლ. ყ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – ც. ლ-ძეს ლ. ყ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა 380 ლარის გადახდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ც. ლ-ძემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 მაისის განჩინებით ც. ლ-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სააპელაციო საჩივრით გასაჩივრებული გადაწყვეტილებით აპელანტს მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ დაეკისრა 380 ლარის გადახდა, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლით განსაზღვრული სააპელაციო საჩივრის ღირებულების ზღვრულ ოდენობაზე ნაკლებია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ც. ლ-ძემ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად იმ საფუძველით, რომ სასამართლომ საქმე განიხილა ტენდენციურად და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის თანახმად, პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი თვალსაზრისით არ შეაფასა.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ც. ლ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს.

დასახელებული მუხლიდან გამომდინარე, კანონი ქონებრივი დავის შემთხვევაში, სააპელაციო საჩივრის დასაშვებობისათვის გარკვეულ შეზღუდვას აწესებს, კერძოდ, სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს, წინააღმდეგ შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი დარჩება განუხილველად.

მოცემულ შემთხვევაში საჩხერის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით ც. ლ-ძეს დაეკისრა ლ. ყ-შვილის სასარგებლოდ 380 ლარის გადახდა, რაც მან გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ ც. ლ-ძის სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება 380 ლარით სწორად განსაზღვრა და მიიჩნია, რომ იგი კანონით დადგენილ ზღვრულ ოდენობას – 1000 ლარს არ აღემატება, რაც სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენდა.

რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორის მითითებას სააპელაციო პალატის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ფაქტობრივი თვალსაზრისით შეუმოწმებლობასთან დაკავშირებით, საკასაციო



სასამართლო განმარტავს, რომ გასაჩივრებული განჩინებით ც.ლ-მის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების გამო სააპელაციო პალატის მიერ მისი ფაქტობრივი თუ სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება დაუშვებელია.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

ც. ლ-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.  
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 მაისის განჩინება დარჩეს უცვლელად.  
სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**სააპელაციო საჩივრის ღირებულება**

**განჩინება**

1ას-813-762-2010 25 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** კანონის დარღვევით მიღებული საარსებო შემწეობის დაბრუნება

**აღწერილობითი ნაწილი:**

სსიპ «სოციალური მომსახურების სააგენტოს ამბროლაურის რაიონულმა განყოფილებამ» სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. ლ-შვილის მიმართ კანონის დარღვევით მიღებული საარსებო შემწეობის – 972 ლარის დაბრუნების მოთხოვნით და აღნიშნა, რომ მოპასუხე კანონის დარღვევით იღებდა მეტი ოდენობის ანაზღაურებას, ვიდრე მის ოჯახს ეკუთვნოდა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილებით სსიპ «სოციალური მომსახურების სააგენტოს ამბროლაურის რაიონული განყოფილების» სარჩელი დაკმაყოფილდა – ნ. ლ-შვილს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 972 ლარის ანაზღაურება.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ნ.ლ-შვილმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 აგვისტოს განჩინებით ნ.ლ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ ნ. ლ-შვილი ასაჩივრებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას მისთვის 972 ლარის დაკისრების თაობაზე. ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ მისი სააპელაციო საჩივრის ღირებულება – 972 ლარი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლით დადგენილ 1000 ლარს არ აღემატება და ამავე კოდექსის 374-ე მუხლის შესაბამისად სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ნ. ლ-შვილმა შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა იმ მოტივით, რომ განიცდის ფინანსურ სიმძნელებებს, მისთვის დაკისრებული თანხის გადახდის შესაძლებლობა არ აქვს, ასევე, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია და გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების შემთხვევაში საქმე უკანონოდ გადაწყდება.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას ნ.ლ-შვილმა 1ა-2545-10 განცხადებით მიმართა სასამართლოს, რომელსაც დაურთო წერილობითი მტკიცებულება 1 ფურცლად და 1 კომპაკდისკი.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ლ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. დასახელებული მუხლიდან გამომდინარე, კანონი ქონებრივი დავის შემთხვევაში, სააპელაციო საჩივრის დასაშვებობისათვის გარკვეულ შეზღუდვას აწესებს, კერძოდ, სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს, წინააღმდეგ შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი არ დაიშვება და განუხილველად დარჩება. აღნიშნული მოთხოვნა იმპერატიული ხასიათისაა და სასამართლოს შეფასებაზე დამოკიდებული არ არის.

მოცემულ შემთხვევაში ნ. ლ-შვილმა სააპელაციო საჩივრით სადავო გახადა ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილების კანონიერება, რომლითაც მას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 972 ლარის გადახდა. ამდენად, მისი სააპელაციო საჩივრის ღირებულება შეადგენს 972 ლარს, რაც კანონით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე ნაკლებია და სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობისა და განხილვის შესაძლებლობას გამორიცხავს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კანონიერია და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

ნ. ლ-შვილს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ 'ა-2545-10 განცხადებაზე დართული წერილობითი მტკიცებულებები 1 ფურცლად და 1 კომპაქტდისკი, ვინაიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ნ. ლ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 აგვისტოს განჩინება დარჩეს უცვლელად.

ნ. ლ-შვილს დაუბრუნდეს 'ა-2545-10 განცხადებაზე დართული წერილობითი მტკიცებულებები 1 ფურცლად და 1 კომპაქტდისკი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **სააპელაციო საჩივრის ღირებულება**

#### **განჩინება**

'ას-859-808-2010

1 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი,

პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ვალდებულების შესრულება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ნ. ბ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. მ-შვილის მიმართ სესხის – 200 აშშ დოლარისა და სამკაულის დაბრუნების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელემ მოპასუხეს ასესხა 200 აშშ დოლარი და გადასცა კუთვნილი ოქროს სამკაული, რომელიც მ.მ-შვილს უნდა დაებრუნებინა 2006 წლისათვის. მოპასუხემ ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ როგორც თანხა, ასევე ძვირფასი ნივთები მოსარჩელეს დაუბრუნა.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 27 მაისის გადაწყვეტილებით ნ. ბ-მის სარჩელი მ. მ-შვილის მიმართ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – მოპასუხეს დაეკისრა მოსარჩელისათვის 140 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში მ. მ-შვილმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 ივლისის განჩინებით მ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად იმ საფუძველით, რომ სააპელაციო საჩივრის ღირებულებაა 140 აშშ დოლარი, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლით განსაზღვრულ 1000 ლარს არ აღემატება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მ. მ-შვილმა შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძველით, რომ არის მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი მეორე ჯგუფის ინვალიდი. მან მოწინააღმდეგე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულება სრულად შეასრულა, ხოლო ძირითადი თანხის პროცენტის გადახდის შესაძლებლობა არ გააჩნია.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. მ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. დასახელებული მუხლიდან გამომდინარე, კანონი ქონებრივი დავის შემთხვევაში, სააპელაციო საჩივრის დასაშვებობისათვის გარკვეულ შეზღუდვას აწესებს, კერძოდ, სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს.

მოცემულ შემთხვევაში მცხეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 27 მაისის გადაწყვეტილებით მ. მ-შვილს დაეკისრა მოსარჩელისათვის 140 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, ამდენად, მ.მ-შვილის სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულებაა სწორედ 140 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ მ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია, რადგან მისი ღირებულება კანონით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე – 1000 ლარზე ნაკლებია.

ამდენად, მ.მ-შვილის სააპელაციო საჩივარი გასაჩივრებული განჩინებით მართებულად დარჩა განუხილველად და მოცემული კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

მ. მ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 ივლისის განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

### **სააპელაციო საჩივრის ღირებულება**

#### **განჩინება**

1ას-943-889-2010

1 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი,

პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ვალდებულების შეუსრულებლობის გამო პირგასამტეხლოს დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს «...» მიმართ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოს – 28,84 ლარის დაკისრების შესა-

ხებ შემდეგი საფუძვლებით: მხარეთა შორის დაიდო ხელშეკრულება სამედიცინო მომსახურების თაობაზე, თუმცა მოპასუხემ ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიიჩნია, რომ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 აგვისტოს განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე, 374-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნა შეადგენდა 28,84 ლარს, რაც 1000 ლარს არ აღემატება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ ჩათვალა, რომ მოცემული სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია და უნდა დარჩეს განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი სათანადოდ არ შეუსწავლია, კერძოდ, საქმეში წარმოდგენილი მხარეთა ხელშეკრულება, სამოქალაქო კოდექსის 349-ე მუხლის მიხედვით, მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული გარიგებაა. მოპასუხის შესაგებელზე თანდართული დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ მოპასუხემ ვერ შესძლო სამოქალაქო კოდექსის 351-ე მუხლით განსაზღვრული მესამე პირის უარის დამადასტურებელი მტკიცებულების სასამართლოსათვის წარდგენა, რაც მას სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისაგან გაათავისუფლებდა.

ამდენად, მოცემული საქმე განეკუთვნება ვალდებულებით-სამართლებრივ დავათა კატეგორიას, რაზეც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის მოთხოვნა არ ვრცელდება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს.

დასახელებული კანონის დანაწესი გარკვეულ შეზღუდვას ადგენს ქონებრივი ხასიათის ყველა დავაზე შეტანილი სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის მიმართ, რაც გამოიხატება სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულების ზღვრული ოდენობის დაწესებაში, კერძოდ, ხსენებული კატეგორიის დავებში სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს.

მოცემულ შემთხვევაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნა ვალდებულების შეუსრულებლობის გამო პირგასამტეხლოს – 28,84 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება, რაც იმაზე მეტყველებს, რომ განსახილველი დავა ქონებრივ-სამართლებრივ კატეგორიას განეკუთვნება.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით მოსარჩელის მითითებული მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულებაა 28,84 ლარი, რაც კანონით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე ნაკლებია.

დაუსაბუთებელია და კანონის რაიმე დანაწესს არ ეფუძნება კერძო საჩივრის ავტორის მითითება, რომ მოცემული საქმე განეკუთვნება ვალდებულებით-სამართლებრივ დავათა კატეგორიას, რაზეც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის მოთხოვნა არ ვრცელდება, ვინაიდან, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლით დადგენილი შეზღუდვა ვრცელდება ქონებრივი სახის ყველა დავაზე და ამ მიმართებით კანონმდებელი რაიმე გამოწვევის არ ითვალისწინებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ მოცემული სააპელაციო საჩივარი მართებულად დატოვა განუხილველად და გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

## დაადგინა:

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.  
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 აგვისტოს განჩინება დარჩეს უცვლელად.  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სააპელაციო საჩივრის ღირებულება

### განჩინება

1ას-835-784-2010

11 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებით ე. ა-ია-თ-შვილის სარჩელი მოპასუხეების – მ. ა-იასა და მ. კ-შვილის მიმართ მოძრავი ნივთების ყადაღისაგან განთავისუფლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, დაკმაყოფილდა შ. ა-იას სასარჩელო მოთხოვნა და თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაში არსებული '01/07-06-890 სააღსრულებო საქმის წარმოების პროცესში აღმასრულებელ გ. გ-შვილის მიერ აღწერილი და დაყადაღებული ნივთებიდან ყადაღისაგან განთავისუფლდა შ. ა-იას საკუთრებაში არსებული შემდეგი ნივთები: ა) ფერადი ტელევიზორი «ჰიტრონი» (დი-აგონალი 35 სმ, მეორადი); ბ) კომოდი ოთხი დიდი და ორი პატარა უჯრით (მეორადი); გ) ხის პატარა ოთკუთხედი მაგიდა (მეორადი); დ) ორი ცალი მეორადი სავარძელი ნაჭრით; ე) ტელევიზორის მაგიდა (ხის გორგოლაჭებზე, მეორადი); ვ) თეთრეულის შესანახი პატარა კომოდი, ე.წ. «სეკრეტერი» (მეორადი); ზ) ხით დამზადებული შემოსასვლელის კარადა (მეორადი); ნაწილობრივ გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 8 აპრილის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და დავის საბოლოო გადაწყვეტამდე ნივთების რეალიზაციის შეჩერების ვალდებულება მოიხსნა მაცივრისა და სარეცხი მანქანის მიმართ.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხე მ. კ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება შ. ა-იას სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით აღნიშნულ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 12 ივლისის განჩინებით მ. კ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. კ-შვილმა და მოითხოვა მისი გაუქმება იმ მოტივით, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 365-ე მუხლი, ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ არასწორად განსაზღვრა ქონების ფასი და დავის საგანი, რამეთუ დავის საგანს წარმოადგენს არა რაიმე სახის ქონება ან ქონების მიკუთვნება ვინმეზე, არამედ ქონებაზე დადებული ყადაღის დატოვება, რომლის ფასის განსაზღვრა და დადგენა შეუძლებელია და საპროცესო კანონმდებლობიდან გამომდინარე, მსგავსი კატეგორიის საქმეები დასაშვებია მიუხედავად იმისა, თუ რა თანხის ქონებაზე ითხოვს მხარე ყადაღის მოხსნას ან დადებული ყადაღის დატოვებას.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ მ. კ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს.

მითითებული მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის ღირებულების განსაზღვრისას სააპელაციო სასამართლომ უნდა იხელმძვანელოს სარჩელით, რომელშიც ჩამოყალიბებულია მოსარჩელის მოთხოვნა, გა-

საჩივრებული გადაწყვეტილებით და კანონით. დავის საგნის განსაზღვრის წესი ჩამოყალიბებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40-41-ე მუხლებში.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაში არსებული 101/07-06-890 სააღსრულებო საქმის წარმოების პროცესში აღმასრულებელ გ. გ-შვილის მიერ აღწერილი და დაყადაღებული ნივთებიდან ყადაღისაგან განთავისუფლდა შ. ა-იას საკუთრებაში არსებული შემდეგი ნივთები: ა) ფერადი ტელევიზორი «პიტრონი»(დიაგონალი 35 სმ, მეორადი); ბ) კომოდი ოთხი დიდი და ორი პატარა უჯრით (მეორადი); გ) ხის პატარა ოთკუთხედი მაგიდა (მეორადი); დ) ორი ცალი მეორადი სავარძელი ნაჭრით; ე) ტელევიზორის მაგიდა (ხის გორგოლაჭებზე, მეორადი); ვ) თეთრეულის შესანახი პატარა კომოდი, ე.წ. «სეკრეტერი» (მეორადი); ზ) ხით დამზადებული შემოსასვლელის კარადა (მეორადი);

ასევე დადგენილია, რომ მ. კ-შვილმა სააპელაციო საჩივრით მოითხოვა ახალი გადაწყვეტილების მიღებით მითითებულ ნივთებზე ყადაღის დატოვება, შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის შესაბამისად, უნდა განსაზღვრულიყო ამ ნივთების საბაზრო ღირებულებით.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ არსებობს მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა, რომლითაც დაყადაღებული ნივთების საერთო ღირებულება განისაზღვრა 750 ლარით და ასევე კერძო საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი ნივთების შეფასების ცხრილი, რომლის შესაბამისად, ნივთების (მათ შორის მაცივარი და სარეცხი მანქანა) საერთო ღირებულება 1000 ლარს შეადგენს. ამდენად, უშუალოდ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ყადაღისაგან განთავისუფლებული ნივთების (რომელიც სააპელაციო საჩივრის საგანს წარმოადგენს) საბაზრო ღირებულება, თავად აპელანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით შეადგენს 405 ლარს, რაც არ აღემატება სააპელაციო საჩივრის დასაშვებობისათვის კანონით განსაზღვრულ 1000 ლარს.

კერძო საჩივრის ავტორი გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საუძვლად უთითებს იმ გარემოებას, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 365-ე მუხლი, ვინაიდან არასწორად განსაზღვრა ქონების ფასი და დავის საგანი, რამეთუ დავის საგანს წარმოადგენს არა რაიმე სახის ქონება ან ქონების მიკუთვნება ვინმეზე, არამედ ქონებაზე დადებული ყადაღის დატოვება, რომლის ფასის განსაზღვრა და დადგენა შეუძლებელია და საპროცესო კანონმდებლობიდან გამომდინარე, მსგავსი კატეგორიის საქმეები დასაშვებია, მიუხედავად იმისა, თუ რა თანხის ქონებაზე ითხოვს მხარე ყადაღის მოხსნას ან დადებული ყადაღის დატოვებას.

აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო სასამართლო არ იზიარებს და აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ქონებაზე დადებული ყადაღის დატოვება დაკავშირებულია კონკრეტულ ქონებრივ შედეგთან. კერძო საჩივრის ავტორის იურიდიული ინტერესი დავის საგნის მიმართ, სწორედ დაყადაღებული ნივთების რეალიზაციის მიზნით, თანხის ამოღებაში მდგომარეობს, რაც თავისი ბუნებით წარმოადგენს ქონებრივ-სამართლებრივ მოთხოვნას, შესაბამისად, კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრება მასზედ, რომ საპროცესო კანონმდებლობიდან გამომდინარე, აღნიშნული საქმე დასაშვებია იყო და სასამართლოს მისი სააპელაციო საჩივარი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის მიხედვით, განუხილველად არ უნდა დაეტოვებინა, საკასაციო სასამართლოს მიერ გაზიარებული ვერ იქნება.

კერძო საჩივრის ავტორის მითითება, მასზედ, რომ მოცემულ შემთხვევაში დასაშვებობის შემოწმებისას, სასამართლოს დავის საგნის ღირებულების განსაზღვრის მიზნით უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის «კ» ქვეპუნქტით, საკასაციო სასამართლოს მიერ ასევე ვერ იქნება გაზიარებული, ვინაიდან მითითებული მუხლი ეხება ქონებრივ-სამართლებრივ დავაში საკუთრების ხელყოფის, სამეზობლო თუ მსგავსი კატეგორიის საქმეებს, რაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მ. კ-შვილის სააპელაციო საჩივარი სასამართლომ სწორად დატოვა განუხილველად დაუშვებლობის გამო და არ არსებობს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 ივლისის გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

მ. კ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 ივლისის განჩინება;  
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სააპელაციო საჩივრის ღირებულება

### განჩინება

ას-937-883-2010

2 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

ლ. ი-ადემ სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხე ს. ვ-ევის მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის მცირეწლოვანი შვილების – 2005 წლის 2 სექტემბერს დაბადებული თ. ვ-ევისა და 2007 წლის პირველ ივლისს დაბადებული ა. ვ-ევას სარჩენად, მის სასარგებლოდ, ალიმენტის გადახდის დაკისრება, თითოეული შვილის სასარგებლოდ 75 ლარის, სულ – 150 ლარი.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებით ლ. ი-ადემს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – ს. ვ-ევს შვილების – თ. ვ-ევის და ა. ვ-ევას სარჩენად დაეკისრა ალიმენტის გადახდა – თითოეულზე ყოველთვიურად 60 ლარის მის სრულწლოვანებამდე.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ს. ვ-ევმა, მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება და ალიმენტის შემცირება, კერძოდ, თითოეული ბავშვის სარჩენად მისთვის 25 ლარის დაკისრება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის პირველი ივლისის განჩინებით ს. ვ-ევის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

სასამართლომ მიიჩნია, რომ, ვინაიდან აპელანტი ითხოვდა ყოველთვიურად გადასახდელად დაკისრებული ალიმენტის შემცირებას 70 (35+35) ლარით, სააპელაციო საგნის ღირებულება, სსკ-ის 41-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, შეადგენდა 840 (70X12) ლარს, რაც კანონით დადგენილ 1000 ლარზე ნაკლები იყო, შესაბამისად, სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვა.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ს. ვ-ევმა და მოითხოვა მისი გაუქმება იმ მოტივით, რომ იგი სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას და მისთვის არასრულწლოვანი შვილების სარჩოდ, თითოეულ ბავშვზე 15 ლარის გადახდას ითხოვდა, ხოლო სააპელაციო საჩივარში შეცდომით ჰქონდა მითითებული 25 ლარი.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ ს. ვ-ევის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს.

მითითებული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო საჩივრის ღირებულების განსაზღვრისას სააპელაციო სასამართლო ხელმძღვანელობს სარჩელით, რომელშიც ჩამოყალიბებულია მოსარჩელის მოთხოვნა, გასაჩივრებული გადაწყვეტილებითა და კანონით. ქონებრივი დავის შემთხვევაში კანონი სააპელაციო საჩივრის დასაშვებობისათვის გარკვეულ შეზღუდვას აწესებს, კერძოდ, სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს.

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია დავის საგნის ღირებულების განსაზღვრის წესი, რაც ჩამოყალიბებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40-41-ე მუხლებში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის «გ» ქვეპუნქტის თანახმად, ალიმენტის გადახდევინების შესახებ სარჩელის დავის საგნის ფასი განისაზღვრება ერთი წლის განმავლობაში გადასახდელი თანხების ერთობლიობით.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ს. ვ-ევი სააპელაციო საჩივრით ასაჩივრებს ბოლნისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლითაც მას არასრულწლოვანი შვილების – თ. ვ-ევის და ა. ვ-ევას სარჩენად დაეკისრა ალიმენტის გადახდა თითოეულზე ყოველთვიურად 60 ლარის ოდენობით მათ სრულწლოვანებამდე. სააპელაციო საჩივრის თანახმად, იგი ითხოვდა ახალი გადაწყვეტილების მიღებით, შვილების რჩენა-აღზრდისათვის ყოველთვიურად თითოეულ ბავშვზე 25 ლარის მისთვის დაკისრებას, რაც ცხადყოფს, რომ აპელანტმა სადავოდ გახადა ალიმენტის ოდენობა 70 ლარის ნაწილში, ვინაიდან ალიმენტი შემცირდა

70 ლარით, შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულება უნდა გამოანგარიშდეს 70 ლარის ერთ წელზე (12 თვეზე) გაანგარიშებით, რაც არ აღემატება 1000 ლარს.

კერძო საჩივრის ავტორი გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველად უთითებს იმ გარემოებაზე რომ, იგი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას და მისთვის არასრულწლოვანი შვილების სარჩოდ თითოეულ ბავშვზე 15 ლარის გადახდას, ხოლო სააპელაციო საჩივარში შეცდომით მიუთითა 25 ლარი. ამდენად, სსკ-ს 365-ე მუხლის საფუძველზე საჩივარი დაუშვებლობის გამო განუხილველად არ დარჩებოდა.

აღნიშნულ მოსაზრებას, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს და აღნიშნავს, რომ საპროცესო კანონმდებლობით, ნებისმიერი უფლების რეალაზაცია დამოკიდებულია თვით მხარის ნებაზე. აღნიშნული დებულება გამომდინარეობს სამოქალაქო პროცესის ერთ-ერთი უმთავრესი – დისპოზიციურობის პრინციპიდან (სსკ-ის მე-3 მუხლი), რაც ნიშნავს მხარეთა თავისუფლებას, განკარგონ თავიანთი როგორც მატერიალური, ისე საპროცესო უფლებები. დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარეობს მხარეთა საპროცესო უფლება – თავად განსაზღვრონ დავის საგანი. განსახილველ შემთხვევაში კერძო საჩივრის ავტორმა თავადვე განსაზღვრა სააპელაციო საჩივარის დავის საგანი და, შესაბამისად, ის გარემოება, რომ ის 25 ლარის ნაცვლად 15 ლარს გულისხმობდა, საკასაციო სასამართლოს მიერ ვერ მიიჩნევა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველად.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად განსაზღვრა ს. ვ-ევის სააპელაციო საჩივრის ღირებულება 840 (70X12) ლარით, და მართებულად დატოვა იგი განუხილველად დაუშვებლობის გამო, რის გამოც არ არსებობს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის პირველი ივლისის გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ს. ვ-ევის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის პირველი ივლისის განჩინება.
3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **სააპელაციო საჩივრის ღირებულება**

#### **განჩინება**

1ას-1265-1112-10

10 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. სულხანიშვილი,

პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2005 წლის 25 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მომართა ბ. ჯ-შვილმა მოპასუხით – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის მიმართ ბრძანების უკანონოდ ცნობის, იძულებითი განაცდურის ანაზღაურებისა და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

2010 წლის 10 ივნისს გამართულ სასამართლო სხდომაზე არასათანადო მოპასუხე შეცვლილ იქნა სათანადო მოპასუხე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროთი, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი განსახილველად, განსჯადობის წესის შესაბამისად გადაგზავნილ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში.

საქმის განხილვისას მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნები შეამცირა და მოითხოვა მხოლოდ განაცდურის – 872 ლარის ანაზღაურება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.



2010 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილებით თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ ბ. ს-ძე-ჯ-შვილის სარჩელი არ დააკმაყოფილა უსაფუძვლობის გამო.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბ. ს-ძე-ჯ-შვილმა და მოითხოვა ახალი გადაწყვეტილებით იძულებითი განაცდურის ანაზღაურება და ორი თვის კომპენსაცია – 872 ლარი.

2010 წლის 22 ნოემბრის განჩინებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ბ. ს-ძე-ჯ-შვილის სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვა იმ მოტივით, რომ საჩივარი არ აკმაყოფილებს დასაშვებობის პირობებს, კერძოდ, საჩივრის ღირებულება შეადგენს 872 ლარს. საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის მიხედვით კი საჩივრის ღირებულება უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ნოემბრის განჩინებაზე ბ. ს-ძე-ჯ-შვილმა შეიტანა კერძო საჩივარი.

კერძო საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ მისი თავდაპირველი მოთხოვნა შეადგენდა მოპასუხისათვის 1201 ლარის დაკისრებას. იგი წავიდა დათმობაზე და დათანხმდა მხოლოდ 872 ლარს, რაც არ აღმოჩნდა საკმარისი სააპელაციო საჩივრის განსახილველად, ამიტომ ბ. ს-ძე-ჯ-შვილმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ნოემბრის განჩინების გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნის გაზრდა მოითხოვა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ჯ-ევის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

იმავე კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივარს არ დააკმაყოფილებს, თუ კანონის მითითებული დარღვევა არ არსებობს. აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, დააკმაყოფილოს კერძო საჩივარი თუ მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება არასწორია.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 22 ნოემბრის განჩინება სრულიად კანონიერია.

საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქმის სასამართლო წესით განხილვისას მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნები შეამცირა და მოითხოვა მხოლოდ განაცდურის ანაზღაურება 872 ლარის ოდენობით. შესაბამისად, სააპელაციო საჩივარში დავის საგნის ღირებულებამ შეადგინა 872 ლარი, რაც არასაკმარისია სააპელაციო საჩივრის დასაშვებობისთვის და საფუძველია საჩივრის განუხილველად დატოვებისა, გამომდინარე საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის პირველი ნაწილიდან.

საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში აპელანტმა, დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, თვითონ განსაზღვრა დავის საგნის ღირებულება და სასამართლო ვალდებულია, მოთხოვნის ფარგლებში განიხილოს საქმე.

რაც შეეხება კერძო საჩივრით სასარჩელო მოთხოვნის გაზრდას და ნაცვლად 872 ლარისა მოპასუხისათვის 1201 ლარის დაკისრებას, აღნიშნულის მოთხოვნა დაუშვებელია, რადგან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 406-ე მუხლის თანახმად, დავის საგნის შეცვლა ან გადიდება, შეგებებული სარჩელის შეტანა და ხარჯების განსაზღვრა საკასაციო სასამართლოზე დაუშვებელია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დასაბუთებული, კანონიერია და მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 365-ე, 374-ე, მე-3, 406-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. ბ. ს-ძე-ჯ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. მოცემულ საქმეზე უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ნოემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### 3. ხარვეზის შეუვსებლობა

#### განჩინება

1ას-1096-1360-09

28 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
რ. ნადირიანი,  
თ. თოდრია

დავის საგანი: სახელფასო დავალიანების ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 30 აპრილს ქობულეთის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა ვ. ტ-იანმა და მოითხოვა მოპასუხე შპს „ო-სათვის“ სახელფასო დავალიანებისა და მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებით ვ. ტ-იანის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მოპასუხეს დაეკისრა ს. ბ-იანთან და ვ. ტ-იანთან დადებული შრომითი ხელშეკრულებების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, საერთო ჯამში – 2580 ლარი. მოპასუხეს ასევე დაეკისრა მოსარჩელის მიერ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 100 ლარისა და იურიდიული მომსახურების ხარჯების – 400 ლარის ანაზღაურება.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა მოწინააღმდეგე მხარის შპს „ო-ს“ მიერ. საქმეზე წარმოდგენილი სასამართლოს გზავნილთა და საფოსტო განყოფილებიდან დაბრუნებული შეტყობინებით ირკვევა, რომ შპს „ო-ს“ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 28 სექტემბრის განჩინების ასლი გაეგზავნა და ჩაჰბარდა კანონით დადგენილი წესით. კერძოდ, გაეგზავნა 2009 წლის 30 სექტემბერს და ჩაჰბარდა 2009 წლის 2 ოქტომბერს. აქედან გამომდინარე, აპელანტს ხარვეზის გამოსასწორებლად ვადა ჰქონდა 2009 წლის 7 ოქტომბრამდე.

საქმეში არსებული მასალებიდან, კერძოდ, შპს „ო-ს“ განცხადებაზე დართული საფოსტო კონვერტის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში 2009 წლის 12 ოქტომბერს შემოსული განცხადება ხარვეზის შევსების შესახებ „საქართველოს ფოსტაში“ შეტანილ იქნა 2009 წლის 8 ოქტომბერს. ამდენად, აპელანტის მიერ სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი სააპელაციო სასამართლოსათვის წარმოდგენილია 1 დღის ვადადარღვევით.

იმის გათვალისწინებით, რომ შპს „ო-ს“ მიერ ხარვეზი ვადაში არ არის შევსებული, მისი სააპელაციო საჩივარი ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებაზე, როგორც დაუშვებელი, უნდა დარჩეს განუხილველი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ შპს „ო-ს“ სააპელაციო საჩივარი ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებაზე დატოვა განუხილველი.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა შპს „ო-მა“ და მოითხოვა მისი გაუქმება.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველად სასამართლომ მიუთითა, რომ სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარმოდგენილია 1 დღის დაგვიანებით. მისი მოსაზრებით, ეს არ შეიძლება გამხდარიყო სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი, რადგანაც მათ მიერ სახელმწიფო ბაჟი გადახდილ იქნა ხარვეზის აღმოფხვრისათვის-სახელმწიფო ბაჟის გადახდისათვის სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში, რაც დასტურდება ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტით, კერძოდ, სახელმწიფო ბაჟი გადახდილ იქნა 2009 წლის 6 ოქტომბერს, მაშინ, როდესაც ბაჟის გადახდის ბოლო დღე იყო 7 ოქტომბერი.

შპს „ო-ს“ განცხადებით, მათ შემთხვევაში საპროცესო მოქმედება იყო ბაჟის გადახდა. მნიშვნელოვანი მომენტი ამ შემთხვევისათვის არის სახელმწიფო ბაჟის დადგენილ ვადაში გადახდის მომენტი, რადგანაც ხარვეზს წარმოადგენდა კონკრეტულად სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა. დოკუმენტის წარუდგენლობა მაშინ ჩაითვლებოდა ხარვეზის არ აღმოფხვრად, თუ სასამართლო მათ ვადას მისცემდა კონკრეტულად ასეთი დოკუმენტის წარდგენისათვის და მათ მიერ არ იქნებოდა წარდგენილი ასეთი დოკუმენტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ო-მა“ მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 16 ოქტომბრის განჩინების გაუქმება და საქმის არსებითი განხილვისთვის მისი დაბრუნება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოსთვის.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა გაეცნო წარმოდგენილ კერძო საჩივარს, საქმის მასალებს და თვლის, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 28 სექტემბრის განჩინებით შპს «ო-ს» სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და განესაზღვრა ვადა სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ აღნიშნული განჩინება აპელანტს შპს «ო-ს» გენერალურ დირექტორ ნ. გ-ძეს ჩაბარდა 2009 წლის 2 ოქტომბერს. მხარეს ხარვეზი არ გამოუსწორებია დადგენილ ვადაში, რის გამოც სააპელაციო პალატამ 2009 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით შპს «ო-ს» სააპელაციო საჩივარი დატოვა განუხილველი.

პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა განუხილველი სააპელაციო საჩივარი, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს, ხოლო 374-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, რაზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე და საქმეზე დადგენილი გარემოებების შესაბამისად, შპს «ო-ს» მიერ ხარვეზის დროულად შეუვსებლობა წარმოადგენდა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ სამართლებრივ საფუძველს.

კერძო საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ მან ხარვეზი დროულად გამოსწორა, რადგან უშუალოდ სახელმწიფო ბაჟის ბანკში გადახდის პროცედურა განახორციელა 2009 წლის 6 ოქტომბერს, ხარვეზის აღმოფხვრისთვის დადგენილ ვადაში.

აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, რადგან ხარვეზის შესახებ განჩინებით მხარეს განესაზღვრა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენა, შესაბამისად შპს «ო-ს» მიერ მხოლოდ სახელმწიფო ბაჟი გადახდა არ წარმოადგენდა მისი მხრიდან ხარვეზის შევსებას.

ამდენად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის ავტორმა დაკარგა აღნიშნული საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა თვლის, რომ კერძო საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოება არ შეიძლება გახდეს სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 16 ოქტომბრის განჩინების გაუქმების და კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

შპს «ო-ს» კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 ოქტომბრის განჩინება.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**ხარვეზის დროულად შეუვსებლობა**

**განჩინება**

1ას-1165-1427-09

11 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

### **აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებით შპს «რ-ს» სარჩელი შპს «ტ-ის» მიმართ მიწოდებული საწვავის ღირებულების აუნაზღაურებელი თანხის – 29233.4 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილდა.

აღნიშნული განჩინება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს «ტ-მ», მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 სექტემბრის განჩინებით შპს «ტ-ს» დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შევსება, კერძოდ, გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 1169.33 ლარის ქვითრის წარდგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით შპს «ტ-ს» სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა შპს «ტ-ს» დირექტორმა მ. მ-იამ, მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძველზე, რომ კომპანია უკიდურესად მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში იმყოფება, რის გამოც ვერ მოხერხდა თანხების დროულად ჩარიცხვა ხარვეზის შესავსებად, შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებით დაირღვა მათი უფლება გაესაჩივრებინათ პირველი ინსტანციის უკანონო გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადმოაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ შპს «ტ-ს» კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალეს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნაშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის შესაბამისად, დარჩება განუხილველად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ხარვეზის შევსების შესახებ განჩინების ასლი შპს «ტ-ს» გაეგზავნა და ჩაჰბარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, კერძოდ, 2009 წლის 5 ოქტომბერს ჩაჰბარდა ორგანიზაციის ბუღალტერს ნ. ს-ძეს, შესაბამისად, განჩინების შევსების ბოლო ვადა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60-61-ე მუხლების თანახმად, იყო 2009 წლის 15 ოქტომბერი. აპელანტმა ხარვეზი სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში არ გამოასწორა და არც რაიმე შუამდგომლობა ხარვეზის შევსების საპროცესო ვადის გაგრძელების თაობაზე სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, კერძო საჩივრის ავტორის განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანია უკიდურესად მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში იმყოფება, რის გამოც ვერ მოხერხდა თანხების დროულად ჩარიცხვა ხარვეზის შესავსებად, ვერ იქნება გაზიარებული, რადგან კერძო საჩივრის ავტორს არც სააპელაციო საჩივარში და არც შემდგომ მისი ქონებრივი მდგომარეობის თაობაზე რაიმე დოკუმენტი ან რაიმე შუამდგომლობა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის მიხედვით, სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირების ან მისი გადახდის გადავადების თაობაზე არ წარმოუდგენია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის გამო, სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივარი მართებულად დატოვა განუხილველად და, შესაბამისად, არ არსებობს ამ განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

შპს «ტ-ს» დირექტორ მ. მ-იას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ოქტომბრის განჩინება;

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## ხარვეზის შეუვსებლობა

### განჩინება

1ას-1229-1489-09

25 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილებით სს «- ბანკის» სარჩელი ლ. ვ-ძის მიმართ საბანკო დავალიანების დაკისრების თაობაზე დაკმაყოფილდა – ლ. ვ-ძეს სს «- ბანკის» სასარგებლოდ დაეკისრა 22 838,95 ლარისა და სახელმწიფო ბაჟის – 685,16 ლარის გადახდა. აღნიშნული თანხების ამოღების მიზნით დადგენილ იქნა ლ. ვ-ძის საკუთრებაში არსებული საოჯახო ნივთების (ტელევიზორი «სამსუნგი», მაცივარი «სამსუნგი», საძინებელი გარნიტური, როიალი «ვაინბერგი») იძულებითი რეალიზაცია.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ტ-ძემ (ვ-ძე) და მოითხოვა მისი გაუქმება ჯარიმის დაკისრების ნაწილში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 5 აგვისტოს განჩინებით ლ. ტ-ძეს (ვ-ძე) სააპელაციო საჩივრის ხარვეზის შესავსებად დაევალა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში დაზუსტებული სააპელაციო საჩივრისა და დავის საგნის ღირებულების 4%-ის, მაგრამ არანაკლებ 150 ლარის ოდენობით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ქვითრის წარმოდგენა.

2009 წლის 17 აგვისტოს ლ. ტ-ძემ (ვ-ძე) განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 64-ე მუხლის შესაბამისად, მოითხოვა ხარვეზის შევსების ვადის 10 დღით გაგრძელება, რაც დაკმაყოფილდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 9 სექტემბრის განჩინებით და აპელანტს გაუგრძელდა ხარვეზის შევსების ვადა 10 დღით.

2009 წლის 22 სექტემბერს აპელანტის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, წარმოადგინა დაზუსტებული სააპელაციო საჩივარი, რითაც მოითხოვა ჯარიმის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და აღნიშნულ ნაწილში 8913 ლარის დაკისრება. ამასთან, მიუთითა, რომ დაზუსტებულ სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის ღირებულება შეადგენდა 557 ლარს და ვინაიდან აპელანტი პედაგოგია, მის ოჯახში არავენ მუშაობს და ვერ ახერხებდა აღნიშნულ ეტაპზე ბაჟის გადახდას, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 64-ე მუხლის შესაბამისად, მოითხოვა ბაჟის გადახდის ნაწილში ხარვეზის შევსებისათვის დადგენილი ვადის 10 დღით გაგრძელება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 23 სექტემბრის განჩინებით ლ. ტ-ძის (ვ-ძე) წარმომადგენლის განცხადება დაკმაყოფილდა და აპელანტს კვლავ გაუგრძელდა ხარვეზის შევსებისათვის დადგენილი ვადა 10 დღით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით, კვლავ დაკმაყოფილდა ლ. ტ-ძის (ვ-ძე) წარმომადგენელ ჯ. ქ-შვილის განცხადება და აპელანტს ხარვეზის შევსების ვადა გაუგრძელდა 15 დღით.

2009 წლის 9 ნოემბერს ლ. ტ-ძემ კვლავ მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და მძიმე ეკონომიური მდგომარეობის გამო, მოითხოვა ხარვეზის შევსების ვადის 10 დღით გაგრძელება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 13 ნოემბრის განჩინებით ლ. ტ-ძის (ვ-ძე) სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ლ. ტ-ძემ (ვ-ძე) და მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძველით, რომ სასამართლომ იმ გარემოებით, რომ არ გაუგრძელა ხარვეზის შევსების ვადა, მას წართვა უფლება სასამართლო გზით დაეცვა თავისი პოზიცია, ვინაიდან იგი განიცდიდა მძიმე ეკონომიურ გაჭირვებას, ოჯახში მხოლოდ თვითონ მუშაობდა და ბაჟის გადახდისათვის საჭირო თანხა 557 ლარი მისთვის სოლიდურ თანხას წარმოადგენდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ ლ. ტ-მის (ვ-მე) კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი არ მიიღება და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის შესაბამისად, დარჩება განუხილველად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაპბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ხარვეზის შევსებისათვის განსაზღვრული ვადა, აპელანტს, თავისი შუამდგომლობების საფუძველზე, არაერთხელ გაუგრძელდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებებით, კერძოდ, 2009 წლის 9, 23 სექტემბრისა და 12 ოქტომბრის განჩინებებით.

ასევე დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 12 ოქტომბრის განჩინების ასლი ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების შესახებ ლ. ტ-მეს გაეგზავნა და ჩაპბარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, კერძოდ, პირადად ჩაპბარდა 2009 წლის 22 ოქტომბერს. შესაბამისად, ხარვეზის შევსების ბოლო ვადა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60-61-ე მუხლების თანახმად, იყო 2009 წლის 6 ნოემბერი. სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში აპელანტმა ხარვეზი არ გამოასწორა.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სასამართლომ უსაფუძვლოდ უთხრა უარი ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელებაზე, რითაც მას წაართვა უფლება სასამართლო გზით დაეცვა თავისი პოზიცია, ვინაიდან იგი განიცდიდა მძიმე ეკონომიურ გაჭირვებას, ოჯახში მხოლოდ თვითონ მუშაობდა და ბაჟის გადახდისათვის საჭირო თანხა 557 ლარი მისთვის სოლიდურ თანხას წარმოადგენდა.

აღნიშნულს საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე-48-ე მუხლების შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია სახელმწიფო ხარჯებისაგან მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს მხარე, ან გადაუვადოს სახელმწიფო ბაჟის გადახდა მისი ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, რომლის მტკიცების ტვირთი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, ეკისრება მხარეს. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ლ. ტ-მემ (ვ-მე) ვერ წარმოადგინა რაიმე ისეთი უტყუარი მტკიცებულება, რომელიც საფუძველად დაედებოდა მის გათავისუფლებას ან გადავადებას სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან. რაც შეეხება ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელებას, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მას მართებულად არ გაუგრძელა ვადა, ვინაიდან მხარის შუამდგომლობები არ უნდა ემსახურებოდეს საქმის განხილვის გაჭიანჭვრებას. საქმის მასალების თანახმად, ლ. ტ-მის (ვ-მე) შუამდგომლობის საფუძველზე სამჯერ გაუგრძელდა ხარვეზის შევსების ვადა და მიუხედავად ამისა, მან ხარვეზი მაინც არ გამოასწორა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის გამო, სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივარი სწორად დატოვა განუხილველად და, შესაბამისად, არ არსებობს ამ განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ლ. ტ-მის (ვ-მე) კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 13 ნოემბრის განჩინება;  
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## ხარვეზის შეუვსებლობა

### განჩინება

1ას-126-120-2010

29 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ხელშეკრულების მოშლა, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა

#### აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ჯ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ი. ჯ-ძის მიმართ, მოპასუხის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, ნასყიდობის ხელშეკრულების მოშლის, ქ.ბათუმში, ... ქ<sup>1</sup>110<sup>ა</sup>-ში მდებარე <sup>1</sup>12 ბინის თავდაპირველი მესაკუთრისათვის გადაცემისა და საჯარო რეესტრის ჩანაწერებში ცვლილებების შეტანის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: მხარეთა შორის გაფორმდა სადავო უძრავი ნივთის მართვისა და განკარგვის მინდობილობა და სანოტარო წესით დადასტურებული ნასყიდობა, რომლითაც ქ.ბათუმში, ... ქ<sup>1</sup>110<sup>ა</sup>-ში მდებარე მოსარჩელის კუთვნილი <sup>1</sup>12 ბინა უნდა გადასულიყო მოპასუხის საკუთრებაში, თუმცა მოპასუხემ ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა და ნასყიდობის თანხა არ გადაიხადა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: სინამდვილეს არ შეესაბამება მოსარჩელის მითითება, რომ მოპასუხეს ნასყიდობის საგნის ღირებულება არ გადაუხდია, ვინაიდან ივ.ჯ-მემ ნ.ჯ-ძეს 2005 წლის 24 აგვისტოს გადაუხადა 12 000 ლარი. ამდენად, სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 იანვრის განჩინებით ნ. ჯ-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2009 წლის 3 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და აპელანტს დაევალა 7 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის – 480 ლარის გადახდა, ხოლო ნ.ჯ-ძის შუამდგომლობის საფუძველზე სააპელაციო პალატის 2009 წლის 25 დეკემბრის განჩინებით მხარეს ხარვეზის შევსების ვადა 10 დღით გაუგრძელდა. საქმის მასალებით სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ აღნიშნული განჩინება აპელანტის წარმომადგენელს გაეგზავნა და კანონის დაცვით ჩაჰბარდა 2009 წლის 30 დეკემბერს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის თანახმად, პალატამ მიიჩნია, რომ აპელანტს ხარვეზი უნდა გამოეწერებინა 2010 წლის 11 იანვრის ჩათვლით, რადგან 9-10 იანვარი იყო არასამუშაო დღეები, თუმცა მხარეს სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ხარვეზი არ შეუვსია. ამდენად, სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე, 374-ე მუხლებით და სააპელაციო საჩივარი დატოვა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ნ. ჯ-ძის წარმომადგენელმა დ. შ-მემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ხარვეზის შევსების ვადის გაგძელება შემდეგი საფუძვლებით: დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მითითება, რომ აპელანტს სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზი არ შეუვსია, ვინაიდან ნ.ჯ-მემ სახელმწიფო ბაჟის ნაწილი გადაიხადა და ხარვეზის გამოსწორების ვადის გაგრძელების შესახებ შუამდგომლობასთან ერთად სააპელაციო სასამართლოს გაუგზავნა 2010 წლის 11 იანვარს, რაც დასტურდება შპს «საქართველოს ფოსტის» <sup>1</sup>64/7 საფოსტო გზავნილით. აღნიშნული გზავნილი პალატამ დაგვიანებით მიიღო.

მოცემული საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 3 დეკემბრის განჩინებით აპელანტ ნ. ჯ-ძეს დაევალა 7 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის – 480 ლარის გადახდის ქვითრის წარდგენა.

აპელანტმა იშუამდგომლა ზემოხსენებული ვადის 10 დღით გაგრძელების შესახებ, რაც სააპელაციო პალატის 2009 წლის 25 დეკემბრის განჩინებით დაკმაყოფილდა და მხარეს მიეცა ამ განჩინების ჩაბარებიდან 10 დღე ხარვეზის გამოსასწორებლად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ხარვეზის გაგრძელების შესახებ 2009 წლის 30 დეკემბერს ჩაჰბარდა აპელანტ ნ.ჯ-ძის წარმომადგენელ დ.შ-ძეს. ამავე სასამართლოს 2010 წლის 14 იანვრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ჯ-ძის წარმომადგენელ დ. შ-ძის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო სასამართლო განუხილველად დატოვებს სააპელაციო საჩივარს, თუ მხარე, რომელსაც კანონის მოთხოვნათა დაცვით ჩაბარდა სასამართლო განჩინება ხარვეზის დადგენის შესახებ, პალატის მიერ მითითებულ ვადაში ხარვეზს არ გამოასწორებს.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ სავსებით მართებულად მიუთითა, რომ სააპელაციო პალატის 2009 წლის 25 დეკემბრის განჩინება ნ.ჯ-ძის სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის გამოსწორების ვადის 10 დღით გაგრძელების შესახებ აპელანტის წარმომადგენელს ჩაჰბარდა 2009 წლის 30 დეკემბერს, შესაბამისად, მხარეს ხარვეზის გამოსწორება შეეძლო 2010 წლის 11 იანვრის ჩათვლით, ვინაიდან 9-10 იანვარი არასამუშაო დღეებს წარმოადგენდა.

მიუხედავად აღნიშნულისა, სააპელაციო პალატამ ვერ გაითვალისწინა, რომ ნ.ჯ-ძემ 2010 წლის 11 იანვარს შპს «საქართველოს ფოსტას» ჩააბარა განცხადება და სახელმწიფო ბაჟის ნაწილის – 100 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, რადგან აღნიშნული დოკუმენტები სასამართლოს მხოლოდ 2010 წლის 15 იანვარს გადაეცა.

ამდენად, წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილია, რომ ნ.ჯ-ძემ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზი ნაწილობრივ გამოასწორა. ამავდროულად, მან მოითხოვა დარჩენილი სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად ვადის გაგრძელება. აღნიშნულ შუამდგომლობაზე სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია ზემოთ მითითებული მიზეზის გამო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და სააპელაციო პალატამ ნ.ჯ-ძის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა, ხელახლა შეამოწოს მხარის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობისა და სახელმწიფო ბაჟის ნაწილობრივ გადახდის გათვალისწინებით.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

ნ. ჯ-ძის წარმომადგენელ დ. შ-ძის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 იანვრის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **ხარვეზის შეუვსებლობა**

#### **განჩინება**

1ას-191-182-2010

12 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება



### **აღწერილობითი ნაწილი:**

ა. კ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ა. ჯ-ძის მიმართ დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: **2007 წლის 31 ოქტომბერს ა. ჯ-მემ დაარღვია რა «საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ» კანონის მოთხოვნები, თავისი ავტომანქანით დაეჯახა მოსარჩელის «მერსედეს-ბენცის» მარკის მიკროავტობუსს და სხეულის დაზიანებები მიაყენა როგორც ა.კ-ძეს, ისე – მის მეუღლე მ.დ-ძეს. აღნიშნულის გამო მოსარჩელეს ჩაუტარდა ორი ქირურგიული ოპერაცია მენჯის ძვალზე და ესაჭიროება დამატებითი მკურნალობა, ხოლო მისი მეუღლე ავტოსატრანსპორტო შემთხვევიდან **40 დღის შემდეგ გარდაიცვალა.****

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩელეს თავისი სასარჩელო მოთხოვნა სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით არ დაუსაბუთებია.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს **2009 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილებით** სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ა. ჯ-ძეს ა. კ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა მისი ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებლად **9470 ლარის** გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ა. ჯ-მემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2010 წლის 4 თებერვლის განჩინებით** სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ **2009 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით** სააპელაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა ხარვეზიანად და მხარეს დაევალა **5 დღის ვადაში** სახელმწიფო ბაჟის – **378 ლარის** გადახდა, ხოლო ამავე სასამართლოს **2010 წლის 12 იანვრის განჩინებით** მას ხარვეზის შევსების ვადა **10 დღით** გაუგძელდა, ა. ჯ-ძის შუამდგომლობა კი სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული განჩინების ასლი აპელანტს კანონის მოთხოვნათა დაცვით გაეგზავნა და **2010 წლის 14 იანვარს** ჩაჰბარდა მის დას – ი. ჯ-ძეს. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **70-ე, 74-ე** მუხლებით და სასამართლო გზავნილის მხარის დისათვის ჩაბარება თავად აპელანტისათვის მის ჩაბარებად ჩათვალა. ამავე კოდექსის მე-**60** და **61-ე** მუხლების მე-**2** ნაწილის შესაბამისად, პალატამ ხარვეზის შევსების ვადა აითვალა **2010 წლის 15 იანვრიდან** და მიუთითა, რომ იგი ამოიწურა **25 იანვარს**, რადგან ვადის ამოწურვის ბოლო დღე დაემთხვა არასამუშაო დღეს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **368-ე** მუხლის მე-**5** ნაწილისა და **374-ე** მუხლის შესაბამისად პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად, რადგან აპელანტს სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ხარვეზი არ გამოუსწორებია და არც რაიმე შუამდგომლობით მისთვის არ მიუმართავს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ა. ჯ-მემ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით: რეალობას არ შეესაბამება სააპელაციო პალატის მითითება, რომ ა.ჯ-მემ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **368-ე** მუხლის მე-**5** ნაწილის დარღვევით ხარვეზი ვადაში არ გამოასწორა. ფაქტობრივად მხარემ სახელმწიფო ბაჟი დროულად – **2010 წლის 22 იანვარს** გადაიხდა, ხოლო აღნიშნულის დამადასტურებელი ქვითრის ამავე ვადაში სასამართლოსათვის წარდგენის ვალდებულება მხარეს კანონით არ ეკისრება. ამასთან, ა.ჯ-მემ ქვითარი ვერ წარადგინა სასამართლოში **2009 წლის 19 დეკემბერს** მამის გარდაცვალების გამო **40-დღიანი** გლოვის მიზეზით.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა და მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი:

სააპელაციო პალატის **2009 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით** აპელანტ ა.ჯ-ძის სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და მხარეს დაევალა **5 დღის ვადაში** სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა. ამავე სასამართლოს **2010 წლის 12 იანვრის განჩინებით** მითითებული ხარვეზის შევსების ვადა აპელანტს ამ განჩინების ასლის ჩაბარებიდან კიდევ **10 დღით** გაუგრძელდა.

საქმეში წარმოდგენილი ხელწერილით დასტურდება, რომ **2010 წლის 14 იანვარს** ხარვეზის გამოსწორების ვადის გაგრძელების შესახებ სააპელაციო სასამართლოს **2010 წლის 12 იანვრის განჩინება** ადრესატისათვის გადასაცემად ჩაბარდა აპელანტის დას – ი. ჯ-ძეს.

აღნიშნულის მიუხედავად, აპელანტს სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზი არ გამოუსწორებია და არც რაიმე შუამდგომლობით პალატისათვის არ მიუმართავს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ჯ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **368-ე** მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ზემოჩამოთვლილ მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი სასამართლო ავალეებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ

სააპელაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო განსაზღვრავს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომელიც ხარვეზის შესავსებად უნდა განხორციელდეს და საპროცესო ვადას, რომლის განმავლობაშიც აპელანტი ვალდებულია, შეასრულოს განჩინებაში დადგენილი მოქმედებები. სასამართლოს მიერ მითითებული ვადის გასვლის შემდეგ კი სააპელაციო საჩივარი დარჩება განუხილველი.

მოცემულ შემთხვევაში სადავო არ არის ის გარემოება, რომ ხარვეზის დადგენის თაობაზე სასამართლო განჩინება აპელანტ ა. ჯ-ძეს 2010 წლის 14 იანვარს ჩაჰბარდა და სააპელაციო პალატის მიერ განსაზღვრულ 10-დღიან ვადაში მას ხარვეზი არ გამოუსწორებია. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინებით ა.ჯ-ძის სააპელაციო საჩივარი მართებულად დარჩა განუხილველი.

დაუსაბუთებელია და ვერ იქნება გაზიარებული კერძო საჩივრის ავტორის მითითება, რომ ხარვეზის დადგენისას სააპელაციო სასამართლომ აპელანტს დაავალა 10 დღის ვადაში მხოლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდა, ხოლო აღნიშნულის დამადასტურებელი ქვითრის სასამართლოში წარმოდგენა ა.ჯ-ძეს არ ევალებოდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 12 იანვრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილში ხაზგასმითაა მითითებული, რომ «აპელანტმა – ა. ჯ-ძემ ხარვეზის შევსებისათვის განსაზღვრულ ვადაში – 10 დღეში, სააპელაციო სასამართლოში უნდა წარმოადგინოს 378 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი». ამდენად, აპელანტს სათანადოდ განემარტა მისი საპროცესო ვალდებულებანი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მართალია, კერძო საჩივრაზე დართული ქვითრით დასტურდება ა.ჯ-ძის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით 2010 წლის 22 იანვარს 378 ლარის გადახდის ფაქტი, მაგრამ აღნიშნული სააპელაციო პალატის მიერ დადგენილი ხარვეზის გამოსწორებულად მიჩნევის საფუძველი ვერ გახდება, რადგან მხარეს მითითებული ქვითარი დროულად სასამართლოსათვის არ წარუდგენია.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს ა.ჯ-ძის არგუმენტს, რომ მან სადავო სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი სააპელაციო პალატას საპატიო მიზეზით – მამის გარდაცვალების გამო ვერ წარუდგინა. საქმეში წარმოდგენილი გარდაცვალების მოწმობით დასტურდება, რომ აპელანტის მამა ზ. ჯ-ძე გარდაიცვალა 2009 წლის 19 დეკემბერს, 2010 წლის 22 იანვარს კი მხარემ სს «საქართველოს ბანკში» გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი. ამდენად, მხარის მიერ დასახელებული გარემოება არ ადასტურებს, რომ 2010 წლის 15 იანვრიდან 25 იანვრის ჩათვალთ პერიოდში ა.ჯ-ძეს სააპელაციო სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითრის წარდგენა არ შეეძლო.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს მთლიანად დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი. განსახილველ შემთხვევაში ა. ჯ-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა რა განუხილველად, მას უნდა დაუბრუნდეს 2010 წლის 22 იანვარს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 378 ლარი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ა. ჯ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 4 თებერვლის განჩინება დარჩეს უცვლელად.

ა. ჯ-ძეს დაუბრუნდეს სააპელაციო საჩივრის გამო გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 378 ლარი.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადა**

#### **განჩინება**

1ას-83-78-10

6 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა

### **აღწერილობითი ნაწილი:**

მ. ჯ-ელმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. ჭ-შვილის მიმართ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ. მოსარჩელემ მიუთითა, რომ მის საკუთრებაში ირიცხება ქ. თბილისში, ... მე-5 კვარტლის, კორპუს 5-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართი, რომელიც თვითნებურად დაიკავა ნ. ჭ-შვილმა. მიუხედავად არაერთი მოთხოვნისა, იგი არ ათავისუფლებს აღნიშნულ ფართს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მ. ჯ-ელის სარჩელი დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ნ. ჭ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 26 ნოემბრის განჩინებით ნ. ჭ-შვილის სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და აპელანტს დაევალა მისი გამოსწორება.

2009 წლის 14 დეკემბერს ნ. ჭ-შვილმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ხარვეზის განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორება, კერძოდ, განჩინების შესავალ ნაწილში თბილისის საქალაქო სასამართლოს ნაცვლად მითითებული იყო გორის რაიონული სასამართლო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 15 დეკემბრის განჩინებით გასწორდა აღნიშნული უსწორობა.

ნ. ჭ-შვილს 2009 წლის 15 დეკემბერს გაეგზავნა სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 26 ნოემბრის ხარვეზის განჩინება და 2009 წლის 15 დეკემბრის უსწორობის გასწორების განჩინება.

ნ. ჭ-შვილმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა უსახსრობის გამო ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადის გაგრძელება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 8 იანვრის განჩინებით ნ. ჭ-შვილის განცხადება საპროცესო ვადის გაგრძელების შესახებ დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ნ. ჭ-შვილმა ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, კერძოდ, 2009 წლის 30 დეკემბერს მიმართა სასამართლოს საპროცესო ვადის გაგრძელების შესახებ. ხარვეზის შევსების ბოლო ვადა კი ამოიწურა 29 დეკემბერს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 8 იანვრის განჩინებით ნ. ჭ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ხარვეზის განჩინება ნ. ჭ-შვილს პირადად ჩაჰბარდა 2009 წლის 19 დეკემბერს. ხარვეზის შევსების 10 დღის ათვლა დაიწყო 2009 წლის 20 დეკემბრიდან და დამთავრდა 2009 წლის 29 დეკემბერს. საქმის მასალებით დასტურდება, რომ აპელანტმა სასამართლოს მიერ დაწესებულ ვადაში არ გამოასწორა ხარვეზი – არ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი, რაც სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

აღნიშნულ განჩინებებზე კერძო საჩივარი შეიტანა ნ. ჭ-შვილმა. მან მიუთითა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით დაევალა ხარვეზის შევსება, ამასთან, განჩინებაში ხარვეზის დადგენის შესახებ მიეთითა თბილისის საქალაქო სასამართლოს ნაცვლად გორის რაიონული სასამართლო. აღნიშნული უსწორობა გასწორდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 15 დეკემბრის განჩინებით. მას გამოეგზავნა ზემოაღნიშნული განჩინება და ხარვეზის შევსების შესახებ განჩინება. კერძო საჩივრის ავტორის აზრით, სააპელაციო სასამართლოს არ ჰქონდა უფლება განუხილველად დაეტოვებინა მისი სააპელაციო საჩივარი, ვინაიდან ჯერ უსწორობის გასწორების განჩინება უნდა შესულიყო კანონიერ ძალაში და შემდეგ უნდა ემსჯელა სასამართლოს ხარვეზზე. კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს, როგორც სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების განჩინების გაუქმება, ისე საპროცესო ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით მიღებული განჩინების გაუქმება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ ნ. ჭ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადების შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 26 ნოემბრის განჩინებით ნ. ჭ-შვილის სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და აპელანტს დაევალა მისი გამოსწორება. ნ. ჭ-შვილს 2009 წლის 15 დეკემბერს გაეგზავნა სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 26 ნოემბრის ხარვეზის განჩინება და 2009 წლის 15 დეკემბრის უსწორობის გასწორების განჩინება.

ხარვეზისა და უსწორობის გასწორების განჩინებები ნ. ჭ-შვილს პირადად ჩაჰბარდა 2009 წლის 19 დეკემბერს. ხარვეზის შევსების 10 დღის ათვლა დაიწყო 2009 წლის 20 დეკემბრიდან და დამთავრდა 2009 წლის 29 დეკემბერს. საქმის მასალებით დასტურდება, რომ აპელანტმა სასამართლოს მიერ დაწესებულ ვადაში არ გამოასწორა ხარვეზი – არ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ ნ. ჭ-შვილი სააპელაციო საჩივარი დატოვა განუხილველად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება. მოცემულ შემთხვევაში აპელანტმა არ შეავსო ხარვეზი განჩინებით განსაზღვრულ ვადაში და ამდენად, თბილისის სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლი და განუხილველად დატოვა სააპელაციო საჩივარი.

გარდა ამისა, ნ. ჭ-შვილმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა უსახსრობის გამო ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადის გაგრძელება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 8 იანვრის განჩინებით ნ. ჭ-შვილის განცხადება დარჩა განუხილველად.

საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ნ. ჭ-შვილმა ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, კერძოდ, 2009 წლის 30 დეკემბერს მიმართა სასამართლოს საპროცესო ვადის გაგრძელების შესახებ. ხარვეზის შევსების ბოლო ვადა კი ამოიწურა 29 დეკემბერს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კერძო საჩივრის ავტორმა ვერ დაადასტურა მის მიერ საპროცესო ვადის გაგრძელების საფუძველი, რის გამოც არ არსებობს საპროცესო ვადის გაგრძელების თაობაზე შეტანილი კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ნ. ჭ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 8 იანვრის განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ და 2010 წლის 8 იანვრის განჩინება საპროცესო ვადის გაგრძელების შესახებ;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **ხარვეზის დროულად შეუვსებლობა**

#### **განჩინება**

1ას-1223-1489-09

6 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
თ. თოდრია (მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ე. გ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ი. ქ-ძის, დ. ო-ძისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილებით ე. გ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ი. ქ-ძისა და დ. ო-ძის წარმომადგენელმა ა. ბ-იამ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით აპელანტებს განესაზღვრათ 7-დღიანი ვადა ხარვეზის შესავსებად. ამავე სასამართლოს 2009 წლის 4 ნოემბრის განჩინებით აპელანტებს სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად განსაზღვრული საპროცესო ვადა განჩინების ჩაბარებიდან გაუგრძელდათ 10 დღით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 24 ნოემბრის განჩინებით ი. ქ-ძისა და დ. ო-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ აპელანტებს ი. ქ-ძესა და დ. ო-ძეს 2009 წლის 4 ნოემბრის ხარვეზის განჩინება ჩაჰბარდათ კანონით დადგენილი წესით 2009 წლის 6 ნოემბერს, რომლის თანახმად, აპელანტებს ხარვეზის გამოსაწორებლად ვადა ჰქონდათ 2009 წლის 16 ნოემბრამდე. მიუხედავად ამისა, აპელანტებს სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ხარვეზი არ შეუვსიათ.

2009 წლის 30 ნოემბერს ი. ქ-ძისა და დ. ო-ძის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს საპროცესო ვადის აღდგენასთან დაკავშირებით.

განმცხადებელმა მიუთითა, რომ მას აღნიშნებოდა ტოქსიკური მოწამლევა, რომელსაც თან ახლდა გართულებული ბრონქოსპაზმი, რის გამოც 2009 წლის 16 ნოემბერს საპროცესო ვადის გასვლის ბოლო დღეს ვერ შეძლო სასამართლოში წარმოდგინა სასამართლოს მიერ მოთხოვნილი მასალები. აღნიშნულიდან გამომდინარე, მან მოითხოვა საპროცესო ვადის აღდგენა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 3 დეკემბრის განჩინებით ი. ქ-ძისა და დ. ო-ძის წარმომადგენელ ა. ბ-იას შუამდგომლობა საპროცესო ვადის აღდგენის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ აპელანტებს ი. ქ-ძესა და დ. ო-ძეს 2009 წლის 4 ნოემბრის ხარვეზის განჩინება ჩაჰბარდათ კანონით დადგენილი წესით 2009 წლის 6 ნოემბერს, რომლის თანახმად, აპელანტებს ხარვეზის გამოსაწორებლად ვადა ჰქონდათ 2009 წლის 16 ნოემბრამდე. მიუხედავად ამისა, აპელანტებს სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ხარვეზი არ შეუვსიათ, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 24 ნოემბრის განჩინებით ი. ქ-ძისა და დ. ო-ს სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად. სწორედ ამ ვადის გასვლის შემდეგ მიმართა სასამართლოს აპელანტების წარმომადგენელმა და მოითხოვა საპროცესო ვადის აღდგენა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 24 ნოემბრის განჩინებაზე და ამავე სასამართლოს 2009 წლის 3 დეკემბრის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ი. ქ-ძისა და დ. ო-ძის წარმომადგენელმა ა. ბ-იამ. მან აღნიშნა, რომ განცხადება საპროცესო ვადის აღდგენასთან დაკავშირებით სასამართლოში გააგზავნა ფოსტის მეშვეობით 2009 წლის 24 ნოემბერს. სამედიცინო ცნობის შესაბამისად დადასტურებულია, რომ 2009 წლის 16 ნოემბრიდან 2009 წლის 20 ნოემბრის ჩათვლით, იგი იყო ავად. აღნიშნულის გამო ვერ შეძლო სააპელაციო საჩივრის ხარვეზის გამოსწორების დამდგენი დოკუმენტების გაგზავნა სასამართლოში. მან საპატიო მიზეზით ვერ შეძლო ხარვეზის გამოსწორება, რის გამოც უნდა გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 3 დეკემბრის განჩინება. გარდა ამისა, კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ ვინაიდან მან შეიტანა განცხადება საპროცესო ვადის აღდგენასთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლოს ჯერ ამ საკითხზე უნდა ემსჯელა და შემდგომში განეხილა განუხილველად დატოვების საკითხი. აღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 24 ნოემბრის განჩინების გაუქმება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ ი. ქ-ძისა და დ. ო-ძის წარმომადგენელ ა. ბ-იას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადების შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით აპელანტებს განესაზღვრათ 7-დღიანი ვადა ხარვეზის შესავსებად. ამავე სასამართლოს 2009 წლის 4 ნოემბრის განჩინებით აპელანტებს სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად განსაზღვრული საპროცესო ვადა გაუგრძელდათ 10 დღით განჩინების ჩაბარებიდან.

აპელანტებს ი. ქ-ძესა და დ. ო-ძეს 2009 წლის 4 ნოემბრის ხარვეზის განჩინება ჩაჰბარდათ კანონით დადგენილი წესით 2009 წლის 6 ნოემბერს, რომლის თანახმად აპელანტებს ხარვეზის გამოსაწორებლად ვადა ჰქონდათ 2009 წლის 16 ნოემბრამდე. მიუხედავად ამისა, აპელანტებს სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ხარვეზი არ შეუვსიათ, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 24 ნოემბრის განჩინებით ი. ქ-ძისა და დ. ო-ს სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად. სწორედ ამ ვადის გასვლის შემდეგ (30.11.09წ.) მიმართა სასამართლოს აპელანტების წარმომადგენელმა და მოითხოვა საპროცესო ვადის აღდგენა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 3 დეკემბრის განჩინებით ი. ქ-ძისა და დ. ო-ძის წარმომადგენელ ა. ბ-იას შუამდგომლობა საპროცესო ვადის აღდგენის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

მოცემულ შემთხვევაში, კერძო საჩივრი ავტორმა ვერ დაადასტურა საპროცესო ვადის აღდგენის საპატიო მიზეზი. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კერძო საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები ავადმყოფობის შესახებ არ წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლით გათვალისწინებულ გარემოებებს. კერძო საჩივრის ავტორი უთითებს, რომ სახელმწიფო ბაჟი გადახდილი იყო 2009 წლის 11 ნოემბერს, ხოლო მისმა მარწმუნებელმა მას გადასცა 2009 წლის 14 ნოემბერს. ასევე, კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ის (საქმეში წარმოდგენილი ცნობის მიხედვით), ტოქსიკური მოწამვლის გამო, 16 ნოემბრიდან 20 ნოემბრამდე იყო საავადმყოფო ფურცელზე. იმ შემთხვევაშიც, თუ გაზიარებულ იქნა მის მოსაზრებას, რომ პოლიკლინიკაში მკურნალობის გამო, მისთვის შეუძლებელი იყო სასამართლოსათვის წარედგინა 16 ნოემბრიდან 20 ნოემბრამდე სახელმწიფო ბაჟი, მაინც, არ არსებობს პროცესუალური ვადის აღდგენის საპატიო მიზეზი, რადგან კერძო საჩივრის ავტორი არ უთითებს და აქედან გამომდინარე, არ დასტურდება, თუ რატომ ვერ შეძლეს წარედგინა უშუალოდ აპელანტებმა – ი. ქ-მემ და დ. ო-მემ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება. მოცემულ შემთხვევაში აპელანტმა არ შეავსო ხარვეზი განჩინებით განსაზღვრულ ვადაში და ამდენად, სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლი და განუხილველად დატოვა სააპელაციო საჩივარი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კერძო საჩივრის ავტორმა ვერ დაადასტურა საპროცესო ვადის აღდგენის საფუძველი, რის გამოც არ არსებობს საპროცესო ვადის აღდგენის თაობაზე შეტანილი კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ი. ქ-მისა და დ. ო-მის წარმომადგენელ ა. ბ-იას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 24 ნოემბრისა და 3 დეკემბრის განჩინებები;  
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **ხარვეზის შეუვსებლობა**

#### **განჩინება**

1ას-89-84-10

13 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** ადმინისტრაციული ორგანოსათვის ქმედების დავალდებულება, ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, რეესტრის ჩანაწერის გაუქმება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ზ. მ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. ქ-მის, ხელვაჩაურის რაიონის გამგეობისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიმართ ადმინისტრაციული აქტის ბათილობის, რეესტრის ჩანაწერის გაუქმების, ადმინისტრაციული ორგანოსათვის ქმედების დავალდებულებისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებით ზ. მ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – ბათილად იქნა ცნობილი ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის 2000 წლის 14 ივლისის 173 გადაწყვეტილება; ბათილად იქნა ცნობილი ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის 2003 წლის 22 აგვისტოს 172 გადაწყვეტილება; ბათილად იქნა ცნობილი თ. კ-მეზე 2000 წლის 14 ივლისის 173 გადაწყვეტილების საფუძველზე საკუთრებაში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ჩანაწერი; ბათილად იქნა ცნობილი თ. კ-მესა და მ. ქ-მეს შორის 2002 წლის 26 დეკემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება; ზ. მ-მის

მოთხოვნა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის და-  
ვალდებულების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანეს მ. ქ-მემ და თ. კ-მემ.

სააპელაციო საჩივარი, სამოქალაქო მოთხოვნის ნაწილში, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში შევიდა ხარვეზით, კერძოდ, არ იყო გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, რის გამოც აპელანტებს 2009 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებაზე წარდგენილი სააპელაციო საჩივრის ხარვეზის შევსების, კერძოდ, სახელმწიფო ბაჟის – 270 ლარის გადახდისა და გადახდის დამადასტურებელი ქვითარის სასამართლოში წარმოდგენისათვის განესაზღვრათ 7-დღიანი ვადა განჩინების ასლის ჩაბარებიდან.

2009 წლის 13 ნოემბერს, მ. ქ-მემ განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 20 ნოემბრის განჩინებით მ. ქ-მის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადავადების შესახებ არ დაკმაყოფილდა; აპელანტებს, მ. ქ-მესა და თ. კ-მეს გაუგრძელდათ ხარვეზის შევსებისათვის, კერძოდ, სახელმწიფო ბაჟის 270 ლარის გადახდისა და გადახდის დამადასტურებელი ქვითარის სასამართლოში წარმოსადგენად დადგენილი ვადა და იგი განისაზღვრა მხარისათვის ამ განჩინების ასლის გადაცემიდან 4 დღით. მათვე განემარტათ, რომ თუ ამ ვადაში ხარვეზი არ შეივსებოდა, სააპელაციო საჩივარი აღარ დაიშვებოდა.

ხარვეზის ვადის გაგრძელების შესახებ განჩინების ასლი აპელანტებს გაეგზავნათ და ჩაჰბარდათ კანონით დადგენილი წესით 2009 წლის 2 დეკემბერს, რომლის თანახმადაც, აპელანტებს ხარვეზის გამოსასწორებლად ვადა ჰქონდათ 2009 წლის 6 დეკემბრამდე, იმის გათვალისწინებით, რომ 6 დეკემბერი იყო არასამუშაო დღე, ხარვეზის შევსების ბოლო ვადა, სსკ-ის 61-ე მუხლის თანახმად, იყო მომდევნო სამუშაო დღე – 7 დეკემბერი.

აპელანტებმა შუამდგომლობით მიმართეს სასამართლოს ხარვეზის ვადის გაგრძელების შესახებ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 14 დეკემბრის განჩინებით მ. ქ-არისა და თ. კ-მის შუამდგომლობა ხარვეზის ვადის გაგრძელების შესახებ არ დაკმაყოფილდა; სააპელაციო საჩივარი, ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოში შევიდა აპელანტების შუამდგომლობა, სადაც ისინი აღნიშნავენ, რომ მოძიებული აქვთ სახელმწიფო ბაჟის გადასახდელი თანხის ნახევარი, მზად არიან, ის ჩარიცხონ შესაბამის ანგარიშზე, ხოლო დანარჩენი ნახევრის მოძიებისათვის კვლავ ესაჭიროებათ ერთი კვირის ვადა.

ზემოაღნიშნული გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება (ანუ თანხის ნახევრის შესაბამის ანგარიშზე ჩარიცხვის), აპელანტებს სასამართლოში არ წარმოუდგენიათ, რაც სასამართლოს მისცემდა იმის შეფასების საშუალებას, რამდენად მართებული იქნებოდა სახელმწიფო ბაჟის გადახდისათვის დადგენილი ვადის კვლავ გაგრძელება.

სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ აღნიშნული საქმე ხარვეზის შევსების ეტაპზეა ერთ თვეზე მეტი ვადის განმავლობაში და დამატებით რაიმე მტკიცებულება მხარეებს არ წარმოუდგენიათ. არსებული რეალობის პირობებში კი ხარვეზის ვადის კვლავ გაგრძელება, ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით, არა-გონივრული და არასამართლიანი იქნება.

საქმეზე წარმოდგენილი სასამართლოს გზავნილითა და საფოსტო განყოფილებიდან დაბრუნებული შეტყობინებით ირკვევა, რომ აპელანტებს, 2009 წლის 20 ნოემბრის ხარვეზის ვადის გაგრძელების განჩინება ჩაჰბარდათ კანონით დადგენილი წესით 2009 წლის 2 დეკემბერს, რომლის თანახმადაც, აპელანტებს ხარვეზის გამოსასწორებლად ვადა ჰქონდათ 2009 წლის 7 დეკემბრამდე. მიუხედავად აღნიშნულისა აპელანტებს სასამართლო მიერ განსაზღვრულ ვადაში ხარვეზი არ შეუვსიათ.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანეს თ. კ-მემ და მ. ქ-მემ. მათ აღნიშნეს, რომ მიუხედავად მათი არაერთი მოთხოვნისა, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა მათი ქონებრივი მდგომარეობა და ბოლოს განუხილველად დატოვა მათი სააპელაციო საჩივარი. სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის შესაბამისად უნდა გადაევადებინა მათთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ მ. ქ-მისა და თ. კ-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლით, თუ სააპელაციო საჩივარი არ პასუხობს ამ მუხლის მოთხოვნებს, ასევე არ არის გადახდილი ბაჟი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი არ მიიღება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის თანახმად, თუ არ არსებობს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის პირობა, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

დადგენილია, რომ მ. ქ-მესა და თ. კ-მეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 23 ოქტომბრის განჩინების საფუძველზე განესაზღვრათ 7-დღიანი, ვადას ხარვეზის შესავსებად. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 20 ნოემბრის განჩინებით აპელანტებს გაუგრძელდათ ხარვეზის შევსების ვადა.

2009 წლის 11 დეკემბერს აპელანტებმა შუამდგომლობით მიმართეს სასამართლოს ხარვეზის ვადის გაგრძელების თაობაზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 14 დეკემბრის განჩინებით მ. ქ-არისა და თ. კ-მის შუამდგომლობა ხარვეზის ვადის გაგრძელების შესახებ არ დაკმაყოფილდა; სააპელაციო საჩივარი, ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველად.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლოს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის თანახმად, უნდა გადაევადებინა მათთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა ანდა შეამციროს მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს.

მოცემულ შემთხვევაში, კერძო საჩივრის ავტორების მიერ არ იქნა წარმოდგენილი უტყუარი მტკიცებულება მათი ქონებრივი მდგომარეობის შესახებ. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კერძო საჩივრის ავტორის მიერ არ იქნა დადასტურებული ხარვეზის შეუსვებლობის საპატიო მიზეზი, რის გამოც მისი კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული განჩინება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

თ. კ-მისა და მ. ქ-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 14 დეკემბრის განჩინება;  
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **ხარვეზის შევსების ვადა**

#### **განჩინება**

1ას-335-312-10

27 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა სს «ბანკი ...» ს. ლ-მის, ლ. ლ-მის, ი. დ-შვილისა და შპს «ჰ-ს» მიმართ გენერალური და საკრედიტო ხელშეკრულებების შეწყვეტილად აღიარების, დავალიანების სოლიდარულად დაკისრებისა და მოპასუხეთა ქონების რეალიზაციის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით სს «ბანკი ...» სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. მოპასუხეებს – ს. ლ-მეს, ი. დ-შვილსა და შპს «ჰ-ს» სოლიდარულად დაეკისრათ სესხის ძირითადი თანხა – 41616.37 აშშ დოლარი და პროცენტი – 3264.19 აშშ დოლარი;

ს. ლ-მეს და შპს «ჰ-ს» სოლიდარულად დაეკისრათ პირგასამტეხლო 4631.62 აშშ დოლარი; არ დაკმაყოფილდა მოსარჩელე სს «ბანკი ...» მოთხოვნა ი. დ-შვილისათვის პირგასამტეხლოს 4631.62 აშშ დოლარის დაკისრებაზე, ასევე არ დაკმაყოფილდა სს «ბანკი ...» მოთხოვნა 2007 წლის 18 სექტემბრის იპოთეკის ხელშეკრულების ბათილობის გამო ი. ლ-მის კუთვნილი უძრავი ქონების იძულებითი აუქციონზე რეალიზაციის შესახებ.



აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ი. დ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2010 წლის 9 მარტის განჩინებით ი. დ-შვილის საჩივარი განუხილველად დატოვა შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2010 წლის 4 თებერვლის განჩინებით ი. დ-შვილის სააპელაციო საჩივარში არსებული ხარვეზის შესავსებად განესაზღვრა 10-დღიანი ვადა და დეველა მოცემულ ვადაში სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის – 598 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა და აღნიშნულის გადახდის დამადასტურებელი ქვითარის სააპელაციო სასამართლოში წარდგენა.

სააპელაციო პალატის 2010 წლის 4 თებერვლის განჩინება ხარვეზის დადგენის შესახებ აპელანტის მეუღლეს – ე. მ-მეს ჩაჰბარდა 2010 წლის 15 თებერვალს, რაც დასტურდება საქმეში არსებული საფოსტო შეტყობინების ბარათით.

ი. დ-შვილის მეუღლისათვის ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინების ჩაბარებით, პალატა დადგენილად მიიჩნევს რომ, აპელანტს განჩინება 2010 წლის 15 თებერვალს ჩაჰბარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

დადგენილი ხარვეზის შესახებ ვადის ათვლა დაიწყო 2010 წლის 16 თებერვლიდან და ამოიწურა 2010 წლის 25 თებერვალს.

სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ, ვინაიდან ი. დ-შვილმა არ გამოასწორა ხარვეზი, აღნიშნული გარემოება წარმოადგენს სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს.

აღნიშნული განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ი. დ-შვილის წარმომადგენელმა რ. ხ-იამ. მან მიუთითა, რომ ი. დ-შვილმა, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ვერ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი. ი. დ-შვილი არის პენსიონერი და არ გააჩნია შესაძლებლობა, გადაიხადოს სასამართლოს მიერ განსაზღვრული თანხა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია, მხარეს ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით გადაუვადოს სახელმწიფო ბაჟის გადახდა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებას. მათ სასამართლოს წარუდგინეს მტკიცებულების სახით ცნობა იმის შესახებ, რომ ი. დ-შვილი არის პენსიონერი და იღებს პენსიას – 80 ლარს, სხვა შემოსავალი კი მას არ გააჩნია. სასამართლომ კი არ გაითვალისწინა ი. დ-შვილის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა და დატოვა მისი სააპელაციო საჩივარი განუხილველად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ ი. დ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ პასუხობს ამ მუხლის მოთხოვნებს, ასევე, არ არის გადახდილი ბაჟი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს, თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი არ მიიღება.

ამავე კოდექსის 374-ე მუხლის თანახმად, თუ არ არსებობს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის პირობა, სასამართლომ გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2010 წლის 4 თებერვლის განჩინებით ი. დ-შვილს განესაზღვრა 10-დღიანი ვადა ხარვეზის შესავსებად. აღნიშნული განჩინება აპელანტის მეუღლეს ე. მ-მეს ჩაჰბარდა 2010 წლის 15 თებერვალს, რაც დასტურდება საქმეში არსებული საფოსტო შეტყობინების ბარათით. ხარვეზის შესახებ ვადის ათვლა დაიწყო 2010 წლის 16 თებერვლიდან და ამოიწურა 2010 წლის 25 თებერვალს. ვინაიდან აპელანტმა სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზი არ შეავსო, სააპელაციო სასამართლომ მისი სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობებათ სასამართლოს სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. ამავე კოდექსის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად კი, თუ სასამართლოს უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსამახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს, გარდა იმ შემთხვევებისა როცა ისინი განსახილველ საქმეში მონაწილეობენ როგორც მოწინააღმდეგე მხარეები. უწყების მიმღები ვალდებულია, უწყების მეორე ეგზემპლიარზე აღნიშნოს თავისი სახელი და გვარი, ადრესატთან დამოკიდებულება, დაკავებული თანამდებობა. უწყების მიმღები ვალდებულია, უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს. უწყების ჩაბარება ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაითვლება უწყების ჩაბარებად ადრესატისათვის, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლიარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ხარვეზის განჩინება ჩაბარებულად ითვლება ი. დ-შვილისათვის 2010 წლის 15 თებერვალს იმის გათვალისწინებით, რომ მის მეუღლეს – ე. მ-მეს ჩაჰბარდა აღნიშნული განჩინება და ხარვეზის შევსების ვადა ამოიწურა 25 თებერვალს. ი. დ-შვილმა სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზი არ შეავსო, მას ამ ვადაში არც განცხადებით მიუმართავს ხარვეზის ვადის გაგრძელების ან გადავადების შესახებ, რის გამოც მისი სააპელაციო საჩივარი დარჩა განუ-

ხილველად. გარდა ამისა, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ი. დ-შვილი, მართალია, პენსიონერია, მაგრამ მხოლოდ აღნიშნული არ შეიძლება გახდეს სახელმწიფო ბაჟის გადავადების საფუძველი. სხვა უტყუარი მტკიცებულება ქონებრივი მდგომარეობის შესახებ მხარეს არ წარუდგენია, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა განუხილველად მისი სააპელაციო საჩივარი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის თანახმად, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალსწინებით შეუძლია სასამართლოს, ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა ანდა შეამციროს მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ი. დ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 9 მარტის განჩინება;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **ხარვეზის გამოსწორების ვადის ათვლა**

#### **განჩინება**

1ას-469-439-2010

14 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**ვ. როინიშვილი,**  
**ლ. ლაზარაშვილი**

**დავის საგანი:** ვალდებულების შესრულების დავალდებულება, პირგასამტეხლოს, ზედმეტად გადახდილი თანხისა და ზიანის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ინდივიდუალურმა მეწარმე «ლ. ს-ძემ» სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს «ე-ს» მიმართ ვალდებულების შესრულების დავალდებულების, მისი არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანისა და პირგასამტეხლოს დაკისრების დავალდებულების შესახებ შემდეგი საფუძველებით: 2008 წლის 23 ოქტომბერს მხარეთა შორის დაიდო სასტუმრო «ვ-ს» ოთახების 3 თვით ქირავნობის ხელშეკრულება. მოპასუხეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება არ გადაუხდია.

მოპასუხემ შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს ინდივიდუალურ მეწარმე «ლ. ს-ძის» მიმართ ზედმეტად გადახდილი თანხის დაკისრებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და შპს «ე-ს» მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 10000 ლარისა და 2009 წლის 12 იანვრიდან 2009 წლის 25 თებერვლამდე ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 12050 აშშ დოლარის 0,2%-ის გადახდა, ინდივიდუალურ მეწარმე ლ. ს-ძეს 12050 აშშ დოლარის შპს «ე-სთვის» დაკისრებაზე ეთქვა უარი, შპს «ე-ს» შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და ინდივიდუალურ მეწარმე ლ. ს-ძეს დაეკისრა შპს «ე-სათვის» 16523 ლარის გადახდა, შპს «ე-ს» ზიანის ანაზღაურებაზე ეთქვა უარი.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში ინდივიდუალურმა მეწარმე «ლ. ს-ძემ» გასაჩივრა სააპელაციო წესით. ამავე გადაწყვეტილებაზე შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში შეგებებული სააპელაციო საჩივარი შეიტანა შპს «ე-მ».

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 აპრილის განჩინებით ინდივიდუალური მეწარმე ლ. ს-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: პალატამ დაადგინა, რომ ლ.ს-ძის სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი, განესაზღვრა საპროცესო ვადა – 10 დღე და დავალა სააპელაციო საჩივარზე თანდართული სახელმწიფო ბაჟის – 810 ლარის გადახ-

დის დამადასტურებელი ქვითრის დედნის წარმოდგენა და აღნიშნული თანხის გამოკლებით სახელმწიფო ბაჟის – 660,92 ლარისა და 587,56 აშშ დოლარის შესაბამისი ლარის გადახდა. განჩინება ხარვეზის შესახებ აპელანტს გაეგზავნა კანონით დადგენილი წესით.

საქმეში წარმოდგენილია შეტყობინების ბარათი გზავნილის ჩაბარების შესახებ, საიდანაც დასტურდება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 7 დეკემბრის განჩინება ხარვეზის შესახებ 2009 წლის 15 დეკემბერს ჩაჰბარდა აპელანტის წარმომადგენელ ივ. პ-შვილის მამას – დ. პ-შვილს, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე, 74-ე მუხლების შესაბამისად სასამართლომ გზავნილის მხარისათვისაც ჩაბარებულად მიჩნევის საფუძველად მიიჩნია.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ხარვეზის შევსების 10-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო 2009 წლის 16 დეკემბრიდან და ამოიწურა 2009 წლის 25 დეკემბერს, ანუ ხარვეზის შევსების უფლებამოსილება აპელანტს გააჩნდა 2009 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით. აპელანტმა ხარვეზის შესახებ განცხადებით სასამართლოს მიმართა მითითებული ვადის გასვლის შემდგომ – 2009 წლის 28 დეკემბერს, რაც პალატის მითითებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე, 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილისა და 374-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ინდივიდუალურმა მეწარმე «ლ. ს-ძემ» შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ სადავო ხარვეზის შესავსებად დადგენილი ვადა არასწორად აითვალა ი. პ-შვილისათვის მისი ჩაბარების მომენტიდან, ვინაიდან ჯერ კიდევ პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე ლ.ს-ძემ ივ.პ-შვილს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შეუწყვიტა. აღნიშნული გარემოება დაფიქსირებულია სასამართლო სხდომის ოქმში. თავად ლ.ს-ძეს ხარვეზის დადგენილ თაობაზე განჩინება ჩაჰბარდა 2009 წლის 19 დეკემბერს და სახელმწიფო ბაჟი მის მიერ გადახდილ და სააპელაციო პალატისათვის წარდგენილ იქნა ვადაში – 2009 წლის 28 დეკემბერს.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ინდივიდუალურ მეწარმე «ლ. ს-ძის» კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად შემდეგი საფუძველებით:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ზემოჩამოთვლილ მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი სასამართლო ავალეებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო განსაზღვრავს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომელიც ხარვეზის შესავსებად უნდა განხორციელდეს და საპროცესო ვადას, რომლის განმავლობაშიც აპელანტი ვალდებულია, შეასრულოს განჩინებაში დადგენილი მოქმედებები. ხარვეზის გამოსასწორებლად მხარისათვის დადგენილი ვადა აითვლება მისთვის ხარვეზის დადგენის თაობაზე განჩინების, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, ჩაბარების მომენტიდან. სასამართლოს მიერ მითითებული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ კი სააპელაციო საჩივარი დარჩება განუხილველად.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ სააპელაციო პალატამ სააპელაციო საჩივრის ხარვეზის გამოსწორების მიზნით მხარისათვის დადგენილი 10-დღიანი ვადა არასწორად აითვალა ხარვეზის დადგენის თაობაზე სასამართლო განჩინების ლ.ს-ძის წარმომადგენელ ივ.პ-შვილისათვის ჩაბარების მომენტიდან, ვინაიდან ახალციხის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 29 სექტემბრის სხდომის ოქმში დაფიქსირებულია ლ.ს-ძის განცხადება ივ.პ-შვილისათვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე. ამავე ოქმით დასტურდება, რომ სასამართლომ გაიზიარა ლ.ს-ძის მიერ ივ.პ-შვილისათვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის ფაქტი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ივ.პ-შვილს უფლება არ ჰქონდა უფლება, აპელანტის სახელით მონაწილეობა მიეღო სააპელაციო სასამართლოს მიერ მოცემული საქმის განხილვაში, შესაბამისად, ხარვეზის განჩინების მისთვის ჩაბარება აპელანტისათვის მის ჩაბარებას ვერ გაუთანაბრდება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და ინდივიდუალურ მეწარმე «ლ. ს-ძის» სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი ხელახლა განხილვისას პალატამ უნდა იმსჯელოს, აითვალოს თუ არა მოცემული ხარვეზის შესავსებად სასამართლოს მიერ აპელანტისათვის მიცემული 10-დღიანი ვადა 2009 წლის 19 დეკემბერს ხარვეზის დადგენის თაობაზე განჩინების პირადად ლ.ს-ძისათვის ჩაბარების მომენტიდან და შეაფასოს, მხარის მიერ 2009 წლის 28 დეკემბერს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის სასამართლოსათვის წარდგენით გამოასწორა თუ არა აპელანტმა ხარვეზი.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

**დაადგინა:**

ინდივიდუალური მეწარმე «ლ. ს-მის» კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 აპრილის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**ხარვეზის შეუვსებლობა**

**განჩინება**

1ას-455-426-2010

21 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება

**აღწერილობითი ნაწილი:**

გ. გ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში სს «ბანკი ...» და მუდმივმოქმედი არბიტრაჟის შპს «დ-ს» მიმართ 2008 წლის 8 დეკემბრის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: გასაჩივრებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით შეწვეტილად იქნა აღიარებული სს «ბანკი ...» და გ. გ-შვილის შორის დადებული 2008 წლის 16 მაისის '63949, ასევე, 2008 წლის 11 ივნისის '68084 საკრედიტო ხელშეკრულებები. შპს «დ-მა» საქმე განიხილა მოსარჩელისათვის სარჩელის ჩაუბარებლად და საქმის განხილვაზე სათანადო წესით მისი მიწვევის გარეშე, რითაც შეილახა მისი კანონიერი უფლებები.

შპს «დ-მა» სარჩელი არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით გ. გ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გ. გ-შვილმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 აპრილის განჩინებით გ.გ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 29 მარტის განჩინებით აპელანტს დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა 7 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის – 918 ლარის გადახდა. აღნიშნული განჩინების ასლი გ. გ-შვილს ჩაბარდა 2010 წლის 3 აპრილს და ხარვეზის გამოსასწორებლად დადგენილი ვადა ამოიწურა 2010 წლის 12 აპრილს, თუმცა აპელანტს ხარვეზი არ გამოუსწორებია და არც რაიმე შუამდგომლობით სააპელაციო პალატისათვის არ მიუმართავს. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე, 63-ე მუხლებით, 368-ე მუხლის მე-5 ნაწილით და მიიჩნია, რომ გ.გ-შვილის სააპელაციო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე გ. გ-შვილმა შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო პალატამ არასწორად მიიჩნია, რომ ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინება აპელანტს 2010 წლის 3 აპრილს ჩაჰბარდა, რადგან საფოსტო შეტყობინების ბარათზე მითითებულია, რომ სასამართლო გზავნილი გადაეცა ზ. გ-შვილს. ასეთი პიროვნება გ. გ-შვილის ოჯახის სრულწლოვანი წევრი და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე-74-ე მუხლებით გათვალისწინებული სუბიექტი არ არის. თავად აპელანტს კი სადავო სასამართლო განჩინება არ ჩაბარებია, შესაბამისად, არც ხარვეზის გამოსწორების ვადის ათვლა არ დაწყებულა.

სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე დაადგინა, რომ 2010 წლის 29 მარტის განჩინებით გ. გ-შვილის სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა 7-დღიან ვადაში მისი გამოსწორება.

ზემოხსენებული განჩინება გ. გ-შვილს გაეგზავნა მის მიერ მითითებულ მისამართზე და, საქმის მასალებში წარმოდგენილი საფოსტო შეტყობინების მიხედვით, 2010 წლის 3 აპრილს ჩაჰბარდა ზ. გ-შვილს, აპელანტის ნათესავს.

სასამართლოს მიერ განსაზღვრულ 7-დღიან ვადაში გ. გ-შვილს ხარვეზი არ გამოუსწორებია და არც სხვა რაიმე შუამდგომლობა სააპელაციო პალატისათვის არ წარუდგენია.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. გ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ზემოჩამოთვლილ მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი სასამართლო ავალსაჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო განსაზღვრავს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომელიც ხარვეზის შესავსებად უნდა განხორციელდეს და საპროცესო ვადას, რომლის განმავლობაშიც აპელანტი ვალდებულია, შეასრულოს განჩინებაში დადგენილი მოქმედებები. სასამართლოს მიერ მითითებული ვადის გასვლის შემდეგ კი სააპელაციო საჩივარი დარჩება განუხილველი.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ 2010 წლის 29 მარტის განჩინება სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენის თაობაზე 2010 წლის 3 აპრილს ჩაპბარდა აპელანტ გ. გ-შვილის ოჯახის სრულწლოვან წევრ ზ. გ-შვილს, რაც სასამართლო გზავნილის მხარისათვისაც ჩაბარებულად მიიჩნევის საფუძველია, კერძოდ:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაპბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს.

დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლო უწყების მხარისათვის ჩაბარებულად მიჩნევისათვის აუცილებელია, იგი ჩაბარდეს პირადად მხარეს ან, ამავე კოდექსის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მასთან მცხოვრებ ოჯახის სრულწლოვან წევრს.

დაუსაბუთებელია კერძო საჩივრის ავტორის მითითება, რომ სასამართლო გზავნილის მიმღები ზ. გ-შვილი ზემოხსენებული ნორმებით გათვალისწინებული ადრესატის ოჯახის სრულწლოვანი წევრი არ არის, ვინაიდან საფოსტო შეტყობინებაზე არსებული ინფორმაციით საწინააღმდეგო დასტურდება. საფოსტო შეტყობინების უსწორობის დამადასტურებელი მტკიცებულება კი გ. გ-შვილს არ წარმოუდგენია, ხოლო ასეთი გარემოების დასადგენად მხოლოდ გ.გ-შვილის განმარტება საკმარისი არ არის.

ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ გ.გ-შვილის სააპელაციო საჩივარი მართებულად დატოვა განუხილველად და გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

გ. გ-შვილი კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.  
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 აპრილის განჩინება დარჩეს უცვლელად.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**ხარვეზის შეუვსებლობა**

**განჩინება**

1ას-377-350-2010 5 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
პ. ქათამაძე

კერძო საჩივრის დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

### აღწერილობითი ნაწილი:

ფოთის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებით სს «... ბანკის» სარჩელი დაკმაყოფილდა, კერძოდ:

1. შპს «... 2004-ს», ზ. ა-იასა და ვ. კ-იას სოლიდარულად დაეკისრათ დავალიანების – 296 953.91 აშშ დოლარის გადახდა, საიდანაც მოპასუხეების სრული დავალიანება 2007 წლის 23 აგვისტოს სს «... ბანკისა» და შპს «... 2004-ს» შორის გაფორმებული 1778624-732345 საბანკო კრედიტის შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, 2009 წლის 29 მაისის მდგომარეობით შეადგენს 167 689.76 აშშ დოლარს, საიდანაც დავალიანების ძირითადი თანხაა 153 908.61 აშშ დოლარი, სარგებელი – 10 322.43 აშშ დოლარი, ჯარიმა ვადაგადაცილებაზე 2 908.76 აშშ დოლარი, დაზღვევის პრემია 549.96 აშშ დოლარი; ხოლო 2008 წლის 25 ივნისს სს «... ბანკსა» და შპს «... 2004-ს» შორის გაფორმებული 1778624-945231 საბანკო კრედიტის შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოპასუხეების სრული დავალიანება 2009 წლის 29 მაისის მდგომარეობით შეადგენს 129 264.15 აშშ დოლარს, საიდანაც დავალიანების ძირითადი თანხაა 90 552.76 აშშ დოლარი, სარგებელი – 8 082.77 აშშ დოლარი, ჯარიმა ვადაგადაცილებაზე 30 158.86 აშშ დოლარი, დაზღვევის პრემია 469.76 აშშ დოლარი;

2. შპს «... 2004-ს», ზ. ა-იასა და ვ. კ-იას სოლიდარულად დაეკისრათ 1778624-732345 ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების ძირითად თანხაზე – 153 908.61 აშშ დოლარზე წლიური 17%-ის გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ თვეზე სარჩელის შეტანიდან დავალიანების სრულ დაფარვამდე, რაც ყოველთვიურად შეადგენს 2 180.37 აშშ დოლარს;

3. შპს «... 2004-ს», ზ. ა-იასა და ვ. კ-იას სოლიდარულად დაეკისრათ 1778624-945231 ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების ძირითად თანხაზე – 90 552.76 აშშ დოლარზე წლიური 18%-ის გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ თვეზე სარჩელის შეტანიდან დავალიანების სრულ დაფარვამდე, რაც ყოველთვიურად შეადგენს 1 358.29 ლარს;

4. შპს «... 2004-ს», ზ. ა-იასა და ვ. კ-იას სოლიდარულად დაეკისრათ 1778624-732345 ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების ძირითად თანხაზე – 153 908.61 აშშ დოლარზე 0.2%-ის გადახდა გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სარჩელის შეტანიდან დავალიანების სრულ დაფარვამდე, რაც ყოველდღიურად შეადგენს 307.81 აშშ დოლარს;

5. შპს «... 2004-ს», ზ. ა-იასა და ვ. კ-იას სოლიდარულად დაეკისრათ 1778624-945231 ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების ძირითად თანხაზე – 90 552.76 აშშ დოლარზე 0.2%-ის გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სარჩელის შეტანიდან დავალიანების სრულ დაფარვამდე, რაც ყოველდღიურად შეადგენს 181.10 აშშ დოლარს;

6. დადგინდა სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული შემდეგი ქონების იძულებითი რეალიზაცია აუქციონის წესით:

ა. ზ. ა-იას კუთვნილი უძრავი ქონება, მდებარე ზუგდიდი, ... და ..... ქუჩების გადაკვეთაზე, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 1.... ზონა – ზუგდიდი 43, სექტორი – ... 33, კვარტალი – 01, ნაკვეთი – 001, ფართობი – 600კვ.მ (დაუზუსტებელი);

ბ. ზ. ა-იას კუთვნილი უძრავი ქონება, მდებარე ზუგდიდში, სოფელი ..., მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 1.... ზონა – ზუგდიდი 43, სექტორი – ... 17, კვარტალი – 03, ნაკვეთი – 112, ფართობი – 600კვ.მ (დაუზუსტებელი);

გ. ლ. ფ-ავას კუთვნილი უძრავი ქონება, მდებარე ზუგდიდში, ... ქ. 166, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 1.... ზონა – ზუგდიდი 43, სექტორი – ... 36, კვარტალი – 01, ნაკვეთი – 356, ფართობი – 424კვ.მ (დაუზუსტებელი);

დ. ლ. ა-იას კუთვნილი უძრავი ქონება, მდებარე ზუგდიდში, ... ქ. 1137, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 1.... ზონა – ზუგდიდი 43, სექტორი – ... 34, კვარტალი – 02, ნაკვეთი – 022, ფართობი – 600კვ.მ (დაუზუსტებელი).

პირველი ინსტანციის სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს შპს «... 2004-მა», ზ. ა-იამ, ლ. ა-იამ, ვ. კ-იამ და ლ. ფ-ავამ (წარმომადგენელი გ. ფ-ია), რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 18 დეკემბრის განჩინებით შპს «... 2004-ის», ლ. ა-იას, ვ. კ-იასა და ლ. ფ-ავას სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი, კერძოდ, აპელანტებს დაევაღათ, აღნიშნული განჩინების ასლის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 7 000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენა. მათვე განემარტათ, რომ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველი.

2010 წლის 4 იანვარს შპს «... 2004-ის» დირექტორმა ზ. ა-იამ სააპელაციო სასამართლოს მიმართა განცხადებით და იშუამდგომლა ხარვეზის ვადის ერთ თვით გაგრძელება იმ საფუძველით, რომ საზოგადოება განიცდიდა ფინანსურ კრიზისს და ათი დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის გადახდის შესაძლებლობა არ გააჩნია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 იანვრის განჩინებით აპელანტებს გაუგრძელდათ ხარვეზის შევსების ვადა განჩინების გადაცემიდან 14 დღით.

2010 წლის 1 თებერვალს შპს «... 2004-ის» დირექტორმა ზ. ა-იამ სააპელაციო სასამართლოში კვლავ წარადგინა განცხადება, რომელსაც თან დაურთო სახელმწიფო ბაჟის – 100 ლარის გადახდის ქვითარი, ხოლო დარჩენილი ნაწილის დასაფარად ითხოვა ხარვეზის ვადის გაგრძელება კიდევ ერთი თვით, ან სახელმწიფო ბაჟის დარჩენილი ნაწილის გადახდის გადავადება საზოგადოების მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო. განმცხადებელმა მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა საქართველოს კონსტიტუციაზე, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 თებერვლის განჩინებით შპს «... 2004», ზ. ა-იასა და სხვებს გაუგრძელდათ ხარვეზის შევსებისათვის დადგენილი ვადა განჩინების გადაცემიდან 7 დღით.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მართალია, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა იძლევა მხარის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების შესაძლებლობას მისი ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში აპელანტებს არ წარუდგენიათ მათი ეკონომიური მდგომარეობისა და გადამხდელუნარიანობის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები.

2010 წლის 23 თებერვალს შპს «... 2004-ის» დირექტორმა ზ. ა-იამ სააპელაციო სასამართლოში წარადგინა ახალი განცხადება, რომლითაც იმავე საფუძვლით (მძიმე ფინანსური მდგომარეობა) ითხოვა ხარვეზის ვადის 1 თვით გაგრძელება. ამასთან, მან განცხადებას თან დაურთო სახელმწიფო ბაჟის ნაწილის – 150 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 თებერვლის განჩინებით შპს «... 2004-ის» დირექტორ ზ. ა-იას შუამდგომლობა ხარვეზის ვადის გაგრძელების შესახებ არ დაკმაყოფილდა, შპს «... 2004-ის», ლ. ა-იას, ვ. კ-იასა და ლ. ფ-ავას სააპელაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად, შპს «... 2004-ის» დირექტორ ზ. ა-იას დაუბრუნდა შპს «... 2004-ის» მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 250 ლარი.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით აპელანტებს – შპს «... 2004», ზ. ა-იას, ლ. ა-იას, ვ. კ-იასა და ლ. ფ-ავას 2010 წლის 6 იანვრისა და შემდგომ კვლავ 7 თებერვლის განჩინებებით გაუგრძელდათ ხარვეზის შევსების ვადა. 2010 წლის 23 თებერვალს სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი შუამდგომლობით შპს «... 2004-ის» დირექტორმა ითხოვა ხარვეზის ვადის კიდევ გაგრძელება ერთ თვით. შუამდგომლობის ავტორის აღნიშნული მოთხოვნა მოტივირებულია იმით, რომ შპს «... 2004» სახელმწიფო ბაჟის გადახდის არანაირი ფინანსური შესაძლებლობა არა აქვს. დასახელებული გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება აპელანტს სასამართლოში არ წარუდგენია, რაც სასამართლოს მისცემდა იმის შეფასების საშუალებას, თუ რამდენად მართებული იქნებოდა სახელმწიფო ბაჟის გადახდისათვის დადგენილი ვადის კვლავ გაგრძელება.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ მოცემული საქმე ხარვეზის შევსების ეტაპზე იმყოფებოდა 2 თვეზე მეტი ვადის განმავლობაში, თუმცა ამ დროის მანძილზე მხარეებს დამატებით რაიმე მტკიცებულება არ წარუდგენიათ. სააპელაციო სასამართლომ არსებული რეალობის პირობებში ხარვეზის ვადის კვლავ გაგრძელება, ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით, არაგონივრულად და არასამართლიანად მიიჩნია.

სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 24 თებერვლის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს შპს «... 2004-მა», ლ. ა-იამ, ვ. კ-იამ და ლ. ფ-ავამ (წარმომადგენელი გ. ფ-ია), რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, მათი სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა და საქმის არსებითად განსახილველად სააპელაციო სასამართლოში დაბრუნება.

კერძო საჩივრის ავტორების მითითებით, სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საკითხის გადაწყვეტისას არ იმსჯელა იმ გარემოებაზე, თუ რატომ არ მიიჩნეოდა შპს «... 2004-ის» მძიმე ქონებრივი მდგომარეობის დამადასტურებელ მტკიცებულებებად საქმეში არსებული რიგი მასალები – საბანკო დაწესებულების ცნობები, გაანგარიშებები, საბანკო ანგარიშის ამონაწერები. დასახელებული მტკიცებულებებიდან ნათლად ირკვეოდა, თუ რა მძიმე მდგომარეობაში იმყოფება შპს «... 2004». საგულიხმოა, რომ განსახილველი დავა სწორედ საზოგადოების მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო წარმოიშვა.

კერძო საჩივრის ავტორთა მოსაზრებით, შპს «... 2004-ის» მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებული იყო, შეემცირებინა გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ან გადაევადებინა მისი გადახდა საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე, რაც არ განუხორციელებია.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელა-

ციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 თებერვლის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ პასუხობს ამ მუხლის მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

საქმის მასალების თანახმად, აპელანტებს – შპს «... 2004-ს», ზ. ა-იას, ლ. ა-იას, ვ. კ-იასა და ლ. ფ-ავას შპს «... 2004-ის» შუამდგომლობების საფუძველზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 6.01.2010წ. და 7.02.2010წ. განჩინებებით ორჯერ გაუგრძელდათ სააპელაციო საჩივრის ხარვეზის შევსების ვადა; მათვე არაერთხელ განემარტათ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ აპელანტებს საკმაოდ დრო ჰქონდათ სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად ან მათი სრული ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი მტკიცებულებების სააპელაციო სასამართლოში წარსადგენად, მათ შუამდგომლობა ხარვეზის ვადის გაგრძელების შესახებ არ დაუსაბუთებიათ მხარის მძიმე ფინანსური მდგომარეობის დამადასტურებელი მტკიცებულებებით. ამასთან, საგულისხმოა, რომ თითოეულ შემთხვევაში შუამდგომლობის ავტორი ყველა აპელანტისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების საფუძველად მიუთითებდა მხოლოდ შპს «... 2004-ის» და არა დანარჩენი აპელანტების მძიმე ქონებრივ მდგომარეობას. იგივეს აღნიშნავენ კერძო საჩივრის ავტორები წარმოდგენილ კერძო საჩივარშიც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს შპს «... 2004-ის», ზ. ა-იას, ლ. ა-იას, ვ. კ-იასა და ლ. ფ-ავას სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისას კანონი არ დაურღვევია, რის გამოც არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

შპს «... 2004-ის», ზ. ა-იას, ლ. ა-იას, ვ. კ-იასა და ლ. ფ-ავას (წარმომადგენელი გ. ფ-ია) კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 თებერვლის განჩინება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **ხარვეზის შეუვსებლობა**

#### **განჩინება**

1ას-460-431-2010

12 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
პ. ქათამაძე

დავის საგანი: პირთა ნათესაური კავშირის დადგენა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2009 წლის 14 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას განცხადებით მიმართა ქ. ქ-შვილმა მასა და მის მშობლებს – ბ. ბ-იონსა და ე. ქ-შვილს შორის იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის – პირთა ნათესაური კავშირის დადგენის მოთხოვნით.

განმცხადებელი მიუთითებდა, რომ მისი მშობლები იყვნენ ბ. ბ-იონი და ე. ქ-შვილი. მისივე მითითებით, იგი დაიბადა 1945 წლის 8 მარტს, მამის გარდაცვალების დღეს, საქართველოს სსრ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ლენინგორის რაიონის სოფელ მონასტერში. გაურკვეველი მიზეზების გამო სამშობიაროდან დედის გვარზე გამოიყვანეს. იურიდიული ძალის მქონე დაბადების მოწმობის მისაღებად საჭირო იყო დადგენილიყო იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა პირთა ნათესაური კავშირის შესახებ, რათა ახალ დაბადების მოწმობაში ჩაწერილიყო ქ. ქ-შვილის მშობლების სახელები და გვარები. განმცხადებლის



მითითებით, მან მიმართა სამოქალაქო რეესტრის სამსახურს, სადაც უარის განუცხადეს დაბადების მოწმობაში მშობლების ვინაობის ჩაწერაზე სასამართლოს მიერ ნათესაური კავშირის ფაქტის დადგენამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილებით ქ. ქ-შვილის განცხადება პირთა ნათესაური კავშირის დადგენის შესახებ არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საგარეჯოს სამსახურის მიერ გაცემული ცნობის მიხედვით, ქ. ქ-შვილს არ ჰქონდა დაბადების შესახებ სამედიცინო ცნობა და მშობლების ქორწინების მოწმობა. სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის მიერ გაცემული ცნობის შესაბამისად საქართველოს ნოტარიუსთა პალატას არ მოეპოვებოდა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მოქმედი ნოტარიუსების თაობაზე ინფორმაცია, ხოლო ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მოქმედი ორგანოების მიერ გაცემული რაიმე დოკუმენტი საქართველოს ტერიტორიაზე ვერ იქნებოდა მიჩნეული იურიდიული ძალის მქონედ. ასევე, საქმეში წარმოდგენილი იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სამოქალაქო აქტების ცენტრალური არქივის მიერ გაცემული ცნობით დგინდებოდა, რომ 1945 წლის ლენინგორის რაიონის მასალა არქივში არ ინახებოდა, რის გამოც ვერ დასტურდებოდა ქ. ქ-შვილის დაბადებისა და მისი მშობლების ვინაობის შესახებ ინფორმაციისა და ბ. ბ-იონის გარდაცვალების ფაქტის სისწორე.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. ქ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა პირთა ნათესაური კავშირის შესახებ. აპელანტი მიუთითებდა, რომ მას არ შეეძლო დაბადების მოწმობის აღება, ვინაიდან არ გააჩნდა მშობლების პირადობის მოწმობები და მისი დაბადების შესახებ სააქტო ჩანაწერი. საჭირო დოკუმენტაციის მოპოვება შეუძლებელი იყო სამხრეთ ოსეთში შექმნილი საომარი მოქმედების გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 მარტის განჩინებით ქ. ქ-შვილს სააპელაციო საჩივარზე დაუდგინდა ხარვეზი, კერძოდ, დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში დაეზუსტებინა, თუ ვისა და ვის შორის და რა სახის ნათესაური კავშირის დადგენას ითხოვდა. ამავე ვადაში აპელანტს ასევე დაევალა სახელმწიფო ბაჟის – 75 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა.

2010 წლის 14 აპრილს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა ქ. ქ-შვილმა, რომელმაც მიუთითა, რომ ჩაჰბარდა ხარვეზის შესახებ განჩინება და ითხოვა მისი სააპელაციო საჩივრის განმხილველი მოსამართლის აცილება და საქმის სხვა მოსამართლისათვის გადაცემა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 23 აპრილის განჩინებით ქ. ქ-შვილის სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქ. ქ-შვილს ხარვეზის შესახებ განჩინების ასლი ჩაჰბარდა 2010 წლის 13 აპრილს. ხარვეზის შევსებისათვის დადგენილი 5-დღიანი ვადა ამოიწურა 2010 წლის 18 აპრილს, რომელიც იყო უქმე დღე. შესაბამისად, ხარვეზის შევსების ვადა ამოიწურა მომდევნო პირველ სამუშაო დღეს – 19 აპრილს, ხოლო აპელანტის მიერ ხარვეზი არ იქნა შევსებული.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ქ. ქ-შვილმა, რომელმაც ითხოვა მისი განცხადების განხილვა. კერძო საჩივარში მითითებულია, რომ ქ. ქ-შვილმა ხარვეზის შესახებ განჩინების ჩაბარების შემდეგ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიმართა განცხადებით, სადაც მოითხოვა საქმის სხვა მოსამართლისათვის განსახილველად გადაცემა. კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, აცილების საკითხთან დაკავშირებით შეტანილ განცხადებაზე პასუხის მიღებამდე მას აღარ ესაჭიროებოდა სააპელაციო სასამართლოში განცხადების შეტანა სააპელაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზის შესახებ.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. ქ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 23 აპრილის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 მარტის განჩინებით ქ. ქ-შვილს დაევალა სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შევსება.

გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათით დასტურდება, რომ ხარვეზის შესახებ განჩინების ასლი აპელანტის მიერ მითითებულ მისამართზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად ჩაიბარა შვილმა 2010 წლის 13 აპრილს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60-61-ე მუხლების შესაბამისად, ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო მოქმედების შესრულების 5-დღიანი ვადის ათვლა მოცემულ შემთხვევაში დაიწყო 2010 წლის 14 აპრილს და დასრულდა 19 აპრილს. სააპელაციო საჩივრის ხარვეზი აპელანტს არ შეუვსია.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს აპელანტის მსჯელობას, რომ, რამდენადაც მან სააპელაციო სასამართლოს მიმართა საქმის განმხილველი მოსამართლის აცილების განცხადებით, აცილების საკითხის გადაწყვეტამდე აღარ ესაჭიროებოდა რაიმე სახის განცხადების შეტანა მის სააპელაციო საჩივარზე დადგენილ ხარვეზთან დაკავშირებით. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ აპელანტი აღნიშნული განცხადებით ითხოვდა მხოლოდ მოსამართლის აცილებას და მას რაიმე შუამდგომლობა ხარ-

ვეზის შევსების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით არ წარუდგენია. შესაბამისად, აცილების შესახებ განცხადების წარდგენა ვერ შეაჩერებდა ხარვეზის შევსების ვადის დენას. ამასთან, მოსამართლის აცილების საკითხის გადაწყვეტა მოცემულ შემთხვევაში არ წარმოადგენდა ისეთ საპროცესო მოქმედებას, რომელიც გავლენას მოახდენდა ქ. ქ-შვილის სააპელაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზის შევსების საკითხზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში სწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილი, რომლის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს ქ. ქ-შვილის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისას კანონი არ დაურღვევია, რის გამოც არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ქ. ქ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 23 აპრილის განჩინება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **ხარვეზის შეუვსებლობა**

#### **განჩინება**

1ას-528-496-2010

19 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: **ლ. ლაზარაშვილი** (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
**ნ. კვანტალიანი**,  
**პ. ქათამაძე**

**დავის საგანი:** უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2008 წლის 10 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა ე. ჩ-შვილმა მოპასუხეების – გ. გ-ავასა და ვ. გ-ავას მიმართ მიმართ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის, ხელშეშლის აღკვეთისა და გამოსახლების მოთხოვნით.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ მოსარჩელე 1999 წლიდან 2005 წლამდე მეუღლესთან და 3 არასრულწლოვან შვილთან ერთად ცხოვრობდა ავტოფარეში, რის გამოც განცხადებით მიმართა ქ. თბილისის მერიას, სადაც ითხოვა დახმარება ბინით დაკმაყოფილების საკითხში. საბინაო კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი და ქ. თბილისის მთავრობის დადგენილებით მოსარჩელეს გამოეყო 43,2 კვ.მ საცხოვრებელი ბინა. აღნიშნულ ბინაში უკანონოდ შეიჭრნენ აფხაზეთიდან დევნილები ვ. და გ. გ-ავები, რომლებიც მოსარჩელეს არ აძლევდნენ კუთვნილი ბინით სარგებლობის შესაძლებლობას.

მოპასუხეებმა გ. და ვ. გ-ავებმა იმავე სასამართლოში შეგებებული სარჩელი წარადგინეს. შეგებებული სარჩელის ავტორებმა მოითხოვეს 2004 წლის 12 მარტის საცხოვრებელი ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულებისა და საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 23 იანვრის საოქმო განჩინებით გ. და ვ. გ-ავების შეგებებული სარჩელი საცხოვრებელი ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულებისა და საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობის თაობაზე გამოეყო ცალკე წარმოებად და განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილებით ე. ჩ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა, დადგინდა გ. და ვ. გ-ავების სადავო ბინიდან გამოსახლება. სასამართლომ მიუთითა, რომ, მართალია, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს 2007

წლის 19 ივნისის ცნობიდან ირკვეოდა აღნიშნული კორპუსისათვის დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ობიექტის სტატუსის მინიჭება, მაგრამ ამავე სამინისტროს 2008 წლის 9 სექტემბერს გაცემულ ცნობაში მითითებული იყო, რომ აღნიშნულ კორპუსში არც ერთი დევნილი არ იყო ჩაწერილი. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ე. წ. შვილისათვის ქ. თბილისის მთავრობის დადგენილებით სადავო ბინის გადაცემა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს გ. და ვ. გ-ავებმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება. აპელანტები მიუთითებდნენ, რომ კორპუსი, სადაც განთავსებული იყო სადავო ბინა, წარმოადგენდა დევნილთა კომპაქტურად განთავსების ობიექტს, რის გამოც იძულებით გადაადგილებულ პირთა დევნილთა შესახებ საქართველოს კანონით გამოირიცხებოდა აღნიშნულ ობიექტში ჩასახლებულ პირთა გამოსახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 6 ოქტომბრის განჩინებით გ. და ვ. გ-ავების სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი, აპელანტებს დაევალოთ, განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში შემწეობის მიღების დამადასტურებელი მტკიცებულების ან სახელმწიფო ბაჟის – 160 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას შუამდგომლობით მიმართეს აპელანტებმა და ითხოვეს სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირება ან მისი გადახდის გადავადება, წინააღმდეგ შემთხვევაში ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელება განჩინების ჩაბარებიდან 20 დღით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 5 ნოემბრის განჩინებით აპელანტებს გაუგრძელდათ ხარვეზის შევსების ვადა განჩინების ჩაბარებიდან 10 დღით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 იანვრის განჩინებით გ. და ვ. გ-ავების სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 6 ოქტომბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა აპელანტების შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან გათავისუფლების შესახებ. 2010 წლის 5 ნოემბრის განჩინებით აპელანტებს გაუგრძელდათ ხარვეზის შევსების ვადა განჩინების ჩაბარებიდან 10 დღით და განემარტათ, რომ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნებოდა დატოვებული. აღნიშნული განჩინება აპელანტებს ჩაჰბარდათ 2010 წლის 5 იანვარს, ხოლო აპელანტების მიერ ხარვეზი არ შევსებულა.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანეს გ. და ვ. გ-ავებმა, რომლებმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვეს.

კერძო საჩივრის ავტორების მითითებით, ხარვეზის ვადის გაგრძელების შესახებ განჩინება ჩაჰბარდათ 2010 წლის 5 იანვარს. მატერიალური მდგომარეობის გამო 2010 წლის 15 იანვრამდე მათ ვერ შეძლეს 160 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდა. კერძო საჩივრის ავტორები ასევე მიუთითებენ, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა დევნილთა შესახებ საქართველოს კანონით გასსაზღვრულია მათი სოციალური სტატუსი – დევნილი, რაც საკმარისი საფუძველი უნდა ყოფილიყო მათი ქონებრივი მდგომარეობის შესაფასებლად და ამ საფუძველით სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან გასათავისუფლებლად ან მისი გადახდის ოდენობის შესამცირებლად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძველების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ გ. და ვ. გ-ავების კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 იანვრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ სააპელაციო საჩივარში ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 5 ნოემბრის განჩინების ასლი აპელანტებს ჩაჰბარდათ 2010 წლის 5 იანვარს. სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში აპელანტებს ხარვეზი არ შეუვსიათ და არც ხარვეზის შეუვსებლობის საპატიო მიზეზის შესახებ უცნობებიათ სასამართლოსთვის. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60-61-ე მუხლების შესაბამისად, ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო მოქმედების შესრულების 10-დღიანი ვადის ათვლა მოცემულ შემთხვევაში დაიწყო 2010 წლის 6 იანვარს და დასრულდა 2010 წლის 15 იანვარს. აღნიშნულ ვადაში სააპელაციო საჩივრის დადგენილი ხარვეზი აპელანტებს არ შეუვსიათ.

მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან გათავისუფლების კანონით გათვალისწინებული საფუძველები, ხოლო მათი ამჟამინდელი სრული ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი მტკიცებულებები, რაც სააპელაციო სასამართლოს შესაძლებლობას მისცემდა, გამოეყენებინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე-48-ე მუხლები, აპელანტების მიერ არ ყოფილა წარდგენილი. სააპელაციო სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში სწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-ხუთე ნაწილი, რომლის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს გ. და ვ. გ-ავების სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისას კანონი არ დაურღვევია, რის გამოც არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საპროცესო საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

გ. და ვ. გ-ავების კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 29 იანვრის განჩინება;  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **ხარვეზის დროული შეუვსებლობა**

#### **განჩინება**

1ას-598-561-2010

26 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
პ. ქათამაძე

**სარჩელის დავის საგანი:** თანხის დაკისრება, იპოთეკისა და გირავნობის საგნის რეალიზაცია

**კერძო საჩივრის დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2009 წლის 1 ოქტომბერს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა სს «ბანკმა რესპუბლიკამ» მოპასუხეების – ბ. ც-ძის, ს. ც-ძისა და ნ. მ-ძის მიმართ თანხის დაკისრებისა და იპოთეკისა და გირავნობის ხელშეკრულებების საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ სს «ბანკ ...» და ნ. მ-ძეს შორის 2008 წლის 12 იანვარს გაფორმდა საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე მსესხებელზე გაიცა კრედიტი 10 000 აშშ დოლარი 2010 წლის 12 მარტამდე. ხელშეკრულებით განისაზღვრა სესხით სარგებლობის წლიური 24%. სესხი უნდა დაფარულიყო შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით ყოველთვიურად. საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა ბ. ც-ძის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება. სს «ბანკ ...» და ნ. მ-ძეს შორის დაიდო გირავნობის ხელშეკრულება ნ. მ-ძის კუთვნილ მოძრავ ნივთებზე, ხოლო ს. ც-ძემ ბანკთან გაფორმებული თავდებობის ხელშეკრულებით იკისრა სოლიდარული პასუხისმგებლობა საკრედიტო ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების შესრულებაზე. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ მსესხებლის მიერ არაერთხელ დაირღვა კრედიტის დაფარვის შეთანხმებული გრაფიკი, რის თაობაზეც გაფრთხილდნენ მსესხებელი და თავდები პირი. მოსარჩელის მითითებით, 2009 წლის 21 სექტემბრის მდგომარეობით ნ. მ-ძის საკრედიტო დავალიანება შეადგენდა 5 646.97 აშშ დოლარს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილებით სს «ბანკი ...» სარჩელი დაკმაყოფილდა – ს. ც-ძესა და ნ. მ-ძეს დაეკისრა 9 188.72 აშშ დოლარის გადახდა სს «ბანკი ...» სასარგებლოდ, დავალიანების დაფარვის მიზნით აუქციონზე სარეალიზაციოდ მიექცა ბ. ც-ძის საკუთრებაში არსებული იპოთეკით დატვირთული ქონება და ნ. მ-ძის კუთვნილი, გირავნობით დატვირთული ქონება. სასამართლომ აღნიშნა, რომ მთავარ სხდომაზე მოპასუხეთა წარმომადგენელმა ს. ც-ძემ ცნო სარჩელი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ბ. ც-ძემ, ს. ც-ძემ და ნ. მ-ძემ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 აპრილის განჩინებით ბ. ც-ძის, ს. ც-ძისა და ნ. მ-ძის სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი. აპელანტებს დაევალიათ განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში 406 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 14 მაისის განჩინებით ბ. ც-ძის, ს. ც-ძისა და ნ. მ-ძის სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ბ. ც-ძეს, ს. ც-ძესა და ნ. მ-ძეს ხარვეზის შესახებ განჩინების ასლი ჩაჰზარდათ 2010 წლის 29 აპრილს. ხარვეზის შევსებისათვის დადგენილი 5-დღიანი ვადა ამოიწურა 2010 წლის 4 მაისს, რომელიც იყო სამუშაო დღე – სამშაბათი, ხოლო აპელანტებს ხარვეზი არ შეუვსიათ.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს ბ. ც-ძემ, ს. ც-ძემ და ნ. მ-ძემ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება. კერძო საჩივრის ავტორები მიუთითებენ, რომ სასამართლოს საპროცესო ვადის ხანგრძლივობის განსაზღვრისას უნდა გაეთვალისწინებინა იმ საპროცესო მოქმედების შესრულების შესაძლებლობა, რისთვისაც ეს ვადა დაინიშნა. სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა გადასახდელი თანხის ოდენობა და აპელანტებისათვის განესაზღვრა გონივრული ვადა ხარვეზის შესავსებად. კერძო საჩივარში ასევე აღნიშნულია, რომ სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტი, რომლის თანახმად სასამართლოს განჩინებაში უნდა აღინიშნოს განჩინების მიმღები სასამართლოს დასახელება, შემადგენლობა და სასამართლო სხდომის მდივანი, მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებულ განჩინებაში კი არ არის მითითებული სხდომის მდივანი, რაც განჩინების გაუქმების საფუძველია. კერძო საჩივრის ავტორები ასევე უთითებენ, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძველების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ბ. ც-ძის, ს. ც-ძისა და ნ. მ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 მაისის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 მარტის განჩინებით ბ. ც-ძის, ს. ც-ძისა და ნ. მ-ძის სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი.

გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათებით დასტურდება, რომ ხარვეზის შესახებ სასამართლო განჩინების გზავნილი აპელანტებს ჩაჰზარდათ 2010 წლის 29 აპრილს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 60-61-ე მუხლების შესაბამისად, ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო მოქმედების შესრულების 5-დღიანი ვადის დენა მოცემულ შემთხვევაში დაიწყო 2010 წლის 30 აპრილს და დასრულდა 2010 წლის 4 მაისს. დადგენილ ვადაში აპელანტებს ხარვეზი არ შეუვსიათ და არც ხარვეზის შეუვსებლობის საპატიო მიზეზის შესახებ უცნობებით სასამართლოსთვის.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში სწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილი, რომლის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორების მსჯელობას, რომ ხარვეზის შესავსებად დანიშნული 5 დღე მოცემულ შემთხვევაში იყო არაგონივრული ვადა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ აპელანტებისათვის სააპელაციო საჩივარზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შესახებ ცნობილი გახდა არა ხარვეზის შევსების შესახებ განჩინებით, არამედ – პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანისთანავე, საიდანაც მათ გონივრული ვადა ჰქონდათ, მომზადებულიყვნენ სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად. ამასთან, მათ ასევე შეეძლოთ, ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების შუამდგომლობით მიემართათ სააპელაციო სასამართლოსთვის, რისი შესაძლებლობაც არ გამოუყენებიათ. რაც შეეხება სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან გათავისუფლების საფუძველებისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის პირობის არსებობას, აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება კერძო საჩივრის ავტორებს სააპელაციო სასამართლოსთვის არ წარუდგენიათ.

საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორების მსჯელობას, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტი, როდესაც განჩინებაში არ მიუთითა სასამართლო სხდომის მდივანი. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი გადაწყვეტილია საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, რა დროსაც სხდომის მდივანი არ მონაწილეობს საქმის განხილვაში და მის შესახებ არც განჩინებაში აღინიშნება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს ბ. ც-ძის, ს. ც-ძისა და ნ. მ-ძის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისას კანონი არ დაურღვევია, რის გამოც არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საპროცესო საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

## დაადგინა:

ბ. ც-ძის, ს. ც-ძისა და ნ. მ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 მაისის განჩინება;  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ხარვეზის შეუსვებლობა

### განჩინება

1ას-637-598-2010

3 აგვისტო, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
ვ. როინიშვილი

სარჩელის დავის საგანი: თანხის დაკისრება

კერძო საჩივრის დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 17 ნოემბერს მცხეთის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ი. ჩ-ამ მოპასუხეების – თ. კ-შვილისა და ვ. ს-შვილის მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ 2005 წლის იანვარში ი. ჩ-ამ თ. კ-შვილს ზეპირი გარიგების საფუძველზე გადასცა 1000 აშშ დოლარი ყოველთვიური 7% სარგებლით. მოსარჩელესა და ვ. ს-შვილს შორის ამავე პერიოდში დაიდო სესხის ხელშეკრულება 1000 აშშ დოლარზე, ყოველთვიური 7% სარგებლით. 2008 წლის 7 მარტს მოსარჩელემ თ. კ-შვილის თხოვნით ბანკ «...» გამოიტანა სესხი 6000 აშშ დოლარი, საიდანაც 1500 აშშ დოლარი გამოიყენა საკუთარი საჭიროებისთვის, ხოლო 4500 აშშ დოლარი გადასცა თ. კ-შვილს. აღნიშნული თანხიდან 2400 აშშ დოლარი თ. კ-შვილმა გადასცა ი. ჩ-ას. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ თ. კ-შვილს მის სასარგებლოდ გადასახდელი ჰქონდა 4840 აშშ დოლარი, ხოლო ვ. ს-შვილს – 2100 აშშ დოლარი.

მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით ი. ჩ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა: თ. კ-შვილს ი. ჩ-ას სასარგებლოდ დაეკისრა 4840 აშშ დოლარის, ხოლო ვ. ს-შვილს – 2100 აშშ დოლარის გადახდა. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ი. ჩ-ასა და მოპასუხეებს შორის დაიდო სესხის ხელშეკრულებები. თ. კ-შვილის მიერ მოსარჩელისათვის გადასახდელი თანხის ოდენობა შეადგენდა 4840 აშშ დოლარს, ხოლო ვ. ს-შვილის მიერ გადასახდელი თანხა – 2100 აშშ დოლარს.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს თ. კ-შვილმა და ვ. ს-შვილმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. აპელანტები მიუთითებდნენ, რომ მოსარჩელის მიერ წარდგენილი არ ყოფილა მტკიცებულება იმის დასადასტურებლად, რომ მოპასუხეებს არ დაუბრუნებიათ მისთვის სესხის ხელშეკრულებით გადაცემული თანხა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 26 მარტის განჩინებით თ. კ-შვილსა და ვ. ს-შვილს დაუდგინდათ ხარვეზი სააპელაციო საჩივარზე – თ. კ-შვილს დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის – 193.60 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა, ხოლო ვ. ს-შვილს იმავე ვადაში დაევალა სახელმწიფო ბაჟის – 84 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის სააპელაციო სასამართლოში წარმოდგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 10 მაისის განჩინებით თ. კ-შვილის სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული ხარვეზის შევსების ვადის გაშვების გამო.

2010 წლის 7 მაისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ხარვეზის შევსების შესახებ განცხადებით მიმართა ვ. ს-შვილმა და წარადგინა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 17 მაისის განჩინებით ვ. ს-შვილის სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული. სასამართლომ აღნიშნა, რომ ვ. ს-შვილმა ხარვეზის შევსების შესახებ

განცხადებით სააპელაციო სასამართლოს მიმართა ხარვეზის შევსებისათვის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 17 მაისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ვ. ს-შვილმა, რომელმაც ითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, ხარვეზის შევსების ვადის გაშვების საპატიოდ ჩათვლა და მისი აღდგენა. კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ სახელმწიფო ბაჟი გადაიხადა დადგენილ ვადაში, კერძოდ, 2010 წლის 6 მაისს, მაგრამ მოუხდა ორსული მეუღლის საავადმყოფოში წაყვანა, რის გამოც 2010 წლის 6 მაისს 18.00 საათამდე ვერ შეძლო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ვ. ს-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 17 მაისის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 26 მარტის განჩინებით ვ. ს-შვილის სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი.

საქმეში არსებული ხელწერილით დასტურდება, რომ აღნიშნული განჩინება ვ. ს-შვილმა ჩაიბარა პირადად 2010 წლის 26 აპრილს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60-61-ე მუხლების შესაბამისად, ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო მოქმედების შესრულების 10-დღიანი ვადის დენა მოცემულ შემთხვევაში დაიწყო 2010 წლის 27 აპრილს და დასრულდა 2010 წლის 6 მაისს. ხარვეზის შევსების შესახებ განცხადებით ვ. ს-შვილმა სააპელაციო სასამართლოს მიმართა 2010 წლის 7 მაისს, განჩინებით დადგენილი საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მსჯელობას ხარვეზის შევსების ვადის გაშვების საპატიოდ მიჩნევის შესახებ, ვინაიდან აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება კერძო საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში სწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილი, რომლის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს ვ. ს-შვილის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისას კანონი არ დაურღვევია, რის გამოც არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საპროცესო საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ვ. ს-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 17 მაისის განჩინება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **ხარვეზის შეუვსებლობა**

#### **განჩინება**

1ას-728-681-2010

20 სექტემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** მატერიალური ზიანის ანაზღაურება, შენობის აღმართვის აკრძალვა, გამაგრებითი სამუშაოების ჩატარების დავალება

## კერძო საჩივრის დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

### აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 14 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართეს რ. ნ-შვილმა და გ. ჯ-მემ მოპასუხეების – შპს «ბ-სა» და შპს «ო-ს» მიმართ შენობის გამაგრებითი სამუშაოების ჩატარების, სახლის კედლის ჯდენის შედეგების ლიკვიდაციისა და არსებული პროექტით შენობის აღმართვის აკრძალვის მოთხოვნით.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ მოპასუხეებმა 2006 წლის შემოდგომიდან მეზობელ მიწის ნაკვეთზე დაიწყეს მშენებლობა, რომელიც ხორციელდებოდა კანონმდებლობის დარღვევით, რაც ლახავდა მოსარჩელებს, როგორც მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრეების კანონით დაცულ უფლებებს და აყენებდა მათ ქონებრივ ზიანს.

2008 წლის 1 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართეს თ. ხ-იამ და მ. კ-შვილმა მოპასუხეების – შპს «ბ-ს», შპს «ო-ს» და შპს «ტ-ს» მიმართ ზიანის ანაზღაურებისა და არსებული პროექტით შენობის აღმართვის აკრძალვის მოთხოვნით. მოსარჩელები მიუთითებდნენ, რომ მათი საცხოვრებელი კედლიდან 60 სმ-ის დაშორებით, მეზობელ მიწის ნაკვეთზე, შენდებოდა 7-სართულიანი შენობა. აღნიშნული შენობის ქვაბულის ჩაჭრა მოხდა მოსარჩელების სახლის კედლისა და საძირკველის გაშიშვლებით, კედელმა დაკარგა მდგრადობა და სახლს გაუჩნდა ბზარები, რამაც მოსარჩელებს მიაყენა ქონებრივი ზიანი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 17 დეკემბრის საოქმოდ განჩინებით ზემოაღნიშნულ სარჩელებზე საქმის წარმოება გაერთიანდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილებით რ. ნ-შვილის, გ. ჯ-ძის, თ. ხ-იასა და მ. კ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელები ვერ ასაბუთებდნენ მოპასუხეების მიერ მშენებარე სახლის ქვაბულის ჩაჭრით მათი კუთვნილი ბინების დაზიანებას. საქმეში წარმოდგენილი ზავრიევის სახელობის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომდეგობის ინსტიტუტის 2007 წლის 19 ნოემბრის დასკვნა ასევე ვერ იქნა გაზიარებული მოპასუხეების მხრიდან ზიანის მიყენების ფაქტის დამადასტურებელ მტკიცებულებად, რადგან დასკვნაში მითითებული არ იყო კვლევის მეთოდები და საშუალებები. გაჩენილ ბზარებთან დაკავშირებით დასკვნა ეყრდნობოდა მხოლოდ მობინადრეთა განცხადებებს და არ იყო გამოკვლეული მშენებლობის დაწყებამდე სახლის მდგომარეობა. მ. კ-შვილისა და თ. ხ-იასათვის ზიანის მიყენების ფაქტს მოსარჩელები ასევე ვერ ასაბუთებდნენ.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს რ. ნ-შვილმა, თ. ხ-იამ და მ. კ-შვილმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 მარტის განჩინებით რ. ნ-შვილს, თ. ხ-იასა და მ. კ-შვილს დაუდგინდათ ხარვეზი სააპელაციო საჩივარზე და დაევალოთ განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის – 320 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა, მ. კ-შვილს და თ. ხ-იას ასევე დაევალოთ თითოეული აპელანტის მიერ სახელმწიფო ბაჟის – 5 000 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა.

2010 წლის 22 მარტს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართეს აპელანტებმა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად ითხოვეს სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან გათავისუფლება.

აპელანტები მიუთითებდნენ, რომ მ. კ-შვილი და თ. კ-ია იყვნენ პენსიონერები და სხვა შემოსავალი არ გააჩნდათ, ხოლო რ. ნ-შვილის შემოსავლით შეუძლებელი იყო სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 მარტის განჩინებით რ. ნ-შვილს, თ. ხ-იასა და მ. კ-შვილს გაუგრძელდათ ხარვეზის შევსების ვადა განჩინების ჩაბარებიდან 10 დღით. ამჯერად, სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივარში არსებული ხარვეზის გამოსასწორებლად დაადგინა შემდეგი: რ. ნ-შვილს დაევალო აღნიშნულ ვადაში სახელმწიფო ბაჟის – 320 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა, ხოლო მ. კ-შვილსა და თ. ხ-იას – 5 000-5 000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა.

2010 წლის 23 აპრილს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართეს აპელანტებმა. განცხადებას თან ერთვოდა რ. ნ-შვილის მიერ სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. თ. ხ-იასა და მ. კ-შვილის ნაწილში განმცხადებლებმა ითხოვეს ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელება. ამავ განცხადებით ისინი ითხოვდნენ სასამართლოს მიერ განმარტებას, თუ რა სახის საბუთით შეიძლებოდა დადასტურებულიყო მოქალაქის მძიმე ეკონომიური მდგომარეობა, რაც შეიძლებოდა საფუძვლად დაედებოდა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მათ გათავისუფლებას.



თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 26 აპრილის განჩინებით თ. ხ-იასა და მ. კ-შვილის შუამდგომლობა ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების შესახებ დაკმაყოფილდა – აპელანტებს გაუგრძელდათ ხარვეზის შევსების ვადა განჩინების ჩაბარებიდან 10 დღით.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლი ზუსტად არ განსაზღვრავს, თუ რა სახის გარემოების დადასტურება შეიძლება, გახდეს სასამართლო ხარჯებისაგან მხარის გათავისუფლების საფუძველი. აღნიშნულზე სასამართლომ უნდა იმსჯელოს ყოველი კონკრეტული შემთხვევის მახასიათებლების შესაბამისად. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტების მიერ მითითებული გარემოებები არ განაპირობებდნენ მათ გადახდის უუნაროდ მიჩნევას.

ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, აპელანტების მიერ ხარვეზის შევსების ვადაში სასამართლოსადმი მიმართვისა და შესაბამისი შუამდგომლობის გათვალისწინებით მიზანშეწონილი იყო, მათთვის ხარვეზის გამოსასწორებლად დამატებითი ვადის მიცემა – ამ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი დარჩება განუხილველად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368.5 მუხლის შესაბამისად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 27 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივარი რ. ნ-შვილის ნაწილში წარმოებაში იქნა მიღებული.

2010 წლის 24 მაისის განცხადებით თ. ხ-იამ და მ. კ-შვილმა ითხოვეს საქმეში არსებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით სააპელაციო სასამართლოს კვლავ ემსჯელა მათი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების ან მისი გადახდის გადავადების შესახებ, რამდენადაც მძიმე ეკონომიური მდგომარეობის დამადასტურებელი სხვა რაიმე საბუთი მათ არ გააჩნდათ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 3 ივნისის განჩინებით თ. ხ-იასა და მ. კ-შვილის შუამდგომლობა ხარვეზის ვადის გაგრძელების შესახებ დაკმაყოფილდა – აპელანტებს ხარვეზის გამოსასწორებლად დამატებით განესაზღვრათ 10 დღის ვადა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-48-ე მუხლებზე, რომელთა თანახმად, სასამართლოს მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით შეუძლია, მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სასამართლოს ხარჯებისაგან ან გადაუვადოს გადახდა, თუკი წარმოდგენილი იქნება უტყუარი მტკიცებულებები გადახდის შეუძლებლობასთან დაკავშირებით.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ კანონის დასახელებული ნორმები ზუსტად არ განსაზღვრავს, თუ რა სახის გარემოების დადასტურება შეიძლება გახდეს ხარჯებისაგან მხარის გათავისუფლების საფუძველი. აღნიშნულზე სასამართლომ უნდა იმსჯელოს ყოველი კონკრეტული შემთხვევის მახასიათებლების შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში მან განიხილა აპელანტების შუამდგომლობები სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან გათავისუფლებასთან დაკავშირებით, შეაფასა შუამდგომლობების საფუძველად მოყვანილი გარემოებები და დოკუმენტები, რაზეც გამოტანილი იქნა 2010 წლის 25 მარტისა და 2010 წლის 26 აპრილის განჩინებები. იმის გათვალისწინებით, რომ 2010 წლის 24 მაისის შუამდგომლობით არ ყოფილა მითითებული ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა მხარეთა ქონებრივ შესაძლებლობებზე კიდევ ერთხელ მსჯელობის საფუძველი. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ შუამდგომლობა დაუსაბუთებლობის გამო არ გაიზიარა.

2010 წლის 30 ივნისს თ. ხ-იამ და მ. კ-შვილმა სააპელაციო სასამართლოში წარადგინეს განცხადება. განცხადების მოთხოვნას წარმოადგენდა, რომ საქმეში არსებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით სააპელაციო სასამართლოს კვლავ ემსჯელა მათი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების ან მისი გადახდის გადავადების შესახებ, ვინაიდან მძიმე ეკონომიური მდგომარეობის დამადასტურებელი სხვა რაიმე საბუთი მათ არ გააჩნდათ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 ივლისის განჩინებით თ. ხ-იასა და მ. კ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ ხარვეზის შესავსებად დადგენილ ვადაში აპელანტებს – თ. ხ-იასა და მ. კ-შვილს ხარვეზი არ გამოუსწორებიათ. აღნიშნული დროისათვის მათ სააპელაციო სასამართლოში წარადგინეს 2010 წლის 30 ივნისის განცხადება სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების ან გადახდის გადავადებისა და ხარვეზის შევსებულად ცნობის შესახებ. განცხადების შესაბამისად, მ. კ-შვილი და თ. ხ-ია არიან პენსიონერები, არ გააჩნიათ სახელმწიფო ბაჟის გადახდის შესაძლებლობა, რაც დასტურდება საქმეში არსებული მასალებით.

სააპელაციო სასამართლო აპელანტების შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების ან გადახდის გადავადების თაობაზე არ დააკმაყოფილა, რაც შემდეგნაირად დაასაბუთა:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე-48-ე მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, მხარე შესაძლებელია, გათავისუფლდეს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან ან გადაუვადდეს მას სახელმწიფო ბაჟის გადახდა, თუ წარმოდგენილი იქნება უტყუარი მტკიცებულებები გადახდის შეუძლებლობასთან დაკავშირებით.

კონკრეტულ შემთხვევაში ირკვეოდა, რომ შუამდგომლობის ავტორს არ წარუდგენია რაიმე დამატებითი შუამდგომლობა, რის საფუძველზეც სასამართლო შეძლებდა, ემსჯელა აპელანტების ქონებრივ მდგომარეო-

ბაზე. საქმეში არსებული მასალების შეფასება იძლეოდა საფუძველს დასკვნისათვის, რომ არ არსებობდა აპელანტების სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების ან გადახდის გადავადების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებით დგინდებოდა, რომ თ. ხ-იამ და მ. კ-შვილმა საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისათვის გადაიხადეს ბაჟი – 1 500 ლარი. ამჯერად, მათი შუამდგომლობა ბაჟისაგან გათავისუფლების თაობაზე ეფუძნებოდა იმ გარემოებას, რომ ისინი იყვნენ პენსიონერები. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ მხრივ მათი მდგომარეობა ისეთივე იყო, როგორც საქალაქო სასამართლოში სარჩელის განხილვისას. საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დგინდებოდა, რომ აპელანტების ქონებრივი მდგომარეობა საუარესოდ შეიცვალა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ისეთ პირობებში, როდესაც აპელანტები თავიანთი მოთხოვნის საფუძველად მიუთითებდნენ მათ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ხელყოფასთან დაკავშირებით, იმავდროულად საქმის მასალების, კერძოდ, საჯარო რეესტრის ამონაწერების შესაბამისად, მ. კ-შვილი და თ. ხ-ია წარმოადგენდნენ თბილისში, ... ქ. 141-ში მდებარე უძრავი ქონების მესაკუთრეებს, არ არსებობდა ამ პირების გადახდის უნაროდ მიჩნევის საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე, 63-ე, 368.5 და 374-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ სააპელაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობა იძლეოდა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრეს მ. კ-შვილმა და თ. ხ-იამ, რომლებმაც მოითხოვეს სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან გათავისუფლება და სააპელაციო სასამართლოსათვის მათი სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების დავალება.

კერძო საჩივრის ავტორები თავიანთი მოთხოვნას შემდეგნაირად ასაბუთებენ:

მ. კ-შვილი არის პენსიონერი. გარდა პენსიისა, მას სხვა შემოსავალი არ გააჩნია. რაც შეეხება თ. ხ-იას, ისიც პენსიონერია. ამასთან, სახლის დაზიანებამდე მას ბინის ნაწილი გაქირავებული ჰქონდა ნოტარიუსზე, ხოლო სარდაფი – რესტორანზე, საიდანაც იღებდა გარკვეულ შემოსავალს. სახლის დაზიანების გამო აღნიშნული შესაძლებლობა მოესპო.

კერძო საჩივრის ავტორებს მიაჩნიათ, რომ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მათ შუამდგომლობას არ გაიზიარებს და სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან არ გაათავისუფლებს, მოესპობათ შესაძლებლობა სასამართლო წესით აღიდგინონ დარღვეული უფლებები. ასეთ ვითარებაში დაირღვევა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით გარანტირებული უფლება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ყოველ ადამიანს უფლება აქვს, თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს, აგრეთვე, «ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის» მე-8 მუხლით აღიარებული ყოველი ადამიანის უფლება, ეფექტურად აღიდგინოს კომპეტენტური ეროვნული სასამართლოებით უფლებები კონსტიტუციის ან კანონების მიერ მინიჭებული ძირითადი უფლებების დარღვევის შემთხვევაში.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძველების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. კ-შვილისა და თ. ხ-იას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 ივლისის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ პასუხობს ამ მუხლის მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალეს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

საქმის მასალების თანახმად, აპელანტებს – თ. ხ-იასა და მ. კ-შვილს მათი შუამდგომლობების საფუძველზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს 25.03.2010წ., 26.04.2010წ. და 3.06.2010წ. განჩინებებით სამჯერ გაუგრძელდათ სააპელაციო საჩივარში ხარვეზის შევსების ვადა; მათვე არაერთხელ განემარტათ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე. მიუხედავად ამისა, აპელანტებს დადგენილ ვადაში ხარვეზი არ გამოუსწორებიათ, რაც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368.5 მუხლიდან გამომდინარე, მათი სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების წინაპირობას წარმოადგენდა.

რაც შეეხება აპელანტების სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან გათავისუფლების ან მისი გადახდის გადავადების საფუძველების არსებობას, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აპელანტებმა სარწმუნოდ ვერ დაასაბუთეს თავიანთი ქონებრივი მდგომარეობის გამო სასამართლო ხარჯების გადახდის შეუძლებლობა. მართალია, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ განსაზღვრავს, თუ რომელი კონკრეტული მტკიცებულების წარდგენა შეიძლება გახდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე და 48-ე მუხლებით სასამართლო ხარჯებისაგან მხარის გათავისუფლების საფუძველი, მაგრამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლო მტკიცებულებებს აფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დას-

კვანა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამგვარი შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანია, რომ მხარემ სასამართლოს წარუდგინოს მტკიცებულებები, საიდანაც ნათლად წარმოჩინდება მისი გადახდისუუნარობა. მოცემულ შემთხვევაში თ. ხ-იასა და მ. კ-შვილის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც განთავსებულია საქმეში და რომლებითაც ისინი ცდილობენ დაასაბუთონ სახელმწიფო ბაჟის გადახდის შეუძლებლობა, არ იძლევა საფუძველს მათი გადახდისუუნაროდ მიჩნევისათვის. დასახელებული მტკიცებულებებით ირკვევა, რომ თ. ხ-ია და მ. კ-შვილი წარმოადგენენ პენსიონერებს; თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) ერთიანი კომპიუტერული ბაზის მონაცემებით მ. კ-შვილი არ იმყოფება აღრიცხვაზე ქ. თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) ისანი-სამგორის, ძველი თბილისისა და დიდგორის განყოფილებაში; «თ. ხ-იამ» შეწყვიტა ფუნქციონირება 2009 წლის 15 ივნისიდან; შპს «ა-ი» თბილისში, ... ქ. 141-ში მდებარე სახლის აღდგენა-გამაგრების სამუშაოებს აწარმოებს 2009 წლის 1 ივნისიდან და ა.შ., თუმცა ყოველივე ზემოაღნიშნული არასაკმარისია მათი რეალური ქონებრივი მდგომარეობის დასადგენად. საგულისხმოა, რომ მათ პირველი ინსტანციის სასამართლოში გადაიხადეს სახელმწიფო ბაჟი – 1 500 ლარი. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მანამდე არაერთხელ გაითვალისწინა აპელანტების მიერ ხარვეზის შევსების ვადაში სასამართლოსადმი ანალოგიური მიმართვები და მათ შესაბამისად თ. ხ-იასა და მ. კ-შვილს დამატებით არაერთხელ მისცა ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს კერძო საჩივარს და უცვლელად ტოვებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

მ. კ-შვილისა და თ. ხ-იას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 ივლისის განჩინება;  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **ხარვეზის შეუვსებლობა**

#### **განჩინება**

1ას-703-658-2010 5 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილებით ე. ი-შვილის სარჩელი მოპასუხე შპს «სადაზღვევო კომპანია ...» მიმართ გამოუყენებელი ანაზღაურებადი შვებულების თანხის, სახელფასო დავალიანებისა და წლიური შედეგების მიხედვით პრემიისა და ანაზღაურების დაყოვნების ყოველი დღისათვის დაყოვნებული თანხის 0,07%-ის ანაზღაურების თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – შპს «სადაზღვევო კომპანია ...» ე. ი-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა გაუცემელი ხელფასის ანაზღაურება 31808 ლარის ოდენობით. მასვე მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 2008 წლის გამოუყენებელი ანაზღაურებადი შვებულების კომპენსაციის გადახდა 4837 ლარის ოდენობით. ე. ი-შვილის სარჩელი ერთი წლის გამოუყენებელი ანაზღაურებადი შვებულების თანხის, წლიური შედეგების მიხედვით – პრემიის, ანაზღაურების დაყოვნების ყოველი დღისათვის დაყოვნებული თანხის 0,07%-ის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა. ასევე, არ დაკმაყოფილდა შპს «სადაზღვევო კომპანია ...» შეგებებული სარჩელი.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

შპს «სადაზღვევო კომპანია ...» სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება ე. ი-შვილის სარჩელის დაკმაყოფილების და შპს «სადაზღვევო კომპანია ...» შეგებებული სარჩელის

დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 26 აპრილის განჩინებით შპს «სადაზღვევო ...» სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად, განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში დაევალა გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 4470,64 ლარის ქვითრისა და დაზუსტებული სააპელაციო საჩივრის წარმოდგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ივნისის განჩინებით შპს «სადაზღვევო კომპანია ...» სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუსრულებლობის გამო.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრა შპს «სადაზღვევო კომპანია ...» წარმომადგენელმა გ. ს-მემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ხარვეზის შევსებულად ჩათვლა იმ საფუძველით, რომ შპს «სადაზღვევო კომპანია ...» მიერ სახელმწიფო ბაჟი სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში იქნა გადახდილი და მიწოდებული სასამართლოსათვის. ამასთან, თუნდაც დადგენილ ვადაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ქვითრის დედანი არ მიეწოდებინათ სასამართლოსათვის, სასამართლოს ხარვეზი მაინც შევსებულად უნდა ჩაეთვალა, ვინაიდან სახელმწიფო ბაჟი დროულად, სასამართლოს მიერ დანიშნულ 10-დღიან ვადაში იქნა გადახდილი.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ შპს «სადაზღვევო კომპანია ...» კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი არ მიიღება და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის შესაბამისად, დარჩება განუხილველად.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 26 აპრილის განჩინებით შპს «სადაზღვევო კომპანია ...» სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად დაევალა, განჩინების ასლის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოში წარედგინა გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 4470,64 ლარის ქვითრის დედანი და დაზუსტებული სააპელაციო საჩივარი. ამავე განჩინებით აპელანტს განემარტა, რომ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუსრულებლობის შემთხვევაში, სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველად. საქმის მასალებით ასევე ირკვევა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, ხარვეზის შევსების შესახებ განჩინების ასლი შპს «სადაზღვევო კომპანია ...» გაეგზავნა და ჩაჰბარდა 2010 წლის 6 მაისს, რაც დასტურდება საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბართზე ორგანიზაციის თანამშრომლის ხელმოწერით და ორგანიზაციის შტამპით. აღნიშნული გარემოება კერძო საჩივრის ავტორს სადავოდ არ გაუხდია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 და 61-ე მუხლების თანახმად, ხარვეზის შესავსებად სასამართლოს მიერ დანიშნული 10-დღიანი ვადის დენა დაიწყო 2010 წლის 7 მაისს და ამოიწურა ამავე წლის 17 მაისს. სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში შპს «სადაზღვევო კომპანია...» ხარვეზი არ გამოუსწორებია და არც რაიმე შუამდგომლობით მიუმართავს სასამართლოსათვის, რის გამოც მისი სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

კერძო საჩივრის ავტორი გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველად უთითებს იმ გარემოებაზე, რომ სახელმწიფო ბაჟი სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში იქნა გადახდილი და მიწოდებული სასამართლოსათვის და თუნდაც სახელმწიფო ბაჟის ქვითრის დედანი არ მიეწოდებინათ სასამართლოსათვის, სასამართლოს ხარვეზი მაინც შევსებულად უნდა ჩაეთვალა, ვინაიდან სახელმწიფო ბაჟი დროულად სასამართლოს მიერ დანიშნულ 10-დღიან ვადაში იქნა გადახდილი.

აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს, ვინაიდან ხარვეზის შევსების შესახებ განჩინებით აპელანტს ხაზგასმით დაევალა მისთვის განჩინების ასლის გადაცემიდან 10 დღის ვადაში როგორც სახელმწიფო ბაჟის გადახდა, ასევე, გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტისა და დაზუსტებული სააპელაციო საჩივრის ამავე სასამართლოში წარდგენა. ამდენად, აპელანტს სათანადოდ განემარტა მისი საპროცესო ვალდებულებანი. აქედან გამომდინარე, მართალია, კერძო საჩივარზე დართული ქვითრით დასტურდება აპელანტის მიერ 4470,64 ლარის გადახდის ფაქტი 2010 წლის 13 მაისს, მაგრამ აღნიშნული სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის გამოსწორებულად მიჩნევის საფუძველი ვერ გახდება, რადგან აპელანტს მითითებული ქვითარი დროულად არ წარუდგენია სასამართლოსათვის, რაც ასევე დავებული ჰქონდა მას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნულ

ლი ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ მხარე ვალდებულია, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შეასრულოს ის საპროცესო მოქმედებები, რაც მას სასამართლომ დაავალა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კარგავს ამ საპროცესო მოქმედებათა შესრულების უფლებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის გამო, თბილისის სააპელაციო სასამართლომ შპს «სადაზღვევო ...» სააპელაციო საჩივარი სწორად დატოვა განუხილველად და, შესაბამისად, არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ვინაიდან შპს «სადაზღვევო კომპანია ...» სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად, ამიტომ მას მთლიანად უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 4470,64 ლარი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს «სადაზღვევო კომპანია ...» კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 7 ივნისის განჩინება.
3. შპს «სადაზღვევო კომპანია ...» დაუბრუნდეს მის მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 4470,64 ლარი.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **ხარვეზის შეუვსებლობა**

#### **განჩინება**

1ას-916-863-2010

18 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ლ. ლაზარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
პ. ქათამაძე

**სარჩელის დავის საგანი:** თანხის დაკისრება

**კერძო საჩივრის დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2010 წლის 11 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა თ. ფ-მემ მოპასუხე ნ. წ-იას მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით.

სარჩელში აღნიშნულია, რომ 2009 წლის 27 აპრილს თ. ფ-მესა და ნ. წ-იას შორის დაიდო სესხის ხელშეკრულება, რომლითაც მოსარჩელემ ნ. წ-იას ასესხა 2 000 აშშ დოლარი 2 თვით, თვეში 10%-ის დარიცხვით. ორი თვის სარგებლის გადახდის შემდეგ მოპასუხემ განაცხადა, რომ არ შეეძლო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება. მოსარჩელის მიერ შეთავაზებულ იქნა ახალი ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ნ. წ-იას 2 000 აშშ დოლარი უნდა გადაეხადა ეტაპობრივად ერთი წლის განმავლობაში, თვეში ვალის ძირითადი თანხიდან 200 აშშ დოლარის გადახდით, დათქმული სარგებლის გარეშე, მაგრამ 500 აშშ დოლარის ოდენობით პირგასამტეხლოს გადახდით. მოსარჩელის მითითებით, ნ. წ-იამ გადაიხადა პირგასამტეხლო 500 აშშ დოლარი, ძირითადი თანხიდან – 200 აშშ დოლარი. მოსარჩელემ მოითხოვა დარჩენილი თანხის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებით თ. ფ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა. მოპასუხე ნ. წ-იას დაეკისრა 1800 აშშ დოლარის გადახდა. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეებს შორის 2009 წლის 27 აპრილს დაიდო სესხის ხელშეკრულება, რომელშიც 2009 წლის 11 ივლისის ხელშეკრულებით შეტანილი იქნა ცვლილებები და რომლის საფუძ-

ველზე ნ. წ-ის სესხის სახით გადაეცა 2 000 აშშ დოლარი. სასამართლომ მიიჩნია, რომ ნ. წ-ის მიერ გადახდილი იყო სესხის სახით მიღებული ძირითადი თანხის ნაწილი – 700 აშშ დოლარი და დარჩენილი გადასახდელი თანხის ოდენობა შეადგენდა ძირითად თანხას – 1 300 აშშ დოლარს და პირგასამტეხლოს – 500 აშშ დოლარს.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. წ-იამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება პირგასამტეხლოს და სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. აპელანტი მიუთითებდა, რომ მხარეთა შორის 2009 წლის 11 ივლისს დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო – 500 აშშ დოლარი უკანონოდ იყო განსაზღვრული, ვინაიდან ვალის დაფარვის დრო ჯერ კიდევ არ იყო დამდგარი. სააპელაციო საჩივარში აპელანტი ასევე შუამდგომლობდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 მაისის განჩინებით ნ. წ-ის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების შესახებ არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის მასალებიდან არ დგინდებოდა აპელანტის მძიმე მატერიალური მდგომარეობა. ნ. წ-ის დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის – 150 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა ნ. წ-იამ და ითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან გათავისუფლება ან მისი გადახდის გადავადება სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებაამდე. აპელანტი მიუთითებდა, რომ ვერ წარმოადგენდა უმუშევრობისა და ოჯახის შემოსავლების დამადასტურებელ დოკუმენტს. აპელანტმა წარადგინა საბინაო ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი იმის შესახებ, რომ ნ. წ-ის ოჯახი განიცდის ეკონომიურ გაჭირვებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 15 ივნისის განჩინებით აპელანტის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან გათავისუფლების ან მისი გადახდის გადავადების შესახებ არ დაკმაყოფილდა. აპელანტს გაუგრძელდა ხარვეზის შევსების ვადა განჩინების ჩაბარებიდან 7 დღით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 12 ივლისის განჩინებით ნ. წ-ის სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ნ. წ-ის ხარვეზის შესავსებად განესაზღვრა ვადა ხარვეზის ვადის გაგრძელების შესახებ განჩინების ასლის ჩაბარებიდან 7 დღით და განემარტა, რომ, თუ აღნიშნულ ვადაში ხარვეზს არ შეავსებდა, სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველი. სასამართლომ დადგინილად მიიჩნია, რომ განჩინების ასლი ჩაჰბარდა აპელანტის ოჯახის წევრს 2010 წლის 28 ივნისს. ხარვეზის შევსების ვადა ამოიწურა 2010 წლის 5 ივლისს, ხოლო ხარვეზი არ იქნა შევსებული დადგენილ ვადაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 12 ივლისის განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ კერძო საჩივრით გაასაჩივრა ნ. წ-იამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება. კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ვერ შეძლო ხარვეზის შევსება საჭირო თანხის უქონლობის გამო, რასაც მოჰყვა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება. კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, განჩინებაში საუბარია მხოლოდ ხარვეზის შეუვსებლობაზე და არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ რატომ არ წარმოადგენს მის მიერ წარდგენილი მტკიცებულება ქონებრივი მდგომარეობის შესახებ უტყუარ მტკიცებულებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. წ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 12 ივლისის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ პასუხობს ამ მუხლის მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალეებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

მოცემულ შემთხვევაში დადგინილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 24 მაისის განჩინებით ნ. წ-ის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების შესახებ არ დაკმაყოფილდა. აპელანტს დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში 150 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა. ნ. წ-ის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან გათავისუფლების ან მისი გადახდის გადავადების შესახებ ასევე არ დაკმაყოფილდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 15 ივნისის განჩინებით და აპელანტს გაუგრძელდა ხარვეზის შევსების ვადა 7 დღით. ნ. წ-ის დადგენილ ვადაში ხარვეზი არ გამოუსწორებია და ამავე ვადაში არც რაიმე შუამდგომლობით მიუმართავს სააპელაციო სასამართლოსთვის, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368.5 მუხლიდან გამომდინარე, სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების წინაპირობას წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ მის მიერ წარდგენილი მტკიცებულება იძლეოდა სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან გათავისუფლების ან მისი გადახდის გადავადების საფუძველს. სამოქალაქო კანონმდებლობა არ განსაზღვრავს იმ მტკიცებულებათა კონკრეტულ ჩამონათვალს, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია მხარის სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან გათავისუფლება ან გადავადება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-48-ე მუხლების საფუძველზე. სამოქალაქო კანონმდებლობის თანახმად, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლო მტკიცებულებებს აფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში მისი ქონებრივი მდგომარეობის დასადასტურებლად კერძო საჩივრის ავტორის მიერ სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ იქნა საბინაო ამხანაგობის თავმჯდომარისა და წევრის ახნა-განმარტება. აღნიშნული პირები ვერ მიიჩნევიან უფლებამოსილ პირებად, რომლებიც კერძო საჩივრის ავტორის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ სრულ ინფორმაციას უნდა ფლობდნენ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გამოტანის მდგომარეობით არ არსებობდა ნ. წ-ის სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან გათავისუფლების ან მისი გადახდის გადავადების საფუძველი. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს ნ. წ-ის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისას კანონი არ დაურღვევია და გასაჩივრებული განჩინება უცვლელად უნდა დარჩეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ნ. წ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 12 ივლისის განჩინება;  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **ხარვეზის შეუვსებლობა**

#### **განჩინება**

1ას-919-866-2010 8 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ფულადი ვალდებულების შესრულება, ზიანის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

დ. წ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. ფ-შვილის მიმართ სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისა და ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების გამო ზიანის სულ 8712 ლარის ანაზღაურების – მოპასუხისათვის დაკისრების შესახებ შემდეგი საფუძველებით: 2004 წლის იანვარში მოსარჩელემ მოპასუხეს ასესხა 1500 აშშ დოლარი თვეში 10% სარგებლის დარიცხვით. ნ.ფ-შვილმა სესხი შეთანხმებულ დროს არ დააბრუნა.

მოპასუხემ სარჩელი ნაწილობრივ – 1100 აშშ დოლარის ოდენობით ცნო, დანარჩენ ნაწილში მიიჩნია, რომ სარჩელი უსაფუძვლოა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილებით დ. წ-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ნ. ფ-შვილს დაეკისრა დ. წ-მის სასარგებლოდ 1100 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა და 2007 წლის 16 მარტიდან დავალიანების დაფარვამდე ყოველთვიურად 1100 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის 2%-ის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება დ. წ-მემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 აგვისტოს განჩინებით დ. წ-მის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამარ-

თლომ დაადგინა, რომ აპელანტს დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა სახელმწიფო ბაჟის გადახდა. მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად მიცემული ვადა მხარის მოთხოვნით მას რამდენჯერმე გაუგრძელდა და საბოლოოდ პალატის 2010 წლის 16 ივლისის განჩინება დ.წ-ძეს 2010 წლის 22 ივლისს პირადად ჩაჰბარდა, თუმცა აპელანტს სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზი არ გამოუსწორებია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე დ.წ-ძემ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება უკანონოა, რადგან აპელანტმა გადაიხდა სახელმწიფო ბაჟი – 150 ლარი, დამატებითი თანხის გადახდის უფლებამოსილება კი აპელანტის წარმომადგენელ ა. ბ-ელს არ გააჩნდა. მან იშუამდგომლა ხარვეზის ვადის გაგრძელების შესახებ, მაგრამ სასამართლომ აღნიშნული მოთხოვნა არ გაიზიარა. ამასთან, გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და დ.წ-ძის სააპელაციო საჩივარი არსებითად იქნეს განხილული, რადგან პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უკანონოა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ დ.წ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო განსაზღვრავს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომელიც ხარვეზის შესავსებად უნდა განხორციელდეს და საპროცესო ვადას, რომლის განმავლობაშიც აპელანტი ვალდებულია, შეასრულოს განჩინებაში დადგენილი მოქმედებები. სასამართლოს მიერ მითითებული ვადის გასვლის შემდეგ კი სააპელაციო საჩივარი დარჩება განუხილველი.

მოცემულ შემთხვევაში აპელანტ დ.წ-ძის სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი, რის გამოსასწორებლადაც მხარეს ორჯერ – თავად დ.წ-ძისა და შემდეგ მის წარმომადგენელ ა.ბ-ელის შუამდგომლობით უშედეგოდ გაუგრძელდა ვადა. სამივე სასამართლო განჩინება ხარვეზის გამოსწორების შესახებ დ.წ-ძეს პირადად ჩაბარდა, მათ შორის, სააპელაციო პალატის 2010 წლის 16 ივლისის განჩინება ხარვეზის შესავსებად ვადის დამატებით 10 დღით გაგრძელების თაობაზე აპელანტმა მიიღო ამავე წლის 22 ივლისს, თუმცა ხარვეზი არ გამოუსწორებია და არც რაიმე შუამდგომლობით სასამართლოსათვის არ მიუმართავს.

დაუსაბუთებელია და ვერ იქნება გაზიარებული კერძო საჩივრის ავტორის მითითება, რომ მან სახელმწიფო ბაჟი – 150 ლარის გადაიხდა, რადგან აღნიშნული გარემოება საქმის მასალებით არ დასტურდება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინებით დ.წ-ძის სააპელაციო საჩივარი მართებულად დარჩა განუხილველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

დ.წ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 აგვისტოს განჩინება დარჩა უცვლელად.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.



## ხარვეზის შეუსვებლობა

### განჩინება

1ას-924-871-2010

8 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი,

პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** მეუღლეთა თანასაკუთრებიდან ვალდებულების შესრულება

#### აღწერილობითი ნაწილი:

ჯ. ჰ. ფ. ბ-ეტმა სარჩელი აღძრა მ. კ-შვილის მიმართ მეუღლეთა ქონების გაყოფასთან ერთად მათი საერთო ვალების გაყოფისა და მეუღლეთა თანასაკუთრებიდან **130 804 აშშ დოლარის** გადახდევინების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: მხარეები იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში. ამჟამად სასამართლოში მიმდინარეობს დავა მათი განქორწინების თაობაზე. მოსარჩელემ ქორწინების პერიოდში აიღო კრედიტი **130804 აშშ დოლარის** ოდენობით, რისი გადახდაც უნდა მოხდეს მეუღლეთა თანასაკუთრებიდან.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო დაუსაბუთებლობის მოტივით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს **2009 წლის 27 ნოემბრის** დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ჯ.ბ-ეტის სარჩელი, მისი გამოუცხადებლობის გამო, არ დაკმაყოფილდა, რაც გაასაჩივრა მოსარჩელემ. ამავე სასამართლოს **2010 წლის 21 იანვრის** განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება მისი უცვლელად დატოვების თაობაზე ჯ. ბ-ეტმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2010 წლის 30 ივლისის** განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლოს **2010 წლის 9 მარტის** განჩინებით სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო და აპელანტს განესაზღვრა **10 დღის** ვადა ხარვეზის შესავსებად. ამავე სასამართლოს **2010 წლის 23 მარტის** განჩინებით არ დაკმაყოფილდა შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირების შესახებ და ხარვეზის გამოსასწორებლად დამატებით განესაზღვრა **10 დღის** ვადა. **2010 წლის 26 აპრილის** განჩინებით აღნიშნული ვადა გაგრძელდა ჯერ **10 დღით** იმ საფუძველით, რომ კვლავ არ დაკმაყოფილდა შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირების შესახებ, ხოლო **2010 წლის 24 მაისის** განჩინებით – **5 დღით**.

სააპელაციო სასამართლოს **2010 წლის 24 მაისის** განჩინება აპელანტის წარმომადგენელ თ. გ-იას ჩაბარდა **2010 წლის 15 ივლისს**. შესაბამისად, პალატამ ხარვეზის შესახებ განჩინება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **70-ე** მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, აპელანტისათვის ჩაბარებულად მიიჩნია. სასამართლომ მიუთითა, რომ აპელანტს **2010 წლის 30 ივლისისათვის** ხარვეზი არ გამოუსწორებია. **2010 წლის 20 ივლისს** თ. გ-იამ კვლავ იშუამდგომლა სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებისა და სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობასთან დაკავშირებით.

სააპელაციო პალატამ არ დააკმაყოფილა **2010 წლის 20 ივლისის** შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებასთან დაკავშირებით, რადგან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **47-ე** მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, შუამდგომლობის ავტორს არ მიუთითებია გადახდის შეუძლებლობის დამადასტურებელ ახალ გარემოებებზე, არ წარმოუდგენია რაიმე სახის დამატებითი მტკიცებულებები, რის საფუძველზეც სასამართლო შესძლებდა, ემსჯელა მხარის ქონებრივ მდგომარეობაზე. ამდენად, შუამდგომლობა მოთხოვნის შესაბამისი არგუმენტაციით მოტივირებული არ არის, რის გამოც დაუსაბუთებელია და ვერ იქნება გაზიარებული.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **59-ე, 63-ე** მუხლებით **368-ე** მუხლის მე-5 ნაწილით და მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში აპელანტს ხარვეზის შესახებ განჩინება ჩაჰბარდა **2010 წლის 15 ივლისს** და იგი უნდა გამოსწორებულიყო **5 დღის** ვადაში – **2010 წლის 20 ივლისის** ჩათვლით. დასახელებული ვადა უშედეგოდ გავიდა და აპელანტის შესაძლებლობა, გამოესწორებინა ხარვეზი, გაქარწყლებულად უნდა ჩაითვალოს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ჯ. ჰ. ფ. ბ-ეტის წარმომადგენელმა თ. გ-იამ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა მსგავსი კატეგორიის დავებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და ევროპის სასამართლოს პრაქტიკა. საქმეზე «... საქართველოს წინააღმდეგ» სასამართლომ განმარტა, რომ სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა მხარისათვის საქმის განხილვაზე უარის თქმის საფუძველი არ უნდა გახდეს. მით უფრო, რომ ჯ.ბ-ეტმა პირველი ინსტანციის სასამართლოში უკვე გადაიხადა **3000** ლარი. პა-

ლატამ არასწორად არ გაიზიარა მხარის მითითება, რომ ბელგიის სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე აპელანტი მოწინააღმდეგე მხარეს ყოველთვიურად უზღვის 400 ევროს, მათ შვილს კი – 250 ევროს. აღსანიშნავია, რომ მსგავსი კატეგორიის საქმეთა განხილვისას სასამართლო უმცირესს მხარეებს სახელმწიფო ბაჟის ოდენობას, რაც ბადებს ეჭვს, რომ სააპელაციო პალატა შეეცადა უცხო ქვეყნის მოქალაქის დისკრიმინაციის ხარჯზე შეეცხო სახელმწიფო ბიუჯეტი. ჯ.ბ-ეტის სააპელაციო საჩივრის განხილვა მნიშვნელოვანია, რადგან პირველი ინსტანციის სასამართლომ სრულიად უკანონოდ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რითაც დაირღვა ჯ.ბ-ეტის კანონიერი უფლებები.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ჯ. ჰ. ბ-ეტის წარმომადგენელ თ.გ-იას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ზემოჩამოთვლილ მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო განსაზღვრავს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომელიც ხარვეზის შესავსებად უნდა განხორციელდეს და საპროცესო ვადას, რომლის განმავლობაშიც აპელანტი ვალდებულია, შეასრულოს განჩინებაში დადგენილი მოქმედებები. სასამართლოს მიერ მითითებული ვადის გასვლის შემდეგ კი სააპელაციო საჩივარი დარჩება განუხილველი.

მოცემულ შემთხვევაში აპელანტი ჯ.ბ-ეტს ოთხჯერ განესაზღვრა ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად – სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად, რა დროსაც აპელანტი ითხოვდა ფინანსური სირთულეების გამო სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას. საბოლოოდ ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის გაგრძელების შესახებ განჩინება 2010 წლის 15 ივლისს ჩაჰბარდა მის წარმომადგენელ თ.გ-იას, რაც სააპელაციო პალატამ სავსებით სწორად მიიჩნია გზავნილის თავად მხარისათვისაც ჩაბარებულად და აღნიშნული გარემოება არც კერძო საჩივრის ავტორს სადავოდ არ გაუხდია.

ამდენად, ხარვეზის შევსებისათვის დადგენილი ვადის ათვლა დაიწყო 2010 წლის 16 ივლისიდან და ამოიწურა ამავე წლის 20 ივლისს. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ აღნიშნულ ვადაში აპელანტს ხარვეზი არ გამოუსწორებია, რის გამოც მისი სააპელაციო საჩივარი მართებულად დარჩა განუხილველად.

დასაბუთებულია გასაჩივრებული განჩინება აპელანტისათვის სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირების მოთხოვნაზე უარის თქმის ნაწილშიც.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე და 48-ე მუხლებით გათვალისწინებული სასამართლო ხარჯების ოდენობის შემცირებისა თუ გადახდისაგან გათავისუფლების შესაძლებლობა გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს მხარის მიერ წარდგენილი უტყუარი მტკიცებულებების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე შეექმნება შინაგანი რწმენა მხარის მძიმე ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, კერძოდ, რომ მას არ შეუძლია სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

მოცემულ შემთხვევაში ჯ.ბ-ეტმა სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირების ან მისი გადახდისაგან გათავისუფლების საფუძვლის არსებობა სარწმუნოდ ვერ დაასაბუთა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტს ჯ.ბ-ეტის, როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქის მიმართ დისკრიმინაციის განხორციელების თაობაზე, რადგან სააპელაციო სასამართლომ მისი სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა შეამოწმა მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის სრული დაცვით, კანონიერად დაუდგინა ხარვეზი და მისი გამოუსწორებლობისას დატოვა განუხილველად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ჯ. ჰ. ბ-ეტის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.  
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 ივლისის განჩინება დარჩეს უცვლელად.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## ხარვეზის შეუვსებლობა

### განჩინება

<sup>1</sup> ას-898-846-2010

25 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

თ. თოდრია

**დავის საგანი:** ვალდებულების შესრულება

#### აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ს-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. ს-ძის მიმართ სესხის დაბრუნების შესახებ იმ საფუძველით, რომ 2009 წლის 25 მარტს მოპასუხეს ასესხა 2000 აშშ დოლარი და 2300 ლარი. მ.ს-ძეს სესხი არ დაუბრუნებია.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის შესაბამისად, მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 24 მაისის გადაწყვეტილებით ნ.ს-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა, მ. ს-ძეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 2000 აშშ დოლარისა და 2300 ლარის გადახდა, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 ივლისის განჩინებით მ.ს-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და 2010 წლის 12 ივლისის განჩინებით აპელანტს დაევალა 5 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის – 92,80 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენა.

საქმეში წარმოდგენილი სასამართლო გზავნილისა და საფოსტო განყოფილების შეტყობინებით სასამართლომ დაადგინა, რომ მ. ს-ძის წარმომადგენელ ა. თ-შვილს ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინება 2010 წლის 19 ივლისს პირადად ჩაჰბარდა, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის მიხედვით, გზავნილის აპელანტისათვის ჩაბარებულად მიჩნევის საფუძველია.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა ამავე კოდექსის მე-60 მუხლით, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილით და ჩათვალა, რომ მ.ს-ძეს ხარვეზი უნდა გამოესწორებინა 2010 წლის 20 ივლისიდან 26 ივლისის ჩათვლით, რაც მას არ განუხორციელებია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის მეხუთე ნაწილისა და 374-ე მუხლის შესაბამისად პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია და უნდა დარჩეს განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მ. ს-მემ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ სწორად დაადგინა, რომ განჩინება სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენის შესახებ აპელანტის წარმომადგენელ ა. თ-შვილს 2010 წლის 19 ივლისს ჩაჰბარდა, რაც იმავე დღეს გადაეცა მარწმუნებელს. ფაქტობრივად მ. ს-მემ ხარვეზი დადგენილ ვადაში – 2010 წლის 24 ივლისს შეავსო და სახელმწიფო ბაჟი გადაიხდა, თუმცა აღნიშნულის დამადასტურებელი ქვითარი სასამართლოსათვის არ წარუდგენია.

მითითებული გარემოება განპირობებული იყო ხარვეზის დადგენის თაობაზე სასამართლო განჩინების ბუნდოვანებით, საიდანაც ნათლად არ ირკვეოდა, რომ სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი უნდა წარდგენილიყო სასამართლოსათვის.

აღსანიშნავია, რომ მ. ს-მემ მოცემულ ეტაპზე ვედარ სარგებლობდა ადვოკატის დახმარებით, რადგან ა. თ-შვილი მის უფლებებს იცავდა მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში. შემდგომ კი მხარემ ვერ აიყვანა ადვოკატი უსახსრობის გამო. ამასთან, აპელანტი გადის ფსიქიატრიულ მკურნალობას და, ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, გარკვეულ მოვლენებს ნათლად ვერ აღიქვამს.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ს-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ზემოჩამოთვლილ მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი სასამართლო ავ-

ლებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო განსაზღვრავს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომელიც ხარვეზის შესავსებად უნდა განხორციელდეს და საპროცესო ვადას, რომლის განმავლობაშიც აპელანტი ვალდებულია, შეასრულოს განჩინებაში დადგენილი მოქმედებები. სასამართლოს მიერ მითითებული ვადის გასვლის შემდეგ კი სააპელაციო საჩივარი დარჩება განუხილველი.

მოცემულ შემთხვევაში სადავო არ არის და თავად კერძო საჩივრის ავტორიც ადასტურებს, რომ ხარვეზის დადგენის თაობაზე სასამართლო განჩინება აპელანტს 2010 წლის 19 ივლისს ჩაბარდა წარმომადგენლის – ა.თ-შვილის მეშვეობით.

სააპელაციო პალატის მიერ განსაზღვრულ 5-დღიან ვადაში მხარეს ხარვეზი არ გამოუსწორებია და, მ.ს-ძის განმარტებით, მას სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი სასამართლოსათვის არ წარუდგენია. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინებით მ.ს-ძის სააპელაციო საჩივარი მართებულად დარჩა განუხილველად.

დაუსაბუთებელია და ვერ იქნება გაზიარებული კერძო საჩივრის ავტორის მითითება, რომ ხარვეზის დადგენისას სააპელაციო სასამართლომ აპელანტს დაავალა 5 დღის ვადაში მხოლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდა, ხოლო აღნიშნულის დამადასტურებელი ქვითრის სასამართლოში წარდგენის ვალდებულება განჩინებაში გარკვევით მითითებული არ იყო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 12 ივლისის განჩინების სარეზოლუციო ნაწილში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ აპელანტმა მ. ს-ძემ, ხარვეზის შევსების მიზნით, სასამართლოში უნდა წარმოადგინოს სახელმწიფო ბაჟის – 92,80 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამდენად, აპელანტს სათანადოდ განემარტა მისი საპროცესო ვალდებულებანი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მართალია, კერძო საჩივრაზე დართული ქვითრით დასტურდება მ. ს-ძის მიერ 2010 წლის 24 ივლისს სახელმწიფო ბაჟის – 239 ლარის გადახდის ფაქტი, მაგრამ აღნიშნული სააპელაციო პალატის მიერ დადგენილი ხარვეზის გამოსწორებულად მიჩნევის საფუძველი ვერ გახდება, რადგან მხარეს მითითებული ქვითარი სასამართლოსათვის დროულად არ წარუდგენია.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის საფუძველს, რომ მ.ს-ძეს მოვლენების სწორად აღქმა უჭირს, რადგან აღნიშნული გარემოება მხარეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით არ დაუდასტურებია.

ზემოხსენებულის დასადასტურებლად საკმარის საფუძველს არ წარმოადგენს არც კერძო საჩივარზე დართული ექიმ ნ.თ-ძის ცნობა, ვინაიდან იგი ცალსახად არ მიუთითებს პირის მიერ მოვლენათა აღქმის შესაძლებლობის დაქვეითებაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს მთლიანად დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი. განსახილველ შემთხვევაში მ. ს-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად. შესაბამისად, მას უნდა დაუბრუნდეს 2010 წლის 24 ივლისს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 239,65 ლარი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და  
**და ა დ გ ი ნ ა:**

მ. ს-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 ივლისის განჩინება დარჩეს უცვლელად.

მ. ს-ძეს დაუბრუნდეს სააპელაციო საჩივრის გამო გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 239,65 ლარი.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## ხარვეზის შეუვსებლობა

### განჩინება

<sup>1</sup> ას-1057-991-2010

23 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

თ. თოდრია

**დავის საგანი:** საქმის წარმოების განახლება

#### აღწერილობითი ნაწილი:

ვ. დ-მემ განცხადებით მიმართ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო 2010 წლის 31 მარტის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ. განმცხადებელმა მიუთითა, რომ გასაჩივრებული განჩინებით უკანონოდ დარჩა განუხილველი მისი განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ, რომელიც ფაქტობრივად აკმაყოფილებდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე და 427-ე მუხლების მოთხოვნებს. სასამართლომ კი საქმე განიხილა არაობიექტურად, ასევე, საქმის არსებითად განხილვისას უკანონოდ არ დააკმაყოფილა ვ.დ-მის მოთხოვნები მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 23 სექტემბრის განჩინებით ვ. დ-მის განცხადება დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ამავე სასამართლოს 2010 წლის 31 მარტის განჩინებით დაუშვებლად იქნა ცნობილი ვ.დ-მის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ იმ მოტივით, რომ მხარემ განცხადებაში მიუთითა გარემოებანი, რომლებიც საფუძვლად დაედო მის კერძო საჩივრს და უკვე შეფასდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ, რომლის 2010 წლის 1 ივლისის განჩინებით ვ.დ-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველი განცხადება არ შეესაბამება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის, 422-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 426-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც ამავე კოდექსის 429-ე მუხლის საფუძველზე უნდა დარჩეს განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ვ. დ-მემ გასაჩივრა კერძო საჩივრით, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის. ვ.დ-მის მითითებით, სასამართლომ უკანონოდ ჩათვალა, რომ მისი განცხადება არ შეესაბამებოდა კანონის მოთხოვნებს.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ვ. დ-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 425-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა და მისი განხილვა წარმოებს საერთო წესების დაცვით, იმ გამონაკლისების გათვალისწინებით, რომლებიც ამ თავშია დადგენილი.

ამავე კოდექსის 426-ე და 427-ე მუხლები ადგენს იმ პირობებს, რომლებსაც საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადება უნდა აკმაყოფილებდეს, კერძოდ, განმცხადებელი ვალდებულია, მიუთითოს თუ რას მიიჩნევს ახლად აღმოჩენილ გარემოებად, ასევე როდის გახდა ცნობილი მისთვის ამ გარემოების შესახებ.

აღნიშნული პირობების დაცვა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში და ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება. ვადის დენა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველების არსებობა.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ვ. დ-მის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 31 მარტის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ ეფუძნება იმავე საფუძველებს, რასაც მხარე უთითებდა ამავე განჩინების კერძო საჩივრით გასაჩივრებისას.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ამ გარემოების საწინააღმდეგოდ კერძო საჩივრის ავტორს დასაბუთებული შედავება არ წარუდგენია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვ. დ-მის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ გასაჩივრებული განჩინებით მართებულად დარჩა განუხილველად.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

**დაადგინა:**

ვ. ბ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.  
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 23 სექტემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**ხარვეზის შეუვსებლობა**

**განჩინება**

<sup>1</sup> სს-1073-1005-2010 23 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** დავალიანების დაფარვა, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაცია

**აღწერილობითი ნაწილი:**

სს «... ბანკმა» სარჩელი აღძრა სასამართლოში ხ., თ. შ-ძეებისა და მ. ბ-ძის მიმართ დავალიანების დაფარვისა და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის შესახებ იმ საფუძველით, რომ მოსარჩელესა და, მეორე მხრივ, ხ. და თ. შ-ძეებს შორის გაფორმდა ხელშეკრულება საკრედიტო ხაზის გახსნის თაობაზე. გარბეების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა მ.ბ-ძის კუთვნილი უძრავი ქონება. მოპასუხეებმა საკრედიტო ვალდებულებები არ შეასრულეს.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 5 იანვრის გადაწყვეტილებით სს «... ბანკის» სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც მ.ბ-ძემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 27 სექტემბრის განჩინებით მ. ბ-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მ.ბ-ძის სააპელაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა ხარვეზიანად და მხარეს დაევალა სახელმწიფო ბაჟის გადახდა, რისთვისაც დაუდგინდა ვადა. აღნიშნული ვადა მხარეს საკუთარი მოთხოვნით გაუგრძელდა.

სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 8 სექტემბრის განჩინება ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების თაობაზე მ.ბ-ძეს 2010 წლის 16 სექტემბერს ჩაბარდა და არსებული ხარვეზი უნდა გამოეწორებინა 20 სექტემბრამდე.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე, 374-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ აპელანტს სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზი არ გამოუსწორებია, რის გამოც მისი სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია.

სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ, ვინაიდან მხარემ სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით თავისი მძიმე მატერიალური მდგომარეობა ვერ დაადასტურა, ხოლო მართოდენ განმარტება, რომ მისი ოჯახი არ ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, არ მუშაობს საჯარო დაწესებულებაში და აქვს არასტაბილური შემოსავალი, არ გააჩნია ქონება და საბანკო ანგარიშები, არ არის საკმარისი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებისათვის.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება მ. ბ-ძემ გაასაჩივრა კერძო საჩივრით და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძველებით: აპელანტმა მ.ბ-ძემ ვერ შეძლო სახელმწიფო ბაჟის გადახდა მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო, რაც სასამართლომ არ გაითვალისწინა და შეუზღუდა მხარეს სასამართლოში დავის უფლება. სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებაზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლოს მ.ბ-ძისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდა უნდა გადაევადა.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ბ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ფილდეს, ხოლო სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ ნორმის მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო განსაზღვრავს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომელიც ხარვეზის შესავსებად უნდა განხორციელდეს და საპროცესო ვადას, რომლის განმავლობაშიც აპელანტი ვალდებულია, შეასრულოს განჩინებაში დადგენილი მოქმედებები. სასამართლოს მიერ მითითებული ვადის გასვლის შემდეგ კი სააპელაციო საჩივარი დარჩება განუხილველად.

მოცემულ შემთხვევაში აპელანტ მ.ბ-მეს დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა სახელმწიფო ბაჟის – 1680 ლარის გადახდა. აღნიშნულისათვის მხარეს განსაზღვრა ჯერ 7, ხოლო შემდეგ დამატებით 4 დღე. ხარვეზის გამოსასწორებლად მიცემული ვადის გაგრძელების შესახებ განჩინება მხარეს ჩაჰბარდა 2010 წლის 16 სექტემბერს, რაც მას სადავოდ არ გაუხდია.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ მ. ბ-მეს სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზი არ გამოუსწორებია, რაც მისი სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

დაუსაბუთებელია კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტი, რომ სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა აპელანტის მიმღე ეკონომიკური მდგომარეობა და გაეთავისუფლებინა ან გადაევალებინა სახელმწიფო ბაჟის გადახდა, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე-48-ე მუხლებით გათვალისწინებული სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლებისა და აღნიშნული ხარჯების გადავადების შესაძლებლობა არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს მხარის მიერ წარდგენილი უტყუარი მტკიცებულებების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე შეექმნება შინაგანი რწმენა მხარის მიმღე ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, კერძოდ, რომ მას არ შეუძლია სახელმწიფო ბაჟის გადახდა. განსახილველ შემთხვევაში კი აპელანტს სასამართლოსათვის თავისი მიმღე ქონებრივი მდგომარეობის უდავოდ დამადასტურებელი მტკიცებულება არ წარმოუდგენია.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ მხარის საპროცესო მოვალეობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის აუცილებლობის თაობაზე დადგენილია მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, შესაბამისად, მხარის მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება სასამართლო წესით მხარის კანონიერი ინტერესების დაცვის უფლების შეზღუდვად ვერ ჩითვლება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება კანონიერია და მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

მ. ბ-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 27 სექტემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

#### **ხარვეზის შეუვსებლობა**

#### **განჩინება**

<sup>1</sup> ას-1136-1025-2010

23 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

თ. თოდრია

დავის საგანი: იპოთეკის ხელშეკრულების გაუქმება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

მ. კ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. კ-ძის, უ. ბ-კისა და ნოტარიუს ქ.ო-ძის მიმართ მემკვიდრედ ცნობის, სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელებისა და იპოთეკის ხელშეკრულების გაუქმების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: **2009 წლის 9 ივლისს** მოპასუხეებმა დადეს სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლითაც იპოთეკით დაიტვირთა მოსარჩელის დედის – ე. კ-ძის სახელზე რიცხული უძრავი ქონება. აღნიშნული გარიგება უკანონოდ დამოწმებულ იქნა სანოტარო წესით.

გ. კ-მემ სადავო გარიგება დადო ე.კ-ძის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე, თუმცა ხელშეკრულების გაფორმებისას მარწმუნებელი უკვე გარდაცვლილი იყო. სადავო უძრავი ნივთის კანონიერი მემკვიდრეა მ. კ-მე.

მოპასუხე გ. კ-მემ სარჩელი ცნო, ხოლო უ.ბ-კიმ მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს **2010 წლის 7 მაისის** გადაწყვეტილებით მ. კ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის **2010 წლის 20 ოქტომბრის** განჩინებით მ. კ-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად და მასვე დაუბრუნდა გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – **150 ლარი** შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მ.კ-ძის სააპელაციო საჩივარს რამდენჯერმე განესაზღვრა ხარვეზი, აპელანტს დაევალა სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულების განსაზღვრა და სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა. მ. კ-მემ წარადგინა **150 ლარის** გადახდის ამსახველი ქვითარი, უარი განაცხადა სასარჩელო მოთხოვნაზე მემკვიდრედ ცნობისა და სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების თაობაზე და მიიჩნია, რომ იპოთეკის ხელშეკრულების გაუქმების შესახებ მისი მოთხოვნა არ განეკუთვნებოდა ქონებრივ დავათა რიგს.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **368-ე** მუხლის მე-5 ნაწილით, **374-ე** მუხლით და ჩათვალა, რომ აპელანტს ხარვეზი არ გამოუსწორებია, რის გამოც იგი უნდა დარჩეს განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს მითითებული განჩინება მ. კ-მემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო პალატამ აპელანტს სახელმწიფო ბაჟის ოდენობა არასწორად დაუდგინა და არ გაითვალისწინა, რომ იგი უძრავი ნივთის საკუთრებაზე არ დავობდა. აპელანტი ასაჩივრებდა მარტოოდენ იპოთეკის ხელშეკრულების კანონიერებას. ამასთან, სასამართლომ არასწორად არ გაითვალისწინა, რომ მხარე ითხოვდა მისი ზემოხსენებული მოსაზრების გაუზიარებლობის შემთხვევაში ხარვეზის შესავსებად ვადის გაგრძელებას.

აღსანიშნავია, რომ სააპელაციო პალატამ სახელმწიფო ბაჟის საკითხი გადაწყვიტა უკანონოდ, პირველი ინსტანციის სასამართლოსაგან განსხვავებულად, რითაც დაარღვია მხარის უფლებები.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. კ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **368-ე** მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამავე მუხლის მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო განსაზღვრავს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომელიც ხარვეზის შესავსებად უნდა განხორციელდეს და საპროცესო ვადას, რომლის განმავლობაშიც აპელანტი ვალდებულია, შეასრულოს განჩინებაში დადგენილი მოქმედებები. სასამართლოს მიერ მითითებული ვადის გასვლის შემდეგ კი სააპელაციო საჩივარი დარჩება განუხილველად.

მოცემულ შემთხვევაში აპელანტ მ.კ-მეს არაერთხელ დაუდგინა ხარვეზი და დაევალა სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტისა და მის შესაბამისად გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ქვითრის წარდგენა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ხარვეზის შესავსებად ვადის გაგრძელების შესახებ მხარეს გაეგზავნა და **2010 წლის 29 სექტემბერს** ჩაჰბარდა აპელანტის მეუღლეს, რაც მ.კ-მეს სადავოდ არ გაუხდია. მას ხარვეზი უნდა გამოესწორებინა **5 დღის** ვადაში – **2010 წლის 4 ოქტომბრის** ჩათვლით. აღნიშნულის სანაცვლოდ **2010 წლის 4 ოქტომბერს** მ.კ-მემ განცხადებით მიმართა სასამართლოს, წარადგინა მხოლოდ **150 ლარის** გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, სარჩელისა და სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა შეამცირა და მოითხოვა მხოლოდ სადავო იპოთეკის ხელშეკრულების გაუქმება, რაც, მხარის აზრით, არაქონებრივ დავათა კატეგორიას განეკუთვნებოდა.



საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ მ. კ-მეს სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზი არ გამოუსწორებია, რის გამოც მისი სააპელაციო საჩივარი მართებულად დარჩა განუხილველად. კერძოდ, აპელანტს სააპელაციო საჩივრის საგნის ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტი და მის შესაბამისად გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ქვითარი 5-დღიან ვადაში არ წარუდგენია.

დაუსაბუთებელია მ.კ-მის არგუმენტი, რომ სასამართლომ სახელმწიფო ბაჟის გადახდა არასწორად დაუდგინა, ვინაიდან თავად აპელანტის მითითებით, იგი ითხოვდა იპოთეკის ხელშეკრულების გაუქმებას, რაც ქონებრივ დავათა კატეგორიას განეკუთვნება. აღნიშნული სააპელაციო პალატამ მხარეს ნათლად განუმარტა და რამდენჯერმე გაუგრძელა ვადა ხარვეზის შესავსებად.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება კანონიერია და უნდა დარჩეს ძალაში.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

მ. კ-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.  
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 ოქტომბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **ხარვეზის შეუვსებლობა**

#### **განჩინება**

<sup>1</sup>ას-976-918-2010

29 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** ვალდებულების შესრულება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ბ. მ-იამ სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. დ-შვილის მიმართ ვალდებულების შესრულების – 5 988 აშშ დოლარის დაბრუნების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2009 წლის 9 მაისს მოსარჩელემ მოპასუხეს ასესხა 40000 აშშ დოლარი უპროცენტოდ 2 თვის ვადით. მხარეთა შორის არსებობდა მეგობრული დამოკიდებულება და ისინი ენდობოდნენ ერთმანეთს. მითითებული ვადის გასვლის შემდეგ მოპასუხემ წერილობით აღიარა ვალის არსებობა, თუმცა არც ხელწერილით დათქმულ ვადაში თანხა არ დაუბრუნებია.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ 2008 წლის 2 აგვისტოს ხელწერილი ბ. მ-იასთვის თანხის გადაცემის ვალდებულების შესახებ გ. დ-შვილის მიერ დაწერილია იძულების გზით. ამასთან, ხელწერილში მითითებული თანხის გადაცემის ვალდებულება გამომდინარეობს მხარეთა შორის 2009 წლის 17 აპრილს გაფორმებული სესხის ხელშეკრულებიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილებით ბ.მ-იას სარჩელი დაკმაყოფილდა და გ.დ-შვილს მის სასარგებლოდ დაეკისრა 5988 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, რაც მოპასუხემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 აგვისტოს განჩინებით გ. დ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 4 მაისის განჩინებით გ. დ-შვილის სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი, აპელანტს დაევალა სახელმწიფო ბაჟის – 240 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, ფ. მ-მის მიერ აპელანტის სახელით სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლებამოსილების დამადასტურებელი, კანონით დადგენილი წესით გაფორმებული მინდობილობისა და ფ. მ-მის საადვოკატო საქმიანობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენა.

2010 წლის 7 ივნისის გ. დ-შვილის წარმომადგენელ ფ. მ-მის განცხადების საფუძველზე სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 10 ივნისის განჩინებით აპელანტს ზემოხსენებული საპროცესო ვადა 10 დღით გაუგრძელდა.

საქმეში წარმოდგენილი 17 საერთო, მკაცრი და საპრობილის რეჟიმის დაწესებულების მიერ გამოგზავნილი ხელწერილით სასამართლომ დაადგინა, რომ პატიმარ გ. დ-შვილს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 ივნისის განჩინება საპროცესო ვადის გაგრძელების შესახებ 2010 წლის 29 ივნისს ჩაბარდა. შესაბამისად, ხარვეზის შევსების 10-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო 2010 წლის 30 ივნისიდან და ამოიწურა 2010 წლის 10 ივლისს, ანუ ხარვეზის შევსების უფლებამოსილება აპელანტს გააჩნდა 2010 წლის 10 ივლისის ჩათვლით.

პალატამ მიიჩნია, რომ გ. დ-შვილმა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში დადგენილი ხარვეზი არ გამოასწორა, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ განჩინებაზე გ.დ-შვილმა შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძველებით: სასამართლოს მიერ ხარვეზის დადგენისას გ.დ-შვილი იმყოფებოდა მკაცრი რეჟიმის საპრობილეში და არ ჰქონდა შესაძლებლობა, გამოესწორებინა ხარვეზი.

აღსანიშნავია, რომ გასაჩივრებული განჩინება გ. დ-შვილის წარმომადგენელ ფ. მ-ძეს არ ჩაბარებია.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. დ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ზემოჩამოთვლილ მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო განსაზღვრავს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომელიც ხარვეზის შესავსებად უნდა განხორციელდეს და საპროცესო ვადას, რომლის განმავლობაშიც აპელანტი ვალდებულია, შეასრულოს განჩინებაში დადგენილი მოქმედებები. სასამართლოს მიერ მითითებული ვადის გასვლის შემდეგ კი სააპელაციო საჩივარი დარჩება განუხილველი.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 10 ივნისის განჩინება ხარვეზის დადგენის შესახებ აპელანტ გ. დ-შვილს ჩაბარდა 2010 წლის 29 ივნისს, შესაბამისად, ხარვეზის შევსების 10-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო 2010 წლის 30 ივნისიდან და ამოიწურა 2010 წლის 10 ივლისს, ანუ ხარვეზის შევსების უფლებამოსილება აპელანტს გააჩნდა 2010 წლის 10 ივლისის ჩათვლით. სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში მხარემ ხარვეზი არ გამოასწორა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ მას არ შეეძლო განჩინების ჩაბარების შესახებ ეცნობებინა ადვოკატისათვის, ვინაიდან სასჯელადსრულების დაწესებულებაში პირის ყოფნა არ გამორიცხავს მის შესაძლებლობას, ურთიერთობა ჰქონდეს ადვოკატთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

გ. დ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.  
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 აგვისტოს განჩინება დარჩეს უცვლელად.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## ხარვეზის შეუვსებლობა

### განჩინება

<sup>1</sup> ას-1290-1136-2010

20 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** უკანონო ხელშეშლის აღკვეთა

#### აღწერილობითი ნაწილი:

ლ. გ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ვ. ფ-შვილის მიმართ და მოითხოვა ახალციხეში, ... ქ.137-ში მდებარე 21 კვ.მ სარდაფისა და მისი არსებითი შემადგენელი ნაწილების, როგორც მოსარჩელის საკუთრების, ხელყოფის აღკვეთა, ასევე, მოპასუხისათვის აღნიშნულ უძრავ ნივთზე ფლობისა და სხვაგვარი ხელშეშლის აკრძალვა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 7 სექტემბრის გადაწყვეტილებით ლ.გ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ნოემბრის განჩინებით ლ.გ-მის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ აპელანტს განესაზღვრა ხარვეზი და დაევალა კანონით დადგენილი წესით შედგენილი სააპელაციო საჩივრის წარდგენა, რისთვისაც საპროცესო ვადა ერთხელ გაუგრძელდა. სასამართლო გზავნილი ლ.გ-მეს ჩაჰბარდა 2010 წლის 12 ნოემბერს და ხარვეზის გამოსწორებისათვის მისთვის მიცემული 3-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო სწორედ აღნიშნული მომენტიდან.

ლ. გ-მემ ხარვეზის გამოსწორების მიზნით სასამართლოს მიმართა 2010 წლის 16 ნოემბერს, ზემოხსენებული ვადის დარღვევით, რის გამოც სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილით და სააპელაციო საჩივარი დატოვა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ განჩინებაზე ლ. გ-მემ შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო პალატის განჩინება ხარვეზის გამოსასწორებლად მიცემული ვადის გაგრძელების შესახებ აპელანტს ჩაბარდა 2010 წლის 12 ნოემბერს, პარასკევ დღეს, შესაბამისად, ლ.გ-მემ განჩინებაში მითითებული 3-დღიანი ვადა აითვალა პირველივე სამუშაო დღიდან და ხარვეზი ვადაში გამოასწორა.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. გ-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ ნორმის მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო განსაზღვრავს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომელიც ხარვეზის შესავსებად უნდა განხორციელდეს და საპროცესო ვადას, რომლის განმავლობაშიც აპელანტი ვალდებულია, შეასრულოს განჩინებაში დადგენილი მოქმედებები. სასამართლოს მიერ მითითებული ვადის გასვლის შემდეგ კი სააპელაციო საჩივარი დარჩება განუხილველად.

მოცემულ შემთხვევაში აპელანტ ლ.გ-მეს დაუდგინდა ხარვეზი და მის გამოსასწორებლად განესაზღვრა ჯერ 5, ხოლო შემდეგ დამატებით 3 დღე. აღნიშნულის შესახებ სასამართლო განჩინება მხარეს ჩაჰბარდა 2010 წლის 12 ნოემბერს, რაც მას სადავოდ არ გაუხდია. აპელანტმა ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით პალატას მიმართა 2010 წლის 16 ნოემბერს, საპროცესო ვადის დარღვევით.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ ლ.გ-მეს სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზი არ გამოუსწორებია, რაც მისი სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

დაუსაბუთებელია და რაიმე სამართლებრივ საფუძველს არ ეფუძნება კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრება, რომ სასამართლოს მიერ ხარვეზის გამოსასწორებლად აპელანტისათვის მიცემული 3-დღიანი ვადის

ათვლა უნდა დაწყებულიყო არა 2010 წლის 13 ნოემბრიდან (მხარისათვის განჩინების ჩაბარების მომდევნო დღიდან), არამედ 15 ნოემბრიდან – პირველივე სამუშაო დღიდან.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ ლ.გ-მის მიერ ხარვეზის გამოსწორების ვადა აპელანტისათვის სასამართლო განჩინების ჩაბარების მომდევნო – არასამუშაო დღიდან სწორად აითვალა, ვინაიდან მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა აღნიშნული ვადის გამოანგარიშებისას რაიმე განსხვავებული სახის დათქმას არ ითვალისწინებს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ლ. გ-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.  
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 ნოემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **4. სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა**

#### **განჩინება**

1ას-916-1199-09

14 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
თ. თოდრია (მომხსენებელი),  
რ. ნადირიანი

**დავის საგანი:** ვალის დაბრუნება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

მ. გ-იამ სარჩელი აღძრა მ. ბ-ოვის მიმართ ვალის დაბრუნების შესახებ. მოსარჩელემ მიუთითა, რომ 1990 წელს მ. ბ-ოვმა მ. გ-იას აწ გარდაცვლილ მეუღლე ტ. შ-ძეს სთხოვა 15 ათასი მანეთი, რომელიც ესაჭიროებოდა შვილის ქორწილისათვის. ისინი შეთანხმდნენ, რომ თუკი ფულს ვერ ასესხებდა, მაშინ იაფად მიჰყიდდა ტუფის ქვის ფილებს. ტ. შ-ძემ მ. ბ-ოვისაგან შეიძინა 15 ათასი მანეთის ღირებულების ტუფის ქვის ფილები. ამის შემდეგ მ. ბ-ოვი საბერძნეთში გადავიდა საცხოვრებლად, ხოლო მისმა ძმამ ს. ბ-ოვმა აღნიშნული ფილები თავად წაიღო სახლში. თ. შ-ძის ოჯახს არც ფული დაუბრუნეს და არც ტუფის ქვის ფილები.

მარნეულის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილებით მ. გ-იას სარჩელი მ. ბ-ოვის მიმართ ვალის - 8500 აშშ დოლარის ეკვივალენტი თანხის დაბრუნების თაობაზე არ დაკმაყოფილდა ხანდაზმულობისა და დაუსაბუთებლობის გამო.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა მ. გ-იამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 12 აგვისტოს განჩინებით მ. გ-იას წარმომადგენელ ნ. ა-შვილის სააპელაციო საჩივარი მარნეულის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველი.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა მ. გ-იას წარმომადგენელმა ნ. ა-შვილმა. მან მიუთითა, რომ არასწორია სააპელაციო სასამართლოს მითითება იმის შესახებ, რომ სააპელაციო საჩივარი შეტანილია 1 დღის დაგვიანებით. მ. გ-იას სააპელაციო საჩივარი შეტანილია კანონით გათვალისწინებული 14 სამუშაო დღის ვადაში, ამდენად, სააპელაციო სასამართლომ უკანონოდ დატოვა მისი სააპელაციო საჩივარი განუხილველად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ მ. გ-იას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მო-

მენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

დადგენილია, რომ მარნეულის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილების ასლი მ. გ-იას ჩაჰბარდა 2009 წლის 8 ივლისს. მან სააპელაციო საჩივარი შეიტანა 2009 წლის 23 ივლისს. განჩინების გასაჩივრების ვადა ამოიწურა 2009 წლის 22 ივლისს, ე.ი. სააპელაციო საჩივარი შეტანილია 1 დღის დაგვიანებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება ქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველად დარჩება.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ, თუ მხარე კანონით დადგენილ ვადაში არ გასაჩივრებს სასამართლოს გადაწყვეტილებას (განჩინებას), იგი კარგავს ამ უფლებას, ანუ ეს უფლება ქარწყლდება და გადაწყვეტილება (განჩინება) შედის კანონიერ ძალაში. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან მ. გ-იამ სააპელაციო საჩივარი კანონით დადგენილ ვადაში არ შეიტანა, მისი სააპელაციო საჩივარი დაუმგებელია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო საჩივარი შეტანილია სააპელაციო საჩივრის შეტანისათვის დადგენილი 14-დღიანი ვადის გასვლით, რის გამოც კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

მ. გ-იას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 12 აგვისტოს განჩინება;  
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

#### **სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა**

#### **განჩინება**

1ას-1171-1433-09

25 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** ვალდებულების შესრულება იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის აუქციონზე რეალიზაციის გზით

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ნ. ს-უამ და მ. ნ-შვილმა განცხადებით მიმართეს სასამართლოს ე. კ-ძის მიმართ გადახდის ბრძანების მიღების მოთხოვნით, 2000 წლის 30 ოქტომბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, თითოეული განმცხადებლის სასარგებლოდ, ქ. თბილისში, ... ქ'24'-ში მდებარე იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის აუქციონზე რეალიზაციის გზით 3000-3000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის დაკისრების შესახებ.

ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2001 წლის 7 ნოემბრის გადახდის ბრძანებით მოთხოვნა დაკმაყოფილდა, ე. კ-ძეს დაეკისრა ნ. ს-უას სასარგებლოდ 3000 აშშ დოლარის, ხოლო მ. ნ-შვილის სასარგებლოდ, ასევე, 3000 აშშ დოლარის ანაზღაურება.

ო. კ-ძემ შესაგებლით (პროტესტით) მიმართა სასამართლოს, მოითხოვა გადახდის ბრძანების გაუქმება, განცხადების სასარჩელო წესით განხილვა და აღნიშნა, რომ გადახდის ბრძანების მიღების დროისათვის ე. კ-ძე გარდაიცვალა.

ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 15 ივლისის განჩინებით ე. კ-ძის უფლებამონაცვლედ საქმეში ჩაბმულ იქნა ო. კ-ძე. ამავე სასამართლოს 2002 წლის 3 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ნ. ს-უასა და მ. ნ-შვილის მოთხოვნა დაკმაყოფილდა – ო.კ-ძეს მოსარჩელეთა სასარ-

გებლოდ დაეკისრა იპოთეკის საგნის რეალიზაციის გზით 3000-3000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ანაზღაურება.

რაიონული სასამართლოს დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა ო.კ-მემ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 6 ნოემბრის განჩინებით ო.კ-მის საჩივარი დარჩა განუხილველად.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 17 დეკემბრის განჩინებით აღნიშნულ განჩინებაზე შეტანილი კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ამავე სასამართლოს 2003 წლის 12 სექტემბრის განჩინებით კი ო. კ-მის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნენ მისი არასრულწლოვანი შვილები: ნ. და ე. კ-ძეები და მათი კანონიერი წარმომადგენელი – დედა მ. გ-შვილი.

ნ. და ე. კ-ძეების კანონიერმა წარმომადგენელმა მ. გ-შვილმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2002 წლის 3 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 14 აპრილის განჩინებით განცხადება არ დაკმაყოფილდა, რაც მ.გ-შვილმა გასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 8 ოქტომბრის განჩინებით მ. გ-შვილის სააპელაციო საჩივარი თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 14 აპრილის განჩინებაზე დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილით და დაადგინა, რომ ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 14 აპრილის განჩინების ასლი მ. გ-შვილს პირადად ჩაჰბარდა 2004 წლის 19 ივნისს. ამავე კოდექსის 2004 წლის რედაქციის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე პალატამ მიიჩნია, რომ მ.გ-შვილს სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა ჰქონდა 2004 წლის 19 ივლისამდე, მოცემულ შემთხვევაში კი სააპელაციო საჩივარი მხარემ შეიტანა 2004 წლის 19 აგვისტოს, ერთთვიანი ვადის გასვლის შემდეგ.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ნ. და ე. კ-ძეების წარმომადგენელმა მ. გ-შვილმა შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძველებით: სასამართლოს 2004 წლის 14 აპრილის განჩინება მხარეს არ ჩაჰბარებია, ვიდრე 2004 წლის 19 ივლისს თავად არ მიაკითხა სასამართლოს განჩინების ჩასაბარებლად. გადასცა რა მითითებული განჩინების დაუმოწმებელი ასლი, სასამართლოს თანამშრომელმა უკანვე გამოართვა იგი მხარეს და შეადგინა აქტი. აღვლევსაგან მ.გ-შვილმა სადავო განჩინების ჩაბარების ხელწერილზე მისი ჩაბარების თარიღად არასწორად მიუთითა 19 ივნისი. ამდენად, მას სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა არ დაურღვევია.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. გ-შვილის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 2004 წლის რედაქციის 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა ერთი თვე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება ამ გადაწყვეტილების ასლის მხარეებისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან მისი მხარისათვის ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად გადაგზავნის დრო. მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივრის შეტანა დასაშვებია მხარის მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ასლის მიღებიდან მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში და აღნიშნული ვადა აითვლება გასაჩივრებული გადაწყვეტილების ჩაბარების მომენტიდან.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებში წარმოდგენილია აპელანტ მ.გ-შვილის მიერ ხელმოწერილი ხელწერილი, რომლის მიხედვით, ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 14 აპრილის გასაჩივრებული განჩინების ასლი მხარეს პირადად ჩაჰბარდა 2004 წლის 19 ივნისს, რაც ასევე გაზიარებულ იქნა სააპელაციო პალატის მიერ.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება კერძო საჩივრის ავტორის მითითებას, რომ გასაჩივრებული განჩინება დაუსაბუთებელია, ვინაიდან სასამართლოს სრულად არ გამოუკვლევია საქმეში არსებული დოკუმენტები, კერძოდ:

მოცემული საქმის მასალებში ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 14 აპრილის განჩინებას მოსდევს ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წამყვანი სპეციალისტის – შ.გ-შვილის მიერ 2004 წლის 19 ივლისს შედგენილი აქტი, რომლის თანახმად, 2004 წლის 19 ივლისს მ.გ-შვილს აღნიშნული საქმე გადაეცა გასაცნობად, საიდანაც მან ამოხია 49-50 გვერდზე მდებარე, 2004 წლის 14

აპრილის განჩინება. მითითებული აქტის მიხედვით, საქმეში იყო სულ 50 გვერდი (ფურცელი). მ.გ-შვილის მიერ 2004 წლის 19 ივნისით დათარიღებული სადავო ხელწერილი გადანომრილია და გვერდის ნომრად მითითებულია 52, რაც იმაზე მეტყველებს, რომ 2004 წლის 19 ივლისის აქტის შედგენამდე აღნიშნული ხელწერილი საქმეს არ ერთვოდა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო არადამაჯერებლად მიიჩნევს სააპელაციო პალატის მითითებას, რომ ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 14 აპრილის სადავო განჩინების ასლი მ.გ-შვილს 2004 წლის 19 ივლისს ჩაჰბარდა და თვლის, რომ სააპელაციო პალატას ზემოხსენებული გარემოებებისათვის შეფასება არ მიუცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ განჩინების კვლევით ნაწილში მითითებული გარემოებების გათვალისწინებით უნდა განსაზღვროს მ.გ-შვილის სააპელაციო საჩივრის შეტანის ერთგვანი ვადის ათვლის მომენტი და იმსჯელოს, სააპელაციო საჩივრის 2004 წლის 19 აგვისტოს შეტანით დაარღვია თუ არა მხარემ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის იმჟამინდელი რედაქციის დანაწესი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ნ. და ე. კ-ძეების კანონიერი წარმომადგენლის – მ. გ-შვილის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 8 ოქტომბრის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს მ.გ-შვილის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა**

#### **განჩინება**

1ას-1274-1532-09

1 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

გ. და ლ. ს-ძეებმა სარჩელი აღმრეს სასამართლოში ქ.ბათუმის მერიისა და სს «ხ-ს» მიმართ უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ.

მოპასუხე სს «ხ-ს» სარჩელი ცნო, ხოლო ქ.ბათუმის მერიამ მის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 1997 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილებით გ. და ლ. ს-ძეების სარჩელი დაკმაყოფილდა – ქ.ბათუმში, ... ქ167-ში მდებარე ორსართულიანი ქვის შენობა, რომელიც ტექნიურის მონაცემებით სს «ხ-ს» სახელზე ირიცხებოდა, საკუთრების უფლებით დაუბრუნდა გ. და ლ. ს-ძეებს, ასევე, შესაბამისი ცვლილება შევიდა ქ.ბათუმის მერიის ტექნიურის მონაცემებში.

2009 წლის 10 ნოემბერს ქ.ბათუმის მერიამ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 ნოემბრის განჩინებით ქ.ბათუმის მერიის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე სასამართლომ მიიჩნია, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 1997 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილებაზე 2009 წლის 10 ნოემბერს შეტანილი, ქ.ბათუმის მერიის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის, კერძოდ, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის დაცვის საკითხი უნდა შემოწმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღების დროისათვის მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის თანახმად. პალატამ იხელმძღვანელა 1997 წლის 13 აგვისტოს რედაქციის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 209-ე, 293-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 1997 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ბოლო ვადას წარმოადგენა 1997 წლის 27 აგვისტო, იმ შემთხვე-

ვამი კი, თუ სასამართლო გამოიყენებდა საქართველოს სსრ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 209-ე მუხლს და, განსაკუთრებული სირთული გამო, დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას 3 დღით გადადებდა გასაჩივრების უკანასკნელ ვადას შეადგენდა 1997 წლის 30 აგვისტო. მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის მიხედვით, პალატამ მიიჩნია, რომ ქ.ბათუმის მერიის სააპელაციო საჩივარი შეტანილია კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადის დარღვევით, რის გამოც იგი დაუშვებელია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ქ.ბათუმის მერიამ შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ ქ.ბათუმის მერიამ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა დაარღვია, ვინაიდან გასაჩივრებული 1997 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილების არსებობის ფაქტი აპელანტისათვის ცნობილი გახდა მხოლოდ 2009 წელს ქ.ბათუმის, ... ქ.157-ის მცხოვრებთა განცხადებით, რის შემდეგ მერიამ 2009 წლის 23 ოქტომბერს სასამართლოსაგან მოითხოვა მითითებული გადაწყვეტილების ასლის გადაცემა და ჩაიბარა იგი 2009 წლის 4 ნოემბერს. სააპელაციო სასამართლოს არ უმჯავლია, შევიდა თუ არა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 1997 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში და, შესაბამისად, შესაძლებელი იყო თუ არა მისი სააპელაციო წესით გასაჩივრება. ვინაიდან აპელანტს სასამართლო გადაწყვეტილება თავის დროზე კანონით დადგენილი წესით არ ჩაჰბარებია და არც გადაწყვეტილებით ირკვევა, ესწრებოდა თუ არა მოპასუხე დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის ათვლა ვერ მოხდება. «საქართველოს სსრ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დამტკიცების შესახებ» 1964 წლის 26 დეკემბრის კანონის 210-ე მუხლის თანახმად, მოცემულ საქმეზე არც სააღსრულებო ფურცელი ამოწერილია. სააპელაციო პალატას ამავე კანონის 293-ე მუხლის დანაწესი გადაწყვეტილების საბოლოო ფორმით ჩამოყალიბების შესახებ უნდა განემარტა იმდაგვარად, რომ გადაწყვეტილების საბოლოო ფორმით ჩამოყალიბებაში კანონმდებელი ითვალისწინებდა მის წერილობით შედგენას და მხარისათვის ჩაბარებას. საქმის მასალებით არ დგინდება, შეასრულა თუ არა სასამართლომ ამავე კანონის 209-ე მუხლის მოთხოვნა გადაწყვეტილების გამოტანის წესთან დაკავშირებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 6 იანვრის განჩინებით აწ გარდაცვლილი გ. ს-ძის უფლებამონაცვლებად საქმეში ჩაებნენ ლი. და ლა. ს-ძეები.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ქ.ბათუმის მერიის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში კერძო საჩივრის ავტორი გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას მოითხოვს იმ საფუძვლით, რომ მისთვის ბათუმის საქალაქო სასამართლოს 1997 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილების შესახებ მხოლოდ ქ.ბათუმის, ... ქ.157-ის მცხოვრებთა 2009 წლის 12 ოქტომბრის განცხადებებიდან გახდა ცნობილი, ქ.ბათუმის მერია აღნიშნული გადაწყვეტილების გამოცხადებას არ დასწრებია და არც გადაწყვეტილების ასლი მიუღია. ამდენად, სააპელაციო საჩივრის შეტანის სადავო ვადა უნდა აითვალოს 2009 წლის 4 ნოემბრიდან, ანუ იმ დროიდან, როდესაც მხარეს სადავო გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მითითებული ნორმის საფუძველზე, ქ.ბათუმის მერია ვალდებული იყო, დაედასტურებინა გადაწყვეტილების კანონით დადგენილ ვადაში გასაჩივრების ფაქტი, კერძოდ, მხარეს უნდა დაემტკიცებინა, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 1997 წლის 13 აგვისტოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას არ ესწრებოდა, გადაწყვეტილების ასლი 2009 წლამდე არ ჩაჰბარებია და ამ გადაწყვეტილების თაობაზე მისთვის ამ დრომდე არ იყო ცნობილი.

მითითებული სასამართლო გადაწყვეტილება წარმოადგენს საარქივო მასალას და, გარდა გადაწყვეტილებისა, სამოქალაქო საქმის სხვა მასალები წარმოდგენილი არ არის. აღნიშნულის გამო, კერძო საჩივრით სადავოდ გამხდარი გარემოებები უნდა შემოწმდეს წარმოდგენილი მტკიცებულების – სასამართლო გადაწყვეტილების ფარგლებში.

1997 წლის 13 აგვისტოს სასამართლო გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ ქ.ბათუმის მერიის წარმომადგენელმა სარჩელი არ ცნო. ამავე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში სასამართლო უთითებს მერიის წარმომადგენლის ჩვენებაზე. აღნიშნული ფაქტებით დასტურდება, რომ ქ.ბათუმის მერიისათვის ცნობილი იყო დავაზე არსებული სამოქალაქო სამართალწარმოების შესახებ და ასევე დგინდება, რომ იგი მონაწილეობდა მოცემული საქმის განხილვაში. მითითებული დადგენილი გარემოება საკმარის საფუძველს წარმოადგენს დასკვნისათვის, რომ მოპასუხე ქ.ბათუმის მერიის წარმომადგენელი იღებდა რა მონაწილეობას საქმის განხილვაში, ესწრებოდა 1997 წლის 13 აგვისტოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებასაც. მხარეს ამ გარემოების საწინააღმდეგოდ, გარდა თავისი განმარტებისა, რაიმე მტკიცებულება არ წარმოუდგენია და როგორც ზემოთ აღინიშნა, ასეთი გარემოების მტკიცება მხარის საპროცესო მოვალეობას წარმოადგენს.

სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ დავაში კერძო საჩივრის ავტორი – ქ.ბათუმის მერია წარმოადგენდა მოპასუხეს, შესაბამისად, პროცესუალურად საქმის შედეგით დაინტერე-



სებულ პირს. მისი საქმის განხილვაში მონაწილეობა (განმარტების წარდგენით) სადავო გადაწყვეტილებით დადასტურებულია და, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს პრეზუმფცია იმისა, რომ გადაწყვეტილების გამოცხადებაზე დაუსწრებლობის შემთხვევაშიც, საქმის შედეგით დაინტერესებულ მხარეს სასამართლოს ან თავისი ინიციატივით დროულად (და არა 12 წლის შემდეგ) ეცნობებოდა საქმის შედეგი.

ამ დასკვნის საფუძველს იძლევა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 1997 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილების მიღებისას მოქმედი საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი, რომლის 209-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილება საქმის განხილვის შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გამოტანილი. გამონაკლის შემთხვევაში განსაკუთრებით რთული საქმეების მიმართ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანა შეიძლება გადადებულ იქნეს ვადით არა უმეტეს სამი დღისა, მაგრამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი სასამართლომ უნდა გამოაცხადოს იმავე სხდომაზე, რომელზედაც დამთავრდა საქმის განხილვა. საგულისხმოა, რომ ამავე კოდექსის 230-ე მუხლით, მხარეებსა და საქმეში მონაწილე სხვა პირებს, რომლებიც არ გამოცხადდნენ სამსჯავრო სხდომაზე, ეგზავნებათ სასამართლოს გადაწყვეტილებისა და განჩინების პირები არა უგვიანეს სამი დღისა გადაწყვეტილების ან განჩინების გამოტანის დღიდან. მითითებული ნორმების ანალიზით, არსებობს პრეზუმფცია, რომ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანისას დაცული იყო იმ დროს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის იმპერატიული მოთხოვნები – სადავო გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრებოდა მოდავე მხარის წარმომადგენელი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას გადაწყვეტილების გამოტანიდან არა უგვიანეს სამი დღისა გაეგზავნებოდა გადაწყვეტილების ასლი. როგორც ზემოთ აღნიშნა, მხარემ ამ გარემოების საწინააღმდეგოდ რაიმე მტკიცებულებაზე ვერ მიუთითა. ამავე კოდექსის 293-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო საჩივრის ან პროტესტის შეტანა შეიძლება თოთხმეტი დღის განმავლობაში სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების საბოლოო ფორმით მიღების დღიდან. საჩივარი ან პროტესტი, რომელიც შეტანილია აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება და უბრუნდება საჩივრის ან პროტესტის შემტან პირს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უკიდურესი ვადა ამ გადაწყვეტილების გამოტანის მესამე დღიდან – 1997 წლის 16 აგვისტოდან უნდა აითვალოს და იგი ამოიწურა 1997 წლის 30 ივლისს. მხარემ კი სააპელაციო საჩივარი შეიტანა კანონით დადგენილი ვადის – 14 დღის გასვლის შემდეგ, 2009 წლის 10 ნოემბერს. ყურადსაღებია, რომ სადავო გადაწყვეტილების გამოტანიდან გასულია 12 წელი.

სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველს არ წარმოადგენს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრება, რომ პალატას უნდა ემსჯელა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 1997 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის საკითხზე და გაეთვალისწინებინა, რომ მის აღსასრულებლად სააღსრულებო ფურცელი არ გაცემულა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის შემდეგ სასამართლო იხილავს მისი დასაშვებობის საკითხს, რა დროსაც შემოიფარგლება სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ან დაუშვებლად ცნობისათვის საჭირო კანონით კონკრეტულად განსაზღვრული პროცესუალური საკითხების გამოკვლევით და არ არის ვალდებული, აღნიშნულ ფარგლებს გარეთ რაიმე სხვა გარემოებებზე იმსჯელოს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ქ. ბათუმის მერიის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 ნოემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

### განჩინება

1ას-58-57-2010

3 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),  
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი

სარჩელის დავის საგანი: თანხის დაკისრება

კერძო საჩივრის დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2001 წლის 14 დეკემბერს თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს სესხის დაბრუნების მოთხოვნით სასარჩელო განცხადებით მიმართა სს «ე-მა» მოპასუხეების – გ. გ-შვილისა და სს «თ-ის» მიმართ.

სარჩელში აღნიშნულია, რომ გ. გ-შვილმა სს «ე-დან» 1998 წლის 6 მაისის 1170 საკრედიტო ხელშეკრულებით, აგრეთვე სს «თ-ის» 1998 წლის 7 მაისის საგარანტიო წერილების საფუძველზე ერთი წლის ვადით სესხით სარგებლობისათვის, თვეში 1,5 %-ის დარიცხვით, მიიღო 40 000 აშშ დოლარი. მოპასუხემ საკრედიტო ხელშეკრულების შესაბამისად 1999 წლის 29 დეკემბერს, 2000 წლის 17 იანვარს და 2000 წლის 28 თებერვალს დაფარა 14 664 აშშ დოლარი (ძირითადი სესხი – 14 595 აშშ დოლარი და პროცენტი – 69 აშშ დოლარი). სესხის ხელშეკრულების ვადა ამოიწურა 1999 წლის 6 მაისს, რის შემდეგაც საკრედიტო ხელშეკრულების თანახმად ამოქმედდა საჯარიმო სანქცია. დარჩენილ თანხას დაერიცხა 16 542 აშშ დოლარი და დავალიანებამ შეადგინა 65 620 აშშ დოლარი (ძირითადი სესხი – 25 405 აშშ დოლარი, პროცენტი – 23 673 აშშ დოლარი, ჯარიმა 16 542 აშშ დოლარი).

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებით სს «ე-ის» სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გ. გ-შვილს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 65 620 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, მოსარჩელის მოთხოვნა გ. გ-შვილთან ერთად დასახელებული თანხის სს «თ-სათვის» სოლიდარულად დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ გ. გ-შვილმა სესხის ხელშეკრულების საფუძველზე სს «ე-გან» მიიღო 40 000 აშშ დოლარი სესხით სარგებლობისათვის თვეში 1,5 %-ის დარიცხვით. მოპასუხემ დაფარა სესხი – 14 644 აშშ დოლარი. 2001 წლის მაისის მდგომარეობით გადასახდელმა თანხამ შეადგინა 65 620 აშშ დოლარი, მათ შორის: გადაუხდელი სესხი – 25 405 აშშ დოლარი, პროცენტი – 23 673 აშშ დოლარი, ჯარიმა – 16 542 აშშ დოლარი. სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ სს «თ-ს» საგარანტიო წერილი არ გაუცია გ. გ-შვილის მიერ აღებული სესხის დაფარვის უზრუნველსაყოფად. მოსარჩელემ სასამართლოს ვერ წარუდგინა სს «თ-ის» მიერ გაცემული საგარანტიო წერილის დედანი, რაც დაადასტურებდა ამ უკანასკნელის მიერ საგარანტიო წერილის გაცემის ფაქტს.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. გ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის საქალაქო სასამართლოში ხელახალი განხილვისათვის დაბრუნება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 30 დეკემბრის განჩინებით გ. გ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, აპელანტის წარმომადგენელ ნ. დ-იას თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 19 მარტის გადაწყვეტილების ასლი ჩაჰბარდა 2009 წლის 10 ნოემბერს, ხოლო სააპელაციო საჩივარი ამ უკანასკნელის მიერ წარდგენილ იქნა 2009 წლის 1 დეკემბერს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369.1 მუხლით დადგენილი 14-დღიანი ვადის დარღვევით. აქედან გამომდინარე, სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვებას ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა გ. გ-შვილმა (წარმომადგენელი ნ. დ-ია), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და მისი სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება.

კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანა დასაშვებია იყო ერთი თვის განმავლობაში. შესაბამისად, სააპელაციო საჩივარი შეტანილია გასაჩივრებისათვის დადგენილი საპროცესო ვადის დაცვით. სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებისას სასამართლოს მოცემულ ფაქტობრივ გარემოებაზე არ უმსჯელია, რაც სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის სწორად გადასაწყვეტად არსებითია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 30 დეკემბრის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დასტურდება, რომ თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 19 მარტის გადაწყვეტილების ასლი გ. გ-შვილის წარმომადგენელ ნ. დ-იას, რომელსაც მარწმუნებლის სახელით სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებამოსილება გააჩნდა, პირადად ჩააბარდა 2009 წლის 10 ნოემბერს. საქმეზე ასევე დგინდება, რომ სააპელაციო საჩივარი მხარემ პირველი ინსტანციის სასამართლოში წარადგინა 2009 წლის 1 დეკემბერს. სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის დაცვლობის საკითხის გამორკვევისას მხედველობაში მიიღო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დანაწესი, რომლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. რამდენადაც გ. გ-შვილმა სააპელაციო საჩივარი წარადგინა კანონის აღნიშნული ნორმით დადგენილი 14-დღიანი ვადის დარღვევით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტის მიერ გაშვებული იყო სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა და სააპელაციო საჩივარი განუხილველი დატოვა.

მოცემულ შემთხვევაში კერძო საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის მასთან მიმართებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369.1 მუხლის ზემომითითებული მოთხოვნის გავრცელების სისწორეს, მაშინ როდესაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება გამოტანილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369.1 მუხლის ძველი რედაქციის მოქმედების პერიოდში, რომლითაც სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა 1 თვით იყო განსაზღვრული და რაიონულ სასამართლოსაც გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში სააპელაციო წესით გასაჩივრებისათვის ერთი თვე ჰქონდა მითითებული.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო საკითხის სწორად გადასაწყვეტად კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1.2 მუხლით დადგენილი სამოქალაქო საპროცესო ნორმების მოქმედების პრინციპი. აღნიშნული ნორმის თანახმად, სამოქალაქო საქმეების წარმოება ხორციელდება საპროცესო კანონმდებლობით, რომელიც მოქმედებს საქმის განხილვის, ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების ან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების დროს. ამდენად, კანონმდებელი განსაზღვრავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოქმედებას დროში, საიდანაც გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა: სამოქალაქო საპროცესო კანონს უკუქცევითი ძალა არა აქვს, სასამართლომ უნდა გამოიყენოს ახალი კანონი, დამოუკიდებლად იმისა, საქმის განხილვა დაიწყო თუ არა ძველი საპროცესო კანონმდებლობის მოქმედების პირობებში. ისეთი საპროცესო მოქმედებები, რომლებიც ახალი კანონმდებლობის ამოქმედების პირობებში უნდა განხორციელდეს, შესრულდება არა ძველი, არამედ, ახალი კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გ. გ-შვილის სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლება გააჩნდა ახალი კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადის ფარგლებში, მით უფრო, რომ მისი წარმომადგენლის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ჩაბარების მომენტში ახალი კანონი უკვე დიდი ხანია მოქმედებდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60-61-ე მუხლების შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის შესატანად დადგენილი საპროცესო მოქმედების შესრულების 14-დღიანი ვადის ათვლა მოცემულ შემთხვევაში დაიწყო 2009 წლის 11 ნოემბერს და დასრულდა 2009 წლის 24 ნოემბერს. გ. გ-შვილმა (წარმომადგენელი ნ. დ-ია) სააპელაციო საჩივარი წარადგინა არა დროის დასახელებულ მონაკვეთში, არამედ დაგვიანებით – 2009 წლის 1 დეკემბერს, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ გაშვებული იყო სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გ. გ-შვილის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისას კანონი არ დაურღვევია, რის გამოც არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 419-ე-420-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

გ. გ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 30 დეკემბრის განჩინება;  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

### განჩინება

1ას-1215-1476-09

18 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, ზიანის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით რ. ო-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. გამოთხოვილ იქნა მაცივარ-რეფრეჟატორი ტ. და ჟ. ო-ძეების მფლობელობიდან რ. ო-ძის სასარგებლოდ. რ. ო-ძის სასარჩელო განცხადების სხვა მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო, ასევე, არ დაკმაყოფილდა ტ. და ჟ. ო-ძეების სარჩელი, უსაფუძვლობის გამო.

დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრეს, როგორც რ. ო-ძემ, ასევე ტ. და ჟ. ო-ძეებმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 11 მარტის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა რ. ო-ძის სააპელაციო საჩივარი და ნაწილობრივ ტ. და ჟ. ო-ძეების სააპელაციო საჩივარი; გაუქმდა სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება რ. ო-ძის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და ტ. და ჟ. ო-ძეების სარჩელზე უარის თქმის ნაწილში და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება – რ. ო-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გამოთხოვილ იქნა ტ. და ჟ. ო-ძეების უკანონო მფლობელობიდან ერთი პატარა დახლ-მაცივარი. ტ. და ჟ. ო-ძეებს რ. ო-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 2006 ლარის გადახდა. რ. ო-ძის სარჩელთან დაკავშირებით მიღებული გასაჩივრებული გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელი, ტ. და ჟ. ო-ძეების სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. რ. ო-ძის ტ. და ჟ. ო-ძეების სასარგებლოდ დაეკისრა 5619 ლარის გადახდა.

დასახელებული გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

2009 წლის 24 ნოემბერს რ. ო-ძემ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და მის მიერ სააპელაციო წარმოებისათვის შეცდომით ბაჟის სახით გადახდილი 150 ლარის დაბრუნება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 4 დეკემბრის განჩინებით რ. ო-ძის შუამდგომლობა მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 150 ლარის უკან დაბრუნების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ რ. ო-ძემ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 150 ლარის კანონშესაბამისობის და შესაბამისად მისი უკან დაბრუნების საკითხი სადავო გახადა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნულ საკითხზე მხარეს შეეძლო ედავა საკასაციო წესით და სწორედ იქ მიეთითებინა იმ არგუმენტებზე, რასაც განცხადებაში უთითებდა.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ რ. ო-ძემ თავის მიერ წარდგენილი საკასაციო საჩივრით სადავო არ გახადა სასამართლო ხარჯების საკითხი, სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ რ. ო-ძის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების თაობაზე იყო უსაფუძვლო.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა რ. ო-ძემ და მოითხოვა მისი გაუქმება.

ო-ძის განცხადებით, სააპელაციო საჩივრის შეტანის შემდეგ სხვა საკითხთან დაკავშირებით წარადგინა თავისი ინვალიდობის დამადასტურებელი დოკუმენტი. საკასაციო საჩივრის შეტანის დროს იშუამდგომლა უზენაესი სასამართლოს წინაშე სასამართლო ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლების თაობაზე. უზენაესმა სასამართლომ 2009 წლის 19 მაისის განჩინებით გაანთავისუფლა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. მას შემდეგ მიხვდა, რომ სააპელაციო საჩივრის გამო სახელმწიფო ბაჟი ჰქონდა გადახდილი შეცდომით და დაელოდა საქმის დაბრუნებას, რათა ეშუამდგომლა, შეცდომით გადახდილი ბაჟის დაბრუნების თაობაზე იმ სასამართლოში, სადაც მოხდა ბაჟის გადახდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რ. ო-ძემ მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 4 დეკემბრის განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის გამო გადახდილი 150 ლარის დაბრუნება.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმეზე წარმოდგენილ კერძო საჩივარს, საქმის მასალებს და თვლის რომ რ. ო-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 4 დეკემბრის განჩინებით რ. ოჩოკიძის განცხადება, შეცდომით გადახდილი ბაჟის დაბრუნების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, რ. ო-მემ რომელიც წარმოადგენს ინვალიდს და თავისუფლდება ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი 150 ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხის დაბრუნების თაობაზე მან სააპელაციო სასამართლოს მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 11 მარტის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ მხოლოდ მაშინ გაიგო ბაჟის გადახდისგან გათავისუფლების საფუძვლის არსებობის შესახებ, როცა უზენაესმა სასამართლომ გაათავისუფლა ბაჟის გადახდისაგან, დაელოდა საქმის დასრულებას და შემდგომ იშუამდგომლა შეცდომით გადახდილი თანხის დაბრუნების თაობაზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის თანახმად სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრებისას მხარემ უნდა მიუთითოს თუ რა ნაწილში ასაჩივრებს სადავო გადაწყვეტილებას.

აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ რ. ო-მე უფლებამოსილი იყო, ზემოხსენებული საკითხი სადავოდ გაეხადა საკასაციო წესით გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან ერთად, რაზეც რ. ჟო-მეს არ უდავია. პირიქით, რ. ო-მემ შეცდომით გადახდილი ბაჟის დაბრუნება სადავოდ გახადა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, რის გამოც პალატა თვლის, რომ რ. ო-მემ დაკარგა ბაჟის დაბრუნების მოთხოვნის უფლება და კერძო საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოება არ შეიძლება გახდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 4 დეკემბრის განჩინების გაუქმების და კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

რ. ო-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 4 დეკემბრის განჩინება.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა**

#### **განჩინება**

1ას-85-80-2010

1 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** ალიმენტის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

თ. გ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში შ. ჯ-იას მიმართ არასრულწლოვანი მ. ჯ-იას სასარგებლოდ ალიმენტის – თვეში 200 ლარის დაკისრების შესახებ იმ საფუძველით, რომ მხარეებს რეგისტრირებულ ქორწინებაში შეეძინათ შვილი – 1995 წელს დაბადებული მ. ჯ-ია, რომლის აღზრდაში მოპასუხე არანაირ მონაწილეობას იღებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 8 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის გამო, თ. გ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა – შ. ჯ-იას თ. გ-მის სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილის – 1995 წელს დაბადებული მ. ჯ-იას რჩენა-აღზრდისათვის დაეკისრა ალიმენტი – ყოველთვიურად 200 ლარი 2009 წლის 23 მარტიდან მის სრულწლოვანებამდე. დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა შ. ჯ-იამ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 22 ივნისის განჩინებით საჩივარი დაკმაყოფილდა – დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმის წარმოება განახლდა, ამასთან, მოპასუხეს დაევალა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის შეტანა.

შ. ჯ-იამ სარჩელი არ ცნო იმ მოტივით, რომ მის კმაყოფაზე იმყოფებიან სხვა არასრულწლოვანი შვილი და ავადმყოფი დედა, რის გამოც სარჩელში მითითებული თანხის გადახდის შესაძლებლობა არ გააჩნია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 4 სექტემბრის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებით თ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა – შ. ჯ-იას თ. გ-ის სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილის – 1995 წელს დაბადებული მ. ჯ-იას რჩენა-აღზრდისათვის დაეკისრა ალიმენტის – ყოველთვიურად 200 ლარის გადახდა 2009 წლის 23 მარტიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე, რაზეც შ. ჯ-იამ შეიტანა სააპელაციო საჩივარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 იანვრის განჩინებით შ. ჯ-იას სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 4 სექტემბრის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი შ. ჯ-იას ჩაჰბარდა 2009 წლის 15 სექტემბერს და განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის განკუთვნილ 14-დღიან ვადაში იგი სააპელაციო წესით არ გაუსაჩივრებია. 2009 წლის 30 სექტემბერს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება შევიდა ძალაში. პალატის მითითებით, 2009 წლის 18 ნოემბერს თ. გ-ის მიერ შეტანილი განცხადების საფუძველზე ამავე წლის 20 ნოემბერს დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე გაიცა სააღსრულებო ფურცელი. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 264-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით, 63-ე მუხლით და მიიჩნია, რომ შ. ჯ-იას სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე შ. ჯ-იამ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძველებით: თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 4 სექტემბრის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი გაიგზავნა ქ.თბილისში, ... მე-10 კორპუსის 164 ბინაში, სადაც შ. ჯ-ია ცხოვრობდა 2009 წლის სექტემბრამდე და ჩაჰბარდა მის ბიძაშვილ ხ. რ-ძეს, რომელმაც სასამართლო გზავნილი მხარეს 2010 წლის 18 იანვარს გადასცა და არც მისი მიღების თაობაზე კერძო საჩივრის ავტორს მანამდე არ აცნობა. აღნიშნული გარემოება დასტურდება ხ.რ-მის განცხადებით. შ. ჯ-იამ საქალაქო სასამართლოში სადავო გადაწყვეტილება ჩაიბარა 2009 წლის 15 დეკემბერს და მისი გასაჩივრების ვადა არ დაურღვევია.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შ. ჯ-იას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სასამართლოს განმეორებით დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეიძლება მხოლოდ სააპელაციო საჩივრის შეტანა. ამავე კოდექსის 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისთვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისთვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს პირველი ინსტანციის სასამართლოს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის გადაცემის მომენტიდან 14 დღის განმავლობაში. აღნიშნული ვადა იმპერატიულადაა დადგენილი და მისი გასვლის შემდეგ შეტანილი სააპელაციო საჩივარი დარჩება განუხილველად.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით ირკვევა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 4 სექტემბრის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი შ. ჯ-იასათვის გადასაცემად 2009 წლის 15 სექტემბერს ჩაჰბარდა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე მცხოვრებ სრულწლოვან პირს – ხ. რ-ძეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსამახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს. უწყების მიმღები ვალდებულია, უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი სახელი და გვარი, ადრესატთან დამოკიდებულება. უწყების მიმღები ვალდებულია, უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს. უწყების ჩაბარება ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაითვლება უწყების ჩაბარებად ადრესატისათვის, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით. დასახელებული კანონის დანაწესი ადგენს მხარისათვის სასამართლო უწყებისა თუ გზავნილი ჩაბარების წესს მაშინ, როდესაც მხარე სასამართლოსათვის ცნობილ მისამართზე უწყების ან გზავნილის მიტანის დროს არ იმყოფება. ასეთ შემთხვევაში სასამართლო

გზავნილი მხარისათვის გადასაცემად ჩაბარდება მასთან მცხოვრებ ოჯახის სრულწლოვან წევრს, რომელიც თავისი ხელმოწერით კისრულობს ვალდებულებას, დაუყოვნებლივ გადასცეს იგი ადრესატს, რაც სასამართლო უწყების ან გზავნილის მხარისათვის ჩაბარების ტოლფასია.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ სწორად ჩათვალა, რომ სადავო განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების 2009 წლის 15 სექტემბერს შ.ჯ-იას მიერ მითითებულ მისამართზე ხ.რ-მისათვის (შ.ჯ-იას ბიძაშვილისათვის) ჩაბარება თავად შ.ჯ-იასათვის მის ჩაბარებას უთანაბრდება და სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადა აღნიშნული მომენტიდან მართებულად აითვალა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას შ.ჯ-იას სააპელაციო საჩივრის დაუშვებლობის თაობაზე, რადგან აღნიშნული სააპელაციო საჩივრით მხარემ სასამართლოს მიმართა 2009 წლის 29 დეკემბერს, განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებიდან 14 დღის გასვლის შემდეგ, რის გამოც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

დაუსაბუთებელია კერძო საჩივრის ავტორის მითითება, რომ იგი ხ.რ-მესთან ერთად ცხოვრობდა მხოლოდ 2009 წლის სექტემბრის დასაწყისამდე, ხ.რ-მის მიერ სასამართლო გზავნილის მიღების მომენტისათვის იქ აღარ იმყოფებოდა და ამ უკანასკნელს მისთვის გადაწყვეტილების ასლის გადაცემა 2010 წლის იანვრამდე დაავიწყდა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული გარემოების დასამტკიცებლად ხ.რ-მის განცხადება საკმარისი არ არის, კერძოდ:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლით, რომლის მიხედვით, მხარეები და მათი წარმომადგენლები მოვალენი არიან აცნობონ სასამართლოს საქმის წარმოების განმავლობაში თავიანთი მისამართის შეცვლის შესახებ. ასეთი ცნობის უქონლობისას უწყება გაიგზავნება სასამართლოსათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად ითვლება, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ ცხოვრობდეს. მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ მხარეს სასამართლო უწყება თუ გზავნილი გაეგზავნება საქმეში არსებულ მისამართზე და იგი ჩაბარებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ ადრესატმა საცხოვრებელი ადგილი შეიცვალა და თავისი ახალი მისამართი სასამართლოსათვის არ უცნობებია.

განსახილველ შემთხვევაში შ.ჯ-იამ ზემოხსენებული კანონის დანაწესით მისთვის დაკისრებული საპროცესო მოვალეობა არ შეასრულა და სასამართლოს თავისი ახალი მისამართი არ აცნობა, რის გამოც მას გზავნილი გაეგზავნა სასამართლოსათვის ცნობილ მისამართზე და ამ მისამართზე მყოფი სრულწლოვანი პირის მიერ მიღებით სასამართლო გზავნილი მხარისათვისაც ჩაბარებულად ჩაითვალა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

შ.ჯ-იას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 11 იანვრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა**

#### **განჩინება**

1ას-50-49-2010

15 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე),

ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი

სარჩელის დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

კერძო საჩივრის დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

### **აღწერილობითი ნაწილი:**

2009 წლის 22 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა შპს «ე-მ» მოპასუხე რ. და მ. შ-ძეების, როგორც სოლიდარული კრედიტორების მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ რ. შ-ძე ავტომანქანას დიდი სიჩქარით მართავდა ალკოჰოლური ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ. მან შპს «ე-ს» კუთვნილი ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე ვერ დაიმორჩილა ავტომანქანა და შეეჯახა სადგურის ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიას, რის შედეგადაც შპს «ე-ს» მიადგა მატერიალური ზიანი. მოსარჩელის განცხადებით ზეპირი და სატელეფონო მოთხოვნის მიუხედავად რ. შ-ძე არ ასრულებდა ვალდებულებას. ავტომანქანის მესაკუთრეს წარმოადგენდა მ. შ-ძე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს «ე-ს» სარჩელი დაკმაყოფილდა – მოპასუხეებს – რ. შ-ძესა და მ. შ-ძეს შპს «ე-ს» სასარგებლოდ სოლიდარულად გადასახდელად დაეკისრათ ზიანის – 4275,32 ლარის ანაზღაურება. სასამართლომ მიიჩნია, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზიანდა მაღაზიის სავიტრინე შუშები, მაღაზიაში არსებული ნივთები და პროდუქტები, რამაც მოსარჩელეს მიაყენა მატერიალური ზიანი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს რ. და მ. შ-ძეებმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის დაბრუნება პირველი ინსტანციის სასამართლოში ხელახლა განსახილველად. აპელანტები მიუთითებდნენ, რომ სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმის მასალები და დაეყრდნო მტკიცებულებას, რომელიც საქმეში არ ყოფილა წარმოდგენილი. აპელანტების მოსაზრებით, სასამართლომ არ გამოიკვლია იმ თანხის ოდენობის მართხომიერების საკითხი, რასაც ითხოვდა მოსარჩელე ზიანის ასანაზღაურებლად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 დეკემბრის განჩინებით რ. და მ. შ-ძეების სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი რ. შ-ძის ოჯახის წევრს ჩაჰპარდა 2009 წლის 25 ნოემბერს, ხოლო მ. შ-ძეს – 2009 წლის 26 ნოემბერს. სააპელაციო საჩივარი წარდგენილ იქნა 2009 წლის 15 დეკემბერს, გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 29 დეკემბრის განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ კერძო საჩივრით გაასაჩივრეს რ. და მ. შ-ძეებმა, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

კერძო საჩივრის ავტორები მიუთითებენ, რომ მათ მიერ სააპელაციო საჩივარი შეტანილ იქნა 2009 წლის 9 დეკემბერს საკურიერო სამსახურ «ფარავანის» მეშვეობით, საპროცესო ვადის ამოწურვამდე 1 დღით ადრე და მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო საქმეში არ მოიპოვება სააპელაციო საჩივრის კონვერტი, რომელზეც აღნიშნულია სააპელაციო საჩივრის ფოსტაში შეტანის ვადა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 დეკემბრის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილების ასლი რ. შ-ძის ოჯახის წევრს ჩაჰპარდა 2009 წლის 25 ნოემბერს, ხოლო მ. შ-ძეს – 2009 წლის 26 ნოემბერს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 60-ე-61-ე მუხლების შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის შესატანად დადგენილი საპროცესო მოქმედების შესრულების 14-დღიანი ვადის ათვლა მოცემულ შემთხვევაში რ. შ-ძის მიმართ დასრულდა 2009 წლის 9 დეკემბერს, ხოლო მ. შ-ძის მიმართ 2009 წლის 10 დეკემბერს. აპელანტებმა სააპელაციო საჩივარი წარადგინეს 2009 წლის 15 დეკემბერს, ანუ გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლი ასევე მიუთითებს, რომ, თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

დაუსაბუთებელია კერძო საჩივრის ავტორების მსჯელობა, რომ სააპელაციო საჩივარი სასამართლოში შევიდა ფოსტის მეშვეობით. საქმის მასალების თანახმად, სააპელაციო საჩივარი სასამართლოში შესულია საფოსტო კონვერტის გარეშე. კერძო საჩივარზე თანდართული საკურიერო სამსახურ «ფარავანის» წერილი ასევე არ წარმოადგენს იმ მტკიცებულებას, რომლითაც უტყუარად შეიძლება დადასტურდეს სააპელაციო საჩივრის ფოსტის მეშვეობით გაგზავნა. მოცემული წერილის შინაარსიდან არ ირკვევა, არის თუ არა აღნიშნული საკურიერო სამსახური საფოსტო დაწესებულება, რა კორესპონდენცია ჩაჰპარდა მას, წერილი არ შეიცავს კორესპონდენციის ჩამბარებლის ხელმოწერას.



ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ რ. და მ. შ-ძეებმა გაუშვეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა, რის გამოც სააპელაციო საჩივარი სწორად იქნა დატოვებული განუხილველად.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხ-ლით, 419-ე-420-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

რ. და მ. შ-ძეების კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 დეკემბრის განჩინება;  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა**

**განჩინება**

1ას-119-113-10

18 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** დავალიანების გადახდევინება

**აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 09 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ჯ. ნ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ზ. კ-იას შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ჯ. ნ-შვილმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 18 იანვრის განჩინებით ჯ. ნ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, შემდეგი გარემოებები:

გასაჩივრებული გადაწყვეტილება ჯ. ნ-შვილის მეუღლეს ბ. მ-ავას ჩაბარდა 2009 წლის 26 ნოემბერს.

აპელანტმა სააპელაციო საჩივარი შეიტანა 2009 წლის 11 დეკემბერს, სააპელაციო საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 18 იანვრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ჯ. ნ-შვილმა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით სააპელაციო სასამართლოს მიღებული განჩინება საქმეზე თანდართული საფოსტო გზავნილის მიხედვით არ არის უკანონო, მაგრამ ფაქტობრივი გარემოება ფოსტის მუშაკების მიერ არის შეცვლილი, რის საფუძველზეც მოითხოვა განჩინების გაუქმება.

ჯ. ნ-შვილის განცხადებით 2009 წლის 27 ნოემბერს სასამართლო გადაწყვეტილება ჩაიბარა მისმა მეუღლემ ბ. მ-ავამ, იმ მოტივით რომ ის იყო სახლში, ხელმოწერა ბ. მ-ავამ გააკეთა საფოსტო გზავნილი 384-ზე. კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მითითებული საფოსტო გზავნილი ფოსტის მუშაკს რ-ძეს წინასწარ ჰქონდა შევსებული და ჩაბარების თარიღად მიუთითა 26-11-2009 იმ მოტივით, რომ მისი განრიგის მიხედვით ეს საფოსტო გზავნილი უნდა ჩაებარებინა 26 ნოემბერს, ხოლო საფოსტო გზავნილი ფოსტის მუშაკმა სახლში მიუტანა 2009 წლის 27 ნოემბერს და ჩააბარა ბ. მ-ავას, რომელმაც ხელი მოაწერა საფოსტო გზავნილზე თავისი პირადობის მოწმობის ნომერიც ჩაწერა, მაგრამ წელი, რიცხვი და თვე არ ჩაუწერია, ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით საფოსტო გზავნილზე არსებული ხელმოწერა გააკეთა ბ. მ-ავამ, მაგრამ რეალურად ეს მოხდა არა 26 ნოემბერს – არამედ, 27 ნოემბერს, მას წელი, თვე და რიცხვი საფოსტო გზავნილზე არ წაუწერია.

კერძო საჩივრის ავტორი ასევე განმარტავს, რომ სასამართლოში წარდგენილი საფოსტო გზავნილის კანონიერების გადასამოწმებლად მივიდა ფოსტაში ... ქუჩა 125-ში, სადაც ფოსტის მუშაკი

ესაუბრა ზემოაღნიშნულ გარემოებების თაობაზე ფოსტის უფროსმა ნ. მ-შვილმა კი განუმარტა, რომ იგი ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს არ მისცემს წერილობით პასუხს, თუ იქნება მოსამართლის დავალება, გამოცხადდებოდა სასამართლოში ან წარადგენდა წერილობით დასტურს, რომ ფოსტის მუშაკის მიერ გზავნილის შევსებისას დაშვებულია მექანიკური შეცდომა, რეალურად საფოსტო გზავნილი **384** ჯ. ნ-შვილის ოჯახს ჩაჰბარდა **2009** წლის **27** ნოემბერს და არა **26** ნოემბერს.

აღნიშნულიდან გამომდინარე კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა გაეცნო წარმოდგენილ კერძო საჩივარს და საქმის მასალებს და მიიჩნია რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **2009** წლის **9** ოქტომბრის გადაწყვეტილება ჯ. ნ-შვილის მეუღლეს ბ. მ-ავას ჩაბარდა **2009** წლის **26** ნოემბერს.

აპელანტმა სააპელაციო საჩივარი შეიტანა **2009** წლის **11** დეკემბერს სააპელაციო საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი **14**-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **369**-ე მუხლის შესაბამისად სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადას შეადგენს **14** დღე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის **70**-ე-**78**-ე მუხლების შესაბამისად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **74**-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებულმა სასამართლოში გამოსამახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი განსახილველ საქმეში მონაწილეობენ, როგორც მოწინააღმდეგე მხარეები უწყების მიმღები ვალდებულია, უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი სახელი თუ გვარი, ადრესატთან დამოკიდებულება, დაკავებული თანამდებობა. უწყების მიმღები ვალდებულია, უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს. უწყების ჩაბარება ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაითვლება უწყების ჩაბარებად ადრესატისათვის, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

მითითებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ ჯ. ნ-შვილმა გადაწყვეტილება ჩაიბარა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **70**-ე-**78**-ე მუხლებით დადგენილი წესით, ხოლო სააპელაციო საჩივარი წარადგინა კანონმდებლობით დადგენილი **14**-დღიანი ვადის გასვლის შემდგომ და შესაბამისად, სააპელაციო პალატა უფლებამოსილი იყო დაეტოვებინა სააპელაციო საჩივარი განუხილველი დაუშვებლობის გამო.

რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორის განმარტებას, რომ ფოსტის მუშაკის მიერ გზავნილის შევსებისას დაშვებულია მექანიკური შეცდომა, რეალურად საფოსტო გზავნილი **384** ჯ. ნ-შვილის ოჯახის წევრს ჩაბარდა **2009** წლის **27** ნოემბერს და არა **26** ნოემბერს, აღნიშნულის საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **102**-ე მუხლის თანახმად, რაიმე მტკიცებულება მხარის მიერ წარმოდგენილი არ ყოფილა, ხოლო საქმის მასალებით დასტურდება, რომ სასამართლო გზავნილი თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაბარდა **2009** წლის **26** ნოემბერს.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ეყრდნობა საქმის მასალებში არსებული გზავნილის მონაცემებს და თვლის, რომ ჯ. ნ-შვილმა გაუშვა სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **63**-ე მუხლის შესაბამისად საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება ქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ რადგან მხარემ კანონით გათვალისწინებულ ვადაში არ შეიტანა სააპელაციო საჩივარი შესაბამის სასამართლოში, დაკარგა აღნიშნული საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **284**-ე **419**-ე, **420**-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ჯ. ნ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 18 იანვრის განჩინება დარჩეს უცვლელად;  
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

### განჩინება

1ას-61-59-10

6 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),  
თ. თოდრია (მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

ინდ. მეწარმე «თ. ა-მემ» სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს «ე-ს» მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ. მან მიუთითა, რომ 2007 წლის 20 ივნისს მასა და შპს «ე-ს» დირექტორ ზ. ა-შვილს შორის გაფორმდა ექსკავატორ «კატეპილერ 206-ის» ქირავნობის ხელშეკრულება, რომლითაც დამქირავებელს გადაეცა ექსკავატორი. დამქირავებელს გამქირავებლისათვის ყოველთვიურად უნდა გადაეხადა 180 ლარი. ხელშეკრულების ვადა განისაზღვრა 2007 წლის 31 დეკემბრამდე. დამქირავებელმა გამქირავებლისაგან ექსკავატორი მიიღო 2007 წლის 22 ივნისს, ხოლო დაუბრუნა 2008 წლის თებერვალში. მოპასუხეს დღემდე ქირა არ გადაუხდია. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის ქირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გადახდა.

გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებით ინდ. მეწარმე «თ. ა-მის» სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ინდ. მეწარმე «თ. ა-მემ».

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 9 ნოემბრის განჩინებით ინდ. მეწარმე «თ. ა-მის» სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეში წარმოდგენილი საფოსტო გზავნილით ირკვევა, რომ გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება პირადად ჩაჰბარდა ინდ. მეწარმე «თ. ა-მის» წარმომადგენელ გ. ძ-უას 2009 წლის 2 ოქტომბერს. მან აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა 2009 წლის 19 ოქტომბერს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო საჩივარი შეტანილია 14-დღიანი ვადის დარღვევით, კერძოდ, ვადის ათვლა დაიწყო 2009 წლის 3 ოქტომბრიდან და ამოიწურა 2009 წლის 16 ოქტომბერს. მან კი 3 დღის დაგვიანებით შეიტანა სააპელაციო საჩივარი.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ინდ. მეწარმე «თ. ა-მემ». მან მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადად 2009 წლის 19 ოქტომბერი, რადგან სააპელაციო საჩივარი შეტანილია გორის რაიონულ სასამართლოში საქართველოს ფოსტის მეშვეობით, რომელსაც სააპელაციო საჩივარი ჩააბარა 2009 წლის 15 ოქტომბერს, რაზედაც არსებობს შესაბამისი დოკუმენტი.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ ინდ. მეწარმე «თ. ა-მის» კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა არის 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ აპელანტმა 14-დღიანი ვადის დარღვევით შეიტანა სააპელაციო საჩივარი.

დადგენილია, რომ გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილება პირადად ჩაჰბარდა ინდ. მეწარმე «თ. ა-მის» წარმომადგენელ გ. ძ-უას 2009 წლის 2 ოქტომბერს. მართალია, მისი სააპე-

ლაციო საჩივარი სასამართლოში შევიდა 2009 წლის 19 ოქტომბერს, მაგრამ საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ინდ. მეწარმე «თ. ა-მის» წარმომადგენელმა გ. ძ-უამ ფოსტაში ჩააბარა სააპელაციო საჩივარი 2009 წლის 15 ოქტომბერს. სააპელაციო საჩივრის შეტანის ბოლო ვადა ამოიწურა 2009 წლის 16 ოქტომბერს. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აპელანტს არ დაურღვევია სააპელაციო საჩივრისათვის დადგენილი 14-დღიანი ვადა.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ინდ. მეწარმე «თ. ა-მის» კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ინდ. მეწარმე «თ. ა-მის» კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;  
გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 9 ნოემბრის განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს შესაბამის პალატას;  
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის გაშვება**

#### **განჩინება**

1ას-129-123-10

13 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2009 წლის 15 ივლისს ხულოს რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა დ. ა-ძემ შპს „ფ-ის“ წინააღმდეგ სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, დ. ა-მის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, უკანონოდ იქნა აღიარებული შპს „ფ-ს“ გადაწყვეტილება დ. ა-მის სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ, მოპასუხე შპს „ფ-ს“ დაეკისრა დ. ა-მის სასარგებლოდ 5196 ლარის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „ფ-ს“ წარმომადგენელმა რ. ი-ძემ და მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა სარჩელი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 18 იანვრის განჩინებით შპს „ფ-ს“ სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხე შპს „ფ-ს“ მიმართ დ. ა-მის სარჩელთან დაკავშირებულ საქმეზე, ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ 2009 წლის 26 ოქტომბერს გამოიტანა გადაწყვეტილება.

დასახელებული გადაწყვეტილება მხარეებს გაეგზავნათ კანონით დადგენილი წესით და მოპასუხე შპს „ფ-ს“ წარმომადგენელს რ. ი-ძეს ჩაჰბარდა 2009 წლის 9 დეკემბერს.

დადგენილია, რომ შპს „ფ-ს“ სააპელაციო საჩივარი ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოში შეტანილია 2009 წლის 24 დეკემბერს.

იმის გათვალისწინებით, რომ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 26 ოქტომბრის დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი შპს „ფ-ს“ წარმომადგენელ რ. ი-ძეს გაეგზავნა და ჩაჰბარდა 2009 წლის 9 დეკემბერს, შესაბამისად გასაჩივრების ბოლო ვადას წარმოადგენდა 2009 წლის 23 დეკემბერი.

ვინაიდან შპს „ფ-ს“ სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაჰბარდა კანონით დადგენილი წესით, მაგრამ სააპელაციო საჩივარი ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში წარადგინა 2009 წლის 24 დეკემბერს 16.00 საათზე, (ერთი დღის დაგვიანებით), ანუ სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადის დარღვევით. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა შპს «ფ-ს» დირექტორმა ი. ა. ბ-მა. მან მიუთითა, რომ 2009 წლის 26 ოქტომბერს, როდესაც დაკმაყოფილდა დ. ა-ძის სასარჩელო განცხადება რ. ი-ძეს შეწყვეტილი ჰქონდა უფლებამოსილება, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება მათ არ ჩაჰბარებიათ. აღნიშნული გადაწყვეტილება ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც რ. ი-ძემ აცნობა 2010 წლის 18 იანვარს. შპს «ფ-ს» მიერ რ. ი-ძისათვის გაცემული იყო მინდობილობა, რომლითაც მას უფლება ჰქონდა, მხოლოდ მონაწილეობა მიეღო ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში, როგორც შპს «ფ-ს» წარმომადგენელს, ხოლო გადაწყვეტილების ჩაბარების უფლებამოსილება არ გააჩნდა. მინდობილობა გაცემულია პირადად ი. ა. ბ-ის მიერ მის დასაცავად და არა შპს «ფ-ს» უფლების დასაცავად. რ. ი-ძეს აღნიშნული გადაწყვეტილება შპს «ფ-სათვის» არ ჩაუბარებია.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ შპს «ფ-ს» დირექტორ ი. ა. ბ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

სსსკ-ის 374-ე მუხლით, სააპელაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის განმავლობაში, სააპელაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა სააპელაციო საჩივარი. თუ არ არსებობს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

დადგენილია, რომ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 26 ოქტომბრის დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი, შპს „ფ-ს“ წარმომადგენელ რ. ი-ძეს გაეგზავნა და ჩაჰბარდა 2009 წლის 9 დეკემბერს, რომელიც უფლებამოსილი პირი იყო გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებაზე და, ასევე, ამ გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრებაზეც. შესაბამისად, გასაჩივრების ბოლო ვადას წარმოადგენდა 2009 წლის 23 დეკემბერი. მან კი სააპელაციო საჩივარი შეიტანა 1 დღის დაგვიანებით – 2009 წლის 24 დეკემბერს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ რ. ი-ძეს არ გააჩნდა უფლებამოსილება, გაესაჩივრებინა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება, ვინაიდან მას შეწყვეტილი ჰქონდა უფლებამოსილება.

როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, 2009 წლის 9 აგვისტოს გაიცა მინდობილობა შპს «ფ-ს» დირექტორის მინდობილი პირის ი. ს-რის მიერ რ. ი-ძეზე. აღნიშნული მინდობილობის საფუძველზე რ. ი-ძეს გააჩნდა უფლებამოსილება გაესაჩივრებინა აღნიშნული გადაწყვეტილება. საქმეში არ არსებობს რ. ი-ძისათვის მინიჭებული უფლებამოსილების შეწყვეტის დამადასტურებელი დოკუმენტი, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი წარმოადგენს მოცემულ საქმეზე უფლებამოსილ პირს.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ვინაიდან შპს „ფ-ს“ სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაჰბარდა კანონით დადგენილი წესით, მაგრამ სააპელაციო საჩივარი ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში წარადგინა 2009 წლის 24 დეკემბერს, ანუ სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადის დარღვევით, სააპელაციო სასამართლომ მისი სააპელაციო საჩივარი სწორად დატოვა განუხილველად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

შპს «ფ-ს» დირექტორ ი. ა. ბ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 18 იანვრის განჩინება;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

### განჩინება

1ას-173-165-10

13 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

შპს «... კომპანიამ» სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს «დ-ს» წინააღმდეგ ფულადი ვალდებულების შესრულების შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს «... კომპანიის» სარჩელი დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა შპს «დ-მ».

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 15 იანვრის განჩინებით შპს «დ-ს» სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება შპს «დ-ს» წარმომადგენელს – ნ. ბ-შვილს გაეგზავნა მის მიერ მითითებულ მისამართზე, რომელიც ჩაჰბარდა მის სრულწლოვან შვილს – ვ. ბ-შვილს 2009 წლის 8 დეკემბერს. სწორედ ამ დროიდან უნდა დაიწყო ვადის ათვლა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის თანახმად. შპს «დ-ს» დირექტორმა ნ. ბ-შვილმა კი სააპელაციო საჩივარი შეიტანა 2009 წლის 28 დეკემბერს. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, შპს «დ-ს» დირექტორს სადავო გადაწყვეტილება უნდა გაესაჩივრებინა ამ გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში – 2009 წლის 22 დეკემბრის ჩათვლით, მან კი სააპელაციო საჩივარი შეიტანა 2009 წლის 28 დეკემბერს, რის გამოც იგი დაუშვებელია კანონით დადგენილ ვადაში წარმოუდგენლობის გამო.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა შპს «დ-ს» დირექტორმა ნ. ბ-შვილმა. მან მიუთითა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება 2009 წლის 8 დეკემბერს ჩაჰბარდა მის არასრულწლოვან შვილს – ვ. ბ-შვილს, რომელიც დაბადებულია 1994 წლის 23 ნოემბერს. პირადად მას კი ჩაჰბარდა 2009 წლის 15 დეკემბერს. სწორედ აქედან უნდა დაიწყო ვადის ათვლა. კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ მან სააპელაციო საჩივარი შეიტანა კანონით დადგენილ ვადაში, კერძოდ 2009 წლის 28 დეკემბერს, ხოლო საჩივრის ბოლო ვადა ამოიწურა 29 დეკემბერს. ვინაიდან მას კანონით დადგენილ 14 – დღიან ვადაში აქვს შეტანილი სააპელაციო საჩივარი, ნ. ბ-შვილმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის წარმოებაში მიღება.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ შპს «დ-ს» წარმომადგენელ ნ. ბ-შვილის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

დადგენილია, რომ შპს «დ-ს» წარმომადგენელ ნ. ბ-შვილის შვილს – ვ. ბ-შვილს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება ჩაჰბარდა 2009 წლის 8 დეკემბერს.

კონკრეტულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრების 14-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო 2009 წლის 8 დეკემბერს და ვადა ამოიწურულად ჩათვალა 2009 წლის 22 დეკემბერს. ნ. ბ-შვილმა კი სააპელაციო საჩივარი შეიტანა 2009 წლის 28 დეკემბერს, რის გამოც სასამართლომ გადაწყვეტილების გასაჩივრების კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადა გაშვებულად ჩათვალა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსამახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება ჩაჰბარდა ნ. ბ-შვილის არასრულწლოვან შვილს – ვ. ბ-შვილს, რომელიც დაბადებულია 1994 წლის 23 ნოემბერს. სააპელაციო სასამართლომ კი იგი ჩათვალა სრულწლოვნად, რაც არ

არის სწორი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება არ შეიძლება ჩაითვალოს ჩაბარებულად 2009 წლის 8 დეკემბერს. ვადის ათვლა უნდა დაიწყოს ნ. ბ-შვილისათვის აღნიშნული გადაწყვეტილების ჩაბარების დრო – 2009 წლის 15 დეკემბერი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ნ. ბ-შვილს კანონით დადგენილ 14-დღიან ვადაში აქვს შეტანილი სააპელაციო საჩივარი, კერძოდ, მას გადაწყვეტილება ჩაჰბარდა 2009 წლის 15 დეკემბერს, ხოლო სააპელაციო საჩივარი შეიტანა 2009 წლის 28 დეკემბერს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ნ. ბ-შვილის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

შპს «დ-ს» დირექტორ ნ. ბ-შვილის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;  
გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 იანვრის განჩინება და საქმე დასაშვებობის ეტაპიდან დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს შესაბამის პალატას;  
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

#### **სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა**

#### **განჩინება**

1-ას-229-218-10

18 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** სახელფასო და საშვებულებო თანხების ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა მ. გ-შვილმა და ნ. ქ-ძემ.

მ. გ-შვილის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა შპს „ს-ს“ ოფისში მუშაობის პერიოდში მიუღებელი ერთი თვის ხელფასის – 400 აშშ დოლარის ეკვივალენტის ლარის, კუთვნილი შვებულების თანხის – 400 აშშ დოლარის ეკვივალენტის ლარის, დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული, 4 თვის იძულებითი მოცდენის – 1600 აშშ დოლარის ეკვივალენტის ლარის და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიუღებელი თანხის 0,07 %-ის ანაზღაურება.

ნ. ქ-ძის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა შპს „ს-ს“ მუშაობის პერიოდში მიუღებელი ნახევარი თვის ხელფასის – 125 აშშ დოლარის ეკვივალენტის ლარის, დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული სამთვეან-ხევრის იძულებითი მოცდენის პერიოდის, კერძოდ, 875 აშშ დოლარის ეკვივალენტის ლარის, კუთვნილის შვებულების ნახევრის თანხის, 125 აშშ დოლარის ეკვივალენტის ლარის, ასევე შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიუღებელი თანხის 0.07 %-ის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. გ-შვილის და ნ. ქ-ძის სარჩელი მოპასუხე შპს „ს-ს“ მიმართ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: მოპასუხე შპს „ს-ს“ მ. გ-შვილის სასარჩელოდ დაეკისრა 1 თვის სახელფასო დავალიანების – 400 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა. დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული 4 თვის იძულებითი მოცდენის ანაზღაურება 1600 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის, სულ 2000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი. მოპასუხე შპს „ს-ს“ ასევე დაეკისრა მ. გ-შვილისათვის ანაზღაურების დაყოვნების ყოველი დღისათვის დაყოვნებული თანხის 0,07%, კერძოდ – 1 თვის ხელფასის – 400 აშშ დოლარის 0,07 % – 2008 წლის აგვისტოდან გადაწყვეტილების გამოტანამდე, 2008 წლის სექტემბრის, ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის ხელფასების – თითოეულ თვეზე 400 აშშ დოლარის 0.07% გადახდა, რომლის ათვლა დაიწყო ცალ-ცალკე ყოველი მომხდევნო თვის პირველი რიცხვიდან (ყოველი თვის ხელფასის გაცემის დღიდან) გადაწყვეტილების გამოტანის მომენტამდე. მ. გ-შვილის მოთხოვნა შვებულების თანხის – 400 აშშ დოლარის ეკვივალენტის ლარის მოპასუხეზე

დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდობის გამო; მოპასუხე შპს „ს-ს“ მოსარჩელე ნ. ქ-მის სასარგებლოდ დაეკისრა დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული სამთვენახევრიანი იძულებითი მოცდენის პერიოდის ანაზღაურება – 875 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის, ასევე, დაყოვნებული თანხის 0,07% გადახდა დაყოვნების და ყოველი დღისათვის გადაწყვეტილების გამოტანამდე; ათვლა მოხდა თითოეული თვის ხელფასიდან ცალ-ცალკე ყოველი თვის ხელფასის გაცემის დღიდან – მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. ნ. ქ-მის მოთხოვნა მიუღებელი ნახევარი თვის ხელფასის 125 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის და კუთვნილი შვებულების ნახევარი თანხის – 125 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის მოპასუხისათვის დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოდობის გამო.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა შპს „... მედიას“ (სახელწოდების შეცვლამდე შპს „ს-ს“) დირექტორმა ვ. გ-მემ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით მ. გ-შვილის და ნ. ქ-მის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 თებერვლის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეში მითითებულ მისამართზე (ქ.თბილისი, ... ქ.12) გაეგზავნა აპელანტ შპს „ს-ს“ (სახელწოდების შეცვლის შემდეგ შპს „... მედიას“). საქმეში წარმოდგენილი საფოსტო გზავნილების ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათით დასტურდება, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება 2010 წლის 11 იანვარს ჩააბარდა შპს „... მედიას“ უფლებამოსილ პირს – ორგანიზაციის მენეჯერს (გ. ხ-მეს), რაც დასტურდება ამ უკანასკნელის ხელმოწერით და ორგანიზაციის ბეჭდით.

პალატამ მიიჩნია, რომ ვინაიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილება აპელანტს ჩააბარდა 2010 წლის 11 იანვარს, მისთვის სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადის დენა დაიწყო გადაწყვეტილების გადაცემის მომდევნო დღიდან, ე.ი. 2010 წლის 12 იანვრიდან და ამოიწურა 2010 წლის 25 იანვარს, რომელიც მოცემულ შემთხვევაში იყო სამუშაო დღე – ორშაბათი. ამდენად, აპელანტს სააპელაციო საჩივარი უნდა შეეტანა 2010 წლის 25 იანვრის ჩათვლით. საქმის მასალებით, კერძოდ, სააპელაციო საჩივრით და საფოსტო კონვერტით ირკვევა, რომ აპელანტმა სააპელაციო საჩივარი ფოსტას ჩააბარა 2010 წლის 28 იანვარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი შეტანილია კანონით დადგენილი საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ. შესაბამისად – იგი დაუშვებლობის გამო განუხილველად დატოვებას ექვემდებარებოდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 თებერვლის განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრა შპს „... მედიას“ დირექტორმა ვ. გ-მემ

კერძო საჩივრის ავტორის აზრით, სასამართლომ ყურადღება მიაქცია საფოსტო კონვერტზე არსებულ მიწაწერს, რაც არ არის სწორი, ვინაიდან კონვერტზე აღინიშნა მხოლოდ უშუალოდ ფოსტის მიერ საჩივრის გამოგზავნის თარიღი და არა მათ მიერ სააპელაციო საჩივრის ფოსტისთვის გადაცემის თარიღი, შესაბამისად, დაცულია სააპელაციო საჩივრის წარდგენის კანონით დადგენილი ვადა.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის დასასაშვებად ცნობა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა გაეცნო წარმოდგენილ კერძო საჩივარს და საქმის მასალებს და მიიჩნია, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეში მითითებულ მისამართზე (ქ.თბილისი, ... ქ.12-ში) გაეგზავნა აპელანტ შპს „ს-ს“ (სახელწოდების შეცვლის შემდეგ შპს „... მედიას“). საქმეში წარმოდგენილი საფოსტო გზავნილების ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათით დასტურდება, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება 2010 წლის 11 იანვარს ჩააბარდა შპს „... მედიას“ უფლებამოსილ პირს – ორგანიზაციის მენეჯერს (გ. ხ-მეს), რაც დასტურდება ამ უკანასკნელის ხელმოწერითა და ორგანიზაციის ბეჭდით.

აპელანტმა სააპელაციო საჩივარი შეიტანა 2010 წლის 28 იანვარს, სააპელაციო საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადას შეადგენს 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. წარმო-



მადგენელი ვალდებულია, უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს. ამავე კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული მისამართის, სამუშაო ადგილის ან სასამართლოსათვის ცნობილი სხვა მისამართის მიხედვით. ამავე კოდექსის

73-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, ფოსტის ან კურიერის მეშვეობით მოქალაქისათვის გაგზავნილი სასამართლო უწყება მას უნდა ჩაჰბარდეს პირადად, ხოლო მოქალაქის სამუშაო ადგილზე, ასევე ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩაჰბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს. ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში უწყების ჩაბარება დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე მიმღების ხელმოწერით.

მითითებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ შპს „... მედიამ“ გადაწყვეტილება ჩაიბარა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, ხოლო სააპელაციო საჩივარი წარადგინა კანონმდებლობით დადგენილი 14-დღიანი ვადის გასვლის შემდგომ და, შესაბამისად, სააპელაციო პალატა უფლებამოსილი იყო დაეტოვებინა სააპელაციო საჩივარი განუხილველი დაუშვებლობის გამო.

კერძო საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ საფოსტო კონვერტზე არსებული მინაწერი არასწორია, ვინაიდან კონვერტზე აღინიშნა მხოლოდ უშუალოდ ფოსტის მიერ საჩივრის გამოგზავნის თარიღი და არა მათ მიერ სააპელაციო საჩივრის ფოსტისთვის გადაცემის თარიღი. აღნიშნულის დასადასტურებლად იგი მიუთითებს შპს «სკს» ფოსტის დირექტორის წერილზე, საიდანაც ირკვევა, რომ 2010 წლის 25 იანვარს გაიგზავნა '000067208 გზავნილი სააპელაციო სასამართლოში. საკასაციო სასამართლომ შეამოწმა შპს «სკს» ფოსტის დირექტორის წერილი, მასზე დართული ქსეროასლი და მიიჩნევს, რომ ისინი ვერ აქარწყლებს საქმეში არსებული '000060487 გზავნილის ნამდვილობას. აღნიშნული გზავნილი წარმოადგენს ოფიციალურ დოკუმენტს, რომელიც საქმეში წარმოდგენილია დედნით. მასში მითითებულია, რომ კორესპონდენცია გაიგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში 2010 წლის 28 იანვარს და დედანზე დაფიქსირებულია ხელმოწერა. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ აღნიშნული დოკუმენტი გამოირიცხავს შპს «სკს» ფოსტის დირექტორის მიერ წერილში მითითებულ გზავნილის გამოგზავნის თარიღს – 2010 წლის 25 იანვარს. ამასთან, გზავნილის ქსეროასლს, რომელიც კერძო საჩივარს ერთვის, საკასაციო სასამართლო ასევე ვერ მიიჩნევს სარწმუნო მტკიცებულებად, ვინაიდან მითითებულ მტკიცებულებაში (გზავნილი '000067208) ადრესატად დაფიქსირებულია სააპელაციო სასამართლო, მაშინ, როდესაც მხარეს სააპელაციო საჩივარი უნდა წარედგინა არა სააპელაციო სასამართლოში, არამედ თბილისის საქალაქო სასამართლოში. სააპელაციო საჩივრის შეცდომით გაგზავნის შემთხვევაში, საქმეში აუცილებლად იარსებებდა სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი მიმართვა სააპელაციო საჩივრის სათანადო სასამართლოში გადაგზავნის შესახებ, რაც საქმის მასალებით არ დგინდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „... მედიას« დირექტორი ვ. გ-მ ვერ აქარწყლებს საქმეში არსებული საფოსტო გზავნილით დადგენილ გარემოებას, საფოსტო გზავნილის 2010 წლის 28 იანვარს გაგზავნის თაობაზე, რის გამოც არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება ქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ.

საკასაციო პალატა განმარტავს, ვინაიდან მხარემ კანონით გათვალისწინებულ ვადაში არ შეიტანა სააპელაციო საჩივარი, შესაბამისად, დაკარგა აღნიშნული საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება.

ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა :**

შპს „... მედიას« კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 თებერვლის განჩინება დარჩეს უცვლელად;  
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის გაშვება

### განჩინება

1ას-1249-1508-09

20 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** სახელფასო დავალიანების ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 23 ივლისს ტყიბულის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა გ. ჩ-შვილმა სს „ს-ს“ წინააღმდეგ და მოითხოვა სახელფასო დავალიანების – 31500 ლარისა და საურავის – 7384,65 ლარის დაკისრება.

ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – სს „ს-ს“ გ. ჩ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა 31500 ლარის, საურავის – 1827 ლარისა და სასამართლო ხარჯების – 1 647 ლარის ანაზღაურება.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს „ს-ს“ წარმომადგენელმა მ. კ-ძემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 19 ნოემბრის განჩინებით სს „ს-ს“ სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 22 სექტემბრის დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი სს „ს-ს“ გაეგზავნა და ჩაჰბარდა 2009 წლის 9 ოქტომბერს. შესაბამისად, გასაჩივრების ბოლო ვადას წარმოადგენს 23 ოქტომბერი. ვინაიდან სს „ს-ს“ სასამართლო გადაწყვეტილება ჩაჰბარდა კანონით დადგენილი წესით, მაგრამ სააპელაციო საჩივარი შეტანილია 2009 წლის 27 ოქტომბერს (4 დღის დაგვიანებით), ანუ სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადის დარღვევით, სააპელაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა შპს „ს-ს“ დირექტორმა მ. კ-ძემ. მან მიუთითა, რომ ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 22 სექტემბრის დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი მართლაც ჩაჰბარდა სს „ს-ს“ 2009 წლის 9 ოქტომბერს, შესაბამისად გასაჩივრების ბოლო ვადას წარმოადგენს 23 ოქტომბერი. სს „ს-ს“ 23 ოქტომბერს, ანუ ვადაში ფოსტის მეშვეობით გააგზავნა სააპელაციო საჩივარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის წარმოებაში მიღება.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ შპს „ს-ს“ დირექტორ მ. კ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

სსსკ-ის 374-ე მუხლით, სააპელაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის განმავლობაში, სააპელაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა სააპელაციო საჩივარი. თუ არ არსებობს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

დადგენილია, რომ ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 26 ოქტომბრის დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი, შპს „ს-ს“ გაეგზავნა და ჩაჰბარდა 2009 წლის 9 ოქტომბერს. შესაბამისად, გასაჩივრების ბოლო ვადას წარმოადგენდა 2009 წლის 23 ოქტომბერი. მან კი სააპელაციო საჩივარი შეიტანა 27 ოქტომბერს – 4 დღის დაგვიანებით.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ შპს „ს-ს“ სააპელაციო საჩივარი შეიტანა კანონით დადგენილ ვადაში – 2009 წლის 23 ოქტომბერს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ შპს „ს-ს“ ვერ დაადასტურა სააპელაციო საჩივრის დროულად ჩაბარება ფოსტაში, კერძოდ ის, რომ მათ ფოსტის მეშვეობით გააგზავნეს სააპელაციო საჩივარი 2009 წლის 23 ოქტომბერს. აღნიშნულის დამამტკიცებელი დოკუმენტი მათ არ წარმოუდგენიათ.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ვინაიდან შპს „ს-ს“ სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაჰბარდა კანონით დადგენილი წესით, მაგრამ სააპელაციო საჩივარი წარადგინა 2009 წლის 27 ოქტომბერს, ანუ სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადის დარღვევით, სააპელაციო სასამართლომ მისი სააპელაციო საჩივარი სწორად დატოვა განუხილველად.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

შპს «ს-ს» დირექტორ მ. კ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 19 ნოემბრის განჩინება;  
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა**

**განჩინება**

1ას-296-279-10

10 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე),  
თ. თოდრია (მომხსენებელი),  
მ. სულხანიშვილი

**დავის საგანი:** განქორწინება, ბავშვების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა და ალიმენტის დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2009 წლის 11 ნოემბერს გორის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა ხ. მ-შვილმა ზ. ბ-ურის მიმართ განქორწინების, არასრულწლოვანი შვილებისათვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისა და ალიმენტის დაკისრების შესახებ.

გორის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილებით ხ. მ-შვილის სარჩელი განქორწინებისა და ბავშვების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის ნაწილში დაკმაყოფილდა სრულად, ხოლო ალიმენტის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. შეწყდა ქორწინება ხ. მ-შვილსა და ზ. ბ-ურს შორის, რეგისტრირებული 2004 წლის 24 მაისს, სოფელ ...ს საკრებულოს მიერ 10033246 სააქტო ჩანაწერით. 2002 წლის 16 ოქტომბერს დაბადებული ნ. ბ-ურის, 2005 წლის 8 ივნისს დაბადებული ი. ბ-ურისა და 2006 წლის 20 ნოემბერს დაბადებული მ. ბ-ურის საცხოვრებელ ადგილად განსაზღვრა – დედის – ხ. მ-შვილის საცხოვრებელი სახლი. მოპასუხე ზ. ბ-ურს დაეკისრა ნ. ბ-ურის, ი. ბ-ურისა და მ. ბ-ურის სარჩოდ ყოველთვიურად ალიმენტის სახით თითოეულზე 50 ლარი, სულ 150 ლარის გადახდა, რომლის გადახდა დაიწყო 2009 წლის 9 ნოემბრიდან, მდგომარეობის შეცვლამდე.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ზ. ბ-ურის წარმომადგენელმა მ. ც-მემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 15 მარტის განჩინებით ზ. ბ-ურის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ გორის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილებით ხ. მ-შვილის სარჩელი განქორწინებისა და ბავშვების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის ნაწილში დაკმაყოფილდა სრულად, ხოლო ალიმენტის დაკისრების ნაწილში – ნაწილობრივ.

საქმეში წარმოდგენილი შეტყობინების ბარათით გზავნილის ჩაბარების შესახებ დასტურდება, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ჩაჰბარდა ზ. ბ-ურის ნათესავს – ც. ბ-ურს 2010 წლის 29 იანვარს.

ზ. ბ-ურის საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენს გორის რაიონი, სოფელი .... საქმის მასალები მოწმობს, რომ საქმის წარმოების განმავლობაში ზ. ბ-ურისათვის სასამართლოს გზავნილების ჩაბარება ხორციელდებოდა სწორედ ამ მისამართზე. სააპელაციო საჩივარში საცხოვრებელ მისამართად აპელანტი სწორედ ამ მისამართს უთითებს და გასაჩივრებული გადაწყვეტილებაც ამ მისამართზე ჩაჰბარდა ნათესავს – ც. ბ-ურს. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება აპელანტზე ჩაბარებულად ითვლება 2010 წლის 29 იანვარს. გადაწყვეტილების გასაჩივრების 14-დღიანი ვადის ათვლა დაიწყო 2010 წლის 30 იანვრიდან, ვინაიდან, სსსკ-ის მე-60 მუხლის მეორე ნაწილით წლებით, თვეებით, ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა ამოიწურა 2010 წლის 12 თებერვალს, ანუ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებამოსილება აპელანტს გააჩნდა 2010 წლის 12 თებერვლის ჩათვლით. საქმის მასალებით დასტურდება, რომ აპელანტმა გორის რაიონულ სასამართლოს 2010 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა კანონით დადგენილი

14-დღიანი ვადის გასვლის შემდგომ – 2010 წლის 23 თებერვალს, რაც სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ზ. ბ-ურის წარმომადგენელმა მ. ც-მემ და მიუთითა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის დარღვევის მოტივით უარი ეთქვათ საჩივრის დასაშვებობაზე და იგი დატოვებულ იქნა განუხილველად. განჩინებაში მითითებულია, რომ თითქოს აპელანტისათვის გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყო 2010 წლის 30 იანვრიდან, ზ. ბ-ურისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების სსსკ-ის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად ჩაბარებიდან, რაც მისი აზრით არასწორია, რადგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადის ათვლა იწყება უშუალოდ მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების მომენტიდან. ამავე კოდექსის 74-ე მუხლის თანახმად, თუ გზავნილის ჩამბარებელმა ადრესატი ვერ ნახა საცხოვრებელ ადგილზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს და არა გარეშე პირს – მეზობელს, რომლისთვისაც გზავნილის ჩაბარებას კანონმდებლობა არ ცნობს. ამავე კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილით, ფოსტით ან კურიერის მეშვეობით მოქალაქისათვის გაგზავნილი დოკუმენტი მას უნდა ჩაჰბარდეს პირადად. წარმომადგენელი ასევე უთითებს, რომ სასამართლომ 2010 წლის 10 თებერვალს ჩააბარა გადაწყვეტილება და გასაჩივრების ვადაც დაიწყო 10 თებერვლიდან. სააპელაციო საჩივარი სასამართლოს ჩაჰბარდა 2010 წლის 23 თებერვალს, ანუ კანონით დადგენილ ვადაში.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ ზ. ბ-ურის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სსსკ-ის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისთვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

დადგენილია, რომ საქმეში წარმოდგენილი შეტყობინების ბარათით გზავნილის ჩაბარების შესახებ დასტურდება, რომ გორის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილება ჩაჰბარდა ზ. ბ-ურის ნათესავს – ც. ბ-ურს 2010 წლის 29 იანვარს.

ზ. ბ-ურის საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენს გორის რაიონი, სოფ. .... დადგენილია, რომ საქმის წარმოების განმავლობაში ზ. ბ-ურისათვის სასამართლოს გზავნილების ჩაბარება ხორციელდებოდა სწორედ ამ მისამართზე, სააპელაციო საჩივარში საცხოვრებელ მისამართად აპელანტი სწორედ ამ მისამართს უთითებს და გასაჩივრებული გადაწყვეტილების ჩაბარებაც ამ მისამართზე მოხდა ნათესავის – ც. ბ-ურის მიერ.

სსსკ-ის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსამახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს, ხოლო, თუ უწყება ბარდება სამუშაო ადგილის მიხედვით – სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას, ამ კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილით დადგენილი წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი განსახილველ საქმეში მონაწილეობენ როგორც მოწინააღმდეგე მხარეები. უწყების ჩაბარება ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაითვლება უწყების ჩაბარებად ადრესატისათვის, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით, აღნიშნული ნორმის მოქმედება ვრცელდება განჩინების ჩაბარების შემთხვევაშიც.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში გორის რაიონული სასამართლოს 14 იანვრის გადაწყვეტილება ჩაბარებულად ითვლება 2010 წლის 29 იანვარს. შესაბამისად, ვადის ათვლაც უნდა დაიწყოს ამ დღიდან. აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრების 14-დღიანი ვადა ამოიწურა 2010 წლის 12 თებერვალს. ზ. ბ-ურმა კი სააპელაციო საჩივარი შეიტანა 23 თებერვალს, 14-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი. შესაბამისად არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 მარტის განჩინება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ზ. ბ-ურის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 15 მარტის განჩინება;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

### განჩინება

1ას-456-427-10

8 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე),

მ. სულხანიშვილი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: პირგასტეხლოს დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სს „მ-ის“ წინააღმდეგ და მოითხოვა სს «მ-ს», საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სასარგებლოდ გადასახდელად დაკისრებოდა პირგასტეხლო – 109 922 ლარი და 67 თეთრი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გასაჩივრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, აპელანტმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2010 წლის 10 თებერვლის განჩინებით განუხილველად დატოვა სააპელაციო საჩივარი.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ასლი ჩაჰბარდა 2010 წლის 12 იანვარს, გასაჩივრების კანონით განსაზღვრული ვადა ამოიწურა 26 იანვარს. სააპელაციო საჩივარი კი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში წარდგენილ იქნა 2010 წლის 27 იანვარს, ანუ კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადის დარღვევით.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მხარის მიერ – სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება შეიცავს საპროცესო ვალდებულებას, რომ მხარემ ამ უფლების რეალიზება კანონით განსაზღვრულ ვადაში შესძლოს მოცემულ შემთხვევაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საპროცესო უფლება გაესაჩივრებინა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით რეალიზებულ არ იქნა კანონით დადგენილ ვადაში.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება სამინისტროს ჩაჰბარდა 2010 წლის 13 იანვარს (სამინისტროში რეგისტრაციის <sup>1</sup> 22/1256. დანართი 11). ამდენად, გადაწყვეტილების გასაჩივრების 14-დღიანი ვადის ბოლო დღე იყო 2010 წლის 27 იანვარი. აღნიშნულ დღეს იყო წარდგენა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ უთხრა უარი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სააპელაციო საჩივრის განხილვაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმეზე წარმოდგენილ კერძო საჩივარს, თანდართულ მტკიცებულებებს და თვლის, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს პირველი ინსტანციით გამოტანილი გადაწყვეტილება მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოში.

ამავე კოდექსის 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ასლი ჩაჰბარდა 2010 წლის 12 იანვარს, გასაჩივრების კანონით განსაზღვრული ვადა ამოიწურა 26 იანვარს, სააპელაციო საჩივარი კი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში წარდგენილი იქნა 2010 წლის 27 იანვარს ანუ კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადის დარღვევით.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კერძო საჩივარში მითითებულ მოტივებს სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების თაობაზე. კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ჩაბარდა 2010 წლის 13 და არა 12 იანვარს. აღნიშნულის დასამტკიცებლად იგი უთითებს სამინისტროში შემოსული კორესპონდენციის რეგისტრაციის 122/1256, რომელიც მისი მითითებით მოცემულია დანართი 11-ში. პალატა აღნიშნავს, რომ კერძო საჩივარში დართულ მასალებში ასეთი სახის მტკიცებულება არ მოიპოვება. ასეთი მტკიცებულებაც რომ არსებობდეს, სასამართლო მას მაინც ვერ გაიზიარებდა, რადგან საქმეში არსებული მტკიცებულებით ცალსახად დგინდება, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უწყება ჩაჰბარდა 12 იანვარს, როცა გასული იყო 14-დღიანი ვადა.

ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს სააპელაციო სასამართლო განჩინების გაუქმების საფუძველი და იგი უცვლელად უნდა იქნეს დატოვებული.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლის ე. მ-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 თებერვლის განჩინება დარჩეს უცვლელად;

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა**

#### **განჩინება**

1ას-567-534-2010

12 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ნივთის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ქ. ა-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს «... 96-ის» მიმართ და მოითხოვა ადიგენის რაიონის სოფელ ... ე.წ. «...» ტერიტორიაზე მდებარე ქ. ა-შვილის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გაწმენდა, ქვალორღისა და შენობის ნანგრევების გატანა, მიწის ნაკვეთის მოხვნა-გაკულტივირება, ასევე, სასამართლო ხარჯების ანაზღაურება შემდეგი საფუძვლებით: მოსარჩელის კუთვნილი მიწის ნაკვეთი მდებარეობს ადიგენის რაიონის სოფელ ..., ე.წ. «...» ტერიტორიაზე. მოპასუხე აღნიშნული მიწის ნაკვეთის სიახლოვეს აწარმოებდა სამშენებლო სამუშაოებს, რა დროსაც დაანგრია იქ არსებული ძველი შენობა-ნაგებობები და ააშენა ახალი. 2008 წლის შემოდგომაზე აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე შევიდა და დაყარა დანგრეული შენობის ნარჩენები და ქვა-ლორღი, რის გამოც შეუძლებელი გახდა მიწის ნაკვეთის შესაბამისი დანიშნულებით გამოყენება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო დაუსაბუთებლობის გამო.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით მოსარჩელე ქ. ა-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – მოპასუხე შპს «... 96-ს» დაევალა ადიგენის რაიონის სოფელ ... მდებარე ქ. ა-შვილის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან სამშენებლო ნარჩენების მთლიანად გატანა და მიწის ნაკვეთის მოხვნა-გაკულტივირება, ასევე დაეკისრა მოსარჩელის მიერ გადახდილი საპროცესო ხარჯების ანაზღაურება.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება შპს «... 96-მა» გასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 აპრილის განჩინებით შპს «... 96-ის» სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება შპს «... 96-ის» წარმომადგენელ ტ. ჩ-შვილის მამას – ს. ჩ-შვილს ჩაჰბარდა 2010 წლის 28 იანვარს, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადრესატისათვის მისი ჩაბარებულად მიჩნევის საფუძველია.

პალატამ მიუთითა, რომ, მართალია, შპს «... 96-ს» აღნიშნული გადაწყვეტილება განმეორებით 2010 წლის 17 მარტსაც ჩაჰბარდა, მაგრამ მისი გასაჩივრების ვადის ათვლა იწყება გადაწყვეტილების პირველი ჩაბარების დღიდან.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს «... 96-ის» მიერ ხსენებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უკანასკნელი ვადა იყო 2010 წლის 11 თებერვალი, მან კი სასამართლოს სააპელაციო საჩივარი წარუდგინა 2010 წლის 31 მარტს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე შპს «... 96-ის» წარმომადგენელმა ტ. ჩ-შვილმა შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შემოწმება შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება შპს «... 96-ის» წარმომადგენელ ტ. ჩ-შვილის მამას – ს. ჩ-შვილს 2010 წლის 28 იანვარს ჩაბარდა, შესაბამისად, პალატამ მითითებული დროიდან გადაწყვეტილების გასაჩივრების 14-დღიანი ვადა არასწორად აითვალა. ს. ჩ-შვილის მიერ მიღებული გზავნილით მხარეს ჩაბარდა სხვა სასამართლო გადაწყვეტილება, თუმცა გზავნილზე რეალურად გაგზავნილი დოკუმენტის რეკვიზიტები დაფიქსირებული არ არის. ფაქტობრივად, ტ.ჩ-შვილს პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილების ასლი ჩაჰბარდა 2010 წლის 17 მარტს და მას სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა არ დაურღვევია.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს «... 96-ის» წარმომადგენელ ტ. ჩ-შვილის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისთვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისთვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივრის შეტანა დასაშვებია მხარის მიერ გასაჩივრებული დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მიღებიდან მხოლოდ 14 დღის განმავლობაში. ამდენად, კანონმდებელი ყურადღებას ამახვილებს და მნიშვნელოვანია სწორად განისაზღვროს მხარის მიერ სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარების მომენტი, საიდანაც უნდა აითვალოს ზემოხსენებული 14-დღიანი ვადა.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტს, რომ სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული განჩინებით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა 2010 წლის 28 იანვრიდან არასწორად აითვალა, კერძოდ:

საქმის მასალებში წარმოდგენილია საფოსტო შეტყობინება, რომლის თანახმად ტ. ჩ-შვილისათვის გაგზავნილი სასამართლო გზავნილი 2010 წლის 28 იანვარს ჩაჰბარდა მის მამას – ს. ჩ-შვილს, თუმცა გზავნილის ნომერია 2/304-09, ხოლო განსახილველ დავას პირველი ინსტანციის სასამართლო იხილავდა ნომრით 2/128-09. იგივე ნომერი აქვს მინიჭებული სასამართლო გადაწყვეტილებასა და მის სხვა გზავნილებს.

აღნიშნული გარემოება იძლევა საფუძველს დასკვნისათვის, რომ 2010 წლის 28 იანვარს ადვოკატ ტ.ჩ-შვილის მამისათვის ჩაბარებული სასამართლო გზავნილი მოცემულ საქმეს არ ეხება და სააპელაციო პალატას სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადა უნდა აეთვალია 2010 წლის 17 მარტიდან, ანუ იმ მომენტიდან, როდესაც, საქმეში არსებული შპს «სკს-ს» შეტყობინების ბარათის მიხედვით, აპელანტის წარმომადგენელ ტ.ჩ-შვილის მამას ჩაჰბარდა სასამართლო გზავნილი გასაჩივრებული დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლთან ერთად.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შპს «... 96-ის» სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის სხვა საფუძველების შესამოწმებლად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

## დაადგინა:

შპს «... 96-ის» კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 აპრილის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა და გასაჩივრების ვადის გაშვება

### განჩინება

1ას-642-603-10

3 აგვისტო, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. კვანტალიანი,  
ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 15 აგვისტოს გადაწყვეტილებით ფ. ტ-მის, ბ. მ-მის, მ. მ-მისა და სხვების სარჩელი მოპასუხეების აჭარის ა/რ სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ინვალიდთა სამედიცინო სოციალური რეაბილიტაციისა და საპროთეზო ორთოპედული ცენტრის მიმართ, მოპასუხეებისათვის ხელფასების, კომპენსაციებისა და დავალიანების, სულ 40932 ლარის სოლიდარულად დაკისრებისა და სადავო საკითხთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების – 5100 ლარის დაკისრების თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – მოპასუხეებს თითოეული მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრათ თანხის გადახდა – სულ 32397.24 ლარი; მათვე დაეკისრათ მოსარჩელეთა სასარგებლოდ, თითოეულ მოსარჩელისათვის მგზავრობისა და სხვადასხვა ხარჯების გადახდა 100 ლარის – სულ 5000 ლარი და წარმომადგენლის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის ანაზღაურება 1296 ლარის ოდენობით. მოსარჩელებს, როგორც არასათანადო მოპასუხის, მიმართ აღძრულ სარჩელზე, უარი ეთქვათ შპს «ინვალიდთა სამედიცინო-სოციალური რეაბილიტაციისა და საპროთეზო-ორთოპედული ცენტრისთვის» თანხის დაკისრებაზე უსაფუძვლოდ გამო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 15 აგვისტოს გადაწყვეტილება 2010 წლის 14 აპრილს სააპელაციო წესით გასაჩივრა აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 25 მაისის განჩინებით აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად, დაუშვებლობის გამო.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის განხილვის განახლება იმ საფუძველზე, რომ საქმეში არ მოიპოვება სამინისტროსათვის გადაწყვეტილების ასლის, სსკ-ის 70-ე-78-ე მუხლების მიხედვით, ჩაბარების დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი, შესაბამისად, მას არ ჰქონდა შესაძლებლობა გაესაჩივრებინა სადავო გადაწყვეტილება, რომლის არსებობის თაობაზე სამინისტრომ შეიტყო მხოლოდ 2010 წლის 31 მარტს, როდესაც დაკარგული საქმის აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება შევიდა სამინისტროში. შესაბამისად, სამინისტროს ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადა არ დაურღვევია.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 15 აგვისტოს გადაწყვეტილებით მოპასუხეებს აჭარის ა/რ სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოსარჩელებს – ფ. ტ-მის, ბ. მ-მის, მ. მ-მისა და სხვების სასარგებლოდ დაეკისრათ 32397,24 ლარი სახელფასო დავალიანებების დასაფარად.



აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ 2003 წლის 4 აპრილს გაიცა სააღსრულებო ფურცელი, სადაც გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის თარიღად მითითებულია 2002 წლის 16 სექტემბერი.

აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით სააპელაციო საჩივარი სასამართლოში შეიტანა 2010 წლის 14 აპრილს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 25 მაისის განჩინებით აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად გასაჩივრების ვადის დარღვევის გამო, რაც კერძო საჩივრით გაასაჩივრა აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ.

კერძო საჩივრის ავტორი გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველად უთითებს იმ გარემოებაზე, რომ სამინისტროს გადაწყვეტილების გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადა არ დაურღვევია, ვინაიდან საქმეში არ მოიპოვება მისთვის გადაწყვეტილების ასლის ჩაბარების დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი. შესაბამისად, სამინისტროს არ ჰქონდა შესაძლებლობა გაესაჩივრებინა სადავო გადაწყვეტილება, რომლის არსებობის თაობაზე მან შეიტყო მხოლოდ 2010 წლის 31 მარტს, როდესაც დაკარგული საქმის აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება შევიდა სამინისტროში.

აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს შემდეგ გარემოებათა გამო:

სადავო გადაწყვეტილების გამოტანისას მოქმედი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა არის ერთი თვე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება ამ გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან მისი მხარისათვის, ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად გადაზავნის დრო.

საქმეში არსებული მასალების მიხედვით დასტურდება, რომ სადავო გადაწყვეტილების შესახებ სამინისტრომ ჯერ კიდევ 2003 წლის 2 ივლისს იცოდა, თუმცა მას არ გამოუყენებია მისთვის კანონით მინიჭებული გასაჩივრების უფლება. კერძოდ, საქმის მასალებში წარმოდგენილია აჭარის ა/რ სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების მინისტრის 2003 წლის 24 ივლისის '01/17-264 მიმართვა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისადმი, საიდანაც დგინდება, რომ აჭარის ა/რ სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტროში 2003 წლის 2 ივლისს შევიდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 15 აგვისტოს გადაწყვეტილება და სააღსრულებო ფურცელი '2-194, რომლის თანახმად, მოსარჩელები მოითხოვდნენ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას 3 თვის განმავლობაში. ამდენად, თავად სამინისტრო ადასტურებს იმ გარემოებას, რომ მას 2003 წლის 2 ივლისს გადაეცა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. შესაბამისად, სწორედ ამ რიცხვიდან უნდა მოხდეს გასაჩივრების ვადის ათვლა, რომელიც მოცემულ შემთხვევაში ამოიწურა 2003 წლის 2 აგვისტოს. საქმის მასალებით ირკვევა, რომ აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ სააპელაციო საჩივარი სასამართლოში შეიტანა 2010 წლის 14 აპრილს, ანუ კანონით დადგენილი გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ მართებულად დატოვა განუხილველად აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი. ამდენად, გასაჩივრებული განჩინება კანონიერია და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 მაისის განჩინება.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

### განჩინება

1ას-809-758-2010

28 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
მ. სულხანიშვილი

**დავის საგანი:** ქონების ყადაღისგან გათავისუფლება

#### აღწერილობითი ნაწილი:

შუახვევის მაგისტრატ სასამართლოს სარჩელით მიმართა ნ. დ-მემ აჭარის სააღსრულებო ბიუროს მიმართ უძრავი ნივთის ყადაღისგან გათავისუფლების თაობაზე.

შუახვევის მაგისტრატის სასამართლოს 2010 წლის 4 მაისის გადაწყვეტილებით ნ. დ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ნ. დ-მემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის განჩინებით ნ. დ-მის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ შუახვევის მაგისტრატის სასამართლოს 2010 წლის 4 მაისის გადაწყვეტილებით ნ. დ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება მხარეებს გაეგზავნათ კანონით დადგენილი წესით და ნ. დ-მის სრულწლოვან ოჯახის წევრს – მის მეუღლეს ჩაჰბარდა 2010 წლის 29 მაისს. ნ. დ-მემ სააპელაციო საჩივარი წარადგინა 2010 წლის 15 ივნისს. იმის გათვალისწინებით, რომ შუახვევის მაგისტრატის სასამართლოს 2010 წლის 4 მაისის დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი ნ. დ-მეს გაეგზავნა და ჩაჰბარდა 2010 წლის 29 მაისს, შესაბამისად, გასაჩივრების ბოლო ვადას, სსკ-ის 61-ე მუხლის გათვალისწინებით, წარმოადგენდა 2010 წლის 14 ივნისი (ბოლო ვადას წარმოადგენდა 12 ივნისი, მაგრამ 12 ივნისი იყო არასამუშაო დღე შაბათი). სააპელაციო საჩივარი კი შეტანილ იქნა 15 ივნისს, სააპელაციო საჩივრის 14-დღიანი ვადის დარღვევით.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ნ. დ-მემ. მან აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მას პირველი ინსტანციის სასამართლოს 2010 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება ჩაჰბარდა 2010 წლის 29 მაისს და, შესაბამისად, გასაჩივრების ბოლო ვადას წარმოადგენდა 2010 წლის 14 ივნისი, ხოლო სააპელაციო საჩივარი შეტანილ იქნა 2010 წლის 15 ივნისს. კერძო საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ შუახვევის რაიონულმა სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა არა 2010 წლის 4 მაისს, არამედ – 2010 წლის 18 მაისს – ასევე, მან წარმოადგინა ექიმის ცნობა, სადაც მითითებულია, რომ 11.06.2010 წლიდან 16.06.2010 წლამდე იყო ავად და ამბულატორიულად მკურნალობდა. მისი განმარტებით, მართალია, სააპელაციო საჩივარი მან შეიტანა 15 ივნისს, მაგრამ 17 ივნისს შუახვევის რაიონულ სასამართლოში ასევე შეიტანა დაზუსტებული სააპელაციო საჩივარი ექიმის ცნობასთან ერთად, რაც ადასტურებს იმას, რომ გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადა გავიდა საპატიო მიზეზის გამო, კერძოდ, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ წარადგინა სააპელაციო საჩივარი დადგენილ ვადაში.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ ნ. დ-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ შუახვევის მაგისტრატის სასამართლოს 2010 წლის 4 მაისის გადაწყვეტილებით ნ. დ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება მხარეებს გაეგზავნათ კანონით დადგენილი წესით და ნ. დ-მის სრულწლოვან ოჯახის წევრს – მის მეუღლეს ჩაჰბარდა 2010 წლის 29 მაისს, შესაბამისად, მას სააპელაციო საჩივარი უნდა შეეტანა 2010 წლის 14 ივნისის ჩათვლით (ბოლო ვადას წარმოადგენდა 12 ივნისი, მაგრამ 12 ივნისი იყო არასამუშაო დღე შაბათი). სააპელაციო საჩივარი კი შეტანილ იქნა 15 ივნისს სააპელაციო საჩივრის 14-დღიანი ვადის დარღვევით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე, ამ ვადის გაგრძელება არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება კერძო საჩივრის ავტორს იმის შესახებ, მან საპატიო მიზეზით ვერ შეიტანა სააპელაციო საჩივარი კანონით დადგენილ ვადაში, კერძოდ, იგი იყო ავად, რასაც ადასტურებს უზნის ექიმის მიერ გაცემული ცნობა ავადმყოფობის შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ნ. დ-მის მიერ წარმოდგენილი ცნობა ხელმოწერილია არა სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ, არამედ – უზნის ექიმის მიერ. შესაბამისად, აღნიშნული ცნობა არ პასუხობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლით გათვალისწინებულ გარემოებებს საპატიო მიზეზთან დაკავშირებით, რის გამოც, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ნ. დ-მ ვერ დაადასტურა საპატიო მიზეზით გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის გაშვება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც, ნ. დ-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ნ. დ-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის განჩინება;  
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა**

#### **განჩინება**

1ას-892-840-2010

1 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ლ. ლაზარაშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

დ. თ-ელიმ განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა გ. კ-ავასთან განქორწინების რეგისტრაციის შესახებ იურიდიული ფაქტის დადგენა შემდეგი საფუძველებით: 1980 წლიდან დ.თ-ელი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა გ.კ-ავასთან, რომელთანაც გალის სახალხო სასამართლოს 1986 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით განქორწინდა. განქორწინება აღირიცხა გალის მმარის განყოფილებაში, თუმცა განმცხადებელმა განქორწინების მოწმობა დაკარგა. აღნიშნული დოკუმენტი მხარეს ესაჭიროება ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში წარსადგენად.

გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებით განმცხადებელ დ. თ-ელის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა განმცხადებელმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 აგვისტოს განჩინებით დ. თ-ელის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება დ. თ-ელის 2010 წლის 14 ივლისს პირადად ჩაბარდა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის საფუძველზე სასამართლომ ამავე კოდექსის 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული 14-დღიანი ვადა აითვალა 2010 წლის 15 ივლისიდან 28 ივლისის ჩათვლით და მიუთითა, რომ სააპელაციო საჩივარი მხარემ შეიტანა აღნიშნული ვადის დარღვევით – 2010 წლის 5 აგვისტოს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე დ.თ-ელემ შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო პალატამ, დ.თ-ელის მიერ არა ერთხელ მიმართვის მიუხედავად, დროულად არ გაუგზავნა სასამართლო სხდომის ოქმები, რომლებიც პროცესის სწორ მიმდინარეობას არ ასახავდა.

მხარემ სააპელაციო საჩივარი შეიტანა კანონით დადგენილი ვადის დაცვით, რადგან იგი საფოსტო განყოფილებას ჩააბარა 2010 წლის 27 ივლისს. რაიონულ სასამართლოში სააპელაციო საჩივრის საქმისათვის დართვისას ამოღებულ იქნა საფოსტო კონვერტი, რომელიც აღნიშნულ გარემოებას დაადასტურებდა, თუმცა კერძო საჩივარს დაერთო შესაბამისი საფოსტო ქვითარი.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ დ. თ-ელის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისთვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისთვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს პირველი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის გადაცემის მომენტიდან 14 დღის განმავლობაში. მითითებული ვადა იმპერატიულადაა დადგენილი და მისი გაგრძელების შესაძლებლობას სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებში წარმოდგენილი ხელწერილით ირკვევა, რომ გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება განმცხადებელ დ. თ-ელის იმავე დღეს, 2010 წლის 14 ივლისს პირადად ჩაბარდა, შესაბამისად, აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყო 2010 წლის 15 ივლისს და ამოიწურა 28 ივლისს. 2010 წლის 5 აგვისტოს მხარემ სასამართლოში შეიტანა სააპელაციო საჩივარი, რომელსაც კონვერტი არ ერთვის.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს დ. თ-ელის მითითებას, რომ მან სააპელაციო საჩივარი საფოსტო განყოფილებას 2010 წლის 27 ივლისს ჩააბარა, ვინაიდან კერძო საჩივარზე დართული საფოსტო ქვითრით უტყუარად არ დასტურდება, თუ ვინ ან რა სახის გზავნილი ჩააბარა ფოსტას. სხვა რაიმე მტკიცებულება კი მხარეს არ წარმოუდგენია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ სწორად აითვალა სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა და დ. თ-ელის სააპელაციო საჩივარი მართებულად დატოვა განუხილველად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

დ. თ-ელის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 10 აგვისტოს განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა**

#### **განჩინება**

1ას-660-619-2010

15 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

### აღწერილობითი ნაწილი:

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 23 მარტის გადაწყვეტილებით ჯ. ს-ძის სარჩელი მოპასუხე ნ. ა-ძის მიმართ განქორწინების თაობაზე დაკმაყოფილდა – ჯ. ს-ძესა და ნ. ა-ძეს შორის შეწყდა რეგისტრირებული ქორწინება, ჯ. ს-ძეს შვილების – ლ. და ა. ს-ძეების რჩენისათვის დაეკისრა თითოეულის სასარგებლოდ ალიმენტის – თვეში 300 ლარის გადახდა მათი სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ალიმენტის თანხის დაკისრების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ჯ. ს-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით ალიმენტის თანხის ოდენობის 40 ლარით განსაზღვრა. იმავდროულად, აპელანტმა ითხოვა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების მის მიერ გაშვებული ვადის საპატიოდ მიჩნევა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 მაისის განჩინებით ჯ. ს-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა არ იცნობს სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის გაგრძელებას და აღდგენას, გასაჩივრების ვადის ათვლა დაკავშირებულია გადაწყვეტილების გადაცემის მომენტთან. გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება ამ გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან მისი მხარისათვის ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად გადაგზავნის დრო.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მეორე წინადადებაზე, რომლის მიხედვით, უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. ამავ კოდექსის 74-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსაძახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმეზე დგინდებოდა, რომ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 23 მარტის გადაწყვეტილების ასლი ჯ. ს-ძეს გაეგზავნა და ჩაჰბარდა კანონით დადგენილი წესით. კერძოდ, მას გზავნილი პირადად ჩაჰბარდა 2010 წლის 16 აპრილს.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის შეტანისათვის კანონით დადგენილი 14-დღიანი ვადის დენა დაიწყო 2010 წლის 17 აპრილს და ამოიწურა ამვე წლის 30 აპრილს. რამდენადაც ჯ. ს-ძემ სააპელაციო საჩივარი ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში შეიტანა 2010 წლის 11 მაისს, ანუ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369.1 მუხლით გათვალისწინებული გასაჩივრების 14-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, არსებობდა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების წინაპირობა.

სააპელაციო სასამართლომ აგრეთვე მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლზე, რომლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ჯ. ს-ძის შუამდგომლობა სააპელაციო გასაჩივრებისათვის გაშვებული ვადის საპატიოდ მიჩნევის შესახებ დაკმაყოფილებას ვერ დაექვემდებარებოდა, რამდენადაც მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა არ იცნობს სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის გაგრძელების და აღდგენის შესაძლებლობას, ვადის დენა იმპერატიულად დაკავშირებულია მხოლოდ გადაწყვეტილების ჩაბარებასთან.

სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ჯ. ს-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება.

კერძო საჩივარში გასაჩივრებული განჩინების არამართლობიერების დასაბუთებლად მითითებულია იმ გარემოებაზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ჩაბარების დროისათვის ჯ. ს-ძე იმყოფებოდა ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ, მას აწუხებდა მაღალი წნევა და ფიზიკურად იყო შეუძლოდ. გარდა ამისა, ჯ. ს-ძეს აქვს მხედველობის პრობლემა. აღნიშნულთან დაკავშირებით აპელანტმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში წარადგინა შესაბამისი სამედიცინო ცნობები, თუმცა სასამართლოს მათზე საერთოდ არ უმსჯელია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 65-ე მუხლის მიხედვით, საპროცესო მოქმედების შესრულებისათვის განსაზღვრული ვადა, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სასამართლომ შეიძლება აღადგინოს, თუ ცნობს, რომ საპროცესო მოქმედება საპატიო მიზეზით არ შესრულდა. საპატიო მიზეზად ჩაითვლება ამ კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებული გარემოებები, 215-ე მუხლის მე-3 ნაწილით კი, საპატიო მიზეზად მიჩნეულია მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით. კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, ზემოაღნიშნული ვითარება კანონის დასახელებული ნორმების შესაბამისად იძლევა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ჯ. ს-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 მაისის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად. ამავე კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს.

საქმის მასალების თანახმად, ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 23 მარტის გადაწყვეტილების ასლი ჯ. ს-ძეს პირადად ჩაჰბარდა 2010 წლის 16 აპრილს, ხოლო სააპელაციო საჩივარი რაიონული სასამართლოს დასახელებულ გადაწყვეტილებაზე მან წარადგინა 2010 წლის 11 მაისს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60-61-ე მუხლების შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადის ათვლა მოცემულ შემთხვევაში დაიწყო 2010 წლის 17 აპრილს და დასრულდა 2010 წლის 30 აპრილს, რომელიც იყო სამუშაო დღე – პარასკევი. დროის აღნიშნულ მონაკვეთში მოსარჩელეს სააპელაციო საჩივარი არ წარუდგენია, მან ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს სააპელაციო საჩივრით მიმართა დავიანებით, მხოლოდ 2010 წლის 11 მაისს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. ამავე კოდექსის 63-ე მუხლის მიხედვით, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის განმავლობაში სააპელაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა სააპელაციო საჩივარი. თუ შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ. თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

კანონის ზემოთ დასახელებული ნორმების შინაარსი, საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან ერთობლიობაში შეფასების შედეგად, სრულიად ასაბუთებს ჯ. ს-ძის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების მართლობიერებას, რის შესაბამისადაც გასაჩივრებული განჩინება უცვლელად დატოვებას ექვემდებარება.

გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას ვერ განაპირობებს კერძო საჩივრის ავტორის მითითება სააპელაციო საჩივრის კანონით დადგენილ ვადაში წარუდგენლობის საპატიო მიზეზების არსებობის თაობაზე, რამდენადაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილი იმპერატიული ხასიათის ნორმას წარმოადგენს, რომელიც სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის აღდგენას არ ითვალისწინებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს ჯ. ს-ძის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისას კანონი არ დაურღვევია, რის გამოც არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ჯ. ს-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 25 მაისის განჩინება.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

### განჩინება

1ას-1053-987-2010

6 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება

#### აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ც-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ი. დ-ოვის მიმართ სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ფულადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით: 2001 წლის 26 ოქტომბერს ი. დ-ოვმა მისგან ისესხა 300 აშშ დოლარი 10%-ის გადახდის პირობით, 6 თვის ვადით, 2002 წლის 26 აპრილამდე. მიუხედავად იმისა, რომ არაერთხელ მოითხოვა თანხის დაბრუნება, მოპასუხემ მხოლოდ 30 აშშ დოლარი დაუბრუნა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა ი. დ-ოვს მის სასარგებლოდ დაკისრებოდა 3150 აშშ დოლარის გადახდა.

მოპასუხე ი. დ-ოვმა სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: არასწორია მოსარჩელის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ნასესხები თანხა არ დაუბრუნდა მოსარჩელეს, ვინაიდან ზეპირი შეთანხმების საფუძველზე დათქმულ დროში პროცენტებიანად დაუბრუნა მოსარჩელეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 11 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ნ. ც-მის სარჩელი ი. დ-ოვის მიმართ ფულადი ვალდებულების შესრულების თაობაზე მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო, არ დაკმაყოფილდა.

2010 წლის 26 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას განცხადებით მიმართა ნ. ც-მემ და მოითხოვა ზემოაღნიშნული სასამართლო კოლეგიის დაუსწრებელი განცხადების გაუქმება იმ საფუძველით, რომ მოსამზადებელ სხდომაზე მოპასუხის ქმედებებით განერვიულებულმა არასწორად გაიგო სასამართლო სხდომის ჩანიშვნის თარიღი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 2 ივლისის განჩინებით ნ. ც-მის საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გადასინჯვისა და საქმის განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 11 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 11 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და ამავე სასამართლოს 2010 წლის 2 ივლისის განჩინება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ც-მემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 27 სექტემბრის განჩინებით ნ. ც-მის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 2 ივლისის განჩინება ნ. ც-მეს პირადად ჩაჰბარდა 2010 წლის 22 ივლისს, ხოლო სააპელაციო საჩივარი კი შეტანილ იქნა ამავე წლის 9 სექტემბერს. ამდენად, სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიიჩნია, რომ აპელანტმა სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადა დაარღვია, რის გამოც სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ნ. ც-მემ და მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძველით, რომ მას გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადა არ დაურღვევია.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ც-მის კერძო საჩივარი უსაფუძველოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, გასაჩივრებული განჩინება კი დარჩეს უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 2 ივლისის განჩინების ასლი ნ. ც-მეს პირადად ჩაჰბარდა 2010 წლის 22 ივლისს. ამავე წლის 9 სექტემბერს კი, მან სააპელაციო საჩივარი შეიტანა სააპელაციო სასამართლოში.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე და 78-ე მუხლებით.

ბის შესაბამისად. მითითებული ნორმა ადგენს რა სააპელაციო საჩივრის შეტანის კონკრეტულ ვადას, მისი გაგრძელების ან აღდგენის სამართლებრივ მექანიზმს არ ითვალისწინებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადა არ დაურღვევია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება მიღებულია კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით და მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, ხოლო ნ. ც-მის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ნ. ც-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 27 სექტემბრის განჩინება დარჩეს უცვლელი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა**

#### **განჩინება**

1ას-985-926-2010

20 დეკემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**ვ. როინიშვილი,**  
**თ. თოდრია**

**დავის საგანი:** შვილებისათვის დედის გვარის მინიჭება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ლ. გ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. შ-მის მიმართ არასრულწლოვანი შვილებისათვის დედის გვარის მინიჭების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: მხარეები იმყოფებოდნენ არარეგისტრირებულ ქორწინებაში, რა დროსაც 1998 წელს შეეძინათ შვილი – ბ. შ-ძე, ხოლო 2000 წელს – ნ. შ-ძე.

მოპასუხე არ მონაწილეობს შვილების აღზრდაში და სასამართლო გადაწყვეტილება ალიმენტის დაკისრების შესახებ სრულდება იძულებით, რის გამოც ბავშვებს უნდა მიენიჭოთ დედის – ლ. გ-შვილის გვარი.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

საჩხერის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 24 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო, ლ. გ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა – ბ. და ნ. შ-ძეებს შეეცვალათ გვარი გ-შვილით, ცვლილება შევიდა მათი დაბადების სააქტო ჩანაწერშიც.

ამავე სასამართლოს 2010 წლის 13 ივლისის განჩინებით ზემოხსენებული დასუწრებელი გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად, რაც გ. შ-ძემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 27 აგვისტოს განჩინებით გ. შ-მის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ 2010 წლის 15 სექტემბრის განჩინებით გაასწორა ზემოხსენებულ განჩინებაში დაშვებული უსწორობები და საბოლოოდ დაადგინა, რომ საჩხერის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 13 ივლისის განჩინება კანონით დადგენილი წესით გაეგზავნა და 2010 წლის 26 ივლისს ჩაჰბარდა გ. შ-მის წარმომადგენელ ტ. ჩ-შვილის მამას – ს. ჩ-შვილს. აღნიშნულ განჩინებაზე გ. შ-მის სააპელაციო საჩივარი სასამართლოში შევიდა 2010 წლის 13 აგვისტოს, ხოლო საფოსტო კონვერტზე დასმული ბეჭდით ირკვევა, რომ სააპელაციო საჩივარი ფოსტოს განყოფილებას ჩაბარდა 2010 წლის 10 აგვისტოს.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლით, 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიიჩნია, რომ სასამართლო გზავნილი ჩაბარდა მხარის წარმომადგენლის ოჯახის სრულწლოვან წევრს, რაც მისი თავად მხარისათვისაც ჩაბარებულად მიჩნევის საფუძველია.



ამავე კოდექსის 369-ე მუხლის შესაბამისად, პალატამ ჩათვალა, რომ გ.შ-მემ სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადა დაარღვია, რის გამოც მისი სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ განჩინებაზე გ. შ-მის წარმომადგენელმა ტ. ჩ-შვილმა შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მითითება, რომ ტ. ჩ-შვილი გ.შ-მის მამაა, რადგან აპელანტი ასაკით მის წარმომადგენელზე უფროსია.

პალატამ დაადგინა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გ.შ-მეს ჩაბარდა 2010 წლის 26 ივლისს, სააპელაციო საჩივარი კი მხარემ ფოსტას 2010 წლის 10 ივლისს ჩააბარა. შესაბამისად, მას სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა არ დაურღვევია.

აღსანიშნავია, რომ რეალურად ტ.ჩ-შვილს საჩხერის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 13 ივლისის განჩინება არ ჩაჰბარებია. მითითებული გარემოება დასტურდება იმით, რომ საქმეში მის მიერ ხელმოწერილი სასამართლო გზავნილის ჩაბარების ხელწერილი წარმოდგენილი არ არის.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. შ-მის წარმომადგენელ ტ. ჩ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისთვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისთვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს პირველი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისთვის გადაცემის მომენტიდან 14 დღის განმავლობაში.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ საჩხერის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 13 ივლისის განჩინება გაიგზავნა და ჩაჰბარდა აპელანტ გ. შ-მის წარმომადგენელ ტ. ჩ-შვილის მამას – ს. ჩ-შვილს, რაც დასტურდება საქმის მასალებში წარმოდგენილი შპს «სკს-ს» გზავნილების ჩაბარების თაობაზე შეტყობინების ბარათით.

ამავე რედაქციის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს.

დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლო უწყების მხარისათვის ჩაბარებულად მიჩნევისათვის აუცილებელია, რომ იგი ჩაბარდეს პირადად მხარეს, მის წარმომადგენელს ან, ამავე კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მასთან მცხოვრებ ოჯახის სრულწლოვან წევრს. ამასთან, ამავე ნორმის შესაბამისად, კანონის ხსენებული დანაწესით გათვალისწინებულ პირთა წრის მიერ სასამართლო უწყების მიღებისას, უწყების მიმღები ვალდებულია, უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი სახელი, გვარი და ადრესატთან დამოკიდებულება.

განსახილველ შემთხვევაში სადავო სასამართლო გზავნილი ჩაბარდა აპელანტის წარმომადგენლის ოჯახის სრულწლოვან წევრს – მამას, რომელმაც დააფიქსირა არა მარტო თავისი სახელი, გვარი და ადრესატი-სადმი დამოკიდებულება, არამედ პირადობის მოწმობის პირადი ნომერიც. მითითებული ფაქტი დამოწმებულია უფლებამოსილი კურიერის ხელმოწერით.

ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლო გზავნილი გ. შ-მისათვის 2010 წლის 26 ივლისს ჩაბარებულად უნდა ჩაითვალოს და საწინააღმდეგო გარემოება კერძო საჩივრის ავტორს არ დაუდასტურებია. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის შეტანის 14-დღიანი ვადა აღნიშნული მომენტიდან სწორად აითვალა და ჩათვალა, რომ იგი ამოიწურა 2010 წლის 9 აგვისტოს. სააპელაციო საჩივარი კი შეტანილ იქნა ამ ვადის გასვლის შემდეგ, 2010 წლის 10 აგვისტოს, რაც მოცემული სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების წინაპირობაა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მითითებას გასაჩივრებული განჩინებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, ვინაიდან ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 27 აგვისტოს განჩინებაში დაშვებული უსწორობანი ამავე პალატის 2010 წლის 15 სექტემბრის განჩინებით გასწორდა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

## დაადგინა:

გ. შ-ძის წარმომადგენელ ტ. ჩ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.  
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 27 აგვისტოს განჩინება დარჩეს უცვლელად.  
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## 5. სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმება

### განჩინება

1ას-22-21-10

6 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

**დავის საგანი:** სესხის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

ლ. გ-ძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. ს-ძის მიმართ სესხის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ლ. გ-ძის სარჩელი სესხის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. გ-ძემ.

ვინაიდან, სააპელაციო საჩივარზე არ იყო გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 4 ნოემბრის განჩინებით აპელანტს განესაზღვრა 7-დღიანი ვადა განჩინების ასლის ჩაბარებიდან.

2009 წლის 16 ნოემბერს ლ. გ-ძემ განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება იმ საფუძველზე, რომ მისი ოჯახი მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაშია, არიან უმუშევრები და შემოსავალი ოჯახს არ გააჩნია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 20 ნოემბრის განჩინებით ლ. გ-ძის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადავადების შესახებ არ დაკმაყოფილდა, აპელანტს გაუგრძელდა ვადა ხარვეზის შევსებისათვის.

ხარვეზის ვადის გაგრძელების შესახებ განჩინების ასლი აპელანტ ლ. გ-ძეს და მის წარმომადგენელ რ. ლ-ძეს გაეგზავნათ და წარმომადგენელს ჩაჰბარდა კანონით დადგენილი წესით 2009 წლის 26 ოქტომბერს, რომლის თანახმადაც, აპელანტს ხარვეზის გამოსასწორებლად ვადა ჰქონდა 2009 წლის 30 ოქტომბრამდე.

ლ. გ-ძემ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 20 ნოემბრის განჩინებით ლ. გ-ძის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა. მას მიეცა 4-დღიანი ვადა ხარვეზის შესავსებად. ხარვეზის შევსების ბოლო ვადა ამოიწურა 30 ნოემბერს.

2009 წლის 3 დეკემბერს განცხადებით მიმართა სასამართლოს ლ. გ-ძემ და მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადავადება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 4 დეკემბრის განჩინებით ლ. გ-ძის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, ლ. გ-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ, მართალია, აპელანტი შუამდგომლობს სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას, მაგრამ შუამდგომლობას არ ახლავს უტყუარი მტკიცებულებები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევდა შუამდგომლობის დაკმაყოფილებას. აღნიშნულის თაობაზე მხარეს განემარტა, ასევე, სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 20 ნოემბრის განჩინებით. იმის გათვალისწინებით, რომ აპელანტს ხარვეზი ვადაში არ შეუვსია, მისი სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ლ. გ-ძემ. მან მიუთითა, რომ 2009 წლის 30 ოქტომბერს გამგეობამ გასცა ცნობა მისი უმუშევრობისა და უსახსრობის შესახებ. მან სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით იმის შესახებ, რომ იგი არის გაჭირვებული და შესაბამის ცნობას წარადგენდა სასამართლოში, რის გამოც მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება. სააპელაციო სასამართლომ კი არ გაითვალისწინა მისი მოთხოვნა და განუხილველად დატოვა სააპელაციო საჩივარი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ ლ. გ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადების შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან სააპელაციო საჩივარზე არ იყო გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 4 ნოემბრის განჩინებით ლ. გ-ძეს განესაზღვრა 7-დღიანი ვადა ხარვეზის შესავსებად. ლ. გ-ძემ რამდენჯერმე მიმართა განცხადებით სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება უსახსრობის გამო. მას შესაბამისად რამდენჯერმე გაუგრძელდა ვადა ხარვეზის შესავსებად და ბოლოს ხარვეზის ვადის გაგრძელების შესახებ განჩინების ასლი აპელანტს ლ. გ-ძეს და მის წარმომადგენელს რ.ლ-ძეს გაეგზავნათ და წარმომადგენელს ჩაჰპარდა კანონით დადგენილი წესით 2009 წლის 26 ოქტომბერს, რომლის თანახმადაც აპელანტს ხარვეზის გამოსასწორებლად ვადა ჰქონდა 2009 წლის 30 ოქტომბრამდე. ლ. გ-ძემ კვლავ მიმართა სასამართლოს შუამდგომლობით და მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება.

ლ. გ-ძემ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 20 ნოემბრის განჩინებით ლ. გ-ძის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა. მას მიეცა 4-დღიანი ვადა ხარვეზის შესავსებად. ხარვეზის შევსების ბოლო ვადა ამოიწურა 30 ნოემბერს.

2009 წლის 3 დეკემბერს განცხადებით მიმართა სასამართლოს ლ. გ-ძემ და მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადავადება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 4 დეკემბრის განჩინებით ლ. გ-ძის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, ლ. გ-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ლ. გ-ძემ განცხადება სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების შესახებ შეიტანა სასამართლოს მიერ ხარვეზის შევსებისათვის მიცემული ვადის გასვლის შემდეგ. გარდა ამისა, კერძო საჩივრის ავტორმა ვერ დაადასტურა სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის საპატიო მიზეზი, რის გამოც მისი კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება. მოცემულ შემთხვევაში აპელანტმა არ შეავსო ხარვეზი განჩინებით განსაზღვრულ ვადაში და ამდენად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ სწორად გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლი და განუხილველად დატოვა სააპელაციო საჩივარი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

ლ. გ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 4 დეკემბრის განჩინება;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმება

### განჩინება

1ას-378-351-10

24 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

**დავის საგანი:** კრების ოქმის ბათილად ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

გ. ე-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ს. ჩ-ძის მიმართ კრების ოქმის ბათილად ცნობის შესახებ.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით გ. ე-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა – ბათილად იქნა ცნობილი სს „მ-ის“ 2009 წლის 24 ივლისის საერთო კრების ოქმი 11\2009, მოპასუხე ს. ჩ-ძეს დაეკისრა გ. ე-ძის სასარგებლოდ, მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 100 ლარის ანაზღაურება.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ს. ჩ-მემ.

ვინაიდან სააპელაციო საჩივარზე არ იყო გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 12 თებერვლის განჩინებით აპელანტ – ს. ჩ-ძეს დაევალა სახელმწიფო ბაჟის 150 ლარის გადახდისა და გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარმოდგენა და განესაზღვრა 7-დღიანი ვადა განჩინების ასლის ჩაბარებიდან. მასვე განემარტა, რომ თუ ამ ვადაში ხარვეზი არ შეივსებოდა, სააპელაციო საჩივარი აღარ დაიშვებოდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 26 თებერვლის განჩინებით ს. ჩ-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეზე წარმოდგენილი სასამართლოს გზავნილითა და საფოსტო განყოფილებიდან დაბრუნებული შეტყობინებით ირკვევა, რომ აპელანტს და მის წარმომადგენელს, 2010 წლის 12 თებერვლის ხარვეზის განჩინება ჩაჰბარდათ კანონით დადგენილი წესით 2010 წლის 16 თებერვალს, რომლის თანახმადაც აპელანტს ხარვეზის გამოსასწორებლად ვადა ჰქონდა 2010 წლის 23 თებერვლამდე. მიუხედავად აღნიშნულისა, აპელანტს სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ხარვეზი არ შეუვსია. იმის გათვალისწინებით, რომ აპელანტს ხარვეზი ვადაში არ შეუვსია, მისი სააპელაციო საჩივარი, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე, როგორც დაუშვებელი უნდა დარჩეს განუხილველი.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ს. ჩ-მემ. მან მიუთითა, რომ 2010 წლის 12 თებერვალს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ იქნა განჩინება ხარვეზის შევსების შესახებ, რომელიც ჩაჰბარდა 2010 წლის 16 თებერვალს. აღნიშნული განჩინებით დაევალა შეევსო ხარვეზი 2010 წლის 23 თებერვლის ჩათვლით. სააპელაციო სასამართლომ ხარვეზის შეუვსებლობის გამო მისი სააპელაციო საჩივარი დატოვა განუხილველად. მისი მითითებით, ხარვეზი შევსებულია კანონით დადგენილ ვადაში და დადგენილი ფორმით, კერძოდ კი 2010 წლის 23 თებერვალს, მან ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გააგზავნა განცხადება ხარვეზის შევსების შესახებ და ბაჟის გადახდის ქვითარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 26 თებერვლის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოებაში მიღება.

#### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ ს. ჩ-ძის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლით, თუ არ არსებობს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 12 თებერვლის განჩინებით ს. ჩ-ძეს დაევალა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარის წარდგენა სასამართლოში. ხარვეზის შესახებ განჩინების ასლი აპელანტს და მის წარმომადგენელს გაეგზავნათ და ჩაჰბარდათ კანონით დადგენილი წესით 2010 წლის 16 თებერვალს, რომლის თანახმადაც, აპელანტს ხარვეზის გამოსასწორებლად ვადა ჰქონდა 2010 წლის 23 თებერვლამდე. ხარვეზის შეუვსებლობის მოტივით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 26 თებერვლის განჩინებით ს. ჩ-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ს. ჩ-მემ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში შეავსო ხარვეზი, კერძოდ, მას ხარვეზის შესავსებად ვადა ჰქონდა დანიშნული 2010 წლის 23 თებერვლის

ჩათვლით. ს. ჩ-მემ ფოსტის მეშვეობით გააგზავნა სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი 2010 წლის 23 თებერვალს, ანუ მან ხარვეზი შეავსო სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ს. ჩ-მის კერძო საჩივარი საფუძვლიანია, რის გამოც უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

ს. ჩ-მის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;  
გაუქმდეს მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 26 თებერვლის განჩინება და საქმე დასაშვებობის ეტაპიდან ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს შესაბამის პალატას;  
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმება**

**განჩინება**

1ას-387-360-10 15 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი  
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
მ. სულხანიშვილი

**დავის საგანი:** დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემა

**აღწერილობითი ნაწილი:**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს სარჩელით მიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურამ თ. ა-მის მიმართ დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა თ. ა-მემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ თ. ა-მის სააპელაციო საჩივარი, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში შევიდა ხარვეზით, კერძოდ, არ იყო გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 1805 ლარი, რის გამოც აპელანტს 2010 წლის 26 თებერვლის განჩინებით განესაზღვრა 4-დღიანი ვადა ხარვეზის შესავსებად. 2010 წლის 10 მარტს თ. ა-მემ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ხარვეზის შესავსებად ვადის გაგრძელება ერთი კვირით. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 12 მარტის განჩინებით, აპელანტ თ. ა-მეს გაუგრძელდა ვადა ხარვეზის შესავსებად 3 დღით და განემარტა, რომ, თუ ამ ვადაში ხარვეზი არ შეივსებოდა, სააპელაციო საჩივარი აღარ დაიშვებოდა. ხარვეზის ვადის გაგრძელების განჩინება თ. ა-მეს გაეგზავნა კანონით დადგენილი წესით და ჩაჰბარდა 2010 წლის 16 მარტს. საქმეზე წარმოდგენილი სასამართლოს გზავნილითა და საფოსტო განყოფილებიდან დაბრუნებული შეტყობინებით ირკვევა, რომ აპელანტს, 2010 წლის 12 მარტის განჩინება, ხარვეზის ვადის გაგრძელების შესახებ ჩაჰბარდა კანონით დადგენილი წესით 2010 წლის 16 მარტს, რომლის თანახმადაც აპელანტს ხარვეზის გამოსასწორებლად ვადა ჰქონდა 2010 წლის 19 მარტის ჩათვლით, მიუხედავად აღნიშნულისა, აპელანტს სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ხარვეზი არ შეუვსია. იმის გათვალისწინებით, რომ აპელანტს ხარვეზი ვადაში არ შეუვსია, მისი სააპელაციო საჩივარი, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებაზე, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველი.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა თ. ა-მემ. მან მიუთითა, რომ განჩინება ჩაჰბარდა 2010 წლის 16 მარტს და ხარვეზის გამოსასწორებლად ვადა ჰქონდა 19 მარტის ჩათვლით. 19 მარტს საქართველოს ბანკში, სასამართლოს მიერ მითითებულ ანგარიშზე მან გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი, მაგრამ ქვითრები

აღარ გაუგზავნია სასამართლოში, ვინაიდან ჩათვალა, რომ თანხა დაირიცხებოდა შესაბამის ანგარიშზე და ეს საკმარისი იქნებოდა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ თ. ა-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ბოლო წინადადების შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

დადგენილია, რომ თ. ა-ძეს 2010 წლის 26 თებერვლის განჩინებით განესაზღვრა 4-დღიანი ვადა ხარვეზის შესავსებად. 2010 წლის 10 მარტს თ. ა-ძემ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ხარვეზის შესავსებად ვადის გაგრძელება ერთი კვირით. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 12 მარტის განჩინებით, აპელანტ თ. ა-ძეს გაუგრძელდა ვადა ხარვეზის შესავსებად 3 დღით და განემარტა, რომ, თუ ამ ვადაში ხარვეზი არ შეივსებოდა, სააპელაციო საჩივარი აღარ დაიშვებოდა. ხარვეზის ვადის გაგრძელების განჩინება თ. ა-ძეს გაეგზავნა კანონით დადგენილი წესით და ჩაჰბარდა 2010 წლის 16 მარტს. მას ხარვეზი უნდა შეეღწო 2010 წლის 19 მარტის ჩათვლით. მიუხედავად აღნიშნულისა, აპელანტს სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ხარვეზი არ შეუვსია.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, მართალია, თ. ა-ძემ სახელმწიფო ბაჟი გადაიხადა ბანკში, მაგრამ სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში მას აღნიშნულის დამდასტურებელი დოკუმენტი სასამართლოში არ წარმოუდგენია, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ მართებულად დატოვა მისი სააპელაციო საჩივარი განუხილველად. ის, რომ მან არ იცოდა სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის დამდასტურებელი ქვითარის წარდგენის სავალდებულობაზე, არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს, ვინაიდან მას ხარვეზის განჩინებით განემარტა, რომ მას უნდა წარმოედგინა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამდასტურებელი ქვითარი სასამართლოში, რაც არ გაუკეთებია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა განუხილველად თ. ა-ძის სააპელაციო საჩივარი ხარვეზის შეუვსებლობის გამო, რის გამოც არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

თ. ა-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 24 მარტის განჩინება;  
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმება**

#### **განჩინება**

1ას-458-429-10

24 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2009 წლის 6 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ნ. მ-ძემ მოპასუხე ბ. მ-შვილის მიმართ და მოითხოვა 400 აშშ დოლარის დაკისრება მოპასუხე ბ. მ-შვილისათვის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 5 იანვრის გადაწყვეტილებით ნ. მ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა – ბ. მ-შვილს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 400 აშშ დოლარის გადახდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ბ. მ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 აპრილის განჩინებით ბ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

სასამართლომ მიუთითა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 5 მარტის განჩინებით ბ. მ-შვილს სააპელაციო საჩივარში არსებული ხარვეზის შესავსებად განესაზღვრა 7-დღიანი ვადა და დაევალა მოცემულ ვადაში სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

სააპელაციო პალატის 2010 წლის 5 მარტის განჩინება ხარვეზის დადგენის შესახებ აპელანტის წარმომადგენელ ლ. ხ-შვილს პირადად ჩაჰბარდა 2010 წლის 27 მარტს, რაც დასტურდება საქმეში არსებული საფოსტო შეტყობინების ბარათით.

პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ აპელანტს განჩინება ჩაჰბარდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, 2010 წლის 27 მარტს. ხარვეზის შევსების ვადის ათვლა დაიწყო 2010 წლის 28 მარტიდან და ამოიწურა 2010 წლის 5 აპრილს.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ, ვინაიდან აპელანტ ბ. მ-შვილმა არ გამოასწორა ხარვეზი, აღნიშნული გარემოება წარმოადგენს სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ბ. მ-შვილმა. მან მიუთითა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 5 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარში არსებული ხარვეზის გამო, დაევალა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის – 122 ლარის გადახდა და საპროცესო ვადად განისაზღვრა 7 დღე. აღნიშნული განჩინება 2010 წლის 27 მარტს ჩაჰბარდა მის წარმომადგენელს. მას 2010 წლის 5 აპრილის ჩათვლით უნდა შეეცხო ხარვეზი. აპელანტმა თანხა შეიტანა ბანკი «რესპუბლიკის» ისნის ფილიალში და ჩარიცხა მითითებულ ანგარიშზე. იმავე დღეს მან ვერ მოასწრო ქვითარის სასამართლოში წარდგენა. მან ჩათვალა, რომ გადახდის ქვითარის წარდგენა სავალდებულო არ იყო და მისი ვალდებულება შემოიფარგლებოდა ბანკში თანხის გადახდით. აღნიშნულის გამო, მან მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის წარმოებაში მიღება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ ბ. მ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე, რომელზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარის ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყევით ეცნობება სასამართლოს სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისთვის და მისი წარმომადგენლისთვის ჩაბარებულად ითვლება, თუ იგი ჩაჰბარდა ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტს. წარმომადგენელი ვალდებულია, უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს.

დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 5 მარტის განჩინებით ბ. მ-შვილს სააპელაციო საჩივარში არსებული ხარვეზის შესავსებად განესაზღვრა 7-დღიანი ვადა და დაევალა მოცემულ ვადაში სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

სააპელაციო პალატის 2010 წლის 5 მარტის განჩინება ხარვეზის დადგენის შესახებ აპელანტის წარმომადგენელ ლ. ხ-შვილს პირადად ჩაჰბარდა 2010 წლის 27 მარტს, რაც დასტურდება საქმეში არსებული საფოსტო შეტყობინების ბარათით. ხარვეზის შევსების ვადის ათვლა დაიწყო 2010 წლის 28 მარტიდან და ამოიწურა 2010 წლის 5 აპრილს.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ, მართალია, ბ. მ-შვილმა სახელმწიფო ბაჟი გადაიხადა ბანკში, მაგრამ მას სასამართლოში არ წარმოუდგენია აღნიშნულის დამადასტურებელი ქვითარი. ის, რომ მან არ იცოდა სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის დამადასტურებელი ქვითარის წარდგენის ვალდებულების შესახებ, ვერ ჩათვლება საპატიო მიზეზად, ვინაიდან, სააპელაციო სასამართლომ განჩინების სარეზოლუციო ნაწილში პირდაპირ მიუთითა სასამართლოში აღნიშნული ქვითარის წარდგენის ვალდებულებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი, შესაბამისად არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 15 აპრილის განჩინება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

## დაადგინა:

ბ. მ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 15 აპრილის განჩინება;  
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

### განჩინება

1ას-748-701-10

14 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი, (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

დავის საგანი: თანხის დაკისრება

#### აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 27 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სს «...» სარჩელი შპს «ჯ. პ-სათვის» 15501,40 ლარის დაკისრების თაობაზე.

იგივე სასამართლოს 2010 წლის 02 თებერვლის განჩინებით ძალაში იქნა დატოვებული 2009 წლის 27 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რაზედაც სააპელაციო საჩივარი წარადგინა შპს «ჯ. პ-ს» წარმომადგენელმა მ. კ-იამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 ივნისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2010 წლის 17 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარს დაუდგინა ხარვეზი, რომლის გამოსასწორებლად აპელანტს დაევა 10 დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოში წარედგინა სახელმწიფო ბაჟის – 620,05 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი. ხარვეზის შესახებ 2010 წლის 17 მაისის განჩინება აპელანტის წარმომადგენელს – მ. კ-იას გაეგზავნა მის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე – თბილისი, ... კორპუსი ბინა 34, სადაც ჩაჰბარდა პირადად 2010 წლის 25 მაისს.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სწორედ ამ დროიდან უნდა ჩაითვალოს დასახელებული განჩინება აპელანტ ორგანიზაციაზე ჩაბარებულად გამომდინარე იქედან, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის მიხედვით, გზავნილი ეგზავნება მხარეს ან მის წარმომადგენელს და ჩაბარებულად ითვლება ერთ-ერთი მათგანის მიერ მიღების შემთხვევაში. ამდენად, შპს „ჯ. პ-სათვის“ ხარვეზის დადგენის შესახებ 2010 წლის 17 მაისის განჩინება ჩაბარებულად უნდა იქნეს მიჩნეული მისი წარმომადგენლის მიერ მიღების მომენტიდან – 2010 წლის 25 მაისიდან.

დადგენილია, რომ ხარვეზის შევსების შესახებ განცხადებით აპელანტ შპს „ჯ. პ-ს“ წარმომადგენელმა – მ. კ-იამ პალატას განცხადებით მომართა 2010 წლის 8 ივნისს. იქიდან გამომდინარე, რომ ხარვეზის თაობაზე განჩინება აპელანტზე ჩაბარებულად ითვლება – 2010 წლის 25 მაისი. სააპელაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზი უნდა ყოფილიყო გამოსწორებული ამ დროიდან 10 დღის ვადაში – 2010 წლის 4 ივნისის ჩათვლით. დასახელებული ვადის გასვლის შემდეგ აპელანტის შესაძლებლობა, გამოესწორებინა ხარვეზი, უნდა ჩაითვალოს გაქარწყლებულად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის მიხედვით. შესაბამისად, 2010 წლის 8 ივნისის წარდგენილი განცხადება, როგორც საპროცესო ვადის დარღვევით წარდგენილი, სააპელაციო პალატამ დატოვა განუხილველად.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზი არ ყოფილა გამოსწორებული საამისოდ სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რაც საფუძველია სააპელაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და განუხილველად დატოვებისათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368.5 და 374-ე მუხლების დანაწესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 30 ივნისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა შპს „ჯ. პ-ს“ წარმომადგენელმა მ. კ-იამ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო პალატამ სადავოდ არ მიიჩნია ის ფაქტი, რომ შპს „ჯ. პ-ს“ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი, რომელიც სრულად დაუბრუნდა აპელანტს. კერძო საჩივრის ავტორს მიაჩნია, არც ის არის სადავო, რომ სახელმწიფო ბაჟის გადახდა



და ამისი დამადასტურებელი დოკუმენტის დედნის წარდგენა დაევალა აპელანტს – შპს „ჯ. პ-ს“ და არა წარმომადგენელს. სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი მისგან სასამართლოს წარედგინა მაშინ, როცა მარწმუნებელმა გადასცა. კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით საპროცესო კანონი სააპელაციო საჩივრის არმილების საფუძველად იმპერატიულად უთითებს სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობას და არა ამგვარი მოქმედების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენას დანიშნული ვადის გადაცილებით.

კერძო საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობისთვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა შესრულებულია – სახელმწიფო ბაჟი გადახდილია. სასამართლოს და არა კანონის მიერ განსაზღვრულ დროში. ამას სადავოდ გასაჩივრებელი განჩინებაც არ ხდის. სააპელაციო საჩივრის არმილების ერთ-ერთი საფუძველი შეიძლება გახდეს სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა და არა ამ ვადაში გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარუდგენლობა. კერძო საჩივრის ავტორს მიაჩნია, სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის (ელექტრონული ვერსიის) სასამართლოს მიერ განსაზღვრული ათდღიანი ვადის გადაცილებით წარდგენის შემთხვევაშიც სააპელაციო სასამართლოს თავისი ინიციატივითაც შეეძლო მიეღო გადაწყვეტილება საპროცესო მოქმედების შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ, მით უფრო, რომ სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი საბუთის სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წარდგენის მოთხოვნა განჩინებითაა დაკისრებული და არა კანონის პირდაპირი მოთხოვნით.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ უგულვებელყო სსკ-ის 183-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 372-ე მუხლის, 374-ე მუხლის 1-ლი ნაწილის იმპერატიული მოთხოვნები, ხსენებულ საკანონმდებლო ნორმათა შესაბამისად, არ გამოიტანა ათდღიანი ვადაში სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ განჩინება და არც სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე განჩინება, კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მიჩნეულ უნდა იქნეს, რომ სააპელაციო საჩივარი განსახილველად მიღებულია სათანადო განჩინების გამოტანის გარეშე, ხოლო გასაჩივრებული 30.06.2010 წლის 128\1645-10 განჩინება ნებისმიერი თვალსაზრისით, უკანონოა და მართლმსაჯულებაზე უარის თქმაა.

გამომდინარე ყოველივე ზემოთქმულიდან, კერძო საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ კერძო საჩივრის მოთხოვნა საფუძველიანი, კანონიერი და დასაბუთებულია, რის გათვალისწინებითაც უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა გაეცნო წარმოდგენილ კერძო საჩივარს, საქმის მასალებს, და თვლის, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 17 მაისის განჩინებით შპს „ჯ. პ-ს“ სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და განესაზღვრა ვადა სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის ხარვეზის დადგენის შესახებ 2010 წლის 17 მაისის განჩინება, აპელანტის, შპს „ჯ. პ-ს“ წარმომადგენელს – მ. კ-ის ჩაჰბარდა 2010 წლის 25 მაისს. მხარეს ხარვეზი არ გამოუსწორებია დადგენილ ვადაში, რის გამოც სააპელაციო პალატამ 2010 წლის 30 ივნისის განჩინებით შპს „ჯ. პ-ს“ სააპელაციო საჩივარი დატოვა განუხილველად.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა განუხილველი სააპელაციო საჩივარი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ შეივსება სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება. აღნიშნული ნორმა ცალსახად მიუთითებს იმ შედეგებზე, რაც შეიძლება დადგეს ხარვეზის შეუვსებლობის გამო. ამასთან, ნორმიდან ისიც გარკვევით ჩანს, რომ ბაჟის გადახდის ქვითარი უნდა ერთვოდეს სააპელაციო საჩივარს, რადგან ბაჟის გადახდა – არ გადახდის შემოწმება შეუძლებელია ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენის გარეშე. ზემაღნიშნულიდან გამომდინარე, შეუძლებელია გაზიარება კერძო საჩივრის ავტორის აზრისა იმის თაობაზე, რომ კანონი სააპელაციო საჩივრის არ მიღების საფუძველად იმპერატიულად უთითებს სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობას და არა ამგვარი მოქმედების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენას დანიშნული ვადის გადაცილებით. მითითებული ნორმის კერძო საჩივრის ავტორისეული გაგების შემთხვევაში საერთოდ შეუძლებელი გახდება შემოწმება იმისა, შეავსო თუ არა მხარემ ხარვეზი და დაუსრულებელს გახდის საქმის წარმოებას.

სასამართლო, როგორც წესი, სარჩეოზე ხარვეზის დადგენის დროს მხარეს განუსაზღვრავს მისი აღმოფხვრის საშუალებასც და განჩინების დადგენილებით ნაწილით მხარეს ავალებს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენას სასამართლოში. აპელანტის მიერ სასამართლოს მიცემულ ვადაში ბაჟის ქვითარი სასამართლოში არ წარდგენილა, რაც ნიშნავს იმას, რომ მხარემ სასამართლოს მიერ

დადგენილ ვადაში არ შეავსო ხარვეზი და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, დაკარგა აღნიშნული საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ უგულვებელყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 183-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 372-ე მუხლის, 374-ე მუხლის 1-ლი ნაწილის იმპერატიული მოთხოვნები, 10-დღიანი ვადაში არ გამოიტანა სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების ან განუხილველად დატოვების თაობაზე განჩინება. კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ კი სააპელაციო საჩივარი განსახილველად მიღებულად უნდა იქნეს მიჩნეული.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის ამ მოსაზრებასაც. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის განმავლობაში სააპელაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა სააპელაციო საჩივარი. თუ შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ. თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, რაზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

ზემოთ აღნიშნული ნორმით რეგულირდება სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და არა ხარვეზის შევსების ან შეუვსებლობის შემდგომ განსახორციელებელ მოქმედებანი. საქმის მასალებიდან კი ირკვევა, რომ სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა სააპელაციო საჩივრის დასაშვებობაზე კანონით დადგენილი ვადის ფარგლებში და დაადგინა ხარვეზი. შემოდგომი განჩინებით ხარვეზის შეუვსებლობის გამო სააპელაციო საჩივარი დატოვა განუხილველი. აღნიშნულით სასამართლოს არ დაურღვევია კანონის მოთხოვნები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კერძო საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოება არ შეიძლება გახდეს სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 30 ივნისის განჩინების გაუქმების და კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

შპს «ჯ. პ-ს» კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;  
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 30 ივნისის განჩინება.  
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **6. საკასაციო საჩივრის დასაშვებობა**

### **განჩინება**

1ას-487-456-2010

7 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

**დავის საგანი:** სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობა და მიუღებელი ხელფასის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ც. მ-იამ და გ. ქ-იანმა სარჩელით მიმართეს ... რაიონულ სასამართლოს სსიპ «... სახელმწიფო უნივერსიტეტის» მიმართ 2007 წლის 21 სექტემბრის 101/7 ბრძანების გაუქმების, მიუღებელი ხელფასის იძულებითი განაცდურის ანაზღაურებისა და ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,07%-ის დარიცხვის, მოსარჩელეთა სამართლებრივი და ფაქტობრივი მდგომარეობის აღდგენისა და მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანეს ც. მ-იამ და გ. ქ-იანმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 16 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანეს ც. მ-იამ და გ. ქ-ანმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 6 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 16 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 18 თებერვლის განჩინებით, ც. მ-იასა და გ. ქ-იანის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა – უცვლელი დარჩა ახალციხის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 31 ივლისის 1161 დადგენილებით დაიწყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეორგანიზაცია, ... ფილიალის გამოყოფითა და მის ბაზაზე საჯარო სამართლის იურიდიული პირის, ... ინსტიტუტის დაფუძნებით, რომელიც სსიპ ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფლებამონაცვლელა ფილიალის ნაწილში. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 აგვისტოს 1446 განკარგულებით საჯარო სამართლის იურიდიული პირის, ... ინსტიტუტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა თ. გ-შვილი. 2007 წლის 27 ივნისს გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე ც. მ-ია მუშაობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ... ფილიალში გაზეთ «... უნივერსიტეტის» რექტორის მოვალეობის შემსრულებლად. ხელშეკრულება მოქმედებდა 2007 წლის 25 ივნისიდან ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კონკურსის გამოცხადებამდე. სამუშაოს შესრულებისათვის დასაქმებულის ხელფასი ხელშეკრულებით განისაზღვრა 300 ლარით.

დადგენილია, რომ სსიპ ... ინსტიტუტის 2007 წლის 21 სექტემბრის 101/7 ბრძანებით შეწყდა შრომითი ურთიერთობა თსუ მესხეთის ფილიალის ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან, სულ 115 თანამშრომელთან, მათ შორის, ც. მ-იასა და გ. ქ-იანთან. ბრძანების საფუძველად მითითებულია საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის 1473 ბრძანებულება და საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი, იმავე ბრძანების მე-3 პუნქტით აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს დაევალა შემოსავლის ბარათის წარმოდგენის შემდეგ უზრუნველყო იმ პირებისათვის, საბოლოო ანგარიშწორება მისაღები ხელფასისა და ერთი თვის კომპენსაციისა, რომლებთანაც არ მოხდებოდა ახალი შრომითი ხელშეკრულება. ც. მ-იას მიღებული ჰქონდა სექტემბრის ხელფასი და ერთი თვის შრომის ანაზღაურება. აღნიშნული თანხა დარიცხულ იქნა გ. ქ-იანის ანგარიშზეც. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ აპელანტებთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველია ხელშეკრულების მოშლა, რასაც აწესრიგებს საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე-38-ე მუხლები, კერძოდ, 37-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» პუნქტის თანახმად, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველია ხელშეკრულების მოშლა, რაც 38-ე მუხლის 1-ლი ნაწილის პირველი და მესამე ნაწილების საფუძველზე შესაძლებელია ერთ-ერთი მხარის ინიციატივით. ამასთან, დამსაქმებლის ინიციატივის შემთხვევაში დასაქმებულს მიეცემა არანაკლებ ერთი თვის ანაზღაურება. კანონის აღნიშნული მოთხოვნები მოცემულ შემთხვევაში დაცულ იქნა, აქედან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ აპელანტებმა ვერ დაადასტურეს მათი სამუშაოდან გათავისუფლების უკანონობა, შესაბამისად, მათი მოთხოვნა უსაფუძვლოა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანეს გ. ქ-იანმა და ც. მ-იამ. კასატორებმა მიუთითეს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია და სამართლებრივი შეფასება არ მისცა მტკიცებულებებს, საქართველოს მთავრობის 31.07.07 წლის 1161 დადგენილების მე-3 პუნქტს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 22.08.07 წლის 116-08/13165 გადაწყვეტილებას, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილის 26.09.07 წლის 117.09-2/14674 გადაწყვეტილებას და მინისტრის 2007 წლის 12 ოქტომბრის 1963 ბრძანებას. საქართველოს შრომის კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომელსაც არ აწესრიგებს ეს კოდექსი ან სხვა სპეციალური კანონი, რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილების მიხედვით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი უფლებამოსილია განახორციელოს კანონში ან მის სადამფუძნებლო დოკუმენტებში გათვალისწინებული მიზნების შესაბამისი საქმიანობა. ზოგიერთი საქმიანობა, რომლის ჩამონათვალსაც განსაზღვრავს კანონი, იურიდიულ პირს შეუძლია განახორციელოს სპეციალური ნებართვის საფუძველზე. ამ საქმიანობის განხორციელების უფლება იურიდიულ პირს წარმოეშობა წარმოებაში ნებართვის მიღების მომენტიდან. საქართველოს მთავრობის 2007 წლის 31 ივლისის 1161 დადგენილების მე-3 პუნქტის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ახალციხის ინსტიტუტის მიზნად განსაზღვრა «უმაღლესი განათლების შესახებ» საქართველოს კანონით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობა, ხოლო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახედ – ინსტიტუტი, რომლის განხორციელების უფლება ... ინსტიტუტს წარმოეშობდა მხოლოდ მისთვის შესაბამისი ლიცენზიის მინიჭების შემდგომ, რის საფუძველზეც იგი თავის საქმიანობას განახორციელებდა საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის 1473 ბრძანებულებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში. ამ მტკიცებულებებით და საკანონმდებლო ნორმებით, კასატორების განმარტებით, უტყუარადაა დადასტურებული, რომ რექტორის დროებითი მოვალეობის შემსრულებელი თ. გ-შვილი არ იყო უფლებმოსილი, ინსტიტუტისთვის ლიცენზიის მინიჭებამდე განხორციელებინა საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 ივნისის 1473 ბრძანებით მინიჭებული

უფლებამოსილებანი. სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის მოთხოვნები, მოპასუხე მხარეს საშუალება მისცა მტკიცებულებების სახით ისეთი დოკუმენტების წარმოდგენისა, რომელთა წარმოდგენაც მათ შეეძლოთ პირველი ინსტანციის სასამართლოში. მიღებული მტკიცებულებებით არ მტკიცდება, რომ სსიპ ... ინსტიტუტმა გამოსცა ბრძანება და ჩაატარა გაზეთ «... უნივერსიტეტის» რედაქტორისა და გაზეთის ადმინისტრაციას მიკუთვნებული თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი კონკურსი. ამასთან, სსიპ «ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის» 2006 წლის 16 ოქტომბრის წარმოდგენილი ბრძანებით, თსუ ...-ის ფილიალის რექტორის უფლებამოსილება განსაზღვრული იყო რეორგანიზაციის დასრულებამდე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერებისა მინისტრის 2007 წლის 12 ოქტომბრის 1963 ბრძანების მიხედვით, რეორგანიზაციის დასაწყისად განისაზღვრა ...-ის ფილიალის გამოყოფა, რომელიც უნდა დასრულებულიყო არაუგვიანეს ...-ის ინსტიტუტისათვის ლიცენზიის მინიჭებამდე.

**სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ც. მ-იასა და გ. ქ-იანის საკასაციო საჩივარი აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც მიიჩნეულ უნდა იქნეს დასაშვებად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს. მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ შეფასებასა და განმარტებას მნიშვნელობა აქვს მსგავსი კატეგორიის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის განვითარებისათვის, რის გამოც ც. მ-იასა და გ. ქ-იანის საკასაციო საჩივარი მიღებულ უნდა იქნეს განსახილველად.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილით, 284-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

ც. მ-იასა და გ. ქ-იანის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნას ცნობილი;  
საქმის განხილვა დაინიშნოს ზეპირი მოსმენის გარეშე, რის შესახებაც ეცნობოთ მხარეებს;  
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.